

114
1962/2

საქართველოს
ბიბლიოთეკა

მეტეორები



12

1

9

6

2

119
1962/5

გნეოთოგია

ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 39-ე

№ 12

დეკემბერი, 1962 წ.

საქართველოს საბჭოთა მწიგნობის კავშირის ორგანო

შინაარსი

879
 899
 899

გიორგი ლეონიძე — ლექსები	3
არჩილ ხულაყაური — ხიდი, მოთხრობა	5
ლადო მრეღაშვილი — ყაბახი, რომანი, გაგრძელება	24
გრიგოლ ცაცხლაძე — ლექსები	50
ოთარ ჩხეიძე — აბაღლის ღამეს, ეტიუდი	51
ბაკრატ შინკუბა — სამი ლექსი, თარგმანი კარლო კალაძისა	56
ლევან გოთუა — ცხოვრება იწყება წყალდიდობით, მოთხრობა, დასასრული	58
იროდიონ ქავთარაძე — ნალიდე, მოთხრობა	78
რობერტ ჟროსტი — ლექსები, თარგმანი ინგლისურიდან ზვიად გამსახურდიასი	86
ქონ სტიინბეკი — ზამთარი ჩვენი მღელვარებისა, რომანი, გაგრძელება, თარგმანი ინგლისურიდან ვახტანგ ქელიძისა	89
ჯანსუღ ჩარკვიანი — მე რაე მარუხებს იგი შენა ხარ, ლირიკული პოემა	107
გიორგი ლაბაძე — დედა, მოთხრობა	111
ზუბა გავუა — ლექსები	114
თამარ ქავახიშვილი — ჩემს თაობას, ლექსი	115
კ. ვახაძე — გარსია, მოთხრობა	117

პრიბია და პუბლიცისტიკა

გრიგოლ ბრეგაძე — ე. ი. ლენინი — სოციალისტური მრავალეროვანი სახელმწიფოს ფუძემდებელი	121
გურამ კანკავა — ახალგაზრდა მწერალთა თათბირისათვის	125
თამაზ ტილაძე — მარტვი მე ჩემი გაზაფხული...	136
თენჯიზ ბუაჩიძე — ლევ ტოლსტოი, დასასრული	140
გრიგოლ ზერხეულიძე — ლადო ასათიანის ლირიკა	149
გურამ ბათიაშვილი — თანამედროვე თურქული პოეზია	156

(იხ. მე-3 გვ.)



საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან

ფ. სურგულაძე — მე-18 საუკუნის რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის შესახებ 160
შოთა ხანთაძე — ქართული პოლიტიკური აზროვნება XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე 163

საქართველო
საზოგადოებრივი აზრი

წარსულიდან

ფილაზე გოგიჩაიშვილი — ორი ეპიზოდი ილია ჭავჭავაძისა და ჩემი ნაცნობობის დროიდან . 170

წიგნების მიმოხილვა

კობე ფაღავა — „ვისრამიანის“ ახალი გამოცემა	180
სარგის ცაიშვილი — ბესიკ გაბაშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემა	183
ბენსაიონ ზარანაული — „მტკერის პირას გათეთრებული „კაცები“	185
ფურნალ „მნათობის“ 1982 წლის ნომრების შეინაარსი	187
ახალი წიგნები	192

„მნათობის“ ამ ნომერში გამოქვეყნებული მასალის დიდი ნაწილი მიძღვნილია ახალგაზრდა მწერლების საკავშირო თათბირისადმი.

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა :

- დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. ვამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
- ე. მაღრაძე, ბ. ულენტი, ა. ქუთათელი, ხ. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ბელოწერილია დსაბეჭდად 20/XII-62. ქალაქის ზომა 70 X 108. ანაწყოების ზომა 7 1/4 X 12 1/2
ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12, პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 09360
ტირაჟი 6000 შეკვეთა № 2160

საქ. კვ ც-ის გამოცემლობა „კომუნისტის“ სტამბა № 1, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Издательство ЦК КП Грузии, типография № 1, Тбилиси, ул. Ленина № 14.

გიორგი ლონია

ხვალინდელ ღღითა მარგალიტშია!

ჩემი საჭმე და ჩემი ლექსები,
ჩემი თაობის ანგარიშია!
მამულისათვის თუ ვიღაცები,
დღე—უსიმღეროდ არ გამიშვია!

დღე არ ვიცოდით ჩვენ უშრომელი,
ჩვენი შრომილი—მაგალითია!
ჰა, ოფელი მკლავზე შეუშრობელი,
ხვალინდელ დღეთა მარგალიტშია!

გაუფრენელი მერცხალი და გაუფრენილი სიცოცხლე

მებრალემა და მეწყალვის,
საცოდავია, იცოდე,—
გაუფრენელი მერცხალი
და გაფრენილი სიცოცხლე!

ჩამორჩენილი მერცხალი,
ვერ ჩატრინდება ინდოეთს...
თუ გადაიმსხვრა ლერწამი,
სიმღერას ვინდა ინდომებს?

სიცოცხლე არი სიცეცხლე,
ჩაქრა, წაგშალეს ცარცივით.

წამსაც კი. ვერსად ისესხებ,
თუ ვაგოფრინდა არწივი.

დრო არის გადამრეკხავი,
მისი, რაც იწვეის მარადღე!
გაუფრენელი მერცხალი,
ვერა, ვერ დაკამარავდეს...

მისთვის სიტყვა ვაქვე, მე ცხარი:
ვაი, ნაცარში იცოცეხს,—
გაუფრენელი მერცხალი
და გაფრენილი სიცოცხლე!

ნაძვის წიწვებს სწიწკნის წვიმა

მებურება ნისლის სისქე,
მთაზე ვდგევერ,
მწვერვალს სცივია...
და შორს, გაღმა ბორჯომისკენ,
ნაძვის წიწვებს
სწიწკნის წვიმა...

ვინ სწვიმს ცრემლად,
გულს ვინ მიხაკს.
როგორც ძერა ამირანის?
დე, ტენარში სწვიმდეს მიხაკს

მარგალიტით,
არ ვინანი!

გზა შეკრული მაქვს შენამდე,
ნისლის ხუნდით, წვიმის თოკით;
შენთან ვგზავნი თეთრ შევარდენს,
შენსკენ შორბის ირმის ჯოგი.

შენთან წერილს ვატან წვიმას,
ჩემს უსტარს სწერს
ლაპა-ლუპით.—
მაწაწინა მდრგანია,

დიდის ცრემლით,
სავეს უბით.

მე კი ვდგევარ შენს ნათელში,
შევივროს,
წვიმა რისთვის სტირის,

შენი შუქი თუ მდევს მთებში,
როგორც სევდა მონადირის,
იბინდება და მწამს, რომ ხელს
ციხარტყელის ფრთით გადმოხვალ...

ზაფხულივით შესცვლი ამ ტყეს,
ზედ რომ ნისლი ბალღამს ანთხევს...

ღამე ფშავში

გაკვირვებული ჩემი წანწალით,
შავად მომცქერის კლდე უბილიკო,
ერთ გაქცეული ფშავის წაწალი,
შზე სადღაც, გორზე გაბუტულიყო.

ტყე ირბნოდა ყვითელ დროშითა,
ვიღაც ნაღარით უხმობდა ლაშქარს,
სული ქარისა ერთად გვლოწნიდა
ლაშარ-ღელეში მცეა და ლაშას.

მზე ჩაეწურა ცეცხლის მკვესარე,
დამსარქლებია დახავსული ცა...
ბინდი ზუზუნებს, ბინდი მკენესარებს,
როგორც ფანდური ფშავ-ხვესურისა.

და არაგვის ხმა ნიაღვრიანი,
ისმის, ვით ძველი აბჯრის ქლრიალი...
მთებზე დაძდგარა ლახტით კობალა,
წინ აღარ მიშვებს, გზა შექრულია...
საით წავიდღე, გზა ვინ მომპარა?
ხმაღს ამოვიწვდი—დაე-ნგულია!

წინ დამდგომიან მთების ურდონი,
სად არი, ჩემი ცხენი შურდანი?

აკი ვიყავი საფარვლიანი,
შიშდამპრალ ძარღვით მტერს ვით
შავება?
... უცბად ყიყინა მესმა გვიანი,—
მოჰხოცდა დევებს ვაჟა-ფშაველა!

პირველი სტატიები

ხ ი ღ ი

1

გურამს ოთხკუთხედ დაეცილი პატარა ბარათი დახვდა კარებში გაჩრილი:

„დღეს რამდენჯერმე ვიყავი შენთან. რვა საათისთვის ვერის ხილთან დაგელოდები. შენს ჭირიმე, ნუ დამაღალატინებ. გივი“.

გურამმა გაოცებით შეატრიალ-შემოატრიალა ბარათი და ისევ ნაწერს დააცქერდა, ოღონდ აღარ წაუკითხავს. მერმე უნებურად საათს დახვდა: შვიდის ნახევარი იყო.

გურამმა ჯიბეებში გასაღები მოიხრია და კარი გააღო. ოთახში პაპიროსის სუნიტ გაედგნითილი, გულისამრევი ჰაერი დაგუბულიყო. კარი ღიად დატოვა და მაშინვე ფანჯრებს მიაშურა, ორპირი ქარი დააყენა. პაპიროსის ნაშფავებით მოპირული გეგმა ნიჟარა სამზარეულოში გაიტანა და სანაგვე ვედროში ჩაყალა. ვიდრე ნიჟარას გაიტანდა, საწერ მაგიდასა და გადაშლილ წიგნზე დაცვენილ ფერფლს სული შეუბერა და გააქრო. „მაინც რამდენი მომიწევია“.

წვიმამ ცოტა ხნის წინათ გადაიღო. ქუჩებში მტვერი დაწმინდა და სასიამოვნო, ნოტიო სიგრილე დატოვა. ორპირმა ქარმა ეს სიგრილე ახლა ოთახში დაატრიალა.

აუტანელი სიციხეები დაიჭირა, დღესაც დილიდანვე ცხელოდა. ვაზიანის მხრიდან გამუდმებით უბერავდა ხორშაკი ქარი. ხალხი გამოლაყებულნი დაფარფატებდა ქუჩებში, ბედზე მოუხსრო წვიმამ და სული შოთქმევიანა. რამდენიმე საათი განუწყვეტლევ წვიმდა. ასე ბარათი

ქინად რომ არ ეწვიო, სიგრილე ზაფხულის ხვატს ვერ მოერეოდა.

თითქმის ორი საათი იჯდა კაფეში და ფართო ვიტრინიდან ვაცქეროდა კოკოსპირულ წვიმას. თვადამირველად ხალხს არ ჩქარობდა. პირიქით, შვეებითა და ნეტარებით მიაბიჯებდნენ ტროტუარებზე. მერმე წვიმამ იმძლავრა და აღამიანები სადღაც შეიყუყუნენ, მიიშალნენ. მონაცრისფერო ღრუბელი ჩამოდაბლდა და მაღალ სახურავებს ჩამოემხო. უკაცრიელ ქუჩებში გაუთავებლად წვიმდა. შუა ზაფხული შემოდგომის მიწურულს დაემსგავსა.

გურამი უცნოსავით იჯდა კაფეში და გაპყურებდა ქუჩას: დრო და დრო გაივლებდნენ სველი მანქანები და უმაღვე თვალს მიეფარებოდნენ...

შინ დაბრუნებულმა საათი მოიხსნა და საწერ მაგიდაზე დადო. შარვალი და პერანგი გაიხადა, სკამზე გადაკიდა. მერმე ერთხანს უაზროდ იწრიალა ოთახში. ისევ მივიდა სკამთან და შარვლის ჯიბიდან პაპიროსის კოლოფი ამოიღო. ღია ფანჯრიდან ხედავდა, ღრუბლის თეთრი ბოლქვები ნოტო-ნოტო როგორ მოცურავდა კრიალა, ლურჯ ცაზე.

უცებ იგრძნო, ქაღალდის პატარა ნაგლეჯი, რომელიც წელან კარებში დახვდა გაჩრილი, როგორღაც აწუხებდა, ფარულად აღელვებდა. ბარათი მოიძია და ვედარ გაიხსენა, სად წაიღო. ფანჯარას მოსცილდა. მაგიდას, სკამებს, ტახტს თვალი გადაავლო. „აღბათ, შარვლის ჯიბეში ჩავიდე. შეიძლება შარვლის ჯიბეში არც ჩამიდგია, სადღაც აქვე გდია და ვერ

გხედავ. ვაი თუ ყველაფერი მომეჩვენა, თუ გივის ბარათი არ დაუტოვებია“.

მაგრამ ბარათი ნამდვილად არსებობდა და გურამს საშინლად მოუხდა ხელმეორედ ბარათის წაკითხვა.

ოთახში რომ ვერსად მონახა, სამზარეულოში გავიდა და სანაგვე ვედროს ხუფი ახადა. პატარა, დაქმუქნული ქალაღი ნამწვავებსა და ფერფლში ეგდო. გურამმა დაბნეულად, დამნაშავესავით გაიღიმა.

გივი რვა საათისთვის ელოდებოდა გურამს ვერის ხიდთან... ასე ეწერა ბარათში. გურამი, ჯერ ერთი, იმან გააოცა, საიდან გაიგო გვიმ მისი ჩამოსვლა (თუმცა რა, ათი დღეა ქალაქში დაეხეტება და ვინმე საერთო ნაცნობთაგანი მოჰკრავდა თვალს) მეორე... „განა ისე სწერენ ბარათს მეგობარს, თუნდაც ნაცნობს, რომელიც ათი წელი არ უნახავთ?“

მერმე თავის თავს უსაყვედურა: „ასე გულგრილადაც არ კითხულობენ მეგობრის ბარათებს“.. გურამი სწრაფად შებრუნდა ოთახში და საათს დახედა:

შვიდს ოცდარვა წუთი აკლდა.

„სულ ორი წუთი გასულა“.

რატომაც გაახსენდა, რომ კაფეში ორი ლამაზი ქალიშვილი იჭდა. ისინიც, ალბათ, წვიმის გადაღებას უცდიდნენ. მყუდროდ ისხდნენ ფანჯარასთან და ხმადაბლა საუბრობდნენ, თითქმის ჩურჩულებდნენ, თან ნელ-ნელა წრუბავდნენ ყავას. კაფე თანთადან წვიმისაგან დასველებული ხალხით გაიჟედა. ახლად შემოსულთა სიცილმა და ყაყამმა ერთხანს გადააფიქვა გოგონები...

„გივი რამდენჯერმე მოსულა ჩემთან. რამდენჯერმე... მაინც რამდენჯერ მოვიდოდა? ალბათ, ორჯერ... შეიძლება სამჯერაც იყო. ათი წელი არც ისე ცოტა დროა.“

უპირობო გაატარა გურამმა შევებულეების ათი დღე. მაინცდამაინც თბილისში ყოფნა მოინდომა. იმ სიგრილიდან ბირდაპირ გახურებულ ლემელში შეჰყო თავი. ზღვაზე წასვლა შეეძლო, მაგრამ ყო-

ველ წელს იქ დადის და უკვე ქელში ამოუვიდა. არა და ზის ამ სიცხეში და იხრუკება. თანაც მეგობართაგან ვერაგინ ნახა, ყველა გაქცევია აგვისტოს ბუღს.

იმ ათი დღიდან ყველაზე უპირობო დღევანდელი დღე იყო. ბუკინისტებიც კი გამამაძაღლდნენ, თუ ხელში კარგი რამე ჩაუვარდათ, დახლს ქვემოდან ჰყიდნენ. მთელი საათი იქეჭებოდა ძველსა და მტერიან წიგნებში. მეტი, რის საათი, თანაც იმ სიცხეში...

ერთი მაინც ძალიან ლამაზი იყო. თმა მოკლედ ჰქონდა შეკრეპილი; სახე, ყელი და მკლავები მზით შერუჭოდა. ეტყობოდა, ზღვიდან ახლახანს დაბრუნებული იყო. ძალზე უხდებოდა დიდრონი ყაყაჩოებით მოჩითული კაბა. ქალიშვილი თავს იწონებდა სიშავით და ხშირად იცინოდა, ელვარე კბილებს აჩენდა. გურამმა რამდენჯერმე გახედა ქურდულად მერმე შერცხვა, თუმცა ქალიშვილებს მისი მზერა არ დაუტერიათ. შემდეგ მოეჩვენა, თითქოს გოგონები მასზე ჩურჩულებდნენ. შესაძლოა, მიხვდნენ, რომ გურამიც იმ წუთში ქალიშვილებზე ფიქრობდა.

შინ დაბრუნებულს სულ უნდოდა, ჩითის კაბიან ქალიშვილზე ეფიქრა, მაგრამ პატარა დაქმუქნული ქალაღი აფორიქებდა და მოსვენებას უკარგავდა, როგორც ოთახში მოულოდნელად შემოფრენილი ლამურა. უნდოდა მალე გასულიყო დრო, აღარ შეეძლო ლოდინი. უნდოდა, როგორმე აღედგინა ძველი წონასწორობა და სიმშვიდე.

იქნებ, ამიტომაც ფიქრობდა ამდენს ჩითისკაბიან გოგონაზე. თუმცა არა, კაფეშიაც ბევრი იფიქრა, მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იცოდა ამ პატარა, დაქმუქნული ქალაღის არსებობა.

წვიმამ რომ გადაიღო, გურამმა ყავის ფული დატოვა მაგიდაზე და გარეთ გამოვიდა, სწრაფად გაჰყვა ნაწვიმარ ქუჩას. სახლთან მისული შეჩერდა, უკან მიიხედა. სად მიეჩქარებოდა? არსად. აგვიანდებოდა სადმე? არა. გაეცინა და სადარბაზო კიბეებს აჰყვა. „ნეტა ვიცო-

დე, რა მომარბენინებდა“. კიბეებზე მო-
ეჩვენა, თითქოს რაღაც დაკარგა, თით-
ქოს ხელში რაღაც ეჭირა და სადღაც
დარჩა. რა ეჭირა ხელში? წიგნი? წიგნი
არ უყიღია, ბუკინისტებთან კი იყო მაგ-
რამ ხეირიანი ვერაფერი ნახა, არც შინი-
დან წაუღია რამე. რატომ ეგონა, თით-
ქოს მთელი დღე რაღაც დაჰქონდა ილ-
ლიაში ამოჩრილი? თითქოს ახლაც
გრძნობდა მკლავსა და ფერდს შორის
საგნის მოცულობას.

გურამმა ბარათი დანაქუწა და ღია
ფანჯარაში მოისროლა. ფანჯარას შიშით
გადაეყუდა შაშინე: ქალაღის ნაკუწე-
ბი ზომ არავის გადაეყარე თავზეო. სა-
ბედნიეროდ იმ დროს ფანჯრის ქვეშ არა-
ვის გაუვლია. შუა ქუჩაში ყვითელი ნა-
გაზი იწვა და წინა თათებში გაჩრილ
ქვალს გულმოდგინედ ხრავდა. ქუჩა თი-
თქმის გამშრალიყო, მხოლოდ ჩაღრმა-
ვებულ ადგილებზე ეტყობოდა ასფალტს
ნაწვიმრობა.

დასავლეთისკენ გადახრილი მზე ირი-
ბად გზავნიდა სხივებს. მზე ისევ ცხელი
და მწველი იყო.

ქალაღის ნათლეთები ჯერ კიდევ
ჰაერში დაფარფატებდა და ტრიულ-
ტრიულით ეფინებოდა ასფალტს აკა-
ციის ყვავილებივით.

„დავწვები და დავიძინებ. ძილში
დრო მალე გაღის. ნახევარი საათი რომ
წავიძინო, ისიც კარგია“. გურამმა კარი
მიხურა და ტახტზე წამოწვა. „ტყუილად
დავწექი, სულერთია, არ დამეძინება“.

რაღაცნაირად გული წყდებოდა, ჩი-
თისკაბიან გოგონას სახეს კარგად რომ
ვერ დააკვირდა. ერთი-ორჯერ ქურღუ-
ლად შეხედა, ეს იყო და ეს. თვლებში
შეხედვის ერიდებოდა და უფრო შიშ-
ველ მკლავებსა და ყელს აშტერდებოდა.
ლამაზი მხრები ჰქონდა ჩითისკაბიან გო-
გონას, მომრგვალებული, დაქანებული.
ფიქრში ვიღაცას მიამსგავსა, ძალიან
ახლობელს...

გურამმა კედლისკენ იბრუნა პირი და
დასაძინებლად მოემზადა. ცოტა ხნის
შემდეგ გულაღმა ამოტრიალდა და დაჰ

ყეტილი თვალებით ჰერს მიანერდა.
მერმე თვალები დახუჭა.

გურამის
ზილი

გაჩირადღენებული სკოლის დარბაზი
ზრილებდა.

იყო ერთი ყაყანი და ღრიანცელი. მო-
სწავლეები ფარდის გახსნას სტვენითა
და ტაშის ცემით მოითხოვდნენ.

ბოლოს და ბოლოს დარბაზში შექი
ჩაქრა და ნელ-ნელა გაიხსნა ფარდა...

დარბაზი დიდხანს იცინოდა, ხარხა-
რებდა. დარბაზი ბედნიერი იყო. ალბათ,
ყველას უხაროდა, სცენაზე რომ ხედაე-
და, ზარმაცი მოსწავლის გამოსწორებას.

გურამი თავისთვის იჭდა ჩუმად. ან-
ტრაქტებზეც კი არ გასულა დერეფან-
ში. პიესა არ მოსწონდა. „მსახიობე-
ბიც“ აღიზიანებდნენ, განსაკუთრებით,
— გივი. გივი ყველაზე მეტს და
ყველაზე ხმამალა ყვიროდა. გუ-
რამს არაფრით არ ეგონა, თუ მის
მეგობარს ასეთი ძლიერი ხმა ჰქონდა.
ღმერთო, რამხელას ყვიროდა: დედამი-
წაზე ვერცერთი ზარმაცი ვერ იყვირებ-
და ასე ხმამალა. გურამს ხანდახან მე-
გობრის მაგივრად სცვენოდა, თავს ჩა-
ჰკიდებდა და, სახეზე აღმურმოკიდებუ-
ლი იატაკს დასცქეროდა.

გურამმა რამდენიმე დღის წინ გაიგო,
რომ გივი სკოლის სცენაზე პიესას დგამ-
და, ისიც საკუთარს. გივის მანამდე
სიტყვა არ დასცდენია გურამთან. გურა-
მმა არ იცოდა, როდის დაწერა პიესა და
როდის შეარჩია მსახიობები, როდის
ატარებდა რეპეტიციებს. ერთი კვირის
წინ შემთხვევით უთხრა ვიღაცამ. გაუ-
კვირდა და თან ეწყინა კიდევ. ვერაფ-
რით მიმხვდარიყო, რატომ დაუმალა მე-
გობარმა. ზოგიერთ სულელურ ადგილს
მაინც შეაცვლევინებდა ან შეასწორებო-
ნებდა.

ნაწყენი იყო, მაგრამ ეს წყენა მეგობ-
რისთვის არ გაუმხელია. ჩვეულებრი-
ვად ერთად შეცადინებდნენ. ჩვეულებ-
რივად აყვანიებდა ტრიგონომეტრიულ

და ალგებრულ ამოცანებს. გურამს აინტერესებდა, გივი აქამდე რომ დუმდა, შემდეგ როგორ ეტყოდა, რა მიზეზსა თუ საბაზს მონახავდა, მაგრამ ისე მივიდა წარმოდგენაზე, მეგობარს არაფერი უთქვამს, თითქოს გურამი ვალდებული იყო უთქმელადაც სცოდნოდა. შეიძლება, დაავიწყდა თქმა? ანდა ეგონა, რომ უთხრა? შეიძლებოდა, ასეც ყოფილიყო და ასეც!

გურამი ნაწყენი უყურებდა სპექტაკლს და ხანდახან გაიფიქრებდა, იქნებ წარმოდგენა იმიტომ არ მომწონს, რომ მეგობარზე ვარ გაბრაზებულიო.

ზოგჯერ ვახედავდა თანაკლასელებს, რომლებიც წინა რიგებში, გურამისაგან ოდნავ ხელმარჯვნივ ისხდნენ. თანაკლასელთაგან ყველაზე მეტად მეგი და ნი ბრწყინავენ. ორივეს სუთრი, ბრწყვილა კაბა ეცვა. ეტყობოდათ, ამ საღამოსთვის მორთულიყვენ სავანგებოდ. გოგოები მთელი გულისყურით მისჩერებოდნენ სცენას, ორივე სპექტაკლს შთაენთქა. აღტაცებას ვერ მალავდნენ. ტაშს უკრავდნენ, იცინოდნენ...

მერე სცენაზე შუქი ჩაქრა და დარბაზი გაჩირალდნდა.

ხალხი აიშალა, სცენისკენ დაიძრა ყოყინით. უფრო გაბედულები სცენაზეც კი აიჭრნენ. ფარდა იხსნებოდა და იხურებოდა, იხსნებოდა და იხურებოდა. გივი ავანსცენაზე გამოვიდა და, საბეგანათებელი, ნამდვილი არტისტივით, თავს უკრავდა დარბაზს. თუმცა ის მართო არტისტი არ იყო, ის იყო დრამატურგიც, რეჟისორიც და მთავარი როლის შემსრულებელიც.

გურამმა ძლივს გაიკვლია გზა კარამდე. დერეფანში გავიდა და შვებით ამოსისუნთქა. დარბაზში ძალიან ცხელოდა, სულმთლად გაოფლიანებოდა პერანგი. დერეფანი გაიარა და კიბეზე დაეშვა. ახლა პირველი სართულის დერეფანში იბორიალა. ზევიდან ჩამომავალი კიბე თანდათან გაიქცა მოსწავლეებით. გურამი ქეზოდან აკვირდებოდა მათ გაბღღვიალებულ სახეებს.

კიბეზე თავის კლასელ გოგოებს მოჰკრა თვალი. გოგოები რატომღაც წინა ეხვეოდნენ, გაღიმებულები მისდევდნენ, გამწვარებით რაღაცას ეჭურჩულებოდნენ.

გოგოებმა კიბე ჩამოათავეს და იქვე დადგნენ. ხალხს ჩამოსვლას უშლიდნენ და მაინც არ ინაცლებდნენ ადგილს.

გურამი მიუახლოვდა მათ და ჰკითხა:

— გივი სად არის?

— სამასწავლებლოშია! — ისე მიუგის გოგოებმა, თითქოს გივის სამასწავლებლოში ყოფნას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

გურამი გატრიალდა და გასასვლელი-საკენ გასწია. მარმარილოს ათიოდე კიბე ჩაიარა და იქვე კუთხეში დადგა, გასასვლელთან. გასასვლელის კარი გაწუწუვეტლოვ ქრიალებდა. ვადიოდნენ და ვადიოდნენ მოსწავლეები დაუსრულებლად. თითქმის მთელი სკოლა აქ იყო — მეხუთე კლასიდან მეათე კლასამდე. მოსწავლეებზემაც ჩაუარეს — მეტად კმაყოფილნი ბრუნდებოდნენ შინ. კაბის თავში დირექტორიც გამოჩინდა, თან ახლდა სასწავლო ნაწილის გამგე — ჩია შავჯვრემანი კაცი, რომელიც რქის უზარმაზარ, სათვალეს ატარებდა. დირექტორიც დაბალი იყო, ოღონდ ძალზე მსუქანი, ზამთარ-ზაფხულ შუბლსა და კისერზე ოფლი სდიოდა და სულ ცხვირსახოცი ეკორა ხელში. ახლაც ქათათა ცხვირსახოცი დასრიალებდა შუბლიდან კისერზე და მერმე კისრიდან შუბლზე.

დირექტორის ზურგს უკან მეგი გამოჩნდა, მარტო მოდიოდა. კარებთან მდგარი გურამი რომ დაინახა, გაუცინა და კიბე სწრაფად ჩამოიზინა. თხელი, ფერმკრთალი სახე გაუვარდისფრდა. შავ წამწამებ შორის მომწვანო თვალე-ბი გაუნათდა. სახე ძალიან ლამაზი ჰქონდა, ოღონდ სუსტი იყო და მკერდი სულ არ ეტყობოდა. ამას განიცდიდა კიდევ. მკერდზე რომ შეხედავდი, წითლდებოდა და უხერხულად იშმუშნებოდა.

— არ წამოხვალ, გურამ? — ისე ჰკითხა, თითქოს ბოდიშს იხდიდა.

— გივის დაველოდოთ.

— გივის ახლა შენთვის არ სცალია.

გურამმა მეგის ხუმრობას ღიმილი შეაგება.

— შენ თუ გინდა, დაელოდე... მე წავალ.

— უხერხულია, მეგი.

— როგორც გინდა.

კარმა კიდევ ერთხელ გაიჭრა და ქალიშვილი ქუჩაში გავიდა. გურამი კარის ფანჯრიდან მეგის ზურგს ხედავდა. ჭრტი წუთით მოეჩვენა, რომ მეგი ისევე ამირებდა უკან დაბრუნებას. მოტრიალდა კიდევ, მაგრამ როგორღაც უცნაურად გაიღიმა, თან ფანჯარაში ისე შემოიხედა, თითქოს შიგნით არავინ იყო და გაოცდა, ასე მალე რომ დაცარიელდა შენობა. მერმე ღიმილში ნაღველი გაუჩრია და სიბნელეში გაიღვლა ბრჭყვიალა, თეთრმა კაბამ.

გურამმა სინდისის ქენჯნა იგრძნო, ამ ღამეში მარტო რომ გაუშვა მეგი და არ გააცილა. ერთი კი გაიფიქრა დავედევნებოო, მაგრამ არ განძრეულა, ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია.

ჭიუტად იდგა და გივის ელოდებოდა. გურამს არ ეგონა, თუ შეიძლებოდა მეგობართა შორის რამე ყოფილიყო დაფარული, და ახლა უნდოდა გაეგო, რას ეტყოდა, რა სიტყვას მოძებნიდა თავის გასამართლებლად. რატომ დაუშალა ყველაფერი, რატომ არ სძრავდა სიტყვას პიესაზე?

გივი მაინც არ ჩანდა. ალბათ, ტანი-სამოსს იცვლიდა და გრიმს იშორებდა. სკოლა ბოლოსდაბოლოს დაიწრიტა. კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდა ვინმე, ისიც სკოლის არტისტი, მეორე თუ შესამე ხარისხოვანი როლის შემსრულებელი.

ბოლოს გივიც გამოჩნდა. კიბეზე დაეშვა გოგოებით გარშემორტყმული. კობტად გადაეარცხნინი წაბლისფერი თმა უბზინავდა. იღიმებოდა, მოდიოდა

გამართული, ამაყი, პირდაპირ იხედებოდა...

ერქინულა

გასასილელში უკვე შეჭმის ჩაჭკრთხ და ბნელოდა.

იქნებ, ამიტომაც ვერ შეამჩნიეს კართან ატუზული გურამი. წინ ჩაუარეს და სიცილი-სიკისით ქუჩაში გავიდნენ.

გურამი დაიბნა და ერთხანს გაოგნებული იდგა. მერმე ამხანაგებს დაედევნა. გივის და გოგოებს უკვე საკმაო მანძილი გაეარათ. ნახევრადბნელებულ ქუჩაში ძლივს დალანდა ნაის თეთრი კაბა. სხვებს მუქი ტანსაცმელი ეცვათ და ღამეში არ ჩანდნენ ტროტუარიდან. მხოლოდ მათი გრძელი, ბაცი ჩრდილები ეცემოდა მკრთალად განათებულ ქვაფენილს. გურამი აედევნა ამხანაგებს. ქუჩა მყუდრო იყო. ხმაბალაღი ლაპარაკი და სიცილი ესმოდა, თუმცა სიტყვებს ვერ არჩევდა.

ისინი წელი ნაბიჯით მიდიოდნენ. ღამის მყუდროებაში დროდადრო იფეთქებდა სიცილი.

მერმე მარჯვნივ გაუხვიეს, აქ გზაჯვარედინი იყო, ვიწრო ქუჩას დიდი და განათებული ქუჩა ჰკვეთდა. გურამი გზაჯვარედინამდე მივიდა და შეჩერდა, მხერა დააწია ამხანაგებს. მაღაზიის ვიტრინებიდან დაღვრილ ნეონის შუქზე ნაის თეთრი კაბა ელვარებდა, თითქოს ახლახანს დაეფიფქა თოვლს. გურამმა იგრძნო, წინ მიშავალ ჯგუფს მეორე თეთრი და ბრჭყვიალა კაბა აკლდა. ახლა ეუცნაურა, მეგომ ამხანაგებს რომ აღარ დაუცადა და შინ მარტო წავიდა. მაგრამ ამაზე დიდხანს არ უფიქრია. უფრო სწორედ, ფიქრი სიცილმა შეაწყვეტინა. გივი რაღაცას უყვებოდა გოგოებს და აკინებდა. გოგოები იცინოდნენ და ხშირად იცვლიდნენ ადგილებს. ალბათ, ყველას უნდოდა, უფრო ახლოს ყოფილიყო გივისთან. მიდიოდნენ, თან ერთმანეთში ირეოდნენ. ტრიალებდნენ. თეთრი კაბა ხან მარჯვნივ გაიღვეებდა, ხან მარცხნივ, ხან წინ, ხან უკან, ზოგჯერ სულ გაქრებოდა და მერმე ისევ

გამოჩნდებოდა მორევეში ჩავარდნილი თეთრი ყვავილივით.

ქუჩა ხიდთან თავდებოდა. გურამს ეგონა იქ მაინც შეჩერდებოდნენ, ვიცი ქუჩას გადასჭრიდა და თავის სახლისკენ გასწევდა — დღეს დაღლილი იყო და დასვენება სჭირდებოდა. ეგონა, გოგონები სახლამდე აცილებდნენ გივის. ისე რატომ წამოჰყვებოდნენ, არცერთი მათგანი აქეთ არ ცხოვრობდა.

თანაკლასელები არ შეჩერებულან, ხილზე გავიდნენ და გზა ისეთივე ნელი ტაბით გააგრძელეს.

მორევი ისევ ბრუნავდა. თეთრი ყვავილი ხან მარჯვნივ იელგებდა, ხან მარცხნივ, ხან დაიშალებოდა, ხან ისევ გამოჩნდებოდა.

დიდი, განიერი ხიდი ბოლოში თანდათან ეიწროვდებოდა. ისინიც ნელ-ნელა პატარავდებოდნენ და სიბუნლეში ინთქმებოდნენ. გურამი უკვე ველარავის ხედავდა და მაინც იღგა, გასცქეროდა ვერცხლისფრად განათებულ დაცარიელებულ ხიდს.

უკებ ადგილს მოწყდა და ამხანაგებს სირბილით დაედევნა. ქუჩა გაიზბინა და ხილზე გაიჭრა. დიდხანს გარბოდა. დამის სიჩუმეს მხოლოდ მისი აჩქარებული ფეხის ხმა არღვევდა. გული ამოუფერდა, დაიღალა ძლივს სუნთქავდა. ხიდის შემდეგ აღმართი იწყებოდა და გურამს უკვე სირბილი აღარ შეეძლო, სირბილი კი არა, ძლივს მიათრევდა დამძიმებულ ფეხებს, აღმართს გახედა — ამხანაგები აღარ ჩანდნენ.

იქვე ჩამოჯდა ქვის მოაჯირზე, რომელიც სანაპიროს ბალს გადაჰყუდებოდა. კაცმა რომ თქვას, რისთვის ირბინა? გურამმა ხელი ჩააქნია, მოაჯირიდან ჩამოხტა და ისევ ხიდისაკენ გასწვია. გულის ამრევი სიცალიერე და სიმართლევ იგრძნო.

ალბათ, ძალიან გვიანაა, ქუჩები რომ ასეა დაცარიელებული. დაგვიანებულმა ავტობუსმა სწრაფად ჩაიქროლა. განათებულ ავტობუსში მხოლოდ კონდუქტორი იჯდა და ყვინთავდა. ხიდის იქითა

ტროტუარზე კაცები შეგუფდულიყვნენ და ხმაშალა დარღალბდნენ. უხე მქნე-დნენ ხელებს და ირწუნოდნენ. მტკარა ბოლოთ, მთვრალეები იყვნენ. გურამი ხიდის მოაჯირს დაეყრდნო იდაყვებით და მტკარას ჩახედა: მდორე წყალზე სანაპიროს ლამპიონებს ხანძარი დაენთოთ.

გურამს მეგი გაახსენდა, მისი ნაღვლიანი ღიმილი და მერმე გაოცებული მზერა. რა თქმა უნდა, მეგი უნდა გაეცილებინა. ჯერ ერთი, უხერხული იყო ქალიშვილის მართო გაშვება, მეორეც... — რა სულელურად მიადევდა უკან... რა იყო მაინც? რაზე გაეკიდა ასე გიჟივით?

არა, რატომ უნდა ყოფილიყო მაინც ნაწყენი და გული რატომ უნდა სტკენოდა? იმათ თუ ვერ შენიშნეს, გურამმა ხომ დაინახა ისინი? რა მოხდებოდა, თვითონ შეეჩერებინა და უბრალოდ ეთქვა, სად ხარ, ბიჭო, ამდენხანს, ლოდინით მომკალიო. თუმცა...

რა თქმა უნდა, მეგი უნდა გაეცილებინა.

მთვრალი კაცები მორიგდნენ და ღილინ-ღილინით წავიდნენ. ხიდი ისევ დაცარიელდა. მარტოდ-მარტო მიდიოდა გურამი დიდსა და განიერ ხილზე. ალაგ-ალაგ ისევ ფრიალებდა ფერად-ფერადი აღმები, ახლადგანვლილი საპირველმანისო დღესასწაულის კვალი ისევ ეტყობოდა ხიდს.

გურამი გზადაგზა ფიქრობდა, ეტყოდა თუ არა ხვალ გივის, რომ მისი წარმოდგენა არ მოეწონა, რომ თვითონაც სასაცილო იყო, ბევრს ყვიროდა და სამარცხვინოდ იბრიცებოდა სცენაზე. ვითომ ეტყოდა? თუმცა რა აზრი ექნებოდა ამის თქმას? ანდა ჰქონდა კი თქმის უფლება, როცა მის გარდა ყველას მოსწონდა და აღტაცებული ტაშს უკრავდა? იქნებ სჯობდა, დღეს სულაც არ მოსულიყო სპექტაკლზე? არა, მოსვლით კი უნდა მოსულიყო, ოღონდ... უსათუოდ მეგი უნდა გაეცილებინა.

3.

ფასანაურიდან მოჰქროდა დიდი, წითელი ავტობუსი.

არაგვის ხეობას ბინდი შეეპარა.

მთები მუქდებოდა და თანდათან ჰკარგავდა ბუნებრივ ფერს.

დღე მიიწურა. თუმცა ჯერ კიდევ გრძელდებოდა სკოლის დამთავრების აღსანიშნავი დღე — სკოლადამთავრებულებით გაქედნილი ავტობუსი ზარითა და სიცილით ბრუნდებოდა თბილისში. ვინაც როგორ შეეძლო, სვა და ახლა ყველას უაზროდ ბედნიერი ღიმილი გადაჰფეროდა სახეზე.

ბიჭები ზომაზე მეტად ყვიროდნენ. მოუკრიდებლად ჰყვებოდნენ უხამს ანეგლოტებს, თან თავი იმე ეჭირათ, თითქოს ცხოვრებაგამოვლილი, გამოცდილი მამაკაცები ყოფილიყვნენ. ყველაფერი ზეხებზე ეკიდათ, აღარაფრისა ერიდებოდნენ.

მთელი დღე ბედნიერად გაატარეს. ფასანაურამდე მოიარეს მთელი არაგვის ხეობა, ბოლოს ფასანაურში გაშალეს დიდი სუფრა და კარგადაც დანაყრდნენ.

არ ეგონათ, თუ ასე კარგად გაატარებდნენ დღეს, რადგან გამგზავრებას წინ გივიმ ნოუშხამა ყველას გუნება. ჯერ იყო და დილის შვიდ საათზე არ გამოცხადდა სკოლის ეზოში. თითქმის ერთი საათი უტყდეს. მერმე შინ მიაციტხეს. გივი ზის აივანზე გადმოდგა და ამხანაგებს განუცხადა, ისეთი საქმე გამოიჩინდა, წამოსვლა არ შემიძლიაო.

მთელი კლასი გივის სიმღერისა და ოხუნჯობის იმედით იყო წამოაშული. რაც არ უნდა ყოფილიყო, თეატრალურ ინსტიტუტში აპირებდა სწავლის გაგრძელებას... ახლა გივი აღარ მოდიოდა და, სხვა რა გზა ჰქონდათ, საკუთარი ძალებით უნდა ეოხუნჯათ და ემღერათ. ეს ცოტა არ იყო, საქმეს აძნელებდა. მაგრამ მცხეთას ვასცდნენ თუ არა, გივი თითქმის აღარავის გახსენებია.

გურამი სულ წინ — შოფრისკენ ზურგშექცევით მოთავსდა. აქედან ყველა ამხანაგის სახეს ზედადგა.

ყველაზე ახლოს, პირისპირ მეგი იჯდა. ყოველწუთს რალაცას ეკითხებოდა და გურამიც სიამოვნებით ანუღაცა პასუხს. კმაყოფილი ჩანდა, გურამს თვალეზში შესცქეროდა და მთელი გზა იციონოდა, სანამ ერთ დიდ მოსახვევთან მანქანა უცებ არ დაამუხრუჭა შოფერმა. მეგი წინ გადმოიხარა და გურამს თვალი უნებურად სარაფანის გულსპირისკენ გაექცა. რაი პატარა ძუძუ დაინახა, ჯერ კიდევ მოუმწიფებელი გოგოს მკერდი. მეგი გაწითლდა და თავი ჩაჰკიდა, გულსპირი გაისწორა. მერმე დარცხენილმა სარაფანის ქამარს დაუწყო წვალება.

გურამმა უხერხულობის დასაძლევად უთხრა:

— გახედე, როგორ ამოდის ნისლიდან მთები.

მეგიმ უსიტყვოდ გახედა მთებს.

— ეს დილის ნისლი იფანტება.

— ძალიან ლამაზია.

— შენ რა, აქეთ არასოდეს ყოფილხარ?

— არა... მცხეთის აქეთ — არა...

თუმცა ერთხელ ვიყავი საგურამოში. ილიაობაზე.

— ანანური არ გინახავს?

— არა... კარგია?

— ჰმ! უკეთეს რას ნახავ.

ამის შემდეგ დიდხანს აღარ გაუციათ ერთმანეთისთვის ხმა. ანანური ისე დაათვალიერეს და ისე ისაუბრეს, მეგი არ გაჰკარებია გურამს. მერმე თავიანთი ადგილები დაიკავეს და გზას შეუყვნენ ფასანაურისკენ. გურამი ერთავად ფანჯარაში იხედებოდა, ამხანაგების ყრიაშული თითქოს შორიდან ესმოდა. მეგიც არაფერს ეკითხებოდა, მომწვანო, ნაღვლიანი თვალებით გასცქეროდა არაგვის ჭალებს. ახლა გურამს მოუნდა რალაცის თქმა, დალაპარაკება, მაგრამ სათქმელი ვერ მონახა. მერმე უკვე აღარ შეეძლო ასე დაძაბულად ყოფნა... ლამის უკან გადამჭდარიყო, სულერთია, სად, ოღონდ მათ შორის უხერხულობის ძაფები დამწყდარიყო.

ბოლოსდაბოლოს, ეს ძაფებიც დაწყდა და გურამმა შევებით ამოისუნთქა.

— გურამ, თუ იცი, რატომ არ წამოვიდა გივი? — თითქმის ჩურჩულით ჰკითხა მეგიმ.

— არ ვიცი.

— მართლა არ იცი, თუ არ გინდა თქვა?

— მართლა არ ვიცი, მეგი.

— წესით უნდა იცოდე... რანაირი შეგობარია ხარ?!

— ხომ თქვა, საქმე შექვსო.

მეგიმ ცბიერად გაიღიმა.

— რას იღიშები?

— მე ვიცი, რატომაც არ წამოვიდა.

— მაგას რა სჯობია.

— გინდა გითხრა?

— თქვი.

— რა ეშმაკი ხარ!.. გინდა მათქმევინო?

გურამი ნამდვილად დაინტერესდა, მაგრამ შეგიმ მაინც არ უთხრა გივის დარჩენის მიზეზი. ბოლოს იძულებული გახდა, ისეთი სახე მიეღო, ვითომ მართლა იცოდა, რატომ არ წამოვიდა გივი და უდარდელად გააბოლა სიგარეტი.

ფასანაურში სადილობის შემდეგ, როცა წამოსასვლელად იბარგებოდნენ, მოულოდნელად ნაიმ გაუყარა ხელი, კი არ გაუყარა, მკლავზე ჩამოეკიდა.

— ჩემთან დაჯექი რა, გურამ.

გურამმა გაკვირვებით მიხედა ნაის. არც გზაზე, არც სუფრაზე გურამს არ შეუძინებია ნაი. როგორც ჩანს, თავისთვის იყო გაყუჩებული და საერთო ქრიამულში მონაწილეობას არ იღებდა...

— ერთად დავსხდეთ რა... არ გინდა ჩემთან დაჯდომა?

ნაის ცოტა ზედმეტი დაეღია. საერთოდ, იმ დღეს ყველამ უფრო მეტის უფლება მისცა თავს, ვიდრე ჰქონდათ. ასეთი დღე იყო — ბედნიერი, ასეთი დღე სიცოცხლეში ერთადერთია.

ნაის სახე აღეწოდა. ქუთუთოები და მძიმებოდა და თვალებს ძლივს ახელდა.

შესაძლოა, ღვინო იმდენად არც ჰქონდა მოკიდებული, რამდენადაც თავს იმთვე რალებდა. მარცხენა ხელით შევსა და ხშირ თმას ისწორებდა.

გურამი და ნაი ერთად დასხდნენ. გურამს უკვე აღარ ახსოვდა, მანამდე ვინ იჯდა ნაის გვერდით. არც უცდია გახსენება, რადგან აქეთობას ადგილი ყველამ გამოიცვალა. ვისაც სად უნდოდა, იქ მოკალათდა.

ნაიმ დაჯდომისთანავე მხარზე ჩამოადო გურამს თავი და წასთვლიშა. გურამი გაშეშებული იჯდა და ყოველნაირად ცდილობდა, არ განძრეულიყო, ნაისთვის მშვიდი ძილი არ დაერღვია. მაგრამ ნაის არ ეძინა, რამდენიმე წუთის შემდეგ გურამის მხრიდან თავი აიღო და გაიღიმა.

— რა კარგი ბიჭი ხარ, გურამ!

გურამმა არაფერი უბასუხა. ანდა რა უნდა ებასუხა?

— რა კარგი ჰქენი, ჩემთან რომ დაჯექი.

— თუ გეძინება...

— არა, სრულებითაც არ მეძინება.

— დაიდალე, ნაი?

— დადლით არ დავდლილვარ, მაგრამ ცოტათი შემცივდა. იმ ფანჯარას რომ დახუროდვდე...

გურამი მაშინვე წამოდგა და ფანჯარა დახურა.

ნაი ორივე ხელით მოეხვია გურამის მკლავს და თავი ისევ მხარზე ჩამოადო.

— ძალიან სასაცილო ვარ გურამ?

— სულაც არ ხარ სასაცილო.

— მართლა მითხარი რა, ხომ ვარ სასაცილო?

— მართლა გეუბნები.

— საერთოდ, გოგოები რომ სვამენ, სასაცილოები არიან?

— დაიძინე, ნაი.

— იცი რა, თავბრუ მეხვევა და ვერ ვიძინებ.

— ცუდად ხომ არა ხარ?

— არა, ცოტათი მეხვევა თავბრუ... გურამ, მთები უკან კი არ ჩიებიან, ტრიალებენ.

— თვალებს ნუ დახუჭავ, გაახილე.

— შემომხედე, რა დაქყეტილი მაქვს თვალები.

— ასე დაქყეტაც არ ვარცა.

— იცი, რატომ დავლიე, გურამ?

— დღეს ყველამ დალია. მეც დავლიე... მეც მებხვევა თავბრუ.

— შენ ძალიან სულელი ბიჭი ხარ, გურამ, არაფერი არ იცი... არ იცი, რა ხდება ქვეყანაზე...

გურამს უკვე აღარაფერი ესმოდა. ნაის მკლავებისა და მკერდის სიმხურვალემ მის სხეულშიაც გაეონა. თანაც თმის სურნელი აბრუნებდა.

უცებ წინ, მანქანის სიღრმეში მეგის დიდ, მომწვანო თვალებს შეეფეთა. რატომღაც შეკრთა და სახე მოაჩიდა. მერმე ისევ გახვდა მეგის. ახლა მოეჩვენა, მეგი მას კი არ უმზერდა, საერთოდ, გაშტერებული იჭდა, გურამის უკან, სივრცეს მისჩერებოდა უაზროდ. გურამმა გაიფიქრა, მეგისაც ცოტა მეტი ღვინო დაუღვებიაო.

გარეთ უკვე ბნელოდა. მანქანა ორი ვაბდღვიალელებული ფარით იცვლევდა გზას ღამის წყვდიადში.

გურამმა იგრძნო, ნაიმ სწრაფად შეუშვა მის მკლავს ხელები და სახეზე აიფარა. ცოტა ხნის შემდეგ ქეთინი აუვარდა. გაოცებული დასცქეროდა გვერდით მჯდარ, ატირებულ გოგოს. მერმე ამხანაგებს გადახვდა შიშით და ისევ ნაის მიუბრუნდა.

— რა მოგივიდა, ნაი?

— არაფერი... არაფერი... — სლუკუნებდა ნაი.

— ნაი... დამშვიდდი... ნაი... ნაი....

ნაი გულამომჯდარი ტიროდა.

მანქანაში ერთი ჩოჩქოლი ატყდა. ყველამ მიიაროვა თავისი ადგილი, ყველა ნაის შემოეხვია. აქეთ-იქიდან აყრიდნენ კითხვებს, ამშვიდებდნენ. ნაის უფრო ამოუჭდა გული და ტირილს მოუმატა.

ვიღაცამ მანქანა გააჩერებინა.

გურამი დაბნეული წამოდგა და მეგის დაუთმო ადგილი. მეგი გულზე იხუტებდა მეგობარს და აწყნარებდა.

ამხანაგები ახლა გურამს მოუბრუნდნენ, დაეპყებულები ეკითხებოდნენ:

— რა მოუვიდა ნაის, გურამ?

— რა დავმართა?

გაკვირვებული და შეწუხებული გურამი მხრებს იჩენდა. უცებ გაშტერდა, ყველაფერი აირია, ყირაზე დღდგა, ამ ორომტრიალში რომელიღაც ამხანაგმა გაუღიმა და თვალი ჩაუკრა... მერე ისევ დაწყნარდა ყველაფერი..

ვიღაცამ წყალი მოარბენინა. ნაიმ ცოტა მოსვა და ხმაძალდა თქვა:

— ახლა არა მიშავს, კარგადა ვარ.

— მოუშვიო, გოგოებო, თქვენ უფრო აღიზიანებთ.

— წაედიო!

მანქანა ისევ დაიძრა. გოგო-ბიჭები თათათვიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ. სიმღერა და ყიყინა შეწყვიტეს. ახლა ხმაობლა ლაპარაკობდნენ და ხშირ-ხშირად იხედებოდნენ ნაისა და გურამისაკენ.

გურამმა თავისი ძველი ადგილისაკენ წასვლა დააბირა. ნაის ხმამ შეაჩერა:

— ნუ წახვალ რა, გურამ, — მერმე მიუბრუნდა მეგის, რომელიც მის გვერდით იჭდა, — ცოტა ჩამოიწიე, ერთად დაესხდეთ.

— ერთად ვერ დავეტყეოთ, ნაი... მე წავალ.

ნაის წინააღმდეგობა არ გაუწევია და მეგი წავიდა. თავის ადგილს დაუბრუნდა. გურამი ფრთხილად, ერთგვარი შიშით დაჭდა ნაის გვერდით. ნაიმ დასიებული თვალეებით შეხვდა გურამს და ოდნავ დარცხვენილმა გაუღიმა. ღიმილს შორეული სინანულის იერიც გადაჰკარავდა.

გურამმა ხელზე ცხელი ხელის შეხება იგრძნო. მერმე მის მხარს მსუბუქად დააწვა პატარა, თმაბურღული, ღამაზი თავი. გურამი გაუნძრევლად იჭდა, გული ძლიერად უცემდა და ეწინოდა: გულის ეს ზაგა-ზუგი ნაის არ გაეგონა. დაბინდულ მესხიერებაში რომელიღაც პოეტის სტრიქონი ამოტივტივდა:

„ზღვის ნაპირივით გიხურდა ხელი...“

გურამს ზღვა გაახსენდა, შუადღის ხვატი და დაცარიელებული ნაპირი.

„ზღვის ნაპირივით გიხურდა ხელი...“
მერმე ზომიერი, მშვიდი ფშვინვა მოესმა... ნაის ჩაეძინა...

თბილისამდე აღარ გაუღვიძია...

გურამს დიდხანს აწვალებდა ნაის მკერდის სიმხურვალე და თმის სურნელი. ველარ ისვენებდა, ადგილს ველარ პოულობდა, უნდოდა სადმე შეხვედროდა ნაის და ვერ მოახერხა. ერთხელ სახლში მისვლაც გადაწყვიტა და ვერ გაბედა, უფრო სწორედ — მოსვლის მიზეზი ვერ მოიგონა. ბოლოს გადაწყვიტა გრვისთვის ეამბნა ყველაფერი. მაინც მეგობარი იყო, მერმე რა, რომ ზოგი რამ დაუმალა გურამს. კაცს ზოგჯერ უნდა აბატიო, მით უმეტეს, მეგობარს.

გივი აივანზე მისჯდომოდა მაგიდას და გამალებული წერდა. თითქოს არ ესაიამოვნა გურამის სტუმრობა, თუმცა ცდილობდა ეს უსაიამოვნება არ დაემჩნია.

— როგორ გაატარეთ დრო? — ჰკითხა ნამალადევი დიმილით.

— რა ვიცი... მე მგონი, კარგად... კიდევ ხომ არა სწერ პიესას?

აივანიდან მოჩანდა ვიწრო და გრძელი ქუჩა, ერთმანეთზე მიწყობილი დაბალი სახლები. უსწორმასწორო სახურავები ზოგან კრამიტისა იყო, ზოგან წითლად შეღებილი თუნუქისა. თუმცა საღებავს პირვანდელი ფერი დიდი ხანია დაეკარგა, მზეზე გახუნებულიყო და მერმე ქალაქის მტვერსა და წვიმას ჩაეშავებინა.

გურამმა გადაწყვიტა, ნაიზე არაფერი ეთქვა გივისთვის.

— გეტყობა, მაინცდამაინც კმაყოფილი არ უნდა იყო.

— პირიქით... შენ რატომ არ წამოხველი?

— არ მინდოდა.

— კი მაგრამ, ხომ შეგვპირდი, წამოვალო.

— მერმე გადავიფიქრე... თუმცა რატომ უნდა წამოვსულიყავი. სულაც არ

მაინტერესებდა იმათთან ყოფნა. ათი წელი ერთად ვიყავით, საკმარისია.

გურამი ათი წლის მანძილზე პირველად მიხვდა, რომ მეგობარი გულწრფელი არ იყო. სხვა დროს ასეთი რამ არასოდეს შეუშინებია... ანდა ვერ ხვდებოდა... იქნებ, სწორედ ამიტომაც მოუწინა, თვითონ ყოფილიყო მართალი, გულწრფელი.

— გივი...

გურამი დიდხანს დუმდა.

— რა გინდა, პიკო, შენ რაღაც გაწუხებს.

— გივი... ნაი შემეყვარდა...

გივიმ გაოცებისაგან თვალები დაქუცია. წამოდგა და მეგობარს მხარზე დააღო ხელი.

— ნაისთვის ხომ არ გითქვამს?

— არა.

— აბა, ნურც ეტყვი.

— მინდა როგორმე ვაგრძნობინო.

— ნურც აგრძნობინებ.

— მაშ რა გქნა?

— არაფერი... თუ გინდა სასაცილოდ არ ავიგდოს ნუ ეტყვი, ნურც აგრძნობინებ.

გურამს ეგონა, სკოლის მეგობარი ეხუმრებოდა, და გაიღიმა:

— რატომ უნდა ამიგდოს სასაცილოდ?

აივანს ჩრდილი ადგა, სამაგიეროდ მეზობელ სახურავებს აპერდა ივლისის შუადღის მზე. მზეზე გაფიცებულ სახურავებს ბული ასდიოდა.

— შენისთანა მუდო არავის შეუყვარდება.

მოულოდნელობისაგან გურამი შეცბა და გაფითრდა. მცირე დუმილის შემდეგ გაბზარული ხმით ჰკითხა:

— მუდო რა არის, გივი?

— მუდო მუდოა, შენ მუდო ხარ!

გურამს სუნთქვა შეეკრა. პირველად ესმოდა ასეთი რამ მეგობრისაგან და დაბნეული იდგა. მერმე მიაშტერდა გივის და დიდხანს უყურა. თვითონ უნდოდა, რომ ეს ყველაფერი ხუმრობა ყოფილიყო, მაგრამ სახეზე შეატყო, გივი არ ხუმრობდა, ფერდაკარგული, ხე-

ლის ნერვიული მოძრაობით აგროვებდა მაგიდაზე გაფანტულ ფურცლებს. გურამი მიხვდა, ამ სიტყვებს ამოფარებული სათქმელი უფრო მეტი იყო, ვიდრე თვით სიტყვა. რა უნდა ექნა? მას შეეძლო... არაფერი არ შეეძლო გურამს. გული ყელზე მიებჯინა და ხმის ამოღების საშუალებას არ აძლევდა.

უსიტყვოდ გამობრუნდა და ოთახი გაიარა. გურამს არ სჯეროდა, მაინც ეგონა გივი დაუძახებდა და ეტყოდა გაგებუბრეო, მაგრამ გივის ხმა არ ამოუღია. კარებთან გივის ღელამ დააწია ხმა.

— საღ მიდინხარ, შეილო, ვისადილოთ.

გივი სირბილით დაეშვა კიბეზე, სირბილითვე გაიარა ეზო და ქუჩაში გაეარდა.

მზის გულზე განიერი ხიდი გაწოლილიყო.

4

„ხომ ვთქვი, არ დამეძინება-მეთქი“. გუნებაშეცვლილი ტახტზე წამოჯდა, მერმე გადაიხარა და ფანჯრის რაფაზე პაპიროსის კოლოფს მისწვდა.

რა ხანია ის დღეები არ გახსენებია. დაივიწყა, თითქოს არ ყოფილა, არ არსებულა, მაგრამ დაიწყებდა და არარსებობა ერთი და იგივე არ არის. დაიწყებული ოდესმე მაინც შეგახსენებს თავს. ხოლო არარსებული, თუკი დაგჭირდა, უსათუოდ უნდა შეთხზა.

გურამს აღარ უნდოდა დაიწყებულ ამბებზე ფიქრი, მაგრამ მთელი არსებით იმ დღეებს ვადაერთო და უკვე აღარ შეეძლო არ ეფიქრა...

მაშინ თანდათან ხვდებოდა იმას, რაც ასე აწუხებდა და აწვალებდა. გურამს აშფოთებდა გივისთან ურთიერთობა და ის წლები, ერთად რომ გაატარეს სკოლაში. უნდოდა გაეგო, როდის იყო გივი წარფელი და მართალი, იმ წლების მანძილზე, როცა ერთად სწავლობდნენ და მეგობრობდნენ, თუ შემდეგ, იმ ერთ დღეს — აივანზე, რომლის შემდეგ სკოლის მეგობარს აღარ შეხვედრია. არ

უნდოდა დაეჯერებინა, თითქოს გივი მხოლოდ იმიტომ მეგობრობდა, რომ სკოლიდან ერთად ბრუნდებოდნენ და თანამგზავრი სჭირდებოდა. და კიდევ იმიტომ, რომ ალგებრასა და ტრიგონომეტრიაში სუსტი იყო და ამეცადინებდა. გურამს არ სჯეროდა, თუ გივი შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი ანგარიშიანი და წვრილმანი.

ამ ფიქრების შემდეგაც დიდი ხანი გავიდა. მივიწყებულმა ფიქრებმა ახლალა იწყეს ამოტივტივება, ისე ნელა, როგორც არაგვის ხეობაში დილის ნისლეზიდან მთები ამოიზარდა. დაიწყებდა არც ისე იოლი აღმოჩნდა, მაგრამ წლებმა მაინც თავისი გაიტანა. ეს კი იყო, გურამს თანდათან შემოეძარცვა ის ოცნებები და ფიქრები, რომლითაც აივსო ფასანაურში მგზავრობისას.

მერმე ნაი აღარ უნახავს და აღარ უცდია მასთან შეხვედრა. თავისი მალემარწმენობა და გულსწრაფობა აღიზიანებდა: როგორ ფიქრა, როგორ ეგონა თითქოს ნაის მოეწონებოდა ანდა შეუყვარდებოდა... ასეთი მუღო. — როგორც გივიმ თქვა. მერმე უნივერსიტეტის წლებმა ახალი მიზნები და მისწრაფებები გაუჩინა, ხოლო ახასთუმანმა სხვა სამყაროში გადაიაროლა.

უცებ ივრძნო, აბასთუმანი მონატრებოდა. საშინლად მოუნდა იქ ყოფნა. მოულოდნელად გადაწყვიტა, ხვალ დილითვე გამგზავრებულყოფო ბორჯომის მატარებლით. ჯერ ლიკანში ავიდოდა, დასასვენებლად წასულ მშობლებს მოინახულებდა, მერმე კი ახალციხისკენ გაჰყვებოდა მატარებელს. ბორჯომიდან დეპეშას გაგზავნიდა ობსერვატორიაში და ახალციხეში მანქანას დაახვედრებენ.

„ამ წიგნებს ახლავ შეგვრავ... რა წაათრევს ამდენ წიგნს?!“ ოთახის კუთხეში, იატაკზე ოცდაათამდე წიგნი ეწყო. გურამი სამზარეულოში გავიდა და კარადის უჯრები გადმოაქოთა. ძველი გზებებითა და კანაფის მორგვით შემობრუნდა.

წიგნების შეფუთვასა და შეკვრას შეუდგა.

„დღეს რამდენჯერმე ვიყავი შენთან. რვა საათისთვის ვერას ხილთან დაგელოდები. შენი ჰირიმე, ნუ დამაღალატიანებ...“ გაახსენდა გივის ბარათი. ბოლო სიტყვები ხმამაღლა გაიმეორა:

— შენი ჰირიმე, ნუ დამაღალატიანებ.

„ეს ბარათი გაჰირეებისა და არა მონატრების, რა სულელი ვარა რა თქმა უნდა, იმ კაცს რაღაცა უჭირს... რატომ აქამდე ვერ მივხვდი?!“ გურამმა ინანა, ბარათი რომ დაანაკუწა. ეგონა, კიდეც რაღაცა ეწერა შიგ და აღარ ახსოვდა.

წიგნებს თავი მიანება და საწერ მაგიდაზე საათს დახედა: შვიდს ცხრა წუთი ოვდა. საათი ყურთან მიიტანა— ხომ არ გაჩერებულაო. მექანიზმი ზომიერად მუშაობდა. შესამოწმებლად რადიომიმღები მინც ჩართო. კედლის საათი კარგა ხანია აღარ მოემართათ და დადუმებულყო.

ოთახში რაველის „ბოლეროს“ ხმები დაიღვარა. გურამმა რადიომიმღებს ოდნავ დაუწია და წიგნების შეყვრა განაგრძო. „ფუი, როგორ დამავიწყდა, დღეს იმ ებრაელთან უნდა მივსულიყავი, ფირფიტებს რომ შემპირდა...“ სინანულით გააქნია თავი, წიგნებზე ჩამოჯდა და გაყუჩდა, თან პაპიროსს აბოლებდა.

„ბოლერომ“ ჯერ ჩითისკაბიანი ქალიშვილი მოაგონა, მზით გარუჯული ლამაზი ქალიშვილი, სულ რომ იცინოდა და თეთრ კბილებს აელვებდა.

მერმე ჰერი თანდათან გაიქვინდა „ბოლეროს“ ხმებით...

ერთი და იგივე მეორდებოდა, დაუსრულებლად მეორდებოდა ერთი და იგივე, ოღონდ სხვადასხვა ნიჟანსობით, სხვადასხვა ელერადობით, სხვადასხვა მოტივირებით. ეს იყო თითქოს ფატალური გარდუვალობის დაქინებული ხმები.

გურამი წიგნებზე იჭდა გაუნძრევლად.

იქ მალალი ფიქვებია... იქ დიდი და სუფთა ცა... იქ უსასრულობა...

ვინც შეჩვეულია ყოველდღიურ,

წერილმან ფუსფუსს, ალბათ, იქ არ წამოვა, იქ უსასრულობას უნდა გაუსწორო თვალი. უსასრულობას ვერ წარმოიდგენ... მარტო გონებითაც ვერ მიწვდები, უნდა იგრძნო კიდეც. ეს თითქოს შეუძლებელია, ხოლო თუ შესძლო, ჯერ შეძრწუნდები, თავზარი დაგეცემა, მერმე კი იმ სივრცეებს თვითონ მოიცავ.

ნეტავი გასძლებდა, იმათგან რომელი იქ რომ წამოსულიყო?!

ვინ?

ნაი...

გურამმა თავი გააქნია.

მაშ, მეგი...

ვერც ის.

იქნებ ჩითისკაბიანი გოგონას გაეძლო... მაგრამ ვინ არის ეს ჩითისკაბიანი ქალიშვილი? ასეთი ქალიშვილი, ალბათ, ბევრია, მაგრამ არც ერთს არ იცნობს. ჯერ უნდა გაიცნოს. დაუახლოვდეს. ისინი ხშირად ძალიან ლამაზები და ძალიან კარგები არიან...

იქნებ, იქ არც ისე ძნელია გაძლება. როგორც ეჩვენება? იქნებ ერთიც წამყოლოდა, მეორეც, მესამეც... რა სისულელეა! ეს სხვათაშორის გაიფიქრა, თორემ ნაი და მეგი დიდი ხნის წინათ დაივიწყა. ჩითისკაბიანი ქალიშვილი დღეს კი ნახა, მაგრამ...

საოცარია, იქ, ზევით არასოდეს არ აწუხებს, ასეთი ფიქრები. სხვა გრძნობა ეუფლება, სხვა ფიქრებსა და ოცნებებს ებრძვის.

გურამმა შეიღ საათზე საათი შეამოწმა და რადიომიმღები გამორთო.

„ეტყობა, დავიღალე, ისეთ სისულელეზე ვფიქრობ, ნამდვილად დავიღალე. ნახევარი საათი მანერ რომ წამძინებოდა...“ ანთებული პაპიროსი ნიჟარაში ჩაჰკმუჭნა. „მინც რამდენს ვეწევი ეს ოხერი. დროც რა ნელა გადის...“ ტანტზე მიეგდო და თვლები დახუჭა, დიდხანს იწრიალა, სანამ დაიძინებოდა.

ტელეფონის ზარის წყრიალმა გამოაღვიძა.

— არა, ბატონო, ეს არ არის ტაქსომოტორი... სხვაგან მოხვდით...

გურამმა საათს დახედა: ცხრის ათი წუთი იყო: „ღამაგვიანდა... ფუი, როგორ ჩამძინებია!“

ძილში კიდევ ერთხელ მოუწვივია. ქუჩა ახალი ნაწვიმარი იყო. გურამი დარბოდა და ტაქსის დაკერას ამაოდ ცდილობდა. „ზღვაში უფრო დაიპერ ხელით თევზს, ვიდრე ჩვენს ქუჩაზე ტაქსს...“

ცხრის ნახევარზე ძლივს მიაღწია ვერის ხილს. ნახევარი საათი დაიგვიანა, მაგრამ გივი მაინც დახედა; ვიუტად ელოდებოდა. ჯიბეში ხელუბრაწყობილი იდგა. დარწმუნებული რომ გურამი უსათუოდ მოვიდოდა.

გურამმა მანქანა გააჩერებინა, შოფერს ფული მიაჩერა და გადმოვიდა. სკოლის მეგობრები გადაუხევენენ ერთმანეთს და გადააკოცნეს. გურამმა კიდევ ერთხელ შეხედა გივის, და გაიღიმა: წაბლისფერი თმა ისევე კოხტად ჰქონდა დავარცხნილი, როგორც მაშინ, გეგონებოდა, ათი წელი თმისთვის ხელი არ უხლია. გამომეტყველებაც იგივე — რაც სკოლაში: „ზეიადი, საკუთარ თავში დაჭერებული... ოღონდ ოდნავ დასრულებულიყო, დაეაყვაცებულიყო. გურამს არ ეგონა, თუ ასე გაუხარდებოდა გივისთან შეხვედრა და ამ შეხვედრის სიხარულით თვითონვე დარჩა კმაყოფილი. დაივიწყა კიდევ ის ფიქრები, რომელმაც დღეს ასე ააფორიაქა.

— საიდან ვაიგე, რომ ჩამოვედი?...
— ჰკითხა გურამმა.

— არსაიდან. აბც კი ვიცოდი, თუ წასული იყავი.

— ხუთი წელია, თბილისში აღარ ეცხოვრობ... რაც უნივერსიტეტი დავამთავრე.

— მართლა? ეგ არ ვიცოდი. თუმცა როგორ არა, ახლა გამახსენდა... ამ რამდენიმე წლის წინათ მევიმ მითხრა. წარმოგიდგენია, სულ აღარ მახსოვდა, რა იდიოტი ვარ.

რატომ ეგონა გურამს, თითქოს ამდენი ხნის უნახავ მეგობარს უნდა

სცოდნოდა მისი ასავალ-დასავალი? იქნებ, სკოლის მეგობრისაგან უფრო მეტს მოითხოვდა, ვიდრე შეეძლებოდა? თვითონაც ხომ არ იცოდა, რას აცეთებდა გივი, სად მუშაობდა. იცოდა მხოლოდ, რომ თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობდა. ნერვუ სწავლას თავი დაანება, მესამე კურსიდან გამოვიდა.

— შენ რას აცეთებ, სადა ხარ?

— სად ვიქნები ან რას გავაკეთებ... ვწერ... თუმცა ვის რაში სპირდება შენი ნაწერები...

გურამს ჯერ ეგონა, ნათქვამში ერთგვარმა სინანულმა გამოჰქონაო, მაგრამ, როცა გივის სახეში შეხედა, დარწმუნდა, რომ მოტყუვდა. მის წინ იდგა კაცი, რომლისაც არავის ესმოდა.

— პიესებს სწერ, თუ...

— რა თქმა უნდა პიესებს... არ ესმით არაფერი, იდიოტები არიან.

— ახლა თეატრებს უჭირს თურმე.

— ასე ჩაყარდნოდა იქნებოდა მუდამ... შენ ხომ გახსოვს ჩემი პიესა, სკოლაში რომ დავდგი? ცუდი იყო? რატომ არ უნდა დავდგას ვითომ საბავშვო თეატრმა?

— ის პიესა არ ვარგოდა, გივი.

— არ მოგეწონა?

— არა.

— რას ამბობ, მთელი სკოლა გაგაყებულნი იყო.

— სკოლა ერთია... თეატრი მაინც სხვაა, გივი. — გურამი მახვდა, სკოლის მეგობარი ჯერ ისევე ძველი დიდებით ცხოვრობდა.

— ბავშვებს თუ სკოლაში მოეწონათ, თეატრში დადგმული უფრო მოეწონებათ... თუმცა შენ მათემატიკური საგნები გეხერხებოდა...

გურამმა კარგად ვაიგო, რაც უთხრა სკოლის მეგობარმა.


— ამას წინათ ოსბორნის პიესა წაკითხე და მომეწონა.

— ვისი?

— ოსბორნის.

— არ წამიკითხავს.

2799



— მილერი ან უილიამსი?
 — არც ვგეგნი.
 — უნდა წაიკითხო, ისე როგორ შეიძლება?
 — არც იმით წაუკითხავთ ჩემი პიესები.
 — მერმე, რას ერჩით ერთმანეთს, რას ეჩინებით? ჯერ შენ წაიკითხე და შემდეგ, ალბათ, ისინიც წაიკითხავენ.
 გივის სახე წამოენთო სიბრაზისაგან, მაგრამ არაფერი უთქვამს. სიგარეტი ამოიღო და გურამს ასანთი მოსთხოვა. ორივემ გააბოლა სიგარეტი.
 გურამს უსიამოვნო ნალექი დარჩა გულში. „რა ბავშვივით ვიქცევი... სამაგიერო გადავუხადე... რა წვრილმანი და გულნამცეცა ვყოფილვარ“. მერმე ჰკითხა:
 — ისევ იქ ცხოვრობთ?
 — კი.
 — დეიდა რუსულანი როგორ არის?
 — კარგად, რა უშავს.
 — მამა?
 — მამაც.
 — აქ არიან?
 — არა, სოფელში წავიდნენ.
 — ჩვენებიც ამ სამი დღის წინ გავისტუმრე დასასვენებლად.
 — რას მეუბნები?! — შეიცხადა გივი.
 — რა იყო?
 — დავიღუბე!... მამაშენის იმედი მქონდა, — თითქმის სასოწარკვეთით თქვა გივი.
 — მამაჩემს რა შეუძლია?
 — ნამდვილად დავიღუბე, ფული მაინც მქონდეს... საღ ვიშოვი, მევალებებს ვიღარ ავუღიარა.
 — თუ ფული ვიშვილის, მე მოაკცემ,
 — გურამი უცებ მიხვდა, რისთვის სჭირდებოდა გივის მამამისი.
 — კაცმა არ იცის, როდის დავიბრუნებ... არა, არ მინდა.
 — გამომართვი.
 — ამდენი არ მჭირდება. თანაც ხომ ვითხარო, არ ვიცი, როდის დავიბრუნებ-მეთქი.

— როცა გექნება. როცა შესწავლავს რომელიმე თეატრი და დაგეგმავს...
 — ნუ დამცინი, გურამი...
 — ღმერთმანი, არ დაგცინი. აბა, ნუ ბავშვობ, გამომართვი.
 გივიმ ფული გამოართვა და ჯიბეში ჩაიდო. ოდნავ დამშვიდდა, ძველი იერი დაუბრუნდა.
 — მადლობელი ვარ, გურამ. ხვალვე წავეყვან ექიმთან. მაგრამ მამაშენი მაინც სხვაა, ძველი ექიმია, გამოცდოლი... მეშინია.
 — ცოლი ითხოვე?
 — საღ შემიძლია ცოლის თხოვა.
 — თვითონ თანახმაა?
 — არა.
 — აბა, რას იზამ?
 — რაღაცას მოვეუხერხებ...
 ერთხანს მღუმაჩრდ იდგნენ. გურამმა იგრძნო, რომ გივის მეტი სათქმელი აღარ ჰქონდა. ამით თავდებოდა მათი შეხვედრა.
 ქალაქში ბინდი შემოპარულიყო, ლორჯი, ვამპირვალე ბინდი. ხიდზე ლამპიონები ინთებოდა. მანქანებითა და ხალხით დამძიმებული ხიდი ღამის ცხოვრებისთვის ემზადებოდა.
 გურამი წასვლას აყოვნებდა. უნდოდა და გივისთვის ეკითხა ის, რაც ამდენ ხანს აწუხებდა. მაგრამ ღირდა კი ახლა ძველის გახსენება? რახან აწუხებდა, ღირდა.
 — იმ ღამით, პიესა რომ დაოჯი, შენობიდან გამოსვლისას დამინახე, თუ არა?
 გივი დაფიქრდა.
 — გოგოებთან ერთად მოდიოდი. ნაიც იქ იყო... თქვენ ყველაზე გვიან გამოხვედიო.
 — კი, როგორ არა, დავინახე.
 — მართლა?
 — გასასვლელში იდექი. ბნელოდა. მაგრამ დავინახე.
 — მართალია, ბნელოდა.
 — მეგონა, წამოგვეყვებოდი და იმით არ შეჩერდი. მერმე ქუჩაში სულ უკან ვიხედებოდი, მაგრამ არსად ჩანდი.

გურამს კარგად ახსოვს, არც გივის, არც ნაის, არც სხვა გოგოებს ერთხელ არ მოუხედავთ უკან.

ეს უნდოდა გაეგო, მეტი არაფერი. ახლა დაემშვიდობება სკოლის მეგობარს. თუმცა შეუძლია კიდევ ჰკითხოს, სად წაიყვანა გოგოები იმ ღამით? სწორედ აქეთ გამოიარეს და ამ აღმართს აუყვანეს... მაგრამ ეს უკვე აღარ აინტერესებდა გურამს.

დღმილი გვიმ დაარღვია.

— იმ ღამით მოხდა ყველაფერი. ნაიმ ძალით წაგვიყვანა სახლში.

— განა ნაი იქით ცხოვრობდა?

— მაშინ ერთი კვირის გადასულემა იყვნენ. შენ რა, არ იცოდი?

— არა.

— ჰოდა, ახლა ჩემთან ზის...

— ნაი შენთანაა?

— წელან დაგიმალე... აღარ შემოძლია, გურამ, ღამის გავეიძღე.

— ნაი შენთანაა?!

— ჰო, ჩემთანაა.

— მერმე?

— რა, მერმე.

— არაფერი.

— ჩემი ბრალიც არის... თუმცა ცოლად გითხოვე, არასოდეს მითქვამს.

— გითქვამს თუ არა, მაგას რა მნიშვნელობა აქვს.

— აქვს, როგორ არა აქვს.

— შეიძლება ჰქონდეს, არ ვიცი.

— ეროზელაც იქნება დაეთვრები და ყველაფერს ვეტყვი

— მაინც რას ეტყვი?

— წავიდეს... სადაც უნდა, იქ წავიდეს, ოღონდ მე თავი დამანებოს. სხვა რომ არ იყოს, ხელი მეშლება. ვეღარაფერს ვაკეთებ...

— ფიზიკლმა უთხარი, დათრობა რა საჭიროა?

— ვერ ვუბნები. ვერ ვუბნებავ.

— რასაც შენ ვერ ეუბნები, ღვინოს გინდა ათქმეინო?

— სტორთია, ვინ ეტყვის, მე თუ ღვინო. ოუ გინდა, შენ უთხარი.

— მე რა შეუმი ვარ?

— გურამ, თუ ძმა ხარ, მიდი...

— რას სულელობ!

— იცი, რა უთხარი, გვერდამდე დაიკაცია-თქო, ბავშვი ხელს შეუძლის-თქო.

გურამი ხმის ამოუღებლად გაშორდა სკოლის მეგობარს. გივი ფეხდაფეხ მისდევდა და არიგებდა, როგორ მოქცეულიყო, რა ეთქვა ნაისათვის... გურამს სიტყვები არ ესმოდა. ციკმა ოფლმა დაასხა, თითქოს გული ერეოდა.

შუა ხილზე შეჩერდა და უკან მიიხედო: ოციოდე ნაბიჯზე გივი იდგა და კმაყოფილი უმზერდა გურამს. მერმე სკოლის მეგობარმა ხელით ანიშნა — დროს ნუ კარგავ, წადიო.

გურამი გატრიალდა და წავიდა.

5

გურამმა ხიდი გაიარა და კიდევ ერთხელ მიხედა გივის. გივი აღარსად ჩანდა. ხალხსა და სიბნელეში გაუჩინარებულყო.

გურამი დაცარიელებული და დაცლილი მიდოდა, აღარაფერზე აღარ ფიქრობდა, ოღონდ მკერდში ყრუ და ნელი ტკივილი ეწვეებოდა. გაიარა ქაღრებიანი ქუჩა, სადაც მალაზიის დიდი ვიტრინებიდან ნეონის იისფერი შუქი იღვრებოდა.

მოედანზე გავიდა და შეება ივრძნო: რალაც მოიშორა, რალაც დიდი, ძველი და მძიმე მოიშორა ტკივილით, მაგრამ ეს ტკივილი ახლა სასიამოვნო იყო.

ხვალინდელ მგზავრობაზე ფიქრობდა. დღევანდელი დღე უკვე დამთავრდა. ახლა მანქანას დაიქერს, წაეა შინ და დაიძინებს. შილში დრო მალე გადის, როგორც არ უნდა იყოს — სიზმრიანი თუ უსიზმრო.

ახლა მთავარია, დრო მალე გავიდეს. ვიდრე ტაქსების საღვომთან მივიდოდა, ვილაცამ დაუძახა, ხმა ნაცნობი იყო, მაგრამ ვერ მიხვდა, ვინ ეძახდა, უკან მოიხედა მისკენ მეგი მორბოდა, პატარა ბავშვივით მორბოდა მეგი.

მეგი ხუთიოდე ნაბიჯზე მიუახლოვდა და უცებ შეჩერდა.

— გურამ! ღმერთო ჩემო, გურამ! — მერმე ისევ გამოიქცა და გურამს მოეხვია, — ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ დღეს თუ შეგხვდებოდი, ვერ წარმოვიდგენდი.

გურამი მოულოდნელი, დაბნეული ღმილით უმზერდა მეგის. უნდოდა და ვერაფრით გამოხატა მეგისთან შეხვედრის სიხარული.

მეგი ისეთივე სუსტი და თხელი იყო, როგორც სკოლაში. სახეზეც არ გამოცვლილიყო. პატარა, ღამაზი სახე ჰქონდა, თვალების მომწვანო შექით განათებული, ოღონდ თმა ახლა სხვანაირად დაეყენებინა, ვაჟურად შეეპირა და შეენოდა. მკერდი... „რა სულელი ვარ, რატომ შეგხვდე ახლა მკერდზე, როგორ აიღეწა“. გურამმა მართლა უნებურად შეხვდა მკერდზე და მეგი გაწითლდა. დარცხენილი ჩრდილში დადგა. ასეთი უხერხული დუმილის გურამს მაშინაც ეშინოდა და ახლაც შეეშინდა, უნდოდა სწრაფად დაერღვია ეს დუმილი და აღედგინა ის უშუალობა, შეხვედრისას რომ დამყარდა.

— არ მეგონა, თუ თბილისში იყავი, თორემ უსათუოდ გამოგივლიდი, — უთხრა გურამმა.

— დიდი ხანია ჩამოხვედი?
— მეათე დღეა, აქა ვარ.
— როდის აპირებ დაბრუნებას?
— ხვალ დილით უნდა წავიდე.
— მართლა? არ შეგიძლია, კიდევ ერთი დღე დარჩე.

— ვერ დავრჩები.
— ხვალ შინდა ნაი და გივი დავპატიო... შენ, ალბათ, გაიგებდი...
— კი გავიგე.
— ჩვენი კლასიდან მხოლოდ ექვსი გოგო გათხოვდა.

— რომლები?
— მანანა გუნია... გახსოვს?
გურამს გაახსენდა ქერა, თვალუბდღვიალა გოგო. მანანა ყველაზე ადრე დასრულდა. თანაკლასელ ბიჭებს

ზედაც არ უყურებდა, უფროს კლასელებთან შეგობრობდა.

— მანანა გათხოვდებოდა... კიდევ?
— ნაზიკო ფერაძე.

ნაზიკო პირველი კლასიდან ფრიალსანი იყო. წყნარი, ჩუმი. მთელი დღე ისე გაივლიდა, ვერ შეამჩნევდი. მარცხენა თვალი ოდნავ ელამი ქონდა. სიღმე თითქოს უხდებოდა კიდევ.

— ნაზიკო კარგი გოგო იყო... კიდევ?
— ლალი დარახველიძე — „კარმენი“.

მესხიერებაში ამოტივტივდა კოქლაბალი, შეატუხა გოგო, ყველაფერზე რომ იკრიჭებოდა. ვილაცამ ზედმეტსახელად „კარმენი“ შეარქვა და ის სახელი ბოლომდე შერჩა.

გურამს უხაროდა სკოლის ამხანაგების გახსენება და ეკითხებოდა: კიდევ?... კიდევ?...

— დორა ჭაფარიძე.

დორას მამა ომში დაიღუპა. დორას ოთხი და ჰყავდა, ერთმანეთზე მიწყობილი. ძალიან უქირდათ... დორამ კინდლამ სწავლას დაიწება თავი.

— ცისანა მიქაშაიძე.

ცისანას დიდი მსუქანი სახე და ვიწრო მხრები ჰქონდა. მამამისი საკონდიტრო კომბინატში მუშაობდა ცისანას ჩანთა ყოველთვის ტკბილეულით ჰქონდა გამოტენილი.

— კიდევ?

— ნაი...

— ნაი ვიცი...

— ჩვენ კლასელს მხოლოდ ნაი გაჰყავდა... დარჩი რა, რა იქნება, ერთი დღე რომ დარჩე?

— არ შემიძლია, უნდა წავიდე, მეგი.

— სხვებიც იქნებიან...

— სიამოვნებით დავრჩებოდი, რომ შემეძლოს.

— შენ სულ გამოიცვალე, სხვანაირი ვახდი. — მეგი ჩრდილში იდგა და ჩრდილიდან ელაპარაკებოდა გურამს. ისეთი სახე ჰქონდა, გეგონებოდა, საცა ატირდებოდა.

— ჩვენ არცერთი არ გამოვეცვლილ-

ვართ, მეგი. ისეთები ვართ, როგორც ბიც ვიყავით, ოღონდ...

— რა, ოღონდ?

— არაფერი... — გურამმა არ უთხრა, ის, რაც გაიფიქრა. — ყველან არ სჭირდება გამოცემა.

— ვერ გავიგე, გურამ.

— ზოგს არ სჭირდება მეთქი გამოცემა... შენ ისეთი კარგი გოგო იყავი, — გურამმა ხელე მოხვია მეგის და მკერდზე მიიხუტა. თავისი უშუალოების თვითონვე გაუკვირდა.

— ფასანაურის შემდეგ ჩვენ ერთმანეთი არ გვინახავს.

— მას შემდეგ ათი წელი გავიდა...

— ათი წელი! ღმერთო ჩემო, ათი წელი!

გურამმა პაპიროსი ამოიღო ჯიბიდან და ცეცხლი მოუქიდა.

— მე რამდენჯერმე დაგინახე ავტობუსიდან... უნივერსიტეტთან იდექი... ამას წინათ კი სადღაც წავიკითხე უცნობი ვარსკვლავი აღმოგიჩენია... რატომ დაარქვი თეთნულდი, გურამ?

— ყველაზე მაღალი და ძნელი მწვერვალი, რომელზედაც პირველად ავედი, თეთნულდი იყო...

— ძნელია ვარსკვლავის აღმოჩენა?

— არც ისე...

— დარჩი რა, გურამ, ხვალ ნაი და გივი მოლენ... ნუთუ ნაი არ გინდა ნახო, ან გივი?... თქვენ ხომ მეგობრები იყავით?

— უკვე გითხარი, მეგი.

— ახლა ნაისთან ვიყავი, მარტოა... იცი, რამდენი ვილაპარაკეთ შენზე?

— ნაი მარტოა? გაცეებით იკითხა გურამმა, თითქოს არ იცოდა, რომ მარტო იყო.

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა.

— აბასთუმანში, ალბათ, ძალიან კარგია.

„რა მოხდება გზა, რომ ნაისთან მივიდე?.. მივიდე და ვინახულო?“

— იქ, ალბათ, დიდი თოვლი იცის.

„ერთი წუთით შევივლი და შევხე-

დავ... მხოლოდ შევხედავ და ისევ გამოვბრუნდები“.

— მე მიყვარს დიდი თოვლი, სხვა მოვლებით ვიცხოვრებდი ასეთ ადგილას. მე ძალიან მიყვარს დიდი თოვლი და ფიქვები.

„ნაი მარტოა. არა, მე უსათუოდ უნდა მივიდე და ვნახო... გივი რომ დამხედეს შინ? ვინ არის გივი?! მე მინდა ნაი ვნახო“.

— იქ, ალბათ, კრილა ცაა და ბევრი ვარსკვლავია... ბევრი... ბევრი... უთვალავია... მე მიყვარს, როცა ერთად არიან დახვავებული ვარსკვლავები...

„ცაში სიცარიელეა... ვარსკვლავები ერთმანეთისაგან ისე შორს არიან, ამის წარმოდგენა კაცის გონებას არ შეუძლია. ვარსკვლავები განმარტოებით ცხოვრობენ ცაში, ერთმანეთს გასაოცარი სივრცეებით დაცილებულები. მხოლოდ შორი მანძილიდან ჩანს ასე ერთად დახვავებული...“

დამღლელად ხმაურობდა მოედანი. მხოლოდ ახლა-ღა იგრძნო გურამმა რომ მოედანი ძალზე ხმაურობდა. ხალხი ირეოდა, ერთმანეთს აწყდებოდა, მერმე იჭედებოდა ავტობუსები და ხალხით დატვირთული თავისი გზით მიემართებოდა...

— მე წავალ. მეგი...

მეგი უცებ ჩაქრა.

— მეც წავალ, გურამ, უკვე გვიანაა...

— ნახვამდის, მეგი.

— ნახვამდის, გურამ.

ორივე ერთდროულად გაბრუნდა.

— გურამ!

გურამი შეჩერდა. მეგის მოხედა.

— როცა ჩამოხვალ, ჩემთან მოსვლა არ დაიზარო. საღამოობით ყოველთვის შინა ვარ, — უთხრა მეგიმ გაბზარული ხმით, თითქოს კიდევ აპირებდა რადაციის თქმას, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— უსათუოდ მოვალ.

— ნახვამდის, გურამ.

— ნახვამდის.

გურამი ვაჭყვა იმავე ქუჩას, რომლითაც მოედანზე მოვიდა.

ხელმარცხნივ ნახევრად განათებულ ქუჩაზე მისი სკოლა იყო. ეს ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული, ერთმანეთის გადაკვეთი ქუჩები ხელისგულივით იცოდა. ყველა სახლს ცნობდა, ყველა ჭიშკარს, ყველა ეზოს. აი, ამ გზაჯვარედინზე იდგა და ნაწყენი გაჰყურებდა გოგოებთან ერთად მიმავალ გვიგისს.

მალაზიის განათებული ვიტრინები უკან დარჩა. ხიდთან მისულმა ქუჩა გადასჭრა. კიდევ ცოტა გაიარა და რკინის ჭიშკარს გადააბიჯა. გვირაბში — რიყის ქვით მოკირაწყვლული ეზოს შესახვევში შეჩერდა. ქუჩუიანი, ალაგ-ალაგ გაქმნილი კედლები ათასნაირი წარწერებით იყო აპრელებული. ელექტრონათურის ქვემოთ წერად ფხებზე შემდგარი უზარმაზარი მუსიკელი ეხატა. ქვეშ დიდი ასოებით ეწერა: გივი. მუსიკის ზემოთ გაჯი ჩამოშლილიყო და ნახატს თავა აღარ ჰქონდა. ცოტა მოშორებით ასეთივე ასოებით გამოეყვანათ გურა... წარწერის უკანასკნელი ორი ასო აღემატებოდა. აქ ოდესღაც მისი სურათიც იყო დახატული, მაგრამ კედელს აღარ შემოუნახავს...

გურამმა ეზო გაიარა და ხის კაბეებს აჰყვა. კიბის მოაჯირის ბოლოში ერთი რიკული აკლდა. რაც თავა ახსოვს, კიბის მოაჯირს მუღამ აკლდა ეს რიკული. კიბე ასევე პრიალებდა მაშინაც.

გურამი მეორე სათუღზე, ღერეფნის ბოლოში შეჩერდა და კარზე დააკაკუნა. ვიდრე აივანზე ამოვდოდა, ეგონა, უფრო აღელდებოდა, ახლა კარის გაღებას დაშვებულ ელოდა. ოღონდ ცოტათი მოჭამა გულის ცემამ, როცა კარს იქით მსუბუქი და რბილი ნაბიჯების ხმა გაიგონა.

კარი გაიღო.

პირველად ოდნავ აბურღული, შავი, ხშირი თმა დაინახა და გაოცებული თვალემა.

ღია კარებში ნაი იდგა.

— შენა ხარ, გურამ?! — ნაი ადგილს მოწყდა და გახარებული ყელზე ჩამოეკიდა გურამს.

მერმე ერთმანეთი მოიციობს... მერმე ნაი თმის სწორებით შეუძლვა გურამს ოთახში. ნაის ქრელი, შიშვალად შეკერილი სარაფანი ეცვა. მისი ფხვები ქოშებში წაეყო. ეტყობოდა, ეძინა და გურამმა გააღვიძა, თვალები დასიებული ჰქონდა.

— შინ შემოდი, მინდა კარგად დავინახო.

— კარგს ვერაფერს დაინახავ.

— გივი მინც ყოფილიყო, რითი გამისპინძლდე, არ ვიცი.

— არაფერი არ მინდა, ნაი, მალე უნდა წავიდე.

ნაი გამოცვლილიყო, დაქალებულიყო. საზეც და გამომეტყველებაც დასრულებული ქალისა ჰქონდა, ოღონდ როცა გაიღიმებდა, წამით უბრუნდებოდა ძველი იერი.

— დაჩქეა, გურამ.

ოთახში ცხვლოდა. დახუთული პაერი იდგა.

— აივანზე გავიდეთ, ძალიან მიყვარდა იქ ყოფნა.

— გრვისაც ძალიან უყვარს აივანზე ყოფნა, სულ იქ არის.

აივანზე ფარდაგადაფარებული ძველი ტახტი, ოთხკუთხედი მაგიდა და რამდენიმე ვენურტი სკამი იდგა. ნათურას უამრავი ღამის პეპელა და ქინქლა ესეოდა. თავბრუდამხვევად ტრიალებდნენ და აწყვდებოდნენ ნათურას ღამის პეპლები.

გურამი სკამზე დაჯდა და მკლავი მოაჯირზე გადაკიდა. თან თვალს არ ამორებდა ნაის, რომელმაც შიშველი მხრებისა და მკლავების დასაფარავად ნეილონის ქსოვილი მოიხევა.

ერთხანს გაღიმებულები შესცქერიოდნენ ერთმანეთს.

— ხედავ, გურამ, სადა ვარ, სად აღმოვჩნდი?

გურამმა თავი დაუქნია და მერმე ჰკითხა.

— კმაყოფილი ხარ?

— ძალიან.

— კარგია, თუ კმაყოფილი ხარ.

— კმაყოფილი ცოტაა, გურამ.

— ეგ უკეთესია... მაგრამ მე ბევრი არ შემხვედრია ბედნიერი.

— შენ რას ამირებ?

— ჩერჩვრობით არაფერს.

გურამს ეგონა, ნაი ახლა მეგის ახსენებდა, აქ იყო და შენზე ბევრი ვილაპარაკეთო... ნაის მეგი არ უხსენებია, დიდხანს უყვებოდა თავის ამბავს, ნაი, მართლაც, ბედნიერი ჩანდა.

— ახლა ორი თეატრი დადგამს გივის პიესას... მე მივინდა, ყველა ჩვენი კლასელი დაესწროს პრემიერას... შენც შეგატყობინებ...

რატომ არ შეიძლება, კაცმა უპაზრას ნაის; ნაი, შენ არა ხარ ბედნიერი. შენ ყველაფერი გეჩვენება. ერთ დღეს დათვრება გივი და გეტყვის: ეს ყველაფერი თამაში იყო. ანდა უფრო პირდაპირ: დამანებე თავი, ნაი... ანდა: მომწყუდი თავიდან! მე შემოქმედი ვარ და ხელს მიშლავ. გურამმა ხომ იცის, რომ, აღარ თუ გვიან, ასე მოხდება. თუმცა საიდან იცის? მათ შეიძლება, ასე იცხოვრონ ბოლომდე; ნაი შან იქდეს ბედნიერი, ხოლო ის გარეთ, ქუჩაში წუწუნებდეს, ვალე შემომივიარდა სახლში და ცხოვრება ამიწყწავო.

„აღამიანთა ურთიერთობაში ბევრი რამ მოძველდა, ბევრი რამ გულის ამრევია“.

— გახსოვს, ფასანაურში რომ ვიტირე? რა სულელი ვიყავი!

— კი, იტირე.

— წინა დღეს გივი გავაბრაზე და იმანაც ვითომ დამსაჯა, ფასანაურში აღარ წამოვიდა. გახსოვს, ამ აივნოდან გადმოვკვებხა: ვერ წამოვალ, არ მივალ... მთელი დღე თავა ვიკავებდი, მერე ფასანაურში ცელტა დავლიე და თავის შეკავება ველარ შევქელი, აუტირდი... რა სულელი ვიყავი.

სახურავეს იქით მთვარე ამოიზარდა, ტელეგრაფის მავთულეებში გაიხლართა.

— მე შენთან ყოფნა მინდოდა, გუ-

რამ, შენ ყველაზე კარგი მეგობარი იყავი გივისი.

უცნაურია, აქ მთვარე გურამს მთელი პეიზაჟის ნაწილია... სახურავენიდან სახურავეებზე გადადის ყვითელი, დიდი მთვარე. იქ კი სამყაროს უსასრულოდ ში მოსროლილი პაწაწინა, ცივი სხეულია.

გურამი წამოდგა.

— მოიცადე, რა უსინდისო ხარ, გურამ!

— ზეალ დილით აღრე უნდა ავდგე.

„იქნებ, სულაც არ უნდა მოვსულიყავი ნაისთან. იქნებ, მეგი უნდა გამეცილებინა? რა თქმა უნდა, მეგი უნდა გამეცილებინა“.

— გივის არ დაუცდი?

„არ დაუცდი, მე შენს სანახავად მოვედი და ვინ იცის, იქნებ, არც უნდა მოვსულიყავი“.

— ვერ დაუცდი, ნაი...

„აღამიანების ურთიერთობაში ბევრი რამ ნამდვილად მოძველდა“.

გურამის წინ განიერი ხიდი იწვა. ხილზე არავინ ჩანდა, ცარიელი იყო. გურამი მარტო მიდიოდა დაღლილი, გაბრუებული. თავი დამძიმებული ჰქონდა და სტკიოდა.

ხილზე მობარბაცე ლანდი დაინახა. ლანდი თანდათან უახლოვდებოდა.

გურამმა სკოლის მეგობარი იცნო. გივი მთვარე ბრუნდებოდა შინ, ფეხი ერეოდა, ბარბაცებდა, ხიდის მოაჯირს აწყდებოდა. გურამს გვერდზე ჩაუარა წამით შეჩერდა და ირიბად მოხედა... და ბარბაცითვე განაგრძო გზა.

გურამი მოტრიალდა დიდხანს უმზერდა სკოლის მეგობარს, რომელიც ბანცალით გაუჩინარდა სიბნელეში. კიდევ დიდხანს იდგა და გაჰყურებდა, ნაცნობ სახლებს, ქუჩებს, ხეებს... იქ ცხოვრობდა ოდესღაც, იქ იყო მისი სკოლა. იქ ჰყავდა მეგობრები, ამხანაგები... ვიღაც უყვარდა... ვიღაცას ალბათ, გურამიც უყვარდა...

ახლა ღამეა და ყველას სძინავს.

დღის მკვლევარი ქ ა პ ა ნ ი.

პურის ჭამის შემდეგ სულ ეგრე ხო არ ვიანდებოდით, ხომ უნდა დაგვეძინა?.. მე კი იმ გახრეკილ წისქვილში ერთი ტახტის მეტი არა მქონდა რა.

ილუამ თვალი გააპარა მეინახეებისაკენ.

მონადირეს ნივრის დაუღეპავი ფოჩი გამოსჩროდა პირიდან და ხელში პურის მოტეხილი ლეკმა შერჩენოდა.

მოკიდავეს თავი ჩაეჭინდრა და ოცნების გზებით ისიც წისქვილში გადასახლებულიყო.

მარტო ვანკა იყო ლეშზე დამჯდარი, ყორანივით ფრთებგაფაფხული და ფართოდ გახელილ ქუთუთოებში მღვრიე ნაცრისფერი თვალები წესიერი ჯარისკაცის მუნდირზე დაკერებული ღილებივით უპრიალებდა.

მეკუტრულემ თვალი მოსწყვიტა ქვევრსა და ამოხერკას კინდამ შიგნეულიც ამოაყოლა.

— ოოო, დედლო, იმ დამეს სამოთხეში ვიყავი და ღმერთზე მალლა ვიჭექი... დედაკაცია მაცდურიო, დედაკაცი კი არა, ღმერთია მაცდური, — თუ ჩემი შეცდენა არ უნდოდა, რატო მეორე ტახტი არ მომცა წისქვილში?

მღვდელმა ცარიელი ჯამი ხელრდან წაპგლიჯა მეკუტრულეს ბოლშიანად.

— პოი, შე სულაძლო ბებერო. აქამდის ჯოჯოხეთის კიდებზე იდექი და ეხლა შიგ შუაში შეგიტოპნია.

ილუამ ჩაიციხა, უბაღო წარბების აკიმევით გაჰხედა და სხვათაშორის იკითხა.

— მამო, შენი თეთრი გიორგის ერთი ჩასუქებული მონადედაკაცი რომ მე-

მომახვედრო იგეთ ადგილას, ჯოჯოხეთის მეორე ნაპირზე ვერ გავალ?

მონადირეს სიცილის დროს ნამეციცი გადასცდა სასულეში და კარგა ხანს ხლურჩუნებდა ბოხი ზმით. მერე ერთი ჯამი გამოცალა და ცრემლმომდგარი თვალები მსხვილი ცერით ამოიწმინდა.

მღვდელმა ჯამი გაავსო, მონადირის მარჯვენა საფეთქლის ქვემოთ გოჯნახევრიან ისამინისფერ ნაპრილობებს თვალი აარიდა, რომელიც დედაკაცის ნახელავად იყო ცნობილი და მოკიდავეს მიუბრუნდა.

— აბა, შენ რას იტყვი, შვილო, ზაქრო. უფროთ ანგელოზივით რომ გაყუჩებულხარ მანდა? ვერ მოასწარ მისა ტევებელი ცოდვის ჩადეხა?

ფეხის წვერებზე დაყრდნობილ მოკიდავეს ქუსლები ერთიმეორესთან მიუტყუებინა. ზედ ჩამოქდარიყო და მუხლის თავებზე მაჯებდაყრდნობილი გამტერებით ჩასცქეროდა მიწას.

— ჯერ ვერ მოგიცა პირი ღვინომ? აბა, ერთიც უთაქე! — და საესე ჯამი შეაჩეხა გარინდებულ ბიჟს ხელში.

ზაქრომ დაცალა და ქვევრის პირზე დადგა.

— გვითხარი, შვილო, და გულზე მოგეშვება, — ურჩია მეკუტრულემაც.

ზაქრომ ხელი ჩაიქნია.

— მე ღმერთისა არა გამეგება რა ილო-ბაბავ, და არც შენდობას ვითხოვ.

— განავანკას კი გაეგება? მაგრამ აქ ქვევრის ძალის მაღლმა, უნდა თქვა.

— ღმერთი მაღალია და დიდთა და მცირე ცოდვათა მიმტევებელი. თქვი, შვილო ჩემო, და წმინდა გულით მოინანიე, — ყური აარიდა მღვდელმა ილუას შენიშვნას.

— ძალას ნუ შატანთ, ძია ვანო, სულ ერთია არაფერს ვიტყვი... ერთადერთი შენა მგონიხარ ამ სოფელში უცოდველი. შენა და ის ერთი სული... — ზაქრომ მღვდელს შეავლო თვალი, მერე ილო-პაპას გადახედა, გაჩუმდა და თავი ჩაპყიდა.

— არავინ არი უცოდველი, შვილო ჩემო, პირსა ამა ქვეყანასა ზედა. მეფე მეფურად სკოდავს, მოხელე მოხელურად და გლეხი გლეხურად.

— ღვდელი—ღვდლურად კიდევ, — დაუმატა მეპურქლემ.

ვანკამ ისევ წაუყურა ილო-პაპას და განაგრძო:

— მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, ღვიწროსაც მეტს ვესვამდი და ძმა-კაცის ყაღრიც ვიცოდი, თეთარი გიორგშიც ახალი ნაკურთხი ვიყავი. მარიაშობის წინა დღით ერთი ქვემოური ამოვიდა კამეჩების ურმით და საკლავი ამოიყვანა. ცოლი უშვილო ჰყოლოდა და თეთრი-გიორგს ეხვეწებოდნენ შვილოსნობას. ბიჭი იყო აგეთი, მგელს ვახშმად გაათავებდა. ღმერთი ფეხებზე ეკიდა. მაგრამ დედაკაცისა და ცხრა უღელი ხარის ამბავი ხომ იღით, ცოლს გაებრიყვებინა.

ვანკამ ამოიოხრა.

— ცოლი ჰყავდა, მაგრამ რა ცოლი! — მზეს ეუბნებოდა: ჩადი, მე უნდა ვაწათოო.

იმ დამეს კარგი ბური ეკამეთ, მაგრამ რად გინდა, ყველაფერი შხამად მეჩვენებოდა იმ ქალის შემხედვარეს.

კაცს საშური საქმე ჰქონდა და დღითვე უნდა წასულიყვნენ შინ.

იმ დამეს არ დამიძინია.

დღლით ქმარმა შეება ურემი, დასო ცოლი ურეშზე და დაძვრას აპირებდა თავქვე, რომ მონა დედაკაცებმა მესამედ დაქარეს წრე ეკლესიის გარშემო, პირი მზის ამოსვლის მხარესა ქნეს და ხმაშეწყობილად იგალობეს იავნანა. მერე გამოიტანეს ჯაჭვები, თითომ თითო სანთელი აანთო, ერთი ჩხარა-ჩხურით, გალობითა და ყიყინით დაედგნენ ურემს.

ერთი ქადავად დაეცა. იქვე გადაიქცა ურმის წინ გარდო-გარდმო, პირიდან

ღუეი გაღმოიძინა და თეთრი-გიორგის ერთი კვირით ღამის თევა დაჯღუჯუჯუდრება მოითხოვა ეკლესიის კარხესთან.

ქმარი გაბრაზდა, კამეჩებს სახრე გადაუჭირა და კინაღამ ძირს დაცემულ ზედ გადაატარა.

ისევ კამეჩებმა იპატიეს, შეტოკ-შემოტოკდნენ და აღგილიდან ფეხი არ მოიცვალეს.

მაშინ ცოლმა იფიქრა: კამეჩებს ეტყობათ, ღმერთი ნამდვილად არ მიშვებსო და ქმარს უთხრა: უნდა აუცილებლად დავრჩიო!

უარზე დადგა კაცი.

აბა, ცოლი რის ცოლი იყო, თუ არ გაიტანდა?

ქმარმა კბილები გააკრაქუნა, თეთრკაბიანი მონების პოლკს იქით მიმალული მომძებნა და საზამთროს ოდენი თვალები დამიბრიალა. მჭრე კამეჩს სახრე იგეთი გადაპკრა, რომ შეგონა, შუაზე გასწყვეტს-მეთქი და თავქვე დაიძრა.

ქალს სადგომად ჩემი ოთახი დავუთმე და მე ერთ დაბალ ბუღრუგანაში გადაესახლდი.

შუალამისას კარებზე დავუკაკუნე და გულგახეთქილი ფეხზე წამოვაგდე.

— ვინა ხარო, — გამომძახა.

— მე ვარ-მეთქი.

არ გამოილო.

— თუ რამე საქმე გაქვს, დილაზე მოდიო.

ვიცოდი, კარი როგორ იკეტებოდა. წავედი, დანა მოვიტანე, წვერი ღრიჭოში შევავაფინე, რაზას ამოვკარ და ამოვაგდე. შევედი და კარი ისევ ჩავეკეტე.

— ახლო არ მომეკარო, მამაო, თორემ ქვეყანას შეგიყრი.

ღმერთი რომ დაბლა ჩამოსულიყო თავის ყველა ანგელოზით და წინ გადამდგომოდა, მაშინ ალბათ, იმ დანით ყველას დავფატრავდი და გზას კი არ გავიმრუდებდი. როგორც ღვთისმშობელი ქალწულის ხატის წინ, ეგრე ჩავიჩოქე ტახტთან და შევლაღადე:

— კურთხევა ღვთისა იყოს, ქალო. თავსა შენსა ზედა და გამრავლდი ვითარცა იაკობ. იესომ შთამაგონა, რომ ეს

ლამე შენთან გავატარო ლოცვა-ვედრები, რათა მადლი თეთრი გიორგისა გარდამოვიდეს ოჯახსა შენსა ზედა მოცეცს ძე და ასული მონასა თვისასა.

კორკოტის ჯამზე მიკრული სანთელი მკრთალად ანათებდა ლოგინზე წამომგდარ ქალსა და თითონ ეს ლოგინი ისეთ სითბოსა და სურნელს გამოსცემდა, რომ კინაღამ ჩოქზე დაცემული მუცელზე არ გამაწვინა. ქალს გაშლილი ვიწროს თმები გაღვლილ გულსპირზე გადმოჰფენოდა და მწიფე მაცყლისფერი თვალებით მბურღავდა. ველარ გაფუძელი და წელში გავიძართე. ქალიც წამოდგა. წამოღგომის დროს პერანგის კალთა გადაეწია და შიშველმა მუხლის თავმა იქიდან იგრე გამოანათა, როგორც თეთრი გიორგის შუბმა ხალფიდან. ამან გამაგვიყა და ლამის მათეგარს ვებდღვენი. ქალს რცხვენოდა დაძახებჭხმაურისა და ჩუმიად მიბრძოდა. ბოლოს ორივენი დავიდალუნით და ლოგინზევე წავაქეცით... გაფენებისას კი კარზე ფრთხილი კაცუნი გავიგონე. თეთრი, ქათქათა მკლავები სოფრთხილით მოვიშორე კისრიდან, რომ არ გამოღვიძებოდა და აედექა. კობელა მოსულიყო და მიხზოვდა, სანამ ხალხი რიგინად აიშლებოდა, მანამდე გავრიდებოდი მაცდურ დიდაკაცს.

ერთ კვირას ნეტარების ზღვაში ვცურავდი.

კვირის სწორს ქმარი ამოვიდა წასაყვანად. მაგრამ ცოლმა უარი უთხრა:

„ეგრე სწადიან თეთრი გიორგის: ერთ კვირას კიდევ უნდა დავრჩეო“...

— აი, შეილო ჩემო, რა ცოდვა მიმძიმებს სულსა. ამ ქვეყანაზე ყველაზე დიდი მაცდური ქალია და ყოველი ცოდვის შთაგონებაც იქიდან მოდის.

— ეიპ, მამო.— ამოიოხრა ზაქრომ და ჯამი ხელახლა შეავსო. — ქალი უფრო კაცის საწამებლად გაჩენილა, ვიდრე ცოდვისათვის. ხოლო, რაც შეიხება შენს საყუთარ ცოდვას, მე მგონია, შენს სულს ის უფრო მსუბუქად დააქვს, ვიდრე შენს ყბებს ოცდათორმეტი კბილი.

საბრძამ შენიჭარი ქედნები და მწყურები ჩამოიტანა.

ილვამ ჯამი ასწია და მასპინძელს დღეგრძელობა უსურვა.

— აი, ვანკაც, რო გამომდგარხარ და გაყვირი, ღმერთი დიდია. ღმერთი რომ ყოფილიყო, ის ბიჭი ეხლა აქ არ უნდა ყოფილიყო ჩვენს გვერდით? მემრე რისთვის დაიკარგა? — სულ უბრალო რამისთვის: ტყეში თოკი იპოვნა და თიანეთში მიმავალმა თან წაიღო. კაცს უკან არ მოუხედნია და რა უნდა გავგო, თუ თოკის ბოლოზე დეკეული იყო გამობმული?

— ნუ გეშინიან, ძალო, — ანუგეშა ზაქრომაც. — კაი ჩიტი გალიაში ზის.

— გული არ გაიტეხო, საბედ, ნიკოს უთხარ, ცხენი გათხვოს, კევრს მე ვიშოვნი და შუადღემდის გამოგიღეწავ მაგ ორიოდე ძნასა.

— არა, ილო, — გულზელი დაიკრთა საბედამ, — მაგან დამლუბა და სიკედლის პირისაგან რო მიხსნიდეს მაგის თითო სიტყვა, სათქმელად პირსაც არ დაუღებინებ. რასაც მე ეგა და ნასყოდა მიშვრებიან, სათქმელად ენაც არ მიბრუნდება.

...სათანახეკრის შემდეგ გონს მოსული დედაკაცი საჭმლის ნამუსრეგისა და ჩანაკლულებულ ქვევრს დასცქეროდა თავჩაქინდრული, ხოლო მეჭურჭლის კისერზე ზღვადახვეული ვანკა ორღობეში მიფრატუნობდა და თან თავის საყვარელ სიმღერას გაჰკაოდა ხაფი ხმით.

აჩასოდეს არ გახმება
წყალთა შუა ხეთა ძირით,
აჩასოდეს არ ცხონდება
კრიყანჯი და პერაძვირიით.
თუ კრიყანჯი ცხონდებოდეს,
სამოთხეში შევა ვარძილ...

4

მაღალი ახალგაზრდა მოიღუშა და ის იყო მკვანე რამ უნდა ეთქვა, ზედ მის ფეხებთან დამუხრუჭებული „პობედის“ შოფრისათვის, რომ შიგ მჭლომმა კაბინის კარი გამოაღო და გადმოუსვლელად მიესალმა.

— რა მათხოვრის ჯობივით მიჰყუდებინარ მაგ სასადილოს კარებს, ქარხალა-შვილო, წამოდი, ქალისპირში უკეთესი გაჩვენო.

ახალგაზრდა დაიბარა და ძლივს იცნო ძველი ძმაცო.

— კუპრაქ! ეშმაკა კი წაგიღოს, საიდან გამოტყერი?

— იქიდან, საიდანაც შენა და ათასი შენისთანა დაბღურია გამოტყერალი. ჩაქე, პანკისში ავიდეთ. საღამოს კი ჭოლისპირს ჩაგიყვან.

— მაინც არაფერი საქმე მაქვს, პანკისს წამოგყვები, ჭოლისპირში კი ჩეტუხეთიც ვერ ჩამათრევ.

ახალგაზრდამ მანქანის უკანა კარი გააღო, რბილად დაჯდა, მარჯვენა წინ გადაიწოდა და ხელო მავრად ჩამოართვა.

— მუბრუქები კარგი ჰქონია, კინაღამ შემოიქვლიანძლე.

— ლანძღვა შენზე უყვითესი ვიცი, მაგრამ შენ ის მითხარო: მატარებლიდან რომ ჩამოხვედი და თელავის სადგურის მოედანს ფეხი დაადგი, ეთომ გურჩივით არ შესძახე: — დაკარგული შენი შვილი მოვედიო?

— განა დაკარგულადაც მთვლიდიო?

— თვლიდით და ეგრე? იცის, რომ მოხვედი?

— არ იცის და ვაიგებს.

კუპრაქამ მანქანა დაქოქა, სიჩქარე გამოცვალა და თქვა:

— ეეპ, ბალღი იყავ და ბალღივით მოიქეცი.

— რომ არ გავრიღებოდი, ჩამავღებოდა.

კუპრაქა თრღავის რიყეზე უშნოდ გალაჯულ ვიწროსა და მოღრეცილ ხიდზე გავიდა, ქვევით ჩააბრუნა მანქანა და წაილიღინა:

თანამომა ზერხით უნდა დათვაყ იცის ძენძელოო.

მანქანა შხივილით მიუშვა, გალია მაწინწარა და სულ რაღაც ხუთ წუთში ვარღისუბანში შეაგლო თავისი რაში. აქ სვლას უკლო და თანამგზავს მოუბრუნდა.

— ცხოვრება მდინარეა, ჩვენ მგზავრები ვართ. ვისაც საყუთარი ნაგი არა აქვს, ის მენავეს არ უნდა წაეჩაბოს. ხუთი წელიწადი ხუთი პურის ჭამა არ არი.

— ისე ლაპარაკობ, თითქოს საიქიოს წავსულოყავ. ცოტა ხნით გვეგრედმეტი ფიქრე, მანამდის მოხსნიანმეტიქონემდე დებობებზე ხალხი მალე იცვლება, მაგრამ, ეტყობა, ზევიდან წელი მავარი აქვს.

— ნუ გეშინიან, მავასაც მალე შეუდგება წყალი. ქვეყანაზე ორი ადგილიც არ მეგულდება, რომ ორასი წყვილი თვალი სათავისოდ არ ზომავდეს და იმდენეც ნესტო არ ყნოსავდეს. მაგრამ მანამდე უსაქმოდ ხომ არ იქნები, ჭერ ვერაფერი იშოვე?

— შოვნა ძნელია, თუ მშოვნელიც ცოტას ცდილობს. მანქანა მინდოდა მეყიდნა.

— გამოვინინებ.

— მართლა?

— ნამდვილად.

— ეგრეც ვიციოდი. ამიტომ მინდოდა შენი ნახვა, მაგრამ ჭოლისპირს ეხლა იგრე ვერადები, როგორც ნებში გასული ჯობს.

კუპრაქამ მარცხენა ხელით საქე გაასწორა, მარჯვენა სავარძლის საზურგეზე ჩამოლო და კისერიც უკან მოიღრიცა.

— სულ ტყუილად კი.

— მიზეზი მაქვს.

— შენ იცი, უმიზეზო ქვეყანაზე არაფერია. მანქანას გამოვინინებ, მაგრამ ხალტურა არ იფიქრო.

ახალგაზრდამ ქუდი მოიხადა და თავის გვერდით დააგლო.

— დღესღღობით დასაშვებად ვთალი, მერე ვნახოთ, ღმერთი რას მოგვეყმს...

— არ გინდა, სახელს გაიფუტები.

ახალგაზრდას გაეციინა.

— რაც ახალი აშენებული სახლები დამხვდა, ვიკითხე და ყველა შოფრისა აღმოჩნდა.

— ეხლა ახალ სახლს თითქმის ყველა იშენებს. სისულელეს თავი გაანებეთუ გინდა, რომ იცხოვრო, ან რამე თანამდებობა უნდა გქონიქს, რომ შენი ეშინოდეთ და სქირდებოდე კიდეც, ან უნდა ივაქრო. თანამდებობაზე შენ ვერ დაჯდები, რადგან არც სამავისო განათლება გაქვს და არც ვინმე ბიძა გყავს,

რომლის ყურადღებას ყოველგვარ დიპლომაზე შეტი ფასა აქვს. განა ვერ გაუძღვები და იმიტომ? — არა, იქ მოხვედრია, ძნელი, თორემ გაძლოდა ადვილია. მეც შენისთანა „ნასწავლი“ ვარ, მაგრამ მინისტრად რომ დამსვანი, შეიძლება საქმე კარგად ავაწყო. მთავარია უფლება და საშუალება.

კუპრაძა სოფელს გასცდა, მერე თანამგზავრს ცვლავ მოუხედა და გაიცინა.

— თუშცა, მე რომ იქ მომახვედრონ, მთელ სამინისტროს დაეხურა დი და შიგ ერთი კაი რესტორანს გაეხსნიდა.

მანქანა თავდაღმართზე დაეშვა, გადარკრა თურღოს კალაპოტი და რუისპირში შევიდა.

— აი, ხედავ? ორიდან რაკი პირველზე ვერ მოხვდები, თავისთავად ცხადია, რომ რჩება მეორე, — უნდა იფაქრო. გახსოვს, იმ ერთი ღარიბი კაცის ამბავი, ერთი ქილა ერბო რომ იბოვა? ყველა დაცინის იმ უბედურს, მე კი არასოდეს არ დამაცინია. მხოლოდ ეგ იყო, ფიქრებში გადავარდა. როგორ გგონია, რომ არ ვასტეხობდა ის ქილა, როგორც მომავალი საქმეები დააწყო, არ გამდიდრდებოდა? ეგრეა, ძმაო, პირველ რიგში უნდა იფრთხილო, ქილა არ გაგიტყდეს. აი, შენ ფიქრობ, რომ ვაჭრობა სცადე და არ გამოგივიდა. დაფნის ფოთოლი? ფუი! იმას, რაც დიდ რისკთან არი დაკავშირებული, ყოველთვის ერიდე. რა სჯობია: არსად არ დაწინწალებ, სახლში რბილად, თბილად ხარ და ფული კი მოდის. აქ ერთი კორესპონდენტი იყო ჩამოსული. დღეს წავიდა თბილისში. სადგურში მე ჩავეყვანე და ეხლა სწორედ იქიდან მოვდივარ. ჩვენთანაც მოვიდა კოლმეურნიებაში. გაზეთისთვის მასალებს აგროვებდა. უფრო კი სურათებს იღებდა. — ესეც გაზეთისთვის უნდოდა. დაბეჭდა უამრავი სურათი და მერე თითო ცალი ხუთ-ხუთ თემნად კოლექტივის წევრებსვე მიჰყიდა. წევრები არ იღებდნენ. გლეხს, ხომ იცი, როგორ უყვარს ფული და როგორ ეზარება იმისი დახარჯვა. გლეხი ხელმოშვირნეა: ოღონდ ფულს ნუ დაახარჯენებ და თუ

გინდა წავა რიყეში და დედამამალქვას გადავიჩვეს. ეზარებოდათ ფულის მიცემა, მაგრამ თავმჯდომარე ქუთხრა: გინდა აიღეთ, გინდა არა, მაინც განაწილების დროს დაგიკავებთო. და აიღეს. ხედავ? კაცი კორესპონდენტი და ვაჭრობს.

კუპრაძა ისევ რბილ საზურგეზე გადმოწვა და მოწყურული თვალებით ჩაიციანა.

— იმას ჩემთვისაც უნდოდა კბილის მოსინჯვა, მაგრამ ნემსს სადგისი დავუხვედრე და მომერია. ან ძალიან არიფი იყო, და ან ძალიან გაქნილი ვინმე. უფრო კი არიფი უნდა ყოფილიყო. განა მარტო ფული წაიღო?.. ეგრეა ძმაო, თუ ფული გაქვს, კაი კაციცა ხარ, პატიოსანიცა. მე ერთ კაცს ვიცნობ, ლექტორია, აქვე ასწავლის უმაღლესში. მაწინწრის განაპირას ცხოვრობს და ყოველ დილით ფეხით მიდის ერეკლეს სასახლემდის ლექციებზე. სტუდენტების გარდა ზედაც არავინ უყურებს. ვართანა ხომ იცი? — იმას ხუთი კლასიც არ გაუთავებია და ქვეყანა ქუდს უხდის: ვართან სარქისოვიჩს გაუმარჯოსო. ის საწყალი კი, ყოველ დილით ფეხით დალაყუნობს ქვაფენილზე. მოიფიქრონ და ასფალტი მაინც დააგონ, სანამ უფალი მიიბარებს.

— მანქანას სად მიშოვი?

— ნათლიაშენი ჰყიდის. კარგი ნახშირია, მთლად ახალია.

ახალგაზრდას სახე წამოენთო და უკმეხად მიახალა.

— მუქთად რომ მომცეს, მაინც არ ავიღებ.

— გაგაჭერა?

— გალღეტა მომინდომა.

— რა მინდაო?

— ჩვენთან მოდი, კოლექტივშიო.

კუპრაძა მიბრუნდა, საქვს მეორე ხელი შეაშველა, შუა გზაზე გამდგარ გაონჩებულ ცხენს გვერდი ფრთხილად აუბრა და მოუბრუნებლად უთხრა:

— ვახტანგ, ძია ნიკომ რომ რიყეში ჯოხი დაუტრქოს და გითხრას, ამას უყვარაულეო, შენ მაშინვე გაიქეცი, თოფი

აიღე, ნაბადი იშოვე და გვერდით მოუწევი იმ ჯონს, იცოდე, რომ ხეირია.

— არამი იყოს მამაჩემის ამაგი იმაზე.

შოფერმა საქვეკვლავ გაასწორა და ჰარჯვენა ხელი ისევ საზურგეზე გადმოლო...

— მამაშენიც კაი კაცი იყო და ნათლიაშენი ნაკლები არ არი. ამ შემოდგომიდან ერთ საქმეს იწყებს და სანდო კაცი სჭირდება. მე მითხრა, მაგრამ სასადილო ვარჩიე ისევე. შენზე ვუთხარი და ჰქუაში დაუჭდა. შენ კი დაქარა ფეხი და გამოიქეცი იგრე, რომ ბოლომდის არც კი მოუსმინე დაიცა, დაიცა, მე ყველაფერი ვიცი- აი, რა არი: უნდა, რომ თელავში ჰალისპირის საკოლმეურნეო ღვინის წერტილს გახსნას, კოლმეურნეობა ღვინოს მიაწვდის, ის კი ივაჭრებს. იქ ვინც დადგება, კოლმეურნეობის წერტილი უნდა იყოს. პატრონი მოუქედეს, — ვინ გითხრა, რომ თოხი და ბაბი აიღე? დადგები დახლში და ფულს დაიოვლი. კაცი გეყოლება და მუშტარს ის გაისტუმრებს.

ახალგაზრდა სავარძლის ზურგს მიეყუდა და კარგა ხანს იყო ფიქრებში წახული.

არც შოფერს ამოუღია ხმა.

მანქანა მსუბუქად მისრიალებდა მორუხო-შაბიანისფერ გზატკეცილზე. დროდადრო შემხვედრი მანქანებიდან თავს ყოფდნენ შოფერები და ღიმილით ესალმებოდნენ კუბრაქას.

ვახტანგი ფიქრებიდან გამოერკვა, წინ გადაიხარა და თითქმის ყურთან უთხრა.

— მერე რა ყრია მაგაში? რა ვენახები აქვს ჰალისპირას? თითონ კოლმეურნეობას იმდენი არ მოსდის ყურძენი, რომ თავის წვერებს ღვინო ამყოფონოს და გასაყიდი რა უნდა ექნეს? ნწ! ხელს არ მომცემს!

კუბრაქა მობრუნდა და მეგობრის მიუხედავლობა გაიოცა.

— შენც იტყვი რაღა, ფულს ვატრიალებდიო. ჩურჩუტ! ჩემი სასადილო რა სასადილოა და ან თელავის ვაჭრობა რას მამარაგებს? ორიოდ კონსერვს გადმო-

მიგდებს და ხუთიოდე ნახევარ ბოთლიან რუსულ პურის არაყს, შენ იცი ეხლა, პანკისში რაღა მოედევარ?

— ეშმაკმა იცის შენი თავი, რატომ მიღიხარ?

— იმიტომ, რომ ზეგ ვეირაა, მუშტარი ბლომად მეყოლება და ხორცი და ბოსტნეულია საქირთ.

— მერე? — გაეცინა ვახტანგს, — სასადილო თელავისაა და პანკისი გამარაგებს?

— ეგრეა და რა გინდა? პანკისში კოლმეურნეობა არ იქნება, რომ ჩემი ფული არ ემართოს. ეხლა ავალ და ფულს მოვთხოვ. იმათ ფული არა აქვთ და ნატურით მიხდიან. მეც რაკი ხელი ვავუშარითე და თანაც ვადროვე, ნახევარ ფასში და ზოგჯერ უფასოდაც კი მომაქვს. ეს ყველაფერი სასადილოში მიღის და შემოსავალი, შენ მიხვდები, ვისი იქნება. აქ თელავს რა ხელი აქვს?

ახალგაზრდას თვალები აენთო და სმენა ფარას აღევნებული მგელივით დაძაბა.

— მერე მე ღვინოს სად ვიშოვი?

— აი, სულელი მანქანა რომ გექნება, მერე მთელი კახეთი შენ ფეხქვეშ არ იქნება? დრო შეურჩიე და იაფად იყიდე, მერე წყალი, შაქარიც ბლომად მოიმარაგე. ტანინს მე ვიშოვი. ერთი, რაკი გაკეთებას ისწავლი, მორჩა!.. ჯერ, შეიძლება, გაგიჭირდეს, მაგრამ გული არ გაიტეხო. მალე გააცივობენ და მერე საქმე თითონ აეწყობა.

— კარგი, მაგრამ, თუ ფული მანქანაში დავაბანდე, რილათი ვივაჭრო? ბევრი არაფერი შემომჩნია. გაბმული ვიყავი და იმაზე დავხარჯე.

— ფიქრი ნუ გაქვს, ძია ნიკო ჭკვიანია, დრომდე დაგაცდის და, თუ დაგაცლდა, იქნებ გასესხოს კიდევ.

ახალგაზრდა ყურებს არ უჯეროდა. სახე განათებოდა და თვალბზიაც უცნაური შუქი ჩასდგომოდა. მერე გადაიხარა და, თითქოს სმენას არ ენდოო, იკითხა:

— ატვეჩაი შენა ხარ, რომ ეგრე იქნება?

შოფერმა სქელ, გაწითლებულ კისერზე გაიღინა ტყლამანი.

— ამაზე იყოს!

— მაშ, დაჰკა ხელი!

და მეგობრებმა ისე მძლავრად დასთბლიშეს ერთმანეთს მარჯვენა ხელის გულელები, რომ კუბრაჰუს საკე გაუწრუღდა და კინალამ ღობეში არ წაყოფინა ცხვირი მანქანას.

5

სამიოთხი თვე იქნებოდა, რაც ქალისპირში კინო არ მოეტანათ. ამიტომ არც ვინმეს გააკვირვებია, როცა წყაროზე, შამრელაანთ ღიდ კაკალზე და მალაზისთან გაკრულმა აფიშებმა საღამო ხამს თითქმის მთელი სოფელი საბჭოს ეზოში შეჰყარა.

მას შემდეგ, რაც კლუბი დაანგრძეს, საბჭოს აიგინა შუა გადატახტეს, ერთი ნაწილი კედლებით შემოზღუდდეს და ოთახად აქციეს. ნასყიდა უნდომლად, მაგრამ აუცილებლობის კარნახით, აქ გადმოსაზღდა, ხოლო ოცდახუთმეტრიოდე კედლრატულტი მეტრი მოცულობის ძველი კაბინეტის კლუბად იქნა გამოცხადებული. ბიბლიოთეკისა და კლუბს შუა კედელი გაანგრძეს, შიგ კარი შეაბეს და ამით ეს ორი კულტურის სვეა ერთი მხორჩს დაუკავშირეს. საბჭოს სამდივნოსა და საერთო ოთახში განავალი ერთადერთი კარი ჩაკეტულ და გაუქმებულ იქნა, ამიტომ „კლუბში“ მოხეღრა მხოლოდ ბიბლიოთეკიდან შეიძლებოდა.

ჭერ არ იყო მოსულა. მოძრავი კინოდანადგარი თელავიდან და ხალხი ჯგუფ-ჯგუფად გაფანტულიყო ბანტის ქვეშ და ეზოში. იდგა ერთი ყუყანი, სიცილ-ხარხარი და უკბილო თუ კბილიანი ობუნჯობანი.

ნასაბერი უხმაუროდ დაძვრებოდა ამ გროვეს შორის და ბიჭებს არიგებდა: ბილეთებს საშკითხველოს ფანჯრიდან გაჰყიდიან ისევ და მარჯვედ იყაიითო.

შეშის ფარდულთან მყოფ მასწავლებლიგბს რუსულანი გამოეყო და ეზოში შემოსულ მაქსიმს წინ დაუხვდა.

— რაზე მოიკალ დღესა და გუშინ თა-

ვი იმ სიმიინდში? დღეს სახლში პურის საკმელადაც არ შეგვღვრეს, კენკნულს.

— შენ რა იცი? — გაუღიმი მაქსიმს.

— კერძი ისევე ხელუხლებელი დამხვდა, როგორც დაგტოვე.

— ამ საღამოთი გაახელი. უფრო გემრიელიც იყო. გუშინ კი იცა, რუსულან, სად ვიყავი?

— რა თქმა უნდა, სიმიინდში.

— ოლოლო შენ! ვერ გამოიციან!

— როგორ, სიმიინდს არ თობნიდი გუშინ?

— სიმიინდს კი ვთობნიდი, მაგრამ ქალისპირში კი არა, ლაფანყურში.

— ლაფანყურში რა გინდოდა გუშინ, მაქსიმ?

— განსოვს, რუსულან, შარშან რომ გითხარ, ჩვენს მეზობლად ჰყავთ ცხვარი ლაფანყურელებს და ერთი კაცი დათემა დაგლაჯა-მეთქი?

— თითქოს გამოგიცა.

— იმ კაცს მარცხენა ხელი მოაქამა ნადირმა და, რაც დარჩა, სულ მიამაზედ. კარგი ამხანაგები ვიყავით, ცხვარს ერთად ვმწყემსავდით და ჯიხვებზედაც ერთად დავდიოდით. გუშინ სანახავად ავედი და იმისმა საცოდლობამ გული მომიკლა: თობის ტარისბოლო ქამარში გაეყარა, მარჯვენა ხელი ხელი შოკში ჩაეღვლო და ისე სთობნიდა სიმიინდს. რა უნდა მექნა, რუსულან, ავდექი, წავართვი თობი და მე დავეწყე თობნა. რალა დაგიმლო, დღესაც იქ ვიყავი, მოადრებით გავეთავე და აი, ზედავ, კინოსაც მოვუსწარ.

რუსულანს გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა.

— როგორ, მაქსიმ, განა შენი გათობნილი არ არი ჩვენი სიმიინდი?

— რას ამბობ, რუსულან, სიმიინდი გათობნილი დამაბჭებლრე და მე მეკითხები?

ავრონომმა ხელები მკერდზე დაიწყო.

— მე დაგაბვედრე გათობნილი?

— აბა რა. იტრეა გულშოვდინედ გასუფთავებული, რომ ერთ ბალახს ვერ დაინახავ, წამლად რომ გინდოდეს.

— რას ამბობ, მაქსიმ, განა ის შენი გათობნილი არ არი?

— არა-მეთქი, რუსულან, არ დაკვირ-
ვებისარ, რომ სამი-ოთხი დღის წინან-
დელი ნაპოშეგარია? განა შენ არ გაა-
ოთხნინე?

— მე შავისთვის ვერ მოვიცალე, ნუ-
თუ მართლა შენ არ გაოთხნე?

— საოცარია, — დაიბნა მაქაში, —
თუ შენ არ გაოთხნინე, მაშ ვის ექავე-
ბოდა ხელები?

ქიშკართან მანქანამ დაიღმეველა და
შექვარები ხალხს მიანათა. ეზოში ძარა-
ხე შავ ბრეზენტგადაკრული სატვირთო
მანქანა შემოვიდა და მოსაუბრენი იქუ-
ლებული გახალა საუბარი შეიწყვიტათ
და გვერდზე მიმდგარიყვნენ.

— მოვიდა! მოვიდა! — აყვირდნენ
გოგო-ბიჭები და ბიბლიოთეკის ფანჯარ-
ას მისკდნენ რიგის დასაკაეებლად.
დატრიალდა ჩასაბერი და „სალაროს-
თან“ კინოდამ ხელახორა გამართა.

მაქაშიმა რუსულანს დაუბარა, შალე
შოვალო, და ისიც იქით გაიქცა.

ღარც უფროსებმა დაიზოგეს თავები
და მთელი ეზო ამ ბატარა ფანჯარას ისე
მოეხვია, როგორც ზის ტოტს ფუტკრის
ნაყარი. ხალხის მორევის შუაგულში
მოხვედრილი ერმანა პერანგემოხებული
ძლივს წელამდე აწეულიყო და მათ
მხრებზე იდაყვებით დაყრდნობილი
ძლივს აბრუნებდა აქეთიქით თავს უმ-
წიოდ. შოთას ერთ იმდენზე კადე დაგ-
რჩელებოდა კისერია, მაგრამ მაინც ვერ
მოეხერხებინა ფანჯრის საკმეღში შე-
ხედვა.

დაგვიანებული სოსო და ოთარი ეც-
ნენ ამ მოტორტმანე ლიანგს და რაკი
ვერ გაარღვიეს, მხრებსა და თავებზე
სცადეს შეხტომა. სოსოს მოუბერხდა
კიდეც, მაგრამ ორიოდ ნაბიჯის შემ-
დეგ, მის ფეხქვეშ თითქოს მიწა გაირ-
ღვია, წებოვან ქაობში ჩავარდნილი ზა-
ქივით ძირს ჩაეშვა და ბრბოში გაითქ-
ვიფ-გულჩინარდა.

შალე ვიღაცა აკივლდა, ვიღაცამ ვიღა-
ცას მუჭლუგუნი უთავაზა. გინების ოს-
ტატებმა სცადეს თავიანთი უნარის სა-
ხალხოდ გამომხეურება და ისეთი ორ-
ომტრიალი გაიმართა, რომ „უკავალრო“

ქალებს იმედი გადაუწყდათ კლუბში მო-
ხედრისა.

შოფერმა მანქანა მეორე ფანჯარას
თან მოხერხებულად გაიჩერა და ბილე-
თის მაძიებელნი მესერისკენ მიჰყუნა.
ფანჯარა გააღეს და შიგ დენას განტარე-
ბი გაატარეს. შექანიკოსმა ოთახში ხმო-
ვანი აპარატი შეიტანა და კედლის გა-
სწვრივ გაყოლებული გამტარები შეუ-
ერთა.

საიდანღაც, თავ-ბოლოში ორ-ორფეხ-
გაყრილი გრძელი ფიცრები მოატანეს
და კლუბშიმდგარ დანაჩენ თანამოძ-
მეთ მიუმატეს.

ბიბლიოთეკის ფანჯარასთან მჯდარი
ლილი შესაფერი ღირსებით ითვლიდა
ჩაბარებულ ბილეთებს და აინუნშიაც
არ აგდებდა ხარბად მაქეერალ უამრავ
თვალს, რომელნიც ზელში აუღებლად
შეჭმას უქაედდნენ ამ სანატრელ განძს.

განზე გამდგარი ძია ნიკო გულგრო-
ლად უქეეროდა მისი ყურისათვის არც
ისე უჩვეულო განიას და თავისი მსუქა-
ნი ზელი საკმაოდ მსუბუქად მოეხვეინა
თავისი ქალიშვილისათვის.

— აიღე ზელი, მაში, ისედაც მცხელა, —
ეხვეწებოდა თამარი და თან თვალს აპა-
რებდა ეზოს თავში მდგარი პანტისაკენ.

— ხელავთ, ექიმო, — ისმოდა პანტის
ქვეშიდან, — ეგეთ დროს ხანდახან მა-
ინც იჩენს ბოლომე ჩვენში თავს ველური
ვნება, რომელიც ჩვენს წინაპრებს გად-
მოუციათ უხსოვარი დროიდან. თქვენ
ამბობთ, ოჯახის ბრალიაო, მაგრამ გა-
ნა სკოლას ნაკლები „ღვაწლი“ მიუძღ-
ვის ამ, რბილად რომ ვთქვათ, წიწვო-
ვლეჯვაში? და განა მართო სკოლას? აჰ,
ვოდერძი პაპის თქმისა არ ოყოს, სხვა
ჭორის ნალია ჩაფლული.

— მე რატომღაც მგონია, ჩემო რე-
ვაზ, რომ ტექნიკამ გაუსწრო კულტუ-
რას და ლამის მოახრჩოს კიდეც.

— არა, ექიმო, აქ სხვა ჭორის ნალია
ჩაფლული.

რუსულანთან არჩილი მივიდა და მიე-
სალმა.

— ოო, არჩილ, როგორ გვიან-გვიან

გამოჩნდები ხოლმე ახალ მთვარესავით,
— გაეხარდა ქალს მისი მისვლა.

— არა მკალიან, რუსუდან, გამოც-
დებისათვის ვემზადები.

— წელსაც ფილოლოგიურზე აპირებ
ჩაბარებას?

— მინდა, ერთხელ კიდევ ვცადო ბე-
ლი.

— საოცარია, მამაშენი ალლოიანია
და ამ საკითხში მკვირვებს მისი მიუხ-
ვედრებლობა.

ბიჭი მიხვდა ბალახი საით შრიალებ-
და და ჯიუტად გაიქინა თავი.

— არა, რუსუდან, მე მაგ სიმდაბლემ-
დე არ ფავეშვები, თორემ მამაჩემმა ერ-
თი-ორჯერ შემახსენა.

აგრონომმა განზრახვა მოუწონა და
მომზიბლავი დიმილით დაჩილდობულ-
მა ბიჭმა მეშვიდე ცას ჰკრა თავი.

წყვილს საშუალო ტანის გამხდარი
ქალი მიუახლოვდა და აღმფოთებულმა
მიაყარა:

— გაიგე, რუსუდან, რომ ახალი კლუ-
ბისათვის ჩვენი გაცხადებული ქვიშა ვი-
დაცას მოუპარავს?

რუსუდანმა თვალი შეავლო მოსულს
და გაუკვირდა: მაინცა და მაინც მე რა-
ტომ გამახარა ამ ამბითაო.

ქალს თვალის კილოები და ტუჩის კუ-
თხეები დანაოქებოდა, წვრილ, დამჰკნარ
ყელზე კისრის კუნთებს შუა თხელ კან-
გადაკრული ხორხი მოუჩანდა, ძველ
მოდურად შეკერილი კაბის ღია საყე-
ლოდან ლავიწის ძვლები თვალსაჩინოდ
ამოჩრაილიყო, ხოლო გაყნაბულ შიშ-
ველ მკლავებს და მზით დამწვარ ხე-
ლის ზურგებზე ძარღვები მამაკაცივით
დაბეროდნ. შეიძლება არც ისეთი ხნიე-
რი იყო, როგორც ჩანდა, მაგრამ გაუთ-
ხოვრად დარჩენილ პედაგოგთა იმ პლეა-
დას ეკუთვნოდა, რომელსაც ამერმა
სკოლის მერხზე და ინსტიტუტის კედ-
ლებში ბოლომდე მაინც არ გაუღიმა.

— ვის მოუპარავს? — ზრდილობი-
სათვის დაინტერესდა რუსუდან.

— არაჲნ იცის ვისა. წყლივიც კი
უთქვამს: მთელ დამეს მესმოდა მანქა-
ნის ბლუილი ბერხვეადანო.

— არა უშავს, ნუცა, — გული გაუ-
კეთა აგრონომმა პედაგოგს, ვინმე
ჰკვიანი მოიხმარდა. სანამ ახალი კლუ-
ბის აშენებას მოვისაზრებდეთ, მანამდე
მაგ ქვიშას მაინც წყალი წაალებდაო.

ახლოს გაიარა ვარლამმა. მან თვალი
დაკვირვებით შეავლო ქალეტანს მოსა-
უბრეს და აგრონომს თავმდაბალი სალა-
მი მისცა.

— გაგიმარჯოს, ვარლამ, მაგრამ მალა-
ზიაში რომ ახალი რამ გაჩნდება, რუსუ-
დანიც უნდა გაიხსენო ხოლმე.

ლამაზი ნოქარი ადგილზევე მოტრია-
ლდა და წელში მორჩილად მოიხარა.

— იშვიათად მოგვაციოთხავთ ხოლმე
და არც ამბობთ, რა გპირდებით. თორემ
თქვენთვის გაუჩინელს გაეაჩინო.

არჩილმა გაბრუნებულ ვარლამს მძე-
ლვარებით სავსე თვალი გააყოლა და მ-
სზე არანაყლებ სასიამოვნო მზერა მო-
პარვით გადაიტანა საიდანაც გამოიტ-
ყვრალ არამკითხე მოამბეზე.

მოვიდა საყელოგაგლეჯილი და ღი-
ლაწყვეტილი მაქსიმი, ორი ბილეთი მო-
იტანა და დამხედურთ მიესალმა. არჩი-
ლი მოიკითხა და უნდოდა ცხენსა და
სტადიონზე გახუმრებოდა, მაგრამ ქა-
ლებთან დაინდო და არა უთხრა რა. მე-
რე ბოლოში მოიხადა: არ ვიცოდი, თუ
თქვენც აქ იქნებოდითო, თორემ ორ ბი-
ლეთს კიდევ ავიღებდიო, და რუსუდანი
ააჩქარა.

— აბა, მალევე შევიდეთ, თორემ ყვე-
ლა კარგ ადგილს წინ შესულები დაიბე-
რენ და ჩვენ ეკრანის წინ მოგვიწვიეს ჩი-
მუხლები.

— მოიცა, სულელო, საყელო მაინც
გავისწორო.

— წავიდეთ, რა დროს საყელოა.
მაგრამ რუსუდანმა სამ ნაბიჯზე შეა-
ჩერა.

და რღვა ნატიფი თითები მეცხვარის
ყელს შეეხნენ, არჩილმა შეკავებული
ოხვრა უკანვე ჩაიბრუნა და გამწარებუ-
ლი გაშორდა ხელშიშერჩენილ პედა-
გოგს...

კინო უკვე დაწყებული იყო, როდეს-
საც შევლევო მოვიდა. ეზოში მანქანა
გუგუნებდა, კინომექანიკოსს დანადგარი

ფანჯრის პირდაპირ დაეყენებინა და უკვე გაშვებული სურათის გამართლებულ ჩარჩოს ასწორებდა ეკრანზე. მისი თანაშემწე იქვე ლენტეხის ყუთზე ჩამოჭდარაიყო და გულგრილად უგდებდა ყურს მანქანის მოხშირებულ დაგადღეს. ირგვლივ კი გარეთ დარჩენილი ბიჭუჭბები შემოხვეოდნენ და ცდილობდნენ შიგნით შექცეტას. ზოგი ფარდელის სახურავზე ასულიყო და ფანჯრის პირდაპირ გაწოლილიყო. ნაწილს კი, სურვილის აუხდენელობაში დარწმუნებულებს, ჭიდაობა გაემართათ.

შავლევომ იკითხა, ბილეთებს სად ყიდინაო და როცა ბიბლიოთეკაზე მიუთითეს, კარზე დააკაუნა.

ეტყობოდა, ჩაეკეტათ შიგნიდან და არაფერს გამოხმაურებია.

კიდევ დააკაუნა.

არც ახლა გაულაით ჩქამი.

— მაგარად, მაგარად, — ასწავლეს ბიჭებმა და შავლევომაც ისარგებლა ამ რჩევით.

კარი გაიღო და იქიდან მარკოზამ ისეთი მუქარით გამოიხედა, რომ კართან მდგომს კინალამ ზედ შეეფთა. უცებ შეჩერდა, მოსულს ახედა, უკან დაიწია და შიგნით ბოდიშით შეიპატოჯა.

— ვიფიქრე, ბიჭები თუ აბრაახუნებენ-მეთქი. მობრძანდით.

შავლევო შევიდა და იკითხა:

— სად ყიდინა ბილეთს?

— ბილეთი რაც იყო, გაიყიდა, კინოც დაწყებულია. აბა, ბიჭებო, კაცს გზა მიეცით. შიგნით შებრძანდით.

ბიბლიოთეკიდან კლუბში გამავალი კარი ჩაბერგილი იყო მაყურებლებით, მათ უკან სხვები დგებოდნენ ფეხის წვერებზე და ცდილობდნენ ცალი თვალი მაინც შეეველოთ ეკრანის კუთხისთვის.

უკან გაბრუნება დააპირა მოსულმა, მაგრამ წუთიერი ყოყმანის შემდეგ ისარგებლა დახვედრილთა ზრდილობით, რის ვაი-ვაგლახით შეიქცა შიგნით და უკან, კედლისკენ ფრთხილად დაიხია, რადგან მის ზურგს უკან არ დააყოვნეს უკმაყოფილო ბუზღუნნი.

ეკრანზე დარბოდნენ თოფავტომობილიანი ჯარისკაცები, ისოცებოდნენ იქვე, ოდნენ. დაბობლავდნენ, ფეხზე დგებოდნენ, ისევ გარბოდნენ და ისევ იქცებოდნენ. ცაში აღიოდა მიწის შავი სვეტები, იგლიჯებოდა მავთულხლართები, ანგრეოდა და ითვლებოდა დახლართული ტრანშეები, შიშვლდებოდა ჭერჩანგრეული მიწურები, პირიდან ცეცხლს აფრქვევდნენ შარში გამწკრივებული ზარბაზნები, ელვასა და მესხ ისროდნენ „კატუშები“ დროდადრო გამოჩნდებოდა ცალკეული ქვემეხი, რომელიც გასროლის შემდეგ უკან დაიხევდა და მუშტრის თვალით ამოწმებდა ნასროლის შედეგს. ჭრიალით, ღრიალით, ხრიალით სკდებოდნენ ჭურჭეები და ეს გაბმული გრიალი გარედან შემოსული დანადგარის ყურისწამლებ ტრატტრახთან შეერთებული, ერთ გაუთავებელსა და გულისსამრევე ხმაურსა ქმნიდა, რომელშიც ინთქმებოდა ბრძანების გაცემა, სასიკვდილოდ განწირულთა კენესა-გოდება, გამარჯვებულთა ყიყინა, დამარცხებულთა განგაში და ის ორომტრიალი, რომელიც თან ახლავს შეტევასა და უკან დახევას.

შავლევომ ეკრანიდან თვალი ოთახზე გადაიტანა და გაოცდა. საესე იყო „კლუბი“ ხალხით და შიგ წვირიც არ ჩავარდებოდა. სახელდახელთ სკამებზე მჭიდროდ ჩაწყობილიყვნენ, როგორც შეკვრაში თუთუნის ფოთლები. ვისაც სკამზე დაჯდომის ბედნიერება არ ხედომოდა წილად, ისინი სკამების აქეთ-იქით გამწკრივებულიყვნენ და ერთმანეთი მიესრისათ კედლებთან. ეკრანის წინ წვრილფეხობა დაყრილიყო იატაკზე და იქიდან ისე შეიყურებოდნენ ზვეთ, როგორც ქათამი წყლის დაღვეის შემდეგ.

ყველგან შეიმჩნეოდა ხელიების განუწყვეტელი მოძრაობა, რომლებშიაც ცხვირსახოცები და გაზეთები ეჭირათ.

უკანა რიგში ძია ნიკო გადახოჭრილ თავს წამდაღუწუმი იწმინდდა დაშბალი ცხვირსახოცით. ხანდახან ნება-ნება მსუქან კისერზეც შემოისევამდა, სიციხისაგან გასავათებული ამოიქმენდა და მეორე

ხელში დაჭერილ ქუდს ცხვირწინ ისე ზანტად აიჭნედა, თითქოს ბუხს იგერი ებსო.

და ოთახი ჰგავდა რაღაც უზარმაზარ ქვებს, რომელშიაც თავისი სურვილით ჩაყრილი ხალხი საეუთარი ამონასუნთქისა და ოფლის ოსწვიარში იხარებოდა.

უნებურად მიიხედა გვერდით და კედელს მიყუდებული აგრონომი იცნო. იგი თვალმოუშორებლად იცქირებოდა მოპირდაპირე კედლისკენ, სადაც ეკრანად უშნოდ მილტრსმული, შუაზე გაკერილი ძველი და გახუნებული თეთრი ფარდა ეკიდა. მხოლოდ ქალის მეზობლად მდგარი მაღალი ქაბუკი შემოპყურებდა ცნობისმოყვარეობით.

ქალმა უეცრად მეზობელს მიხედა და წარბშეკრულად უთხრა.

— წაივდეთ, მაქსიმ.

შავლეგომ სცადა ადგილი დაეგდო წინ მდგომსა და თავის შუა, მაგრამ აგრონომმა სხვაგან მოძებნა გასასვლელი და კედელს აკრულს ამაყად გაუტარა ახლოს მშვენიერი თმა და ყელკისერი.

ჭერ არც კი იქნებოდა რუსუდანი გარეთ გასული, რომ შედედებულ გუგუნგრიალში შუა ოთახში გაისმა მჭახე ჭახანი. მსხდომთა ერთი მწკრივი შეტორტმანდა, ძირს ჩაიკეცა და წივილკივილით აირდაირია.

შავლეგო მიხვდა, რომ სკამმა ვერ გაუძლო სიმძიმეს და ჩატყდა.

უმაღლე აყვირდნენ უკანები, რადგან უსკამოდ დარჩენილები ფეხზე წამოდგნენ და სულ დაფარეს სანახაობა. ატყდა გნაისი და ბოლოს, როგორც იყო აიძულეს ეს ახლადგაჩენილი ცოცხალი კედელი სკამის ადგილას ცუცქზე დამჭდარიყო.

ჭერ არც კი დამშვიდებულყო შეჩოჩოლებული ხალხი, რომ გარეთ დარჩენილებმა განხნეს შარაგისპირა ფანჯრის დარბაზები. გააღეს დაკეტილი ფანჯარა, რაფაზე ჩამოსხდარნი იატაკზე მსხდომთ გადმოაყარეს თავზე და დაიწყეს ერთი მეორის მიყოლებით განუწყვეტელ ნაკადად შიგნით ცვენა.

აწივლა-აივლდნენ ქვეშმოყვრილი პატარები, აიშალნენ უკანა რიგები, წამოხტნენ წინ მსხდომნი და ცემატყვიითა და გინებით სცადეს ამ ცოცხალი ნიღვრის შეჩერება, მაგრამ კონტრშეტევაზე გადასულთ შეშტევიბიც მაგრად დახვდნენ და თავისთავად შეირწყა ერთმანეთში ეკრანი და მაყურებელთა დარბაზი.

შავლეგომ ფრთხილად გაიარა ჩახერილი კარები და გარეთ გამოვიდა.

კინომექანიკოსი და მისი თანაშემწე მშვიდად და აუმღვრეგლად სცვლიდნენ ლენტს მანქანასთან.

ეზო გადაიარა და შარაზე გასულმა თვალი მოჰკრა, როგორ უშენდნენ კინოს გარეთ დარჩენილი პატარები საბჭოს ფანჯრებსა და კრამიტებს ქვების ყუმბარებს თავიანთი ჯიბის არტილერიით.

ხიდი გაიარა და რიყეს ჩაუყვა.

სახლში მისულს ბაბა დაწოლილი დახვდა.

აღრე იძინებს ზაფხულში გლეხაკი, რათა გათენებისას ცისკარს დაასწროს ადგომა.

დედა სამზარეულოში ფუსფუსებდა.

შავლეგომ ტაბურეტსა და ტაბტს დაავლო ხელი და ეზოში ჩაიტანა. ტაბურეტს საწოლს უმატებდა თავში მუთაქისა და ბალიშის დასადებად.

— ლოგინი ჩაიტა და გამიშალე, დედი, — გასძახა დედას და თითონ მეორე ოთახისკენ გასწია, რომელიც მის უფროს ძმას ეკუთვნოდა დაცოლშვილების შემდეგ.

ღია კარიდან პატარა საწოლში მიძინებულ თამაზს მოჰკრა თვალი, ხოლო რძალი ფანჯრის რაფაზე დამხოზილიყო და უხმო ქვითინისაგან მხრები უთრთოდა.

მაზლმა კედელს შეავლო თვალი, სადაც ჩვეულებრივ ძმის სურათი ეკიდა ხოლმე და ყველაფერს მიხვდა.

მერვე წელი ილეოდა და ცრემლებად დამღნარი ქალი ვერ შერიგებოდა ქმრის სიკვდილს. როგორც კი დროს მოიხელთებდა და იფიქრებდა, მარტო ვარო, მა-

შინვე ხსნიდა შეჩარჩოიან სურათს და ვულში ჩახტებულს ტირილით უყვებოდა მთელი დღის თავგადასავალს.

შავლეგო ფრთხილად მიუახლოვდა და შეჩერდა.

ისე ტკბილად, ისე ნაზად, ისეთი სიყვარულით ეჩურჩულებოდა ქალი, ალბათ, თავის წარმოდგენაში ცოცხალ ქმარს, რომ შესულს დაენანა და მხარზე ხელი ფრთხილად შეახო.

— კარგი, გეყოფა, ნინო, ხომ ხედავ, რას დაემსგავსე.

ქალმა დაყოვნებით აიხედა ზევით და თავზე წამომდგარი მახლი რომ დაინახა, კარგა ხანს უცქირა ცრემლით დაბინდული თვალებით, მერე წამოიწია, წამოვდა, ჭერ სურათს დახედა, მერე მას შეხედა და როდესაც ქმრისა და მისი ძმის სახეს შორის სრული მსგავსება კვლავ დაინახა, ვეება მკერდზე მიადო თავი და ისევ აჭვითინდა.

— კარგი, ნინო, შეიბრალე დედაჩემიც. ახლა რომ შემოგისწროს აგრე, მერე ევლარც გაეაჩერებ. ხომ ხედავ, შენც რას დაემსგავსე, როგორ გახდი და დაილიე. ცოდონი ხართ, შენცა და ისიც.

— ოჰ, შავლეგ, რატომ არ დამცალდა ერთი წელი მაინც ბედნიერი ვყოფილიყავი, მხოლოდ ერთი წელი. რა იქნებოდა, დამცლოდა. დედაშენმა შვილი დაკარგა, გოდერძი პაპამ — შვილიშვილი, შენ — ძმა, მაგრამ ქმარი სხვა არი, შავლეგ, სულ სხვა, შენ ვერ გაიგებ, სულ ვერ გაიგებ. მხოლოდ მაშინ გაიგებ თუ ოდენსე დაქარგავ იმას, რომლის დაკარგვითაც ყველაფერს ჰკარგავ, როცა სიცოცხლეს აღარა აქვს ფასი და აღარც რაიმე გაკავშირებს ამ ქვეყანასთან.

მაზლმა ფრთხილად მოხვია ხელი, მავიდასთან სკამზე ფრთხილადვე დასვა.

— ცოდოა, ნინო, დედაჩემიც, არ შემოვიდეს და ცრემლიანი არ დაგინახოს. აი, შეხედე თამაზს, იმანაც აგრე იცოდა ხოლმე ძილი. ხედავ, როგორ ვადაუყრია ხელუბი აქეთიქით, თითქოს ცა ქუდად არ მიაჩნდეს. აბა, შეხედე, სულ თავისი მამის ნაჭერია, დააკვირდი მაგ-

რად მოკუმულ ტუჩებსა და წარბებს აბა, წარაეცა დააკვირდი. სულ მალე შეუბლის შესაყართან დაყრილი ბუსუსი გაეზრდება და ამასაც იმასავით გადაეგმება წარბები.

ნინომ თავი აიღო, პატარა საწოლს შეხედა, ერთ ხანს უცქეროდა უზომო სიყვარულით საესე თვალებით და მერე ღიმილის მაგვარი აღებეჭდა ქალწულეზრვიად საესე ტუჩთა კუთხეებში.

შავლეგომ იდროვა, მკერდზე მიხუტებული სურათი ფრთხილად გამოართვა და ისევ კედელზე დაჰკიდა.

გარედან მოესმა დედის ხმა: ლოვინი ვაშლიღაო.

— თავს გაუფრთხილდი, თამაზს ჭერ კიდევ კარგა ხანს დასჭირდება, — მობრუნდა, ნებიერად გაწოლილ ძმისწულს შეუბლზე ფრთხილად აკოცა და ვარეთ გავიდა.

რა შეედრება ზაფხულის ღამით ვარეთ მყუდრო ეზოში წოლასა და ძილს: ბალახი ნელა და სასიამოვნოდ შრიალებს, კრიკინები თავიანთ გაბმულ კოანურს აკუნესებენ, რიყიდან წყალხმელეთა ცხოველთა გამყივანი ხმები იბნევა ზეცის თავანში, პაერში რუხი ღამურები რიალებენ ოკრობოკროდ, საიდანაც ისმის ღამეულ ფრინველთა ჩუმი სტენა და ფართხუნი, დროდადრო ენაქარტალა ნიავი ფოთლებში დამერება და კორიკანობს, სადღაც ბაღში ეზოს ერთგული დარაჯი ხის ქვეშ მოთარეშე ზღარბს უყეფს ნაწყვეტ-ნაწყვეტად. მთვარე თავისი გრილი სხივებით ვერცხლისფერ შექს აღვრის შემოგარენს, ვარსკვლავები რაღაც დიდებულზე, რაღაც მიუწვდომელსა და იღუმალზე ქრიანლებენ უსასრულობაში. ირგვლივ სიცოცხლე დულს, ირგვლივ სიცოცხლე ჩქეფს, მთელი ირგვლივეთი გაფლენითილია სიცოცხლის განუზომელი წყურვილითა და ნიშატიო. დუღუნებს, ჩუჩუნებს, ბუბუნებს, შრიალებს, ჩხრიალებს, წრიალებს და ხმაურობს, მაგრამ ვარშემო მაინც ისეთი სიჩუმეა, რომ გუბეში ბაყაყის ჩახტომა ლოდის ჩავარდნად მოისმის.

კარგია ძილი ზაფხულის დამით ეზოში! მაგრამ შავლეგოს რული არ მიკარებია და ლოგინს ზემოდან გულადმა გაშოტილი თვალგაბელილი დაძვრებოდა ფიქრთა ხვეულებში.

როგორ გამოცვლილა ჰალისპირი, როგორ გადასხვაფერებულა. ნუთუ უცრად მოხდა ეს ცვლილება? არმიოდან დაბრუნების შემდეგ პირველად დაინახა, რომ სოფელში თითქმის არ შემოუხვლია. უნივერსიტეტში შესვლის დღიდან იანერის არდადეგებს საჯარო სამკითხველოში ატარებდა, ხოლო ზაფხულისას — მთებში, შინაურების სანახავად ჩამორბენა ერთი-ორი დღით ანგარიშში არ შედიოდა. და მიხვდა, რომ ომმა არ მარტო ტექნიკასა და ეკონომიკაში შეიტანა ცვლილება, არამედ აღამანის ფსიქიკაშიც. ახალგაზრდობა ეს იმედი და სასოება წინა თაობათა, ეს ბურჯი და ლიბო ჩენი მომავლისა!.. და რას აკეთებს ახლა ახალგაზრდობა? ნუთუ მხოლოდ იმას, რასაც შავლეგო საკუთარი თვალით ხედავს და საკუთარი ყურით ისმენს? ბევრის მაუწყებელი იყო დღევანდელი საღამო და საბჭოს ეზოში შესვლა... მაგრამ რა მიზნები და ვინ წარმოათავს მათ მოქმედებას? ვინ პატრონობს და ხელმძღვანელობს მათ ამ მერყევ ასაკში? თითქოს მზრუნველი ხელი არსად არა ჩანს და თვითდინებაზე მიშვებული მათი ძალა და ფანტაზია...

რადაცაშია მართალი გოდერძი ჰაბა. ერთობ ჰკვიანი ბოქი დამდგარა რევაზი. განა ტყუილად სინჯავდა მის ხელს ცემენტის თაღართან? როგორი თვალი გააყოლა საბრალო ზურჯას, როდესაც ის სასხურებელი აპარატის ქვეშ იკეცებოდა და მერე როგორ შეავლო თვალი შავლეგოს...

ეს მშვენიერი აგრონომი? ცოტა ზრდილობაში ხომ არ აჭარბებს? იქნებ იმ პატარა, ჰყანტობში გათამაშებული სცენის მოწვეობისათვის უხდის?.. სიინტერესოა, ვინ იყო ის ახალგაზრდა, კლუბში რომ ახლდა?...

ჰოო, ცხენი კი, ცხენი შესანიშნავი ჩანს ასეთი ცხენი და გუთანნი?.. ერთი კიდეც უნდა ესტუმროს ექიმს, რატომღაც გული მიუწევს ამ უცნაური კაცი საკენ. ძია ნიკოც რაღაც სხვანაირი ეჩვენება... იქნებ თითონ შავლეგოა გამოცვლილი? საბრალო საბედა, სახლი თავზე ენგრევა, შესაქეთებელია, ახალგაზრდობა კი აშენებულს ამტერევეს, ანგრევეს და ქვას უშენს... არა, საღდაც რაღაცაა გაფუჭებული, საღდაც რაღაცაა მოშლილი, საღდაც რაღაცაა საჭირო.

ქარი რომ არ უბერავდეს, ტოტიც არ გადაიბრებოდა...

თავი მერვე

უამრავ საკითხებს მოეყარა თავი გამგეობის კრებაზე. გულისყურით იქექებოდა თავმჯდომარე უთანაბრო ქალაქების გროვაში და მერე ისევ გვერდით მჯდარ თედოს უყრიდა უკანვე.

პირველ რიგში კი ნაყანობების გაწმენდა იყო საჭირო, რათა ტრაქტორებს საშუალება მისცემოდათ სახნავად შიგ შესვლისა.

აგრონომი გადატუსვის წინააღმდეგი იყო, გათიბვა კი არ მოხერხდებოდა, რადგან ისედაც არა ჰყოფნიდათ მუშა ხელი: შრომადღებების გადახარჯვას გამოიწვევდა და თანაც პირიმზისას მთაზე ბალახი უკვე შემოსულიყო.

ძია ნიკო დაფიქრებით წამოღვა, თავისი მაგიდის გასწვრივ რამდენიმეჯერ დაარტყა ბოლთა, მერე გამგეობის წევრებს, ბრიგადირებსა და იქ დამსწრე კომპიუტრის მოავლო თვალი და მზერა რუსულანზე შეაჩერა.

— მა რა ვქნათ, შეილო, არ დავიწყით საანეულო ხენა?

აგრონომს, ეტყობოდა, აქამდეც ეფიქრა ამ საკითხზე, შექმნილ მდგომარეობასაც ანგარიში გაუწია და დაუთმო.

— ნამკალი გადაეტუსოთ დიდ მუხასთან, ისიც მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ძლიერ არის დასარეველიანებული და კომპანიმაც ძირში ვერ აიღო. დანარჩენზე კი ვერ დავეთანხმები, რადგან

თქვენთვის არა ერთხელ მითქვამს ტუ-
სვის მავნე პრაქტიკაზე. უკეთესია და,
ჩემი აზრით, აუცილებელიც, რომ ნაწ-
ვერალი მიწაში ჩაიხნას და იქ ჩაღვს.

— გადატუსვით ხომ სარეველები ის-
პობა, განა ამას სარგებლობა არ მო-
აქვს?

— მართალია ისპობა, მაგრამ ზოგიე-
რთი მავნე ბალახის თესლმა მაინც შეიძ-
ლება შეინარჩუნოს აღმოცენების უნა-
რი. ნიადაგი კი ტენს კარგავს, იფიტება
და უარესდება. რატომ არ გამოგონეთ
და კომპაინს კულტივატორი არ მოა-
ბით? კარგი იყო „ ПБД “ ფარცხიცი, აი,
საშრობის გამგე აქ არის, აბა, ჰკითხეთ,
რამდენი ტონა ხორბალი მივიღეთ წელს
და ჰექტრებზე გადაიტანეთ. უთხარი,
ლეო, გამგეობას.

— აბა, რა ვიცი რამდენია, — უწაღი-
ნოდ წამოდგა საწყობის გამგე. — მე
იმასა ვწონი, რაც ჩემთან მოდის. სოფ-
ლის ბოლოს კომპაინი სტაციონარზე
დგა და ისევე ლუწავს, ორი ფთაქვეული
კიდევ არიო, ამბობენ. წარაფებში კი კა-
ლოები კიდევ აბია და დღევანდელი გა-
ნაღწევი არც კი ჩამოუტანიათ. აბა, რა
ვიცი!

— მე ვიცი. მე დავიარე სოფლის ბო-
ლოებიც, წარაფებიც და ალაზნის პი-
რიც. ისიც ვიცი, რამდენი მიიღო საშ-
რობმა ხორბალი. ვიანგარიშე და ჰექ-
ტარზე დაახლოებით შეიღ ცენტნერი ნა-
ზევარი მოდის.

— მეტი რა გინდა? — გაუკვირდა სი-
ვოს, — შარშანდელზე ნაკლები არა ყო-
ფილა, ყანებიც კარგი იყო წელს, ამინ-
დებიც კარგი ჰქონდა და მოვიდა. შარ-
შანწინ შეიღო ცენტნერი მივიღეთ ჰექ-
ტარზე. მაშ როგორ გინდა? განა დატო-
ტილი თავთავია, ოცდახუთი მივიღოთ.

— სანამ მთლიანად დატოტივს გა-
ვარცელებდეთ, სიკო, შანამდევ საჭი-
როა მეტი ხორბალი. ბევრი ერბო ჭურ-
ქელს არ აფუჭებს, — რევანი კუთხეში
შესწორდა სკამზე, ფეხი ფეხზე გადაი-
ღო და მუხლზე ვეება ბელები შემოისა-
ლტა.

— მია ნიკომ მოუბრუნებლად ცალი წა-

რბი ასწია და მარჯვენა თვალს საშუა-
ლება მისცა იქით გაეხედნა. მერე აწიღო
თავი და წუთით უცქერდა ჰქარხე ნა-
თურის პირდაპირ ლამაზად დახატულ
ტრაფარეტს.

— კარგი, ეგრე იყოს, — ირიბად გა-
დაკვეთა კაბინეტი მზერით ჰერიდან ფა-
ნჯრის პირამდე და რუსუდანს დააკე-
რდა: — დიდ მუხასთან გადავტუსოთ,
დანარჩენზე კი მე ვიზრუნებ შიგ ტრაქ-
ტორისტების შესასვლელად.

— მხოლოდ გზისა და კუნელს შუა-
დასაჩვენებელი ადგილი გადაი-
ტუსება. იქ მართლა მაღალია მოპკილი
ნაშჯა, — ქალი მტკიცედ უსწორებდა
თვალს.

— კარგი, — უცებ მოსჭრა თავმჯდო-
მარე, — ეს საკითხი გადაწყვეტილია,
ოღონდ, რაც შეიძლება, მალე უნდა იქ-
ნეს გამოზიდული განალეწი ნაშჯა ნამ-
კალიდან, — გაბრუნდა და თავის სკამზე
დაჯდა.

— ერთ ბრიყვულ სიტყვას ვიტყვოდი,
ნიკო, — დინჯად წამოდგა დაბალი, სა-
პურწყლე ქვაბივით განიერი და უსან-
დომო სახის კაცი.

— აბა, რა გინდა, ელიზბარ?

— მაგ ნაშჯას იქვე ნულარ დავდგამთ
ნაკვეთის პირებში. ავდგეთ და, რაკი
ხარჯს ვეწევით, პირდაპირ აქ ამოვზი-
დოთ გომურთან.

გამგეობის წევრებმა თავმჯდომარეს
მოუხედეს და გაირინდნენ. მხოლოდ
რუსუდანმა დაირტყა ხელისგულზე მო-
კეცილი მათრახი და მაშინვე მოიწონა.

— სწორს ამბობს ფერმის გამგე, შა-
რშანდელი ნაშჯა გამველე-გამომველე-
მა წაიღო და ზამთარში უხეში საყვები
დაგვაქლდა. კარგს ვიზამთ, თუ წელს მა-
ინც მოვიქცევით ჰკვიანურად. ვერტქიმი
მართალი იყო, როცა ვსაყვედურობდათ
მაგაზე. გაზაფხულზე პირუტყვის დაცე-
მა აგრე რიგად აღარ იქნება!

— თანაც ორ კურდღელს მოვკლავთ
ერთად. ზამთარში აღარ დავგვირდებ-
ხელახალი ხარჯის გაწევა მინდვრიდან
გომურთან ამოსახიდად, — რევანმა ფე-

ხი გამოცვალა და ახლა მეორე გადაიდო მუხლზე.

თავმჯდომარე კარგა ხანს იჯდა ჩუმად და უცქეროდა მაგიდაზე დალაგებულ ხელებს.

— განა სტყუი, ელიზბარ, — აიღო თავი ბოლოს მია ნიკომ და ფერმის გამგის ჩოფურა საზე მოათვალიერა, — განა სტყუი, მაგრამ ესლა მანქანებიც მოუცლელია და ურმებიც, რიდათი უნდა ამოეზიდოთ?

— მანქანა არ მინდა, კამეჩები არიან და ერთი ორი ურემიც რომ გვექონდეს, გამოვიტანდით.

თავმჯდომარემ თვალი ოდნავ მოხუჭა და კარის თავზე დაუწებავ შპალერს ჩააცივდა.

— ურემს მოეგლება. ლევანა ხვალ მოათავეს ხერხვასა და ორი საძნე ურემი გვეჭირდება კიდევ, — უცებ მოსწყვიტა მზერა კარის თავსა და ფერმის გამგეს პირდაპირ შეეკითხა: — ხალხს სად ვიშოვით?

— შენ ურემი მომეცი და ხალხს მე ვიშოვი.

მია ნიკომ გამოცდელი მზერა მიაბყრო ელიზბარს.

— კარგი, მხოლოდ ნაკვეთების ნაბირზე მაინც დაგვეჭირდება სახელდახელოდ ბულულების გაზიდვა. ხენას არ ეღალატება, — და ისევ წამოდგა, — ესლა კი საქირთა სათესლე ხორბლის დროულად გადაჩრევაზე ვიზრუნოთ. ტრიერი მთლიანად მაინც ვერ ასუფთავეს, ერთი ხუთიოდე დედაკაცი უნდა დავსვათ და ხელით გადავარჩეინოთ. დროზე დავაბინაოთ ბარემ და მაგისი დარბაზი მოვიშოროთ თავიდან.

— მხოლოდ იმ საყდარში ნულარ შევინახავთ, თორემ ისევ აკურასა და ახალსოფელში დაგვეჭირდება თესლის ყიდვა შემოდგომაზე.

— აბა, რა ვქნათ, შვილო, სხვაგან სადა გვაქვს ადგილი? უნდა გავუფრთხოვდეთ, სხვაგან სად წავიღოთ?

— ბედელია საქირთა, ბედელი უნდა ავაშენოთ. მშრალი ბედელი, რომლის ჰაერიაცა შესაძლებელი იქნება, საყ-

დარს ერთადერთი სარკმელი აქვს და ისიც ისეთი წერილი, შიგ ბელურაც ვერ გავძვრება.

— რუსუდანი მართალია, აუცილებლად საქირთა ერთი ბედელი, სათესლე ხორბლისთვის მაინც.

თავმჯდომარეს რევაზისკენ არც მიუხედა, ისე აარიდა ყური, თითქოს არც გაეგოს და გაუპარსავ ახალგაზრდას მიუბრუნდა.

— დედაკაცებს შენ გამოიყვან, სიკო, ცალყურაანთ მართას უთხარი და ის ჩაუყენე თავში, აქამდის მოიცილებდა. აბა, თელო, შემდეგი რა არი? მწითურმა ბრიგადირმა თვალები მორჩილად დააპარბალა და უცებ ჩაიკითხა.

— ბალახის თიბვა პირიმზისაზე.

— აი, იქ კი დაგვეჭირდება ხალხის შეჩრევა. ცელვა ბევრმა არ იცის და ახალგაზრდობა არც ცდილობს ისწავლოს. აბა, ერმან, შენი კომკავშირელებიდან ვინ წავა მთაში სათიბავად?

ერმანა წამოდგა, მიიხედ-მოიხედა, მერე თავისი გაშლილი ხელები შებარუნ-შემოაბრუნა, წამით უცქირა და, რაკი იქ სანუგეშო ვერაფერი ამოიკითხა, ისევ თავმჯდომარეს გაუშართა მზერა.

— აბა, რა ვიცი. ცელვა ვინ უნდა იცოდეს. აი, შეიძლება ჯავახიანთ ბალო გამოგვადგეს.

— რომელი ბალო?

— დათა.

— ეგ ერთი. მეორე?

— თონიკიანთ სოსომაყ იცის, მაგრამ არ წავა.

— რატო არ წავა?

— აბა არ ვიცი. არ წავა და იმიტომ.

— როგორ არ იცი, კაცო, — მოიღრუბლა თავმჯდომარე, — კომკავშირელი შენია და არ იცი?

— მერე რომ ჩემი კომკავშირელია, რას მიკეთებს? ათასჯერ ვუთხარი (განა უარს მეუბნება), მაგრამ კრებაზე მაინც ვერ მოვიყვანე.

— გაქსუებულა, კაცო თონიკის ბიჭი, იმას მთაში წაიყვან?

— დროს ტყუილად ვკარგავთ, არა

გამოვა რა. ისევ ისინი უნდა გავგზავნოთ, ვინც შარშან იყო.

— ყველა წაეა, ვინც ცელვა იცის. იქ კარგ შრომადღეებს აკეთებენ ხოლმე.

— უფროსად შაშვიანთ საბა დავაყენოთ.

— ძალიან მოტყდა საბა, მთაში ვეღარ ივლის.

— შამრელაანთ გოდერძი იყოს, შარშანაც მაგან ითავა.

— კარგი. თითონ გოდერძის დავავალოთ და მთიბავების სიას ის შეადგენს. ხეალ კი, თედო, შიო ნახე და უთხარი, ლევანა გაანთავისუფლოს. ორი საძნე ურემი ახლა ჩვენთვის პირდაპირ მისწრება იქნება. ის თვლები, როგორც კი გადასურავენ სამშუდლოს, ბინდიას მოუტანენ და სალტეები მოახსნევენ, ძალიან სქელეზია, ზაქები ძლივს სძრავენ, თხელი გადააკრას.

— როდინდელია, იმას სოლებიც გამოსაცვლელი აქვს. მგონი, ზარბაზნის თვლები უნდა იყოს.

— არა, სამხედრო სამხარეულოსია.

— ძალიან მძიმეები კია.

— აბა, განცხადებები რამდენია, თედო.

— სანამ მაგ განცხადებებს განვიხილავდეთ, მინდა ერთი ზეპირად განვაცხადო: საწყობში შაბიამანი ძალიან ცოტა და აქედანვე ზრუნვა უნდა, რომ ვენახები დროით შეიწამლოს. დროით, სანამ გარეთ ყიდვა დავგვირდება. კერძოდ შევიღმავად და ათმავად ყიდვიან, — რევაზი ჭერს უცქეროდა და თან პერგამენტით დახვეული გაზეთის ერთი კოდით განიერ ნიკაპს იქეჭავდა.

— რამოდენა მოვიტანეთ და ეგრე უცებ სად გაქრა? — გაოცდა მვეენახეობის პირველი ბრიგადის ბრიგადირი.

— ამოდენა ვენახებს რა შაბიამანი გააძლობდა, ლუკავ? მართო კონდაბასეული ხეთმეტამდის პეტქარი იქნება. მეოთხე შეწამვლა კი ჭერაც არ დავვიმთავრებია.

— აი, ლეოს ეცოდინება.

— ლეო, ლეო, ლეო! რას გადაეკიდეთ ამ ლეოს?

ბულალტერმა გაქვავებული სახე საწყობის გამგისკენ მიაბრუნა.

ლეომ ქვეშევრუ გახვდა და რაჭი უწყველ თვალეზში ვერაფერი ამოიკითხა, უგუნებოდ წამოდგა.

— აბა, ერთი რომელი იტყვის, რომ შაბიამანი უნდოდა და დავუჭირე? რაც ჩამაბარეს, მეც ისა მაქვს და სანამ გათავდება, მოვალე ვარ, გავცე.

— აი, ცოტააო ამბობენ, ლეო. სამი ტონა ასე მალე სად წაიდა?

ლეომ ცალი თვალი აგრონომს მიაბყრო, მეორე თვალთ ბულალტერს ანიშნა, როგორ მოვიქცეო.

ბულალტერის სახეზე ნაკეთი არ შერხეულა, მხოლოდ თვალეზი უცქეროდნენ მტკიცედ და დაეინებით.

— სახლში ხომ არ წავიღებდი და აგე, ნახეთ რაც არი. მწვედად ის არ აიგება და გამოცხობით არ გამოცხვება.

თავმჯდომარემ ბულალტერს მშერა აარიდა და საწყობის გამგეს აღარ ჩამოციებია.

— სანამ არი, ვაეცი. აბა, თედო, წაიკითხე, რა განცხადებებია.

— შაბიამანი?

თავმჯდომარეს არ გაუგონია, სკამზე მძიმედ დაჯდა და მოპირდაპირე კედელზე გაკრულ მსოფლიო რუკას მიაჩერდა.

— წაეიკითხო, თუ შინაარსი ვთქვა.

— თუ გინდა წაეიკითხე, მაგრამ არა, შენ წაეიკითხული გაქვს და შინაარსი გეოთხარი აღარ გავგიჟიანურდება კრება.

— შაბიამანი?

თავმჯდომარე ერთმანეთზე დაწყობილ ათსგვარი ხელით ნაჯღან რვეულებიდან ამოხეულ ფურცლებს დასცქეროდა და სინჯავდა სათითაოდ.

— შაბიამანი არა გვქონია, ძია ნიკო, თუ დაგვაკლდა, ცუდ დროს დაგვაკლდება, — შეახსენა რუსუდანმა.

— შაბიამანზე ლეო იზრუნებს.

— დაბალ დათიას ბიჭი ავთანდილი ითხოვს სამოსახლოს, — ქაღალდზე მსუქან, კორფლიან თითს აყოლებდა თედო, — მაშას გავეყარე და მიწის ნაკვეთი მჭირდებაო.

— ვის ბრიგადაშია?

— ჩემ ბრიგადაშია, — წამოდგა მარკოზა.

— როგორ მუშაობს?

— რა უშავს, კარგად მუშაობს.

— მივცეთ.

— მივცეთ, კაი ბიჭია.

— მომეცი აქ განცხადება.

თედომ გადააწოდა.

თავმჯდომარემ ჩაიკითხა შიგადაშიგ და ბოლოზე თანხმობა წააწერა.

— მერე.

— მეორე აქტია.

— რა აქტი?

— მექათმობის ფერმაში ოცდარვა ვარია დახოციათ ფილტვების ანთებით. ჩამოგვაწერეთო.

— შემდეგ?

— ესეც აქტია.

— ეგრე რაღა არი.

— ესეც მექათმობის ფერმისაა. ხუთმეტი ვარია მომკვდარა საკვერცხეების ჩირქოვანი ანთებით.

კედლების გასწვრივ სკამებზე წყნარმა სიცილიმა ჩაირბინა.

— რა დაგეზართათ, ნატო? — სქელი კისერი მოაბრუნა ძია ნიკომ მექათმობის ფერმის გამგისკენ, — ეგრე უცებ რა ჭირი დაერიათ, ექიმს ვერ უთხარ?

შუახნის თავიდა და განიერყვრიმაღლებიანი დედაკაცი წამოდგა და ფანჯრისკენ გაიხედა.

— დაიბოცნენ და რა მექნა, ხელს ნომ ვერ ავაფარებდი. ანდე ბოლოში ვეტექნივიც ხელს აწერს და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეც. რამდენი ხანია იბოცებიან.

თედომ ეს განცხადებაც თავმჯდომარეს გაღასცა და ახალი აიღო ხელში.

— ეფრემა ამბობს, ოცდახუთ მე ასეღს ოთხი მესხელი მიკლია და შემისრულეთო.

ნიკომ თავი ასწია და ფეხზე წამომდგარი ეფრემა შეათვალიერა.

— ვინ დაგბატოე, რომ აქ საბატოო სტუმარივით წამომპეტიულხარ? გამგეობის წევრი ხარ, ბრიგადირი, აქტივი თუ მუყაითი კოლმეურნე? ვარეთ ვერ მოიცადე?

ეფრემამ თავი ჩალუნა და ნაზდის ქულს ხელში დაუწყო წელღება.

— ახლა... სიტყვაზე... მხოლოდ ვალ გარეთ, კაცო, — თავი ასწია და თავისი გულუბრყვილო თვალელები მაგიდასთან მჯდარს მიანათა.

— ეხლა კაი დროც არი, დაჯექ, დაიცა. მეპრისთვის კი იცოდე: გამგეობის კრება საერთო კრება არ არი, რაო, რა ნაკვეთს თხოულობ?

— მაკლია, ნიკო, და იმას ვითხოვ.

— შენ დიდი ხანია, რაც გაკლია, მაგრამ დღეს დარწმუნდი?

— დღეს კი არა, რამდენი ხანია განცხადება დაწერილი მაქ. ბიჭს ვებევე და დამიწერა. მაკლია, ნიკო, და უნდა შემითათო.

— ახალი ქურის დასადგმელად ხომ არ გინდა?

— ქურა კი არა, იმდღევანდელი ბაზრობის მესამე ქურქელზე აღარც მიფიქრნია.

თავმჯდომარე უცებ გამოცოცხლდა, თვალში ღიმილი ჩაიყენა და მაგიდაზე გადაწოხარა.

— ჰო, მართლა, რა ჰქენი იმ ხასამართლოზე, ვირებმა რომ ქურქელი დაგიმტერიეს, კვირას არ იყო?

ეფრემა შეეყოყმანდა და თავი ისევ ხელში დაჭერილ ქულს დაუქრა.

— იყო ხასამართლო.

— მერე რაო?

— არაფერი, მოწმეებმა დაამტკიცეს, რომ დედალ-მამალმა ვირმა დაამტერია ის ქურქელი.

— აგინაზლაურეს?

— აბა, საიდან ამინაზლაურებდნენ? ფული დააკისრეს.

— რამდენი დააკისრეს?

— სამოცი თუმანი.

— როდის უნდა მოგვენ?

— აბა რა ვიცი. მამალი ვირის პატრონმა დედაკაცმა უარი თქო. მე ოცდაათ თუმანს არ გადავიხდიო, ოცი თუმანი დამაწერეთო.

— რაო, ვითომ რატომაო? — გაოცდა ძია ნიკო.

— აბა, რა ვიცი, ჩემი ვირი მალდო

ღან იყო და ორი ფეხით ამტვრევდა, მაგ კაცისა კილევ ქვევიდან და ოთხითაო:

— ძია ნიკო უკან გადაიწია და ისე გადაიხარხარა, გვეგონებოდათ, ქვით დატვირთული თვითმცლელი ააყირავებსო.

ზოგიერთმა იცოდა ეს ამბავი და აპყვა თავმჯდომარეს, ხოლო, ვინც არ იცოდა, ყოველ შემთხვევისთვის ღიმილი მონშველია.

ვეტიკიმა განუმარტა აგრონომს საქმის ვითარება და რუსუდანის ლოყებზეც ოდნავ შესამჩნევი ფოსოები გაჩნდნენ.

— ოჰ, შენ გაიხარე, ეფრემ, უმზეო ქვეყანაში, რომ გემრიელად გამოციენეს, მაშ რეში ვირი ორით ამტვრევდაო? აი, ხათაბალა! მოიტა თედო აქ განცხადება, — ნიკომ რვეულის ფურცლის ნავლევი წინ დაიდო და კალამი გაკვრივთ გაუსხა. — ორით ამტვრევდაო? ამა, წაღი ეხლა და, წვერიკვიზაანთ საბედს ვენახს რომ სამი მწკრივი აქვს ჩამოჭრილი, იმას მოუარე და ეპატრონე.

უცებ რვევაზე ყური ცქვიტა, მუხლებზე დაყრდნობილი იდაყვები ასწია და წელი გაიშარტა.

— წვერიკვიზაანთ საბედს არაფერი აქვს ჩამოჭრილი და ვერც იმის მწკრივებს მიეპატრონება ვინმე.

ძია ნიკოს სახეზე ამ გამოხდომას არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. თითქოს მოელოდაო. გაყუჩებულმა ჩამოათვალერა გაყურსული კაბინეტი, წუთით ბულალტრის კედისკენ ჩამძვროლო თვალეები მოძებნა და მერე კედლის კუთხეში მჯდარი ბრიგადირი მოზომა.

— აბა, შვილო რვევაზე, მებსიერება დაძებე და მოიგონე: კომისიამ რომ აზომა შარშანწინ მიწები, საბედს საკარმიდამო ნაკვეთი რამდენი გამოვიდა.

— კომისიამ სწორად არ იანგარიშა. კომისიას დავალებული ჰქონდა იმდენი გამოეყვანა, რამდენიც საჭირო იყო ვენახის სამი მწკრივის ჩამოსაჭრელად.

თავმჯდომარე გაოცდა.

— აი, შვილო, ტოპრაკისი არ იყოს, ეს თოფი და ეს ჩიტებიო. აი, ეგ მიწა

აქ არი და რულეტკა ჩვენა გვაქვს, ტარა ანგარიშით არ არი?

— მე თითონ დავზომე და ხუსტად გამოვიდა. შეიძლება ათი-ხუთმეტრი მეტრი იყოს მეტი. ეგ ანგარიში ტარას არ მოითხოვს. მე თითონ ბევრი ვიცი, რომ რაც ეკუთვნით, იმაზე მეტსა ფლობენ.

— ერთი თვე მუშაობდა კომისია და, ვისაც რა ეკუთვნოდა, მიუზომა. ხუთი კაცი იყო და შენ ერთი ვერ ასწავლი იმათ ჰქვას.

— არა, ვასწავლი. საბედს ვენახს თითი არ დაეკარება. თქვენ ისიც გეყოთ, რომ საწყალი დედაკაცი მეორე წელია მთელი ნაკვეთის გადასახადს იხდის და თქვენ კი სამ მწკრივს კოლმეურნეობისთვისა ჰკრფთ. თუ იმას არ ეკუთვნის, რატომღა ახდევინებთ სამი მწკრივისას.

— საბუკოს რაც ეხება, იმაზე კოლმეურნეობა პასუხს არ აგებს.

— პასუხი ვისაც სურს და რაზედაც სურს, იმაზე აგოს. მე კი გეუბნებით, რომ იმ საწყლის ვენახში კაცი ვერ შევა.

თავმჯდომარეს წარბები გადაება და სახე ჩამოუხდნელდა.

— რვევაზე! ის სამი მწკრივი შენს ბრიგადაში შედის. თუ იმ დედაკაცს დაუკრფენია, მაშინ იმის ფარდ წონა ყურძენს შენი საკუთარი ვენახიდან წავიღებთ.

— ვერც ერთს დააკარებთ თითსა და ვერც მეორეს.

— შენ რა, — თითები ერთმანეთში გადახლართა ნიკომ და მაგიდის მინაზე გადმოიხარა. წარბები უკვე აეწივნა, მოქუთხული თვალეებით გამჭირდავად მიმტვრებოდა და კილოებთან მიყრილ წვრილ ნაოქს თანდათან უფრო ამჟიდროვებდა. — შენ რა, კოლმეურნეობის წინააღმდეგ მიდიხარ?

— არა. კომისიის წინააღმდეგ.

— რვევაზე ფრთხილად! ქურდისა და ყაჩაღის დაცვა შენ არ გარგებს. იმისმა შეიღმა ქვეყანა ამოავლო და როგორც ეკადრებოდა, ისედაც მოექცნენ. დედაშვილი უნდა გაზარდოს და არა მგელი.

— დედა არ ასწავლიდა იმას ქურდობას. დედა აქ არაფერ შუაშია.

— დაესხენ, ძია ნიკო, ცოდნა, იმ ვენახით ირჩენს თავს ის საწყალო.

— შენ, რუსუდან, არაფერი არ იცი, შეილო, და ნურც ჩაერევი ამ საქმეში. ეგ გვიან შემოვიდა კოლმეურნეობაში და ოცდაათი მესამედზე მეტი არ უნდა ჰქონდეს. დღეს რომ იმას დავუთმობთ, ხვალ ეფრემა უფრო მეტს მოიხდომებს. სიკოც იტყვის, სხვაზე მე რა ნაკლები ვარო, მარკოზა ამას უცდის და აი, ხედავ? რა გამოვა? უნდა დავშალოთ კოლმეურნეობა და უკან, კერძო მეურნეობისაკენ დავბრუნდეთ. ამას ვინ გვაბატებს? წაღბი, ბარტია თუ მთავრობა? წადი, ეფრემ, და როგორც ვითხარი, იგრე მოიქეცი. აბა, თელო, შემდეგი რა არი?

— წაიდეხს, შევიდეს და მერე ვნახოთ რამდენი იკბენს თითზე.

კაბინეტში მეხი გავარდა.

— თუ ზულიგნობას თავს არ დაანებებ, კრებას დაგატოვებინებთ, გამგობიდანაც გაგრიცხავთ და გასწავლით, უფრო უკეთ როგორ უნდა ბანდიტების დაცვა! წაიკითხე, თელო.

რევანმა მრისხანე თვალი თვალში გაუყარა და თავშეკავებით უთხრა:

— როცა საჭირო იქნება, კრებას მე თითონ დაეტოვებ, თავმჯდომარეც.

— დაბალ დათიას ბიჭი ავთანდილი ითხოვს: სახლს ვაშენებ და შეიძლება კოლექტივში მინიმუმში ვერ გამოვიმუშაო, ამიტომ ვთხოვთ, მშენებლობის განმავლობაში გამანათავისუფლოთო.

— გავათავისუფლოთ?

— გავათავისუფლოთ.

— გავათავისუფლოთ.

— რამდენი ხნით?

— ერთი თვე მივცეთ.

— ერთი თვე არ ეყოფა, ნიკო. ქვეყნში და კიბრცემენტი მოსატანი აქვს. ხე-მასალაც ჯერ არ უშოვნია. არ ეყოფა ერთი თვე.

— ორი თვე იყოს.

— იყოს ორი თვე. კაი ბიჭია, მორჩილი, გამგონე და როცა მოათავებს, მა-

ინც ჩვენთან არ იმუშავებს? სად წავა? ბრიგადაში დღეს არ გააცდენს.

— კარგი, მარკოზ, გაუშვი ორ თვეს, მოსავალი თითქმის აღებულია! და სანამ ნდის თონხალა გვრჩება მოსათავებელი. აბა, შემდეგი რა არი?

— ჭოპელა თავს ანებებს მეურნეობას, გამანათავისუფლეთო.

— რატო, რა მოეჩვენა, თეთრ გიორგში ხეტილისას ხელს მიშლისო?

— წყალს ეშმაკი დაეპატრონა და იქ აღარ მიმესვლებაო.

— როგორ თუ ეშმაკიო?

— ყლორტიანიდან გამოხტომია და ბერბევიდან სხვები ბანს აძლევდნენო. იგეთი შავი იყო, როგორც ნახშირი და თავზე სამ მტკავლიანი რქები ჰქონდაო. თვითმცლელი ერთხელ კიდეც აუცრავდა.

— აი, ხათაბალა. გავათავისუფლოთ. ვილაცხას უნახავს, თორღვას ცხის თავზე საბანაოლ ჩავიდა ერთი რალაც მოჩვენება და შიგ გაქრაო.

— ჩავიდა და აღარ ამოსულაო?

— ვინც ჩასვლა ნახა, ის ამოსვლასა დაუცლიდა?

— რამდენი შერეკლია ქვეყანაზე. მომეცი აქ ეგ განცხადება. გავათავისუფლოთ, არა?

— თუ მართლა რამე მოეჩვენა, ის წყალს აღარც მიეკარება, გავათავისუფლოთ.

— გავათავისუფლოთ, მაგრამ ვილა დავნიშნოთ?

— მურთაზა ითხოვს, ყალანდარიშვილი. აი, განცხადება აქვს დაწერილი. მხოლოდ ოცდაათი მრომადლე დამიწერეთო.

— ჭოპელას რამდენი ეწერებოდა? შენს ბრიგადაშია, მგონი, თელო?

— ოცი.

— ჰოდა, მურთაზასაც ოცი დაეწეროს. კიდეც არი განცხადება?

— სამი კიდეც დარჩა.

— აბა, წაიკითხე.

— ვახტანგ შაქროს-ძე ჭარხალაშვილი წერს: წვერად მიმიღეთ თქვენს კოლმეურნეობაშიო.

თავმჯდომარემ კაბინეტს თვალი მოავლო. იქ მსხდომნი ერთმანეთს ათვალიერებდნენ გაოცებულნი.

— ვინ არი ქარბალაშვილი?
 — აქაურია?
 — თელაველია. მწვანე ხეივნის შესახვევში ცხოვრობს, თერთმეტ ნომერში,
 — გამომარცვლა თედომ.

— ვინ არი?
 — რა კაცია?
 — რა მინდაო?
 — ვინ არი?! კაცია, ადაშიანია, ქარბალაშვილია, ვახტანგია შაქროსძე, ვინ უნდა იყოს? აი, აბა, თხოულობს წვერად მიმიღეთო. გაურკვეველია? — მოიქრეშა და მაგიდის მინაზე მუშტები განგანზე დააწყო ძია ნიკომ.

— რაღას ვუყურებთ, მივიღოთ, კაცო, მაინც მუშა ხელი გვაქვია და...

— მივიღოთ.
 — მივიღოთ.
 — წაიკითხეთ ახლა სხვა და, ბარემ, მოვთათოთ. ზაფხულია, განა ზამთარია, გვიანდება, კაცო.

— მე ვიცი, ვინც არი ეგ კაცი, — წამოდგა აქამდის წყნარად მჯდარი რევაზი. — ეგ ზემო ზონაზე დამზადების რწმუნებლად იყო, ფული გაფლანგა და გაიქცა. და კიდევ ზოგიერთი რამ შეიძლება გაიხსენოს კაცმა. მე წინააღმდეგი ვარ მაგის წევრად მიღებისა.

თავმჯდომარეს გაფუფულულ ლოყებზე სიბრაზემ წითელი ტალეები დააყარა.

კაბინეტში ერთხელ კიდევ დაიგრილა მებმა და ზელ სეტყვა მიაყარა.

— შენ ცილსა სწამებ პატიოსან კაცს, შე რევენო, შენა! შენ გამგეობაში რა გინდა, ცხრაკლიტულში უნდა იჯდე! წადი, დაიკარგე აქედან და როგორ უნდა ცილისწამება და ჭურღბაცაცების დაცვა, იქ გიჩვენებენ! — ძია ნიკომ თითი ისე სწრაფად და მაგრად ჰკრა პერში, მინა რომ დახვედროდა, ალბათ დაუმტვრევლად გასჩვრეტდა. — შე ფეთხუშო ჯორო, შე გაფუქებულო, შენა! მე შენ გიჩვენებ წანწალსა და ღობე-ღობე ძრომას, დამაცადე!

თავმჯდომარეს თვალები ბუდიდან გა-

დმოსცვენოდა და კისრის ძარღვები ისე უფეთქავდა, როგორც ქვიშაზე გაბრუნულ მურწას.

ბრიგადირს ხელები ვეება მუშტებზე შეეკრა, განიერი მკერდი მიამედ აღუჩაუდიოდა და მაგრად მოკუმულ ყბებზე კუნთები მკვეთრად გამოსახულიყვნენ.

— კარგი. ვინებაზე როდისმე მოვილაპარაკებთ, ესლა კი წავალ, თავმჯდომარეე, შე თითონ წავალ, რადგან როგორც გამგეობის წევრი, მაგ კაცის წევრობას ვერ დავეთანხმები. მაგრამ იცოდე: გამგეობა რჩევას იძლევა, საერთო კრება კი ამტკიცებს.

სიტყვებს ისე ნაწილ-ნაწილ და დაყოვნებით ლეჰავდა რევაზი, როგორც ბებერი ფშაველი თამბაქოს. მერე შეტრიალდა, გაოცებულ დამსწრეთა წინ უკან მოუხედავად ჩაიარა და კარი მაგრად გაიხურა.

თავმჯდომარე ერთ ხანს ბღღერიალა თვალებით ბურღავდა კარებს, მერე ფრთხილად დაეშვა სკამზე, შიშველი თვიდან მოყოლებული ნიკაბამდე ჩამოისვა ორივე ხელი, თითქოს მთელი ბოლბა ერთბაშად ჩამოიწმინდა სახიდანო და გვერდით მჯდომს დაგუბებული ხმით მიუბრუნდა:

— წაიკითხე შემდეგი, თედო.

2

ღმერთმა დასწყევლოს ქალის გაჩენა! ევა რომ არ ყოფილიყო, ადამს შვიტრუტენითაც ვერ მოაცვლევინებდნენ ფებს სამოთხედან.

ქალმა აღგავა პირისხვან მიწისა დიდებული ტროა და ქალმაცე შემუსრა პირველი მასვილი მეორე ტრიუმფირატისა და მესამე დედაბოძი უძლეველი რომის იმპერიისა.

აი, დასწყევლოს ღმერთმა ქალის გაჩენა!

ლუარსაბ სოლომონიჩმა პაპიროსს თავი ბრახით მოუსრისა და კვამლი ხარბად შეისუნთქა მძლავრი ნათახით.

უზარმაზარი ჭირმის ქვეშ ნელა ქანობდა ვენური სკამი და შიგ ჩამჯდარი რა-

იკომის მდივანი ორ ნაკადად უშვებდა ბოლს განიერი ნესტოებიდან. უსიამოდ ირეოდნენ ლამაზი ხელით ნაქარგი ქართული ასოები წვრილ კვადრატებად ნახან რვეულის ფურცელზე.

მდივანმა კითხვა გაათავა, მერე წერილი ისევე გაეცა, როგორც გახსნამდე იყო, კონვერტში უკრა თავი და ქვის მაგიდაზე ისროლა გაზეთების გვერდით.

— საოცარია, — ფიქრობდა მდივანი, — სამი ათასი მე მივეცი, თითონაც უშეველად საღდაც ექნებოდა რამდენიმე გადანახული, საგზურები აქედან წაიღეს, მაშ რაღად უნდათ კიდევ ორი? განა რამდენ ხანს აპირებენ დარჩენას, სულ ხომ ზღვაზე არ იქნებიან მთელ ზაფხულს?.. ან ის ვილა აუკვიატებიათ: მეორე მდივანი ვარო? პირველს ვიცნობ, მაგრამ მეორედ ვინ ზის აღიგენში? უნდა მიგწერო და გავიგო, თორემ ერთადერთი ქალიშვილის ასე თვალდახუჭულად გადაგდებას მხოლოდ სულელები ეგუებინან. ზღვაზეც ისე ხდება, როგორც რომანები წერენ. ქალებს თვალში აქვთ ჰქუა და არა თავში, ერთბაშად აბრმავებთ ვაჟის თვალტანადობა და იმას იქით არც რამეს ხედავენ და ხშირად არცა აქვთ სურვილი დანახვისა. უნდა გავიგო, რა კაცია, თორემ ეს ისეთი თანამდებობაა, შეუძლიათ ცამდე ასწავენ, შეუძლიათ ტალახში ისვრიან... კიდევ ორი ათასი ნებაეთ! დღესვე დაერევა, რომ ამ ჩამოეხიზნენ. ხალხი თელავში ჩამოდის საკურორტოდ და ესენი ფულის საფლანგავად ჯანდაბაში გარბიან. აბა, ერთხელ თუ იკითხავენ, საიდან მოდის... ფუი! დასწყევლოს ღმერთმა ქალის გაჩენა!

მდივანმა ნახევრად მიმწვარი პაპიროსი ბრაზიანად გაპკრ და გაზეთებს გადასწვდა.

პაპიროსმა რკალი მოხაზა, აუზის თავზე გადაკიმილა მავთულის ბადეს დაეცა და მერე შიგ ჩავარდა.

მდივანმა გაზეთები უკანვე გადაყარა და სკამიდან წამოდგა.

აუზში რიალებდნენ ცილა მურწებისა და ციმორების ჩრდილისფერი ზურგები,

დროდადრო ვერცხლისფერი გვერდების ქერეკს გამოაჩენდნენ და გაქანებულნი ბლავვი ცხვირებით ეჯახებოდნენ ჩაგდებულ პაპიროსს.

ლუარსაბ სოლომონიჩმა სცადა ამოდება, მაგრამ ხელი ბადის უკრედში ჩასაყოფად საკმაო ტლანქი აღმოჩნდა. მაშინ ქერამს წიკრი შეატეხა, კაუში გაუკეთა და აუზში ჩაყო.

გამძლიანდა პაპიროსი. ორჯერ ბადემდე მოტანილი ორჯერვე დასხლტა და მერე აღარც დაემორჩილა წიკრს.

მდივანი მაინც არ მოუშვა და მერე დაღეწილი წიკრი ბრაზით გადაავლო გვერდზე.

დამძალი პაპიროსი გაიშალა და თამბაქოს წვრილმა ნაკუწებმა აქეთ-იქით იწყეს გაფანტვა და გაიყვება.

მის ირგვლივ წყალი სულ უფრო და უფრო იღებებოდა მუქ-მწვანედ და შორს ერეკებოდა მასთან გათამაშებისას დამტრთხალ თევზებს.

— კლავა! კლავა! ამ წუთში უშვი საარცხს ხელი და აუზი გაწმინდე. ჩქარა! აივნის ქვეშ ვეება ტაშტში წახრილი დედაკაცი გასწორდა, ილიამდე დაკაპიწებულ მსუქან მკლავებზე მოდებული საპნის ქაფი ტაშტშივე ჩაწურა, ხელები წინსაფარზე დინჯად შეიწმინდა და აუჩქარებელი ნაბიჯით წამოიღო ჰერმისკენ საესე ტანი.

მდივანმა ონკანი მთლიანად მოუშვა და უკან გამბრუნდა სკამისაკენ.

აუზიდან გაშვებული წყალი ძირს დატანებულ მილში იწურებოდა. თევზები გაშმაგებით დატურავდნენ და ეხლებოდნენ მილს ყელს, რომელსაც საცერით წერილი რკინის ბადურა ფარავდა. წყალი ძირამდე დავიდა და ცემენტის ქვიშიან ფსკერს თევზები მუცლით გააკრა. წინა ფარფლებ გაფაფხულები ხარბად ნთქავდნენ ცივი ღრუნებით წყლის ნარჩენს.

დედაკაცმა იღროვა, მილი ჩაკეტა და ისევ თავის ტაშტს დაუბრუნდა:

ლუარსაბ სოლომონიჩმა ერთხანს უცქირა, როგორ ატივტოვა მომატებულმა წყალმა გახარებული თევზები და

ისევე წერილს მიუბრუნდა. აიღო კონვენტი. მისამართს თვალი შეაელო და წამოდგა.

„ეხლავე უნდა მიეწერო, რომ აქ ჩამოეხიროს. ბავშვს დამიღუპავს ის დაწყველილი“.

ფლოსტების ნელი ფლასუნით აღიოდა მდივანი მარმარილოს ფხენილით მოგებული კიბის საფეხურებს და თან აივნის გასწვრივ გასული ვაზის ხეივანს აკვირდებოდა.

„ღღესაც არ გამოგზავნა კაცი შესაწამლად. ყოველთვის დროზე კი მოდიოდა. სიბერე ჯერ კიდევ შორს არი, რამ გადააყრუა ეგრე? თუ ისრემს ნაცარი მოეციდა და ფოთოლი დაუბერდა, კარგა მაგრად გავჯორავ იმ ნიკოს...“

თუნუქის ტყვიისფერი სახურავიდან კობა თავების კეკლუცი გრენით ჩამოხედეს მტრედებმა, კიბზე ამავალს.

„შეიძლება დღეს არც კი უქამიათ“.

— კლავა! გესმის, კლავა! მტრედებს ნორბალი გამოუტანე, თორემ, თუ სხეებმა მიიჩვიეს, ვეღარც გადაურჩები ლაურას.

ღედაკაცმა ბურღუნით გადაწურა ჭუჭყიანი წყალი აივნის ძირას დატანებულ მიღში და მარანში შეფრატუნდა.

მდივანი კაბინეტში შეიკეტა და საწერ მაგიდას მიუჯდა.

კარგა ხანს გაქანდა კალამს თაბახის ფურცელზე წრიობინი, კარგა ხანს იქექავდა კალმისტრის ბოლოთი ყურის ძირს და ბოლოს გამზადებული წერილი კონვერტში ჩადო.

ის იყო დააწება კიდევ, რომ ზედა სართულს ჰერზე მიკრულმა ელექტროზარმა მშვერმეტყველურად გააბა წყრილი.

მდივანმა თავი აიღო და ყური წაუგდო.

„ამ კვირა დღეს ვინ ვერ აიტანა ჩემი უნახაობა?“

მერე დაიხარა და კონვერტზე მისამართის წერა დაიწყო.

„ზღვაში არ დამიხრჩოს ის გოგო იმ დამთხვეულმა“.

ზარმა კიდევ დაიწვიალა. გამბეულად და დაეინებით.

მდივანმა კალამი მიაგდო და წაიჭრა შეიკრა.

— კლავა! არ გესმის, კლავა დაყრუვდი, თუ რა მოგივიდა?!

გაურკვეველმა ბუზლუნმა მოაღწია ლუარსაბ სოლომონიჩის ყურამღე და მერე ეზოს გაღვანში ჩასმულმა რკინის ჭიშკარამაც დაიჯახუნა.

— სოლომონიჩი სახლშია?

პასუხი დაგვიანდა.

— ქალო, შენ გეკითხებიან: სახლშია თუ არა სოლომონიჩი?

— კაცს კვირა დღითაც ვერ დაუხვენი, — დუღღუნებდა მრეცხავი.

— ვინ არი, კლავა?

— სტუმარია.

— ამოვიდეს ზევით.

— ზურგზე ხომ არ ავიკიდებ, ანდე, ამოვიდეს.

მდივანი აივანზე გამოვიდა და გაიოცა, როდესაც კიბზე ამოსულ ვარდენს მოჰკრა თვალი.

— ნამდვილი სამოთხე მოგიწყვიათ, სოლომონიჩ. გემოვნების კაციც ეგვით უნდა, — იღრქებოდა ვარდენი.

მდივანმა ახელ-დახელა და მოწიწებით გამოწვდილ მარჯვენას უწადინოდ შეაგება თავისი ხელი.

— ქორწილი მთას ხომ არ მიგიბოლოდა, ვეღარ დაუცადე გათენებას?

— დიდ ბოდინს ვიხდი, სოლომონიჩ, რომ სახლში შეგაწუხებთ. ერთ ბატარა საქმეზე მოვედი.

ვარდენმა ძირს გადაიხედა და მერე მდივანს მიაჩერდა.

მასპინძელმა ჩახედა ტაშტში თავწარგულ ღედაკაცსა და მიხვედრილი მზერა მოსულზე გადაიტანა.

ხელით ოთახის ღია კარზე უჩვენა და თითონაც უკან მიჰყვა.

ტყავის ძვირფას საგარძელში ჩაეშვა. სტუმარსაც სთხოვა, დამკდარიყო.

მძიმე, უზბეკური, ბოლოვამილიფარშავანგებიანი ხალიჩა ჰერადან ძირს ეშვებოდა, იქვე დადგმულ სპარსულ

ტახტს ეფინებოდა და იატაკზე უწევდა. ტახტს აქეთ-იქით აბრეშუმის ფუნჯებითანი ნაირსახიანი მუთაქები ელაგა, მუთაქებზეა კედელზე ოთხკუთხა ბალიშები იყო მიყრილი, რომლებზედაც ქარგვის ჩინელ ოსტატებს სიმახინჯე ხელოვნების სიმალუმდე აეყვანათ.

ერთ კუთხეში ვალაჯულიყო მგლოვიანი როიალი. როიალის თავზე უამრავი უმაქნისები დაეხორავებინათ, რომელთაც წინ მარმარლოს თეთრი სპილოები მიუძღოდნენ, უფროს-უმცროსის კვლობაზე დაწალიკებულნი.

ფანჯარასთან ახლოს იდგა შავი ხის ჩუქურთმებიანი წიგნების კარადა. კარადის თაროები მარქსიზმის კლასიკოსების წითელყუიან ტომებს დაედრია.

კისერადერილი ათვალეირებდა ინსტრუქტორი ძვირფას გობელენებსა და სურათებს, რომლებითაც ოთახი გვესოპატრონს.

და იქაურობა ანტიკვარული მალაზიის ვიტრინას უფრო ჰგავდა, ვიდრე მისაღებ ოთახს.

მდივანმა აცალა ინსტრუქტორს გაოცება და მოკლედ მოუქრა:

— რაშია საქმე?

ვარდენმა კედლებიდან თვალი მათს მფლობელზე გადაიტანა და უცებ შედრკა:

ცივი და საქმიანი თვალები უღიმღამოდ უქეროდნენ მაგიდაზე გულამბა დაგდებულ ჩალის შლიაპას.

ვარდენმა შლიაპა თავისკენ მისწია საჩქაროდ, მერე შემკრთალი მხერა შეავლო მასპინძელს და უნდოდა დაიწყო:

— იმაზე გეახელით, სოლომონი... ისევ იმაზე გეახელით... გულმა არ მომითმინა და გეახელით...

მდივანი უცებ მიხვდა ამ მოულოდნელი ვიზიტის მიზეზს და წარბი შეიკრა.

— განა გარკვევით არ იყო გუშინა და გუშინწინ ნათქვამი: ხომ გითხარი, კაცი უკვე შერჩეული მყავს-მეთქი? შევპირდი კიდეც არა, ვარდენ, ესლა უკვე

გვიანია. ტყუილად გარჯილხარ, არა გამოვა რა.

— უნდა გამოვიდეს, სოლომონი, უნდა გამოვიდეს. განა ის ჩემზე კარგად იცნობს საორგანიზაციო საკითხებს? უნდა გამოვიდეს.

— არ შეიძლება, იმას რაიკავშირში ვერ დავტოვებ. აუცილებლად ჩავარდება და დაიღუბება.

— ჩავადრნაცა და დაღუბვაც თქვენს ხელთ არ არი, სოლომონი? ვირივით ვიმუშაებ, შეუძლებელს გაავკეთებ, დღე-ღამეს გავასწორებ, აქლემის საპალნეს ვზიდავ, ოღონდ, სოლომონი, ნუ დამღუპავთ, მაგ ადგილს ნუ ამაცილებთ.

მდივანმა იწყინა ჩაცეება და მოიღუშა.

— ვთქვი და გავათავე. იმ ადგილს განათლების ცენტრი უნდა, შენ კი ჯერ მეორე კურსზე გადახვედი. ეშმაკმა იცის, ან როგორ გადახვედი. საგნები ნამდვილად ჩააბარე თუ არა. შენი საქმის ამბავიც ჩემთვის ცნობილია.

ვარდენმა თავისი შლიაპა მაგიდაზე დააბრკვევა, მერე ასწია და ისე აპობარუნა. ჯიბიდან რუხკვადრატებიანი ცხვირსახოცი ამოიღო, შუბლზე მოისვა და მერე რატომღაც ქუდსაც მოუწმინდა სარჩული.

— ნუთუ ის ჩემზე უკეთესად იმუშაებს, სოლომონი.

— იმუშაებს. შენ კი მაშინ დაგაწინაურებენ, როცა კაცად იქცევი და გამოცილებასაც შეიძენ. როცა მუშაობას ისწავლი და სამსახურის ყადრიც გეცოდინება.

ვარდენი ძლივს ყლაპავდა ნერწყვს და ხველი ენით მშრალ ტუჩებს ილოკავდა.

— მაშ უარს მეუბნები, სოლომონი? მდივანი გაბრაზდა.

— როგორ, ჩემი აზრი დღეს გაიგე? მეორე კვირაა, მაგაზე მედიჯინები. და, სხვათა შორის, კეთილი ინებე და საინსტრუქტოროში გამოცხადდი ხოლმე ყოველ დღით სხვებივით, ბოროტად ნუ

სარგებლობ იმ კაცისადმი ჩემი დიდი პატივისცემით და შენს ნებაზე ნურსად დაეხეტები. ეს სამსახურია და არა ნინიას ბაკი. — აქ ცოტა ხანს შედგა და მერე ზიზღნარევი ხმით მოუთავა: — შენზე სხვა რამ არანაქლებ სასიამოვნო ამბებზე მომდის და ცოტა იფრთხილე. ვარდენი წამოდგა, შლიაბა დაიხურა, მერე შეყოყმანდა და ისევ მოიხადა.

მღვიანმა იფიქრა: ქართულ ჩვეულებას თვით ვარდენთანაც არ ეღალატებო, და პატარა კოხტა კარადიდან კონიაკის ბოთლი გამოიღო.

— სტუდარი ღვთისაა, თითო ჭიქა დავლოთ.

ვარდენს მღვიანისთვის არც შეუხებია, ხელში შერჩენილი ცხვირსახოცი ჭიბეში ჩაიღო.

— გმადლობთ, სოლომონი, დიდი მადლობა პატივისცემისათვის, — თითების თრთოლვით დაიხურა შლიაბა და ოთახიდან გავიდა.

3

მოსულმა კარის ბოქსა და ჯარჯს შუა ძლივს გამოატირა მუცელი და მთონავს მიესალმა.

— ეფრემ, გამარჯობა.

— აი, გავიმარჯოს. აქეთ საით გივლია, თედო?

ბრიგადირმა ღობის ძირა ატმის ხესთან ჩაიშუხლა და სიციხისაგან შეწუხებული ბალახზე დაჯდა.

— ეგრე რუს გამოვყე. კოპელას შემდეგ თითქოს წყალმა იკლოო. გაბრუნას უნახავს, მურთანა ვილაცვიდაცეებს უნაწილებს წყალსო.

— გვალვაა, — მოკლედ უთხრა ეფრემამ, თოხი ნათოხნში წაფლა და ყუასთან უხვად მიყარა მიწა, რათა მზეს დამბალი ტარი არ გამოეშრო და არ მოეფამფალეძინა.

— რომ თოხნი, სახედ ას არა უთქვამს რა? — იკითხა თედომ რა გვერდზე გაიწია, ატმის ჩრდილში ადგილი დაუთმო მთოხნავს.

— რა უნდა ეთქო? მთავრობამ ეხლა

მე მამცა და სახედას ვინა ჰკითხავს?

— ცოდო კია, საწყალი. ერთი ვენახი აგლია და იმასაც ართქვეყნა.

— შეტო ჰქონდა და ჩამოართვის.

— არა, რა თქმა უნდა, ვინაც შეტო აქვს, უნდა ჩამოერთვას, მაგრამ შენ რა და ეს აბეჩხარი მოგაგდეს. ასხია კი?

— ხე და ხე ასხია.

ბრიგადირმა ქული მოიხადა, გაოფლიანებული შუბლი მოიწმინდა და ზურგით წალმის ღობეს მიეყუდა.

— ეშპაკია ნიკო, სახედასაც გული დასწყვიტა და შენც მოგიმადლიერა.

ეფრემმა ვერ მიხვდა.

— განა სხვაგან ვერ მოგცემდა უფრო კარგსა? — განავრძობდა თედო, — მაგრამ თავისიანიებს იქით ველარავისა ხედავს. ააშენა პირდაპირ ბალაშვარაინი.

სადაც კი ვენახებია, შავათია და აბა, გადასინჯე კანტორაში სიები, რომელსა აქვს იმათგანს სავალდებულო მინიმუმი გამოუშვებულა? სულ თავიანთ ნაკვეთებს უვლიან და სადა სცალიათ კოლექტივში გამოსასვლელად? შენ კი აიღო და ეს ხირხატი მოგაგდო.

— რას იხამ, — მორჩილად ჩაიქნია თავი ეფრემამ, — სოფლის ბატონ-პატრონი ეგ არი და მეც, როგორც მეტყვის, ვირი იგრე უნდა დაეაბა.

თედოს მწყურის კვერცხივით დაქორფლილი სახე არასასიამოვნო ღმილმა შეუეცვალა.

— ბატონ-პატრონი, — ჩუმად, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა და მერე ეფრემას ახედა. — მე როცა თავმჯდომარედ ვიყავი, განა მაშინ უკეთეს ვენახს არა ფლობდი?

— ვფლობდი, მაგრამა, აგე, გვეერთიანდით და საერთო ნაკვეთში მოაყოლებს.

— კარგი ვენახი იყო და იმითომ მოაყოლებს. განა ნიკოს არ შეეძლო, რომ გვერდი აექციენა შენი მიწისთვის?

— აბა, რა ვიცო, მოაყოლებს კია და...

— ახლა კი ორ მტკაველს ალთას თოხნი და სამს კიდევ ბალთას.

— ეგრე ცალცალკე მამიწია და რას ვიხამ.

— აქედან რა შემოსავალი უნდა გქონდეს? — არ ცხრებოდა ნათემჯდომობა რალი, — ჭურჭელს მაინც თუ კრი ჩემ-ჩემად.

ეფრემამ ეკვის თვალით შეხედა გვერდით მჯდარს.

— ჭურჭელს კი არა, ნიკოს ვინ გაუშვია თავის ნებაზე.

— მე კი, გახსოვს, ქურის დასაწველ შესასაც კი კოლექტივის ხარკამეჩით გატანივბდი.

— აბა, ნათელ-შირონები ვართ და მაროგორ ვინდა.

— ერთხელ თითონ ჩემი ცხენი მოგეცი თავისი ურმით.

— და, განა არ მიმალდიდი რომა, ნასამელი ხომ მიგქონდა.

ბრიგადირი გაყურდა, ჯავარა თავი უკან, ლობეზე ვადასწია და ქუდი რამდენიმეჯერ ხანტად გაიქნია ცხვირწინ.

ვენახიდან სიცხის ბული, ისრიმის მოტეხო და ახალ ნათონ-ნაგვალევი მიწის მძიმე სუნი სცემდა. მარჩხ ჩრდილს აფენდენ ძირს ოდნავ შეყვითლებული წვრილფოთოლა და ნაყოფით დახუნძლული ტოტები. მწარედ იკბინებოდა შიგა და შიგ ჩამოპარული მზის სხივი. ვაზთა გადაჭრილ თავებს ზემოთ გახურებული ჰაერი ცახცახებდა.

თედომ ერთხელ კიდევ გაიქნია ქუდი და მეჭურჭელს დახედა.

მხარეთიძე მიწოლილი ეფრემა წალმის ნატეხით მიწას ჩიჩქნიდა. თავზე ჩამოკოსებული გაცვეთილი ნაბღის ქუდიდან ჰალარა ბალანი ამოჩრილიყო.

თელს დააკვირდა იმ ბალნის წვერს და უთხრა:

— აღარ ვინდა, რომ ჭურჭელს კრიდე და გასაცვლულად მიგქონდეს?

ეფრემამ თავი აიღო, ქერა უღვაშე-ბიანი ზედა ტუჩი ცხვირის ნესტო-კაკნატელასთან ერთად ზევით ასწია, დამაძლებულ ნიკვზის ფერი მოკლე კბილები გამოაჩინა და თვალი გამომცდელად შეაქლო.

— ქარხანა დამიკეტეს და რაღას მოვჭრი.

— ქარხანა. შენც ლუქის გატევისა

არ შეგეშინდეს. გააღე კარი, შეიტა თინა და დაზიდე.

— მერე, ჭურჭელს ვინ მომაჭრევენებს?

— მე მოგაჭრევენებ.

ეფრემა წამოჯდა და მოსაუბრეს თვალი თვალში გაუყარა. მწითურ წამწამებს შორის ბრიგადირს თვალის გუგეზიც კურდღელივით წითელი მოუჩანდა.

— შენა? შენ რანაირად მომაჭრევენებ?

— მოვაჭრევენებ... შეგატყობინებ, ერთ საღამოს გადმოდი ჩემთან და ილუწამოიყვანე. თონას როდის მოათავებ?

— გუშინწინვე მოეთათებდი, მაგრამ მარკოზამ ჩამოიარა და ჯერ ერთი მწკრივიც არა მქონდა გატანილი, რომ ზელი ამაღებინა თონაზე, — მინდორში წამოდიო. გუშინ რევახასი შემეშინდა, თორემ დღეს რა მინდოდა აქა.

— რატომ შეგეშინდა?

ეფრემამ გაიკვირვა:

— არ გახსოვს, კრებაზე მაშინ რა თქო?

— შერე რო თქო. აქ ჯერ ნიკოა ხაზენი.

— გუშინწინ, სანამ მარკოზა მოვიდოდა, რევახა იყო აქა. დადგა, ცოტახანს მიყურა დაკობილმა და შემდეგ შეუბნება:

— შენ მაინც შენი არ დაიშალო?

— რა ვქნა, კაცო, მე მაიყოს და გაუთონხაის ხომ არ დავარჩენ-მოთქი?

— შენ შენი საკუთარი ვენახი არ დავიმოშვევბია და სხვისასთან რატომ მაიკობო.

— ეხლა ჩემია ესა-მეთქი.

— მაშ არ გაინებებ თავსაო?

— აბა, როგორ გავანებებ. იქ არ იყავ, კრებაზე რო მაშცეს-მეთქი?

არაფერი აღარ უთქვამს, გაბრუნდა და წავიდა. იმ ღამეს კი... — ეფრემამ მიიხედ-მოიხედა და ხმას დაუწია. — იმ ღამეს კი ჩემი თვალთ დავინახე, საყინიანი ჯობით როგორ ზომავდა ჩვენი ბუღალტრის ვენახს.

— ბუღალტრის ვენახს? — ყური

ცქვიტა თედომ, — ბუღალტრის ვენახს ზომავდაო?

ეფრემამ წამოიწია, ლობეს იქით საუბრის გახედა და მერე ისევ იქვე ჩაიჩოქა:

— მეგრე თვალიდან დამეკარგა. ლობის ჭახანსა მოვკარ ყური, მგონი, შენს ნაქერალში გადავიდა.

— რა იცი, რომ რევაზა იყო?

— ვიცანი.

— მერე, რატომ ზომავდა?

— ეშმაკი ლმერთმა დასწყველოს, — მზრები აიჩეჩა მთობნაევმა. — აბა, რა ვიცი.

თედოს დიდბანს აღარ დაუძრავს ხმა. იჭდა და დროდადრო ფიჩხივით ყალუზე ამღვარ თმებზე ისვამდა ხშირ ბალნიან ზელს. მერე წამოდგა, ქული ჩამოიფხატა, ეფრემას დაუბარა: რაც ვითხარი, არ დაგაფიწყდესო, და უღარდელი ღიღინით გამოსწია საურმისკენ.

სალამოთი კი ძია ნიკომ ორჯერ მოიხსნა და ორჯერვე გაიყეთა სათვალე. უცქეროდა და ვერ დაეჭვებინა: მაგიდაზე დადებული განცხადება მართლა ნართი-აშვილს ეკუთვნოდა თუ კიდევ ვინმე სხვა თედო გამოტყვრა ქალისპირში.

— შენ დასწერე? — მაინც მკვირვარებოდა.

— განა ვერ ატყობ, რომ ჩემი ხელია?

— ხელი შენია, მაგრამ აზრი ვისია?

— ვისიც ხელია, აზრიც იმისი იქნება.

— კი, მაგრამ როდის აქეთ გახდი კოლმეურნეობის ეგრე გულშემატკივარი?

— წევრად შესვლისთანავე.

— მაშ რატომ აქამდე არ გაგონდებოდა, რომ შარის პირას, გამხმარ ალვის ხესთან მდებარე მიწის ნაკვეთი ზედმეტი გქონდა?

ბრიგადირი ერთ ხანს ჩუმად იყო, მერე იწყინა ჩაცეება და შეიკუმუხნა.

— რამდენი ხანია, აღარავის დაუზომია. გუშინ დილით გადავზომე და ქერის ნამკალი მეტი მოვიდა.

— იქნებ, ის ვენახი მოვიდა მეტი, საფერავი რომ გაქვს გაშენებული?

განცხადების მომტანმა ცივად მოჰკრა:

— ნაქერალი მოვიდა მეტი.

ნიკომ მაგიდის უჯრა ისე გამოსწია და განცხადება შიგ ისე ჩააგდო, რომ ნათავმჯდომარალისთვის გამსუვალავი თვალი არ მოუშორებია.

— კარგი, გამგეობის მომავალ კრებაზე განვიხილავთ და ჩამოვაჭრით.

(გაგრძელება იქნება).

გრიგორ მამხაძე

ფოტოლი

შემოპარულა შემოდგომა
სევდის მომგვრელი.
შეყვითლებული ხის ფოთოლი
მოსწყვიტა ქარმა.
თითქოს გაიხსნა,
ულოდნელად,
ჭრილობა ძველი, —
მე დამაღონა

წუთისოფლის
დინებამ ჩქარმა.

ქარმა წაიღო ხის ფოთოლი
ყვითელი ფერის...
იმ ფოთოლივით,
ვიცო, ჩემიც
დადგება ჯერი.

ლევ დღევანდელი

მსოფლიოს ბედის საკუთარ ბედთან
გადახლართულან ირიბი გზები.
ხან ელავა ელვა კეთილ იმედთა,
ხან კი ბურუსი გვეხვევა გზნებით.

გულს არ ასვენებს სამყაროს ღელვა,
ჩვენ გვინდა ყველგან იყოს მშვიდობა.
მოისპოს კაცთა უფლებების თელვა,
მუხანათობა, შური, ფლიდობა.

ათეულ ათას კილომეტრს იქით
რაც ხდება, ჩვენაც განვიცდით
მძაფრად.

ვიეტნამში და ჩინეთში მივჭრით,
ხან შავ ჭაფურჩის ამბები გვზაფრავს...

მაინც იმედით გული ფართქალეხს,
თითქოს მომავალს ვეხებით ხელით.

შარავანდელით მითებს ამკრთალებს
ლევ დღევანდელი.

თვალთა მიმზიდველს ღამის ნათებით,
წინათ ოცნებით ვწვდებოდით
მთვარეს,
ღღეს ცას სერაგენ კოსმონავტები,
პლანეტას ირგვლივ შემოუარეს.

მუდამ გვაფხიზლებს ლოდინი ხვალით:
ხვალ რას მოგვიტანს ხანა ატომის?
მოსპობს ქალაქებს,
სიცოცხლეს,
ხალისს,
თუ შევბას მოგვეცემს ახალ ნახტომით?

იქნებ, ვახაროთ დედამიწაზე
ცის პლანეტების ვარდნი, იანი?
იქნება, ზღაპრულ ედემის ბაღზე
ახდეს ოცნება აღამიანის?

მოთა ჩხიძე

ახალწლის ღამეს

ჩემი სოფლის გბიუფდებიდან

ფრიდონის ეზოში სიმღერა გაისმა შუალამისას. ის სიმღერა არავის გააკვირვებდა, მაგრამ ეს ერთი თვეა, იქ ჩამომუშვიც აღარა ყოფილა, ფრიდონი წასულიყო, დანატრებულიყვენენ მეზობლები. დანატრებულიყვენენ და გამოიხედეს, ერთი ვნახოთ, როგორ მოსულა, რა სიხარული მოჰყოლიაო. მაგრამ ფრიდონი როდი დაბრუნებულყო, შვილები მოსულიყვენენ, — შვილებს დაეთქვათ, ახალწლის ღამეს თავს დავესხათ მამაჩვენსაო, ჰერი გავუხაროთო, მტერი გავუქვალოთო. ჰოდა, დასხმოდნენ, მღეროდნენ, ცეკვაოდნენ, ბუქნავდნენ თოვლში, გუნდებს აყრიდნენ კარფანჯრებსა, ერთმანეთსაც, დახტოდნენ, დარბოდნენ, თითქოს თოვლის კაცებიო. თანაც გუგუნებდნენ შეუწყვეტლად შეწყობილად, გუგუნებდნენ საახალწლოსა. ფრიდონს უყვარდა ეს სიმღერა, უყვარდა სხვაც ბევრი ძველებური, ქართული, ოლონდ ეს მაინც განსაკუთრებით შეჰყვარებოდა, რადგან წელიწადში ერთხელა მღეროდა, მხოლოდ ახალწლის ღამეს მღეროდა, მერე ელოდა ისევ ახალწელს და იყო სიაშეში მოლოდინისა, იმ მოლოდინისა, რომელიც ახდებდა. ამ ერთხელ შვილებს დაესწროთ, შვილებს მოეტანათ საახალწლო სიხარული, — კიბეს ეხვეოდნენ, აბა, კარი გაიღება და გადმოდგება გაბადრული მამაჩვენით. მაგრამ ძერა არა ჰქონდა კარსა. მხოლოდ ფანჯრები ღაპაპებდა მთვარის შუქზედა, დაკმედილიყო კედლებიცა მთვარის შუქითა და მიდიოდა ნელა, ნელა, თითქოს მთვარე

როდი, მთვარეს აწიად მოვლებული ღრუბელი როდი, თითქოს შენობა მიდიოდა უძირო თოვლში, თოვლში იჭდა, თოვლი ელო გადუხვეტავი.

სიმღერა მოთაედა, ცეკვაც მოთაევეს, მიუყუნდნენ, მიბინადრდნენ, ალბათ, მოხუცი რაღაცას გვიპირებს, რაღაც უეცარსა, მოულოდნელსა, მოდი და მზად ვიყვეთო. ერთი უკანა კართან ჩასაფრდა, სხვები ფანჯრებს მიუდარიელდნენ, თან ყველას აივნისაკენ ეკირა თვალი, აბა, ჰა, ერთი ვნახოთ, თუ რა განგიზრახვსო. სახალისო ფიქრები მოსდიოდათ, თოვლისა და ახალწლის ფიქრები. მაგრამ, ეტყობოდა, შინ არავინ იყო, ფრიდონი ამდენს არ დაახანებდა, არ ახსოვთ სამეზობლოდ მისულებსა, არ ახსოვთ, რომ პირველად თვითონ დასმინებოდნენ. უსათუოდ ფრიდონი დაასწრებდა, რა გნებავთო, ჭერ ის მისძახოდა. მით უფრო ახალწლის ღამეს, მით უფრო შვილებს განა ამდენს ალოდინებდა?! დაიბნენ შვილები, თუმცა გახალისებულთ, გახარებულთ, ეშხატანოლებს მალე გაუქრათ დაბნეულობა. მეზობლებს გასძახეს, გადამღერეს, თოვლი მიაყარეს, შვილები მოესულვართ. მამაჩვენი თქვენთან იქნება, გამოუშვიოთ; არა, გამოიძლოეთ და გამოჰყევითო, დავილოცოთ, ჩვენი კერაც გავახაროთო. მანამდის ჩვენი გავახაროთ. ღვთის ფეხი გქონოდეთ, კარზე მოგვესვლიხართ, დაულოცავად როგორ გავიშვებთო. თითოც დავლიოთო. კიდევ თითოცაო. ბევრი იქნებაო. რა ბრძანებაა, თითო ბევრი როგორ იქნებაო. მამაჩვე-

ნი... მეც მიკადრეთ, მეც გამიხარეთ
ოჯახით. მეცაო... მეცაო... და ყველა
იკადრეს, ყველგან შეჰყვეს თავი რიხი-
ნადა, მადლიანადა, მაშ რაო, უკადრისე-
ბად ხომ არ მოინათლებოდნენ,—ილო-
ცებოდნენ, ლილინებდნენ, მკვერმეტყვე-
ლებდნენ, აღიდებდნენ, მღეროდნენ,
გადიოდნენ სიმღერითა, შედიოდნენ სი-
მღერითა, თითქოს აღდგომა და მეჭო-
ნეები არიანო. ბოლოს ახირდნენ, ყვე-
ლა, ყველა, მაგრამ გვიჩვენებთ თუ არა
მამაჩვენსაო?! ჰეჰეჰე...ჰე... გაიციენს
მეზობლებმა, გაიციენს და როგორღაც
ირიბად გადაჰხედეს ერთმანეთსა. რა-
ღაცრადღაცეები მიკებ-მოკობეს, თითქოს
რამე იციან, თითქოს არც არაფერი გაე-
გებათო.

უფრო ისე გამოდიოდა, ბევრი არა-
ფერი გაეგებოდათ...

ან რა უნდა გაჰგებოდათ?! წაველ ერ-
თი, შეილებს დახედავო, ამბობდა ფრი-
დონი, ბევრჯერ ამბობდა და ერთხელაც
იჭნებოდა შეისრულებდა... დეკემბერი
დიდთოვლიანი გათენდა, ყველამ ნიჭ-
ბით გამოიტანა ბილიკი თავის ეზოდან.
ფრიდონს არ გამოუტანია ბილიკი, წა-
სულაო, თქვეს და თოვლმა რომ იმატა,
ფრიდონის სახლიც ნელნელა წავიდა
თოვლში, სახლიცა, ეზოცა, ბაღიცა, ყე-
ლამდის ჩაჭდა, ყელამდის ამოივსო. ორ-
მა ზამთარმა მშრალად გაიარა, გაგვიბერ-
წდა ორი ზამთარი და მესამე თითქოს
იმათს ვალსაც იხდისო, გვაყრიდა და
გვაყრიდა თოვლსა, გვახლიდა და გვახ-
ლიდა ქარსა, გვაფენდა და გვაფენდა
ყინვასა. გიზგიზებდა ღუმელები, შრე-
ბოდა ხელადები და ფრიდონი გვაკლდა,
ვანთქმული თამადა, ვანთქმული მომლ-
ხენი, უმიხოდ ვერა და ვერ აეწყო პირი,
მადლი ვერ მოიკიდა სუფრამა. ახალ-
წლამდის გავძლოთ, ახალწელსაც იქ
მოიღვეს, მერე კი დაგვიბრუნდებოო,
ამბობდნენ და სვამდნენ იმის სადღეგრ-
ძელოსა, პირველადვე იმისასა, ისეე თა-
მადად ირჩევდნენ ხოლმე, საპატიო თა-
მადადა. დაბრუნდებოდა, თავისსავე
ადგილს დაიჭერდა, სიტყვას იტყოდა—

გახსნიდა გულსა, იმღერებდა—ანთებ-
და ან საცრემლოდ მოაწყობდა თვალთა-
ყველაფერი უხდებოდა, ყველაფერში
მირონი ეცხო. ბაძავდნენ, მაგრამ მარ-
ცხდებოდნენ მიმბაძველები. ვარეთ-
თოვდა, ლხენის დრო დამდგარიყო, ამ-
დენი ხნით გადაკარგვა განა შეიძლებო-
და? ან როდისა სჩვეოდა? რახან ერთი-
დაბრუნდა, მერე ხომ პირი აღარ უქნია-
ქალაქისკენა. იქ შეილები დაზარდა,
დააბინავა, სამსახურზე ხელი აიღო, სო-
ფელს მიაშურა, კოლმეურნეობაში შე-
ვიდა. გაპარტახებული ეზო დაუბრუ-
ნეს, გაპარტახებული დაუბრუნეს და
ედემად აქცია. ცოდო იყო, ის მარჯვენა-
რომ აკლდა მიწასა! სხვაც ბევრი მარ-
ჯვენა აკლდება, ბევრი სხვა ბუზლუ-
ნებს, მიწას არ შევაჭმევ ჩემს ქანსაო.
ვითომ საით წაუთვა, ვითომ საით დაემ-
ლები? თუმცა ეს სხვა ადგილას სათქ-
მელი გახლავთ, ფრიდონთან რა მოსა-
ტანია?! თუ მოგეყვა, მხოლოდ იმიტომ,
სხვა გახლდათ ფრიდონი, სხვა ძალისა,
სხვა შეგნებისა, სხვა ჯეჟარისა, სხვა-
სიამაყისა, ჰეშმარიტი სიამაყისა...

სხვა უბნელებმაც იჩინეს თავი, შე-
მოეხვიენენ, გაახარეთ ჩვენი ჰერიცა-
აგრემც გაგახარიათო... შორს დაიჭირეს
შვილებმა, ჯერ ჩვენი ჰერი უნდა გავა-
ხართოო. მაგრამ იქით ფეხი ვეღარ წაე-
დგათ, იქ სიყრუე იყო, კარი გამოკეტი-
ლი, გაცივებული. აქეთ სითბო გამო-
დიოდა ლიად დაყრილ კარებიდანა.
ოლონდ შემოდითო, ვიდრე გავიგებ-
დეთო. აღარ შევიდნენ, აქვე გავიგოთ-
გასაგები რა არისო. უნდა წავიდეო,
აგრე ამბობდა, შვილებს უნდა დახე-
დოო. ეგ გავიგეთ, ეგ ვერაფერი ნუგე-
შიო. მეზობლები ისევე ირიბად გადაჰ-
ხედავდნენ ერთმანეთსა, მერე ისევე შე-
მოეხვეოდნენ ისინიცა, სხვა უბნელები-
ცა, დავილოცოთო, დავილოცოთო.

სხვა ვერაფერი მოეხერხებინათ.
სტუმრად ეგონათ, მასპინძლები კარს
მოსდგომოდნენ. სტუმრობა არც უყვარ-
და, რახან დაბრუნდა, დაბრუნდა, წასუ-
ლი აღარავის ახსოვს. ვერც შვილები

მოსდიოდნენ, რძლებს არ მოსწონდათ ჩვენი სოფელი, დიდი სახელი არა ჰქონდა, იმიტომაც არ მოსწონდათ, სახელიან აგარაკებს ეტანებოდნენ, სასახლოდ დადიოდნენ, სასახლოდ დაჰყავდათ ქმარშვილი. ის თავისთვის იყო, თავის კარმიდამოს ანაბრადა, მშვენიერი კარმიდამოსი. დროდადრო საბჭოში იხმობდნენ, არიქა, ტელეფონითა გვითხვლობენო, გაეშურებოდა... და მერე დიდხანს ისმოდა, — ჰა?! რაო?! როგორა?!, — ისევ ჰა და ისევ რაო, დილუბოდა, ყელი ამოეხახებოდა, მაინც ბოლომდე, გულიანად ვერაფერს გაიგებდა, თქმცა კმაყოფილებას მაინც აგრძნობდა, შეილება კითხულობდნენ; კმაყოფილებასა გრძნობდა და სწყევლიდა ტელეფონის მომგონსა, თუ არა ტელეფონი, ბარათებს გამოუგზავნიდნენ, ბევრად მეტს გააგებინებდნენ, იმი-სასაც მეტს გაიგებდნენ, ნაფიქრსაც გაუმხელდნენ ერთიმეორესა, გულს გადაუშლიდნენ. ტელეფონით რა ითქმოდა, რამდენიც უნდა ეყვირნათ, მაინც ცოტა უნდა თქმულიყო, თუნდაც რაიმე წამოსცდნოდათ, დასაკარგად იყო განწირული. ბარათები ყველაფერს ინახავდა... ჰოდა სწყევლიდა!.. კარგი რაშას, უფრო ადრე არ გამოიგონეს ტელეფონი, ეპისტოლარული ლიტერატურა ხომ არ გვექნებოდა, დაგვეკარგებოდა ბევრი რამ მართალი, წარსულისა, ბევრი რამ გულწრფელი დიდი ადამიანებისაო. დაბრუნდებოდა და გაშოალებდა განჯინასა, გადმოაწყობდა ძველ ბარათებსა, ცოცხლდებოდა წარსული წლები, მღელვარე წლები, ცოცხლდებოდნენ წინაპრები, სტრიქონებით ისხამდნენ ხორცსა, იდგამდნენ სულსა ამ ჩაფიქრებულნი, გარდასულნი, დამიწებულნი...

უცებ ერთმა მეზობელმა ტაში შემოკრა, აგერ ჩემთან შედით, ჩემთან დაითმინეთ და ამბავს ხელდახელ მოვირბენინებთ, ფეფოს ყველაფერი ეცოდინებაო. რაღა შევიცადოთ, ჩვენც მოვიდვიართო. მარტოხელა ქალია, ამ

შუალამისას ამდენი ხალხი... მაშ დარჩით, ჩვენს ამბავს ჩვენვე მოვიკითხავთო. მარტო როგორ გაგეშებებოთ და ერთობლივ დაიძრნენ, გაეშურნენ, კიდევაც გამხნევდნენ, ფეფოს სახლში შექი რომ შენიშნეს.

იქ გვიანობამდის ერთო ხოლმე შექი, თუმცა ნეტაეი რად უნდოდა შექი ფეფოსა?! ვერა ჰხედავდა, შექი რიღას ბედენა იყო. მაინც ანთებდა, შეღამებასა გრძნობდა და ანთებდა. ყველაფერსა გრძნობდა, ყველა წესს იცავდა, ვითარცა თვალხილული. ჰო, იქ გვიანობამდის ერთო ხოლმე შექი, გვიანობამდის უჭდა ხოლმე ფრიდონი და უკითხავდა ქართლის ცხოვრებასა. ფეფო ქარგავდა ქარგავდა ყვავილებს, რომელნი არ ენახა, უზავებდა დერებს, რომელნი არ ეხილა, მაგრამ ჰქარგავდა რაღაც საოცარი ოსტატობითა, მოდერნისტებსაც შეშურდებოდათ. ეს არ იყო მსგავსება, უფრო მიმგვანება იყო, სიმბოლო, ისეთი მონახაზი, უძველესი ქვეყნების გათხრებისას რომ წასწყდომიან. გრძნობითვე სწვდებოდა უძველეს ხელოვნებას, უძველეს ხელოვანთ ეხმაურებოდა... დროდადრო ნემსს შეაჩერებდა და ჰკიცხავდა უგნურ პოლიტიკოსებს. ფრიდონი იცავდა, სწორედ ყველაზე უგნურებს იცავდა და უხაროდა, ფეფო რომ ბრაზობდა. მერე ეთანხმებოდა, მეტისმეტად არ გაბრაზდესო. დააამებდა. ისევ მიჰყვებოდა მარცხიან ადგილებს, ისევ აბრაზებდა და იცინოდა. ფეფო მაინც ყველაზე ლამაზ ყვავილს იმას აჩუქებდა, — ისე დაჰკიდე, დილის სხივი დაეცესო, დააბარებდა. ეგრე დავეიდებო, დააიმედებდა ფრიდონიცა და არც ერთხელ დაჰკითხვია, თუ ნეტაეი საიდან ექნებოდა ისეთი სახლი, რომ იმდენი სხივიანი ადგილი ჰქონოდეს, რამდენი სურათიც უჩუქებია, არ უკითხავს, რადგან იცოდა, რასაც მიუგებდა, — მაშ დიდილილობით გარეთ გამოჰფინეო. მაშინ სხვა ტყუილიც უნდა ეთქვა, ეგრეც ჩავდივარ, დიდილილობით გარეთ გამომაქვსო. შუადღის მზე აწყყენს, შუადღე-

მდის გარეთ არ დაგრჩესო. რას ამბობ შეადღმდის გარეთ როგორ დაეტოვებო და ასე შემდეგ. ტყუილს ტყუილი უნდა მოჰყოლოდა, აბა, რა რჯიდა... ყვავილები ეყარა ფანჯრის რაფაზე, იქვე ხან სველი, ხან გამომშრალი ხელადა იდგა. ხელადა სველდებოდა და შრებოდა, ყვავილები მატულობდა, იმ ფანჯრის რაფას მართლაც ეფინებოდა დილის სხივი, მაგრამ ძნელი სათქმელია, ყველა ყვავილს აღწევდა თუ არა...

ფეფომ გამოიხედა, ვინა ხართო. მეზობლებიო. მოზრძანდით, მოზრძანდით, აგრემც თქვენ გაიხარეთ თქვენს ცოლ-შვილში, როგორც მე გამიხარეთო. კარებში ჩადგა, სათითაოდ მოეხვია, სათითაოდ შეუშვა შინა. ყველა არ შესულა, ისიც არ მოშვებია, აქ კიდევ ვინმე უნდა იყვესო. გვეჩქარებო. ნუ შეყოვნდებით და სიჩქარე გამოგივათო. პოდა, აღარ შეყოვნდნენ, შევიდნენ, არც მიიხედეს, არც მოიხედეს, მაგიდას შემოეხვიენენ, იქ ტკბილეული, ხილეული, ხელადა, ფიალები ეწყო. დაილოცეს, ხილეული გაკბირეს, ტკბილეული — გაკნიტეს და ფრიდონი იკითხეს, — ნეტავი სად იქნება, შენგან რომ წამოსულა, იმის შემდეგ აღარავის უნახავსო.

ფეფომ თქვა, — ჯერ გიორგის მიაკითხავდა, ეგრე იცოდა, ის უფროსია, ყველა და ყველას ამბავი იმასთან იყარის თავსაო.

წინ წამოდგა გიორგი, მაღალმაღალი, სუფთად წვერულეაშშობარსული, საფეთქლებგათეთრებული, ჩემთან არა ყოფილაო.

ფეფომ არ გაიკვირვა, — კოტეს ყველაზე მეტად იცოდებდა, ტყვეობა შეხვდა, მერე ამისათვის სასჯელი დაატყდა, ჰყვებოდა იმის გასაჭირსა, იცოდებდა, ვინც ეცოდებოთ, პირველად იმას მიაკითხავენ ხოლმე.

წინ წამოდგა კოტეი, ისიც მომაღლო, უფროს ძმაზე ბევრად გატეხილი, ხმაც უფრო დაბალი ჰქონდა, ჩემთან არ მოსულაო, თუმცა ჯერ მხრები აპყარა, ხელი გაიქნია გაოცებითა, მაგრამ მაღე

მიხვდა, ფეფოსათვის ეს — გასაგებია არ იქნებოდა, მერე და დაატანა, არ მოსულაო.

ფეფომ არც ეს შეიცხვდა, თუ ვინმეს გაუკვირდებოდა, გაქარწყლების კილოზე შესძახა, — ერთი ქალი გყავს, ერთი და ნაინატრიო, იტყვის ხოლმე, ალბათ, იმ ნაინატრს, თამარს ეახლა.

წინ წამოდგა თამარი, კარგად შეფუთვნილი, ბეწვში ჩაფლული, ხმაზე ეტყობოდა, ცოტა ნებიერი, ცოტაც პირვეული უნდა ყოფილიყო. გამოიცნო... ჩემთან რომ ყოფილიყო, განა აქამდის ვერ გაიგებდნენო.

ფეფომ არ შეიმჩნია, — ჭივი? ნაბოლარა ჩიტი! ნაბოლარას ხომ ყველაზე მეტხანს გასდევს მშობლის მღელვარება, იმისგან დიწყებდა.

წინაც არ წამომდგარა გივი, არც კრინტი დაუძრავს, მხოლოდ თავი გაიქნია.

ტაში შემოჰკრა ფეფომა, — ავი გითხარით, გივისთან იქნება-მეთქი.

გივიც აქ არის, გივიც უარობსო.

ჩაქრა ატაცება, უეცრად ჩაქრა უსინათლო ქალი, თუმცა თვალები მიმოატარა, ისე თითქოს თვალბილულიაო, ისე თითქოს ყველას სულში უნდა ჩასწვდესო, თითქოს ყველასა ჰხედავს და ყველანი ერიდებიანო. მართლაც მოერიდნენ, გადგნენ, ხელი რომ გაიშვირა ფეფომა, გზა გაუხსნეს. იმან კარადას მიაშურა, გამოაღო, დიდ, შავ შალს მისწვდა, მხრებზე მოიგდო და უჩუმრად გაემართა კარისკენა. უჩუმრადვე გაჰყვნენ. მხოლოდ თოვლი ხრამუნობდა იმათს ფეხქვეშა. ფრიდონის ეზოსთან ჩაწყდა ის ხრამუნი. ფეფო რომ შეჩერდა, შეჩერდნენ სხვანიცა, არც არას ამბობდნენ, თითქოს ენა წართმეოდით, ან მოკალოებულიყვნენ იმ იღუმალებითა, რასაც გაერინდებინა უსინათლო ქალი. ვინ იცის რა მძიმე ფიქრს შეეჭრა, ვინ უწყის, რა მოსჩვენებოდა თვალსმიფარებულს, შეგვიანებულს ყოველთვის შიში გამოუწვევია. ფათერაკიანი დრონი გადაიარა ქვეყანამ,

მუხთალი ყოფა გამოიარა და დაშინდა ხალხი; თვალსმიფარებული აღარ გამოჩენილა, დაგვიანებული შინ აღარ მოსულა და გულს აბა როგორ გაემტყუნება, კანკალი რომ აუტყდეს, მით უმეტეს უსინათლო მოხუცის გულსა. მაინც ვერ გაეგოთ, აქ რამ მოიყვანა, იმისათვის რომ ყველგან ერთი იყო, იქაც შეეძლო ეცახცახა და ეკანკალა. მაგრამ ჩუ!... ნელნელა ასისინდა თოვლი, აშრიალდა, გაიხრაშუნა, ოდნავ გაიხრაშუნა. სუსტი ფეხი ვაცურდა, სუსტმა ფეხმა წაიარა, კიბეს აპყვა, კარს მიატანა, კართან მიწყდა შრიალი თოვლისა. კარს ფეფო აეფარა, ყური მიადო, ხელები მიუსვმოუსვა, შუაზე ჩააცურა ცერა თითი, ჩამოპყვა, ჩამოპყვა, საკეტს მიატანა, იქ შედგა, იცახცახა, იცახცახა, ცახცახით ასწია საფარი გასაღების ხერელისა ასწია და ჩამოუქარდა ხელი, თითქოს მოსწყდაო. მერე აწვილა თითები, ისავსავა, ბოლოს, როგორც იყო, ისევ მიატანა გასაღების ხერელსა, გარს მოუარა საჩვენებელმა თითმა, ორჯერ, სამჯერ შემოუარა, უცებ ზედ დაეკრო, დააცივდა, დაეყინა. თითქოს მართლაც კარს დაეყინა ქალი, აღარ იძვროდა. დაბლა ძლიერად, მოჩქარებით ახრაშუნდა თოვლი. თავი გაიქნია ფეფომა, არ დაიძრათო. მისწყდა ხრაშუნი. იყო მღუმარება და ლაპლაპი მთვარისა, გაყინული ღამის ლაპლაპი. კარიცა ლაპ-

ლაპებდა, ოღონდ შავი შალი გადაშლიდა ზედა. ერთიც ენახოთ, *ცდიმტა ძხე* შალი, კიბეს ჩამოპყვა, თოვლის შრიალიც ჩამოპყვა კიბესა. ის თავდახრილი ჩამოდიოდა, თავიც რომ აეღო, მერე რაო, განა რა ამოიკითხებოდა იმის თვალბში. არც კრინტსა სძრავდა, არც დასძრავდა, ჩაკითხვანი ამაოდ ჩივილიდა, საკითხავიც აღარაფერი იყო, კარი ღაღადებდა, უტყვი ღაღადებდა მიძიმე ხვედრსა, უეცარსა, მოულოდნელსა... გასაღების თავი სხვიოდა ხერელში, თითქოს ავი თვალი ისვროდა ავ სივისა, შიგნით იყო გასაღები, კარი შიგნიდან ჩაკეტილიყო, ამ ერთი თვის წინ ჩაკეტილიყო, მაშინ, ჰო, მაშინა დიდთოვლიანი ღამე რომ გათენდა. მერე ხომ ყველ სახლიდან გამოიტანეს ბილიკი, იქიდან აღარავის გამოუტანია, აღარც უნდოდა ბილიკი, ერთბაშად მოვიდნენ, ერთბაშად ჩაქელეს თოვლი.

გალმაუბანში თოფი დასცალეს, ერთი დასცალეს და სხვა მრავალი ზედ მიაყოლეს, შუაღამე გადასულიყო, ახალწელიწადს ეგებებოდნენ; თოფები დასცალეს და კიყინა დასცეს, ძლიერი კიყინა, — ეს ძველი წელის გაძეგვაც იყო, ახლის მიგებებაცა... ჰაერი იყო გაყინული, გაყინული და წმინდა და საახალწლო კიყინა რეკდა როგორც ზარი, ზარი ძლიერი, უხილავი...



ბეკაშ შინაშა

სამი ლექსი

• • •

როცა ზაფხულს გააჩაღებ
მზეო, შენი ელვარებით—
შხრებზე თოვლის ჩაბალახებს
გადიგდებენ მწვერვალები,
ქუდმ-ხდილი ჩასცქერიან
ზღვის კენჭებით მორთულ სარკეს,—
თმაში თეთრი აღარ უჩანთ:
ლურჯ ტალღებმა იმიოკარგეს,

და სიმწვანე სიყმაწვილის
თუ ხანდახმულ კლდეებს წველება—
მზეს რომ დახედეს ქუდის მოხდით
მთა ყოველთვის მიეცლება!
მზეო, ღრუბლებს ნუ გაჰყვები
ქართი ცაში აყვანილთა,
შენი ჩუპი სიყვარულით
ქვის ვულმკერდი აყვავილდა!

• • •

აბა, ჩემი ხალისი
მაშინ უნდა გენახათ,
მთას როდესაც ჩემი გზა
ეხვეოდა ვენახად!
მაგრამ ერთხელ, ხევდახვე
გაჭრილ გზას რომ ვადექი—
ცხენაა წაიფორხილა
და ქვის ერთი ნატეხი
გადავარდა, კლდოვანი
ფერდო აახმიანა,
თუმცა ცხენს და ცხენოსანს
არა დამართნია რა!
მაინც მთელი ხეობა
ისე ააგუგუნა
თეთრის ყველა ციცაბომ
ცხენის ფორხილს უყურა.

— ცხენოსანო. მყუდრო გზით
ცხენს თუ აგრე ატარებ,
ყოველ წაფორხილებას
მტერს ვერ გამოაპარებ!
სანამ მტერი არსებობს
ჩვენი მთავრებილების,—
დაიხსომე, ვაგაკო
აზრი ჩემი მხილების!..
ხმა მიჰყვება მთიდან მთას
და აუგუნებს ხეობა:
— სანამ მტერი არსებობს,
არის ძალმომრეობა,
ვაგაკოს მართებს უთუოდ
უფრო მარჯვედ იაროს,
მთები ლალი ქენებით
უნდა აახმიანოს!..



• • •

თვალი ქვეყნად გაეახილე თუ არა —
 მომეგება მთა მთის სამფლობელოდან.
 თვალი ქვეყნად გაეახილე თუ არა —
 ზღვა აქ იდგა და მღელვარედ მელოდა.

ზღვის ნიაფი როცა აკვანს მირწევედა —
 მთაზე ენთო მზე და ცის ვარსკვლავები!
 ზღვა დასიცბულ გულმკერდს მიხალისებდა,
 ზღვის ტალღებში გაწრთენეს ჩემი მკლავები.

ჩემი თვალის ამაღლება მთა არის,
 ჩემ ძილს მუდამ მთის მწვერვალი სდარაჯობს.
 ჩემი ტკბილი იაენანა ზღვა არის,
 ჩემი სულის ბობოქრობაც... და რა სჯობს!

ჩემი ფიქრის იალქანი ზღვაშია!
 მთის კალთაზე ჩემი დღე და სოფელი...
 გულს ვერ გავხლებ, გული განა ვაშლია,—
 ორივე მიყვარს, ორივე, როგორც მშობელი!

თარგმანი პარლ. კალაძის

დავან გოთა

ცხოვრება იწყება წყაღიღობით*

ჩხიკეები და კაპკაპები ტყეს მოედვენ დახილ-დახილით.

— არიქა, მელა-კუდაე! წიწილებია დასაპერი, წიწილები! ბაკურ-კიკო გიბ-მობს!

მელამ ყური მოჰკრა, დაკლული წიწილები სოროში ჩამალა და ბაკურს მიამახა.

— მზად ვარ გემსახუროთ! — მღაბლად დაუქრა თავი ბაკურსაც და ნანასაც.

— რასაც წიწილების დიასახლისი ამბობს, მართალია?

— ჩემი ამბავი რა სახსენებელია... ცოტა არწივს ვებრძოლე, წიწილებს წყალი დავაღვივინე, — გაიკვიანწა მელია.

— მართალია? — ახლა ნანას შეეკითხა ბაკური.

— დიახ, მართალი, — კუდიტ!

— კუდიტ? აბა, დამანახე!

მელამ ბაკურს სველი კუდი მოუბრუნა. ბიჭმაც მოსინჯა და ხელი მაგრად სტაცა კუდში.

— აბა, ახლა კბილები დამანახე!

— ჩემს კბილებს კუდი სჭობია! — დაიკლანა მელა, — მთელი სიმდიდრე და სილამაზე იქ მაქვს! — ტუმრობა სტადა, კბილმორიდებულად ჩაიხიბითა.

— კბილები მეთქი! — გაწყრა ბაკური და წალღს გაავლო ხელი.

— აბა, ოღონდ კუდზე ხელს ნუ მიპერ... სული მესხუთება!

მელამ პირი გააღო და სისხლიანი კბილები გამოაჩინა, ბაკურმა ჩაჰხედა და ყველას დაანახვა:

— მართლა კუდი ჯობნებია! შენ არც

ხარ მაგის ღირსი! — დაჰკრა წალღი და კუდი ხელში შეიტოვა. — ახლა იყავ კუდალა!

— ვაიშე! რა სიმდიდრე დაეკარგე! — აკანკლა მელა, — უკუდო მელია, ეს იგივეა, რაც უთავო ადამიანი!

— ახია! ახი! — მიამახეს აქეთ-იქედან ტყიურებმა.

ბაკურმა კი მელიას კუდი ნანას მიართვა, ყელზე შემოახვია.

— ბაფთის სანაცვლოდ გქონდეს!

— გმადლობთ, ბაკური!

ნანამ თავი დაჰხარა და მანქანისაკენ წავიდა. წიწილები და სხვა შინაური ფრინველები თან გაჰყვნენ. ტყიურები კი ბაკურთან დარჩნენ.


— უთხარი რამე... დაჰპატივე ჩვენთან! — უჩურჩულა ბუმ, — სხვებმაც ბაკური შემობრუნდა, თითქოს გამოფხიზლდა და მიამახა:

— მოდი ჩვენთან სატირიფოში მობრძანდი, თუ მოგნებ! — უეცრად ენა აებორძიკა, მაგრამ დასძლია და თავიანხრილად მიამახა. — შენ იქ კარგი დიასახლისი იქნებოდი!

— მოვალ... მოვალ... მოგაგნებ! — გზიდან გამოსძახა ნანამ და ხელები აუქნია. დანარჩენი მოახლოებულმა ტრაქტორის ხმამ დაჰფარა.

დაბრუნების შემდეგ, ოქროს წყაროსთან დიდ ქვაზე მიჯდა ბაკური. წალღის ყუითა და რაყეზე ნაბოკნი სასარგებო ქვით ჰედვასა და ლესვას შეუღდა. მანქანიდან მოტანილ სპილენძის მილაცს წვერი გაუქეთა და წაუღესა, საისრე ჯობს წამოაგო.

ტირიფზე კი კრძალა შემოქდა... კაკუნ-კაკუნით ქვევით-ქვევით ჩამოვიდა.



— რა ამბავში ხარ, ძამიავ-კოდალაე! რას დაეძებ? ასე გაშმაგებით რად აკოუნებ?

— შენ რაღას აკაკუნებ, ბაკურ-კიკო, თორემ მე ოჯახი მყავს სარჩენი. შესწავით მარტო რომ ვიყო? ტოლიც რომ არ გყავს!

— რატომ? ესენი ჩემი ტოლები არ არიან? — ხელი მთელ სატირიფოზე გადაატარა, წერო, წაფი და ჩიტ-გეროტი დაანახა.

— არა, შენი ჯიშისა და მოდგმისა! ტოლი ადამიანებს შორის. თორემ ესენი თავის გზა-საგალს იპოვნენ.

— ნანა? — თავჩახრილად აღმოხდა ბიჭს.

— მერმე სად არის? — უფრო აკაკუნა კოდალამ, — როდესაც მოვა, მაშინ თქვი! ადამიანები ასეთები ხართ — მეოცნებენიცა და ტრაბახებიც. ბოროტებაში კი ყველას ხელი გირევიათ! რომ მიმიშვან გამოსარკვევად — უმრავლესობა ქიანები და ფუტურონი ხართ! — კოდალამ თავი მოიბრუნა და პირდაპირ ჰკითხა: — არა მაინც რას აკეთებ?

— ეს ჩემი საიდუმლოა... ადამიანის! — კოდალას ნათქვამი ენიშნა და უფრო ეწყინა ბაკურს.

— შენ გაქვს საიდუმლო? — მოულოდნელად ამეტყველდა გარინდებულ წერო.

— როგორ, თქვენცა თუ? — გაიკვირვა ბაკურმაც.

— აბა, აბა... დაუკრეფავში ნუ გადადიხართ! — ღრუდან თავი გამოჰყო ბუმ, ფრინველებს ნიშანსაგულოდ გადაჰხედა, ბაკურმა კი იწყინა:

— აქ ოქროს წყარო ერთად შევსვით, ფიცი დავდეთ და თქვენ კიდევ მიმალავთ რამეს?

— თითო უთქმელ საიდუმლოს ყველა ვატოვებთ, შენც და ჩვენც, — ფიქრიანად ჩაიდუღუნა ბუმ.

— მე არა! — მოუჭრა ბაკურმა, — მეგობრობა მე ადამიანურად მესმის!

— მაშ ეს სპილენძი? — ფრთით მიუჩინა ბუმ.

— არწივთან საბრძოლველად მიმდევს ხომ გამონდებდა!

— არწივს რომ მოერევი, მერმე ჩვენც გაგიმხელთ ჩვენს საიდუმლოს! ჭერ კი, კოდალა, ბარტყები გამოვკვებოთ, ბარტყები!

კოდალამ განაგრძო კაკუნი. განაგრძო ქედვა და ლესვა ბაკურმაც.

სატირიფოდან არც თუ შორს, ჩაიქროლ-ჩაიდუღუნა მატარებელმა.

ბილიკზე გამოჩნდა ჩაფიქრებულად მომავალი ნანა. ღიანდაგზე გადმომდგარ წოწოლა კლდესთან შედგა და მომოიხედა.

— აი აქ ვნახე პირველად. აქედანვე ვიწყებ მისი სატირიფოს ძებნას!

ისევე ბილიკს გაჰყვა და მტკვარს თავზე გადაადგა. აქედან იწყებოდა მტკვარში შეჭრილი, ვიწროდ წაგრძელებული კლდის ნიღრი.

— ალბათ, აქ არის სადმე? აქ ტირიფებიც ბევრია! — გაიფიქრა ნანამ და ქედი მოათვალიერა. კლდის ორივე, მაღლიდანვე ჩაშლილ-ჩაფრიალებული ფერდი პირდაპირ მტკვრის ჩქერში იძირებოდა.

— ჰეჰეი, სატირიფოვ! — გასძახა გოგონამ. კლდემ გაიმეორა ძახილი. პასუხი კი არაღვის არ გაუცია.

ღვიარადან თავი გამოჰყო მელამ. თვალები დაქუსა, ნაკუდარზე თათი გადაისვია:

— ოჰ! ჩემი კუდის ახალი პატრონი! ახლა ნახოს ჩემი ონები! — კვლავ მიიშალა და ფარულად კლდის ნიღრზე შეიპარა.

— ჰეჰეი! ვინა ხარ? რა გინდა? — ხმაველილად გაეპასუხა კუდალა.

— სატირიფოს გზას ვეძებ!

— კლდე-კლდე გამოჰყევი! კლდე-კლდე! — ყბამოქცეულად გასძახა მელამ. ნანა გაჰყვა, კლდე უფრო შეეწროვდა, პირი წაიშახვა. ქვის შლა აიტეხა, ნანა შედგა და კვლავ მიმოიხედა.

— კარგად მოხვალ! კარგად ცოტაცა!

მერმე კარგი გზა არის! — ძახილ-ძახილით გააჰხნევა უჩინარმა მელამ. — მე ბაკურ-კიკოს მეგობარი ვარ!

გოგო ახლა უკვე ნიღრის პირზე მოცოცავს.

უცერად ნიღრს ხოხობმა გადაუარა, მაგრამ ნანა დაინახა და უკან დაბრუნდა, წინ დაუჭდა...

— კიკი-ნანა, აქ რა გინდა? ეს ხომ საარწივია! ბორცვის სამფლობელო! თუ მოგასწრო, თავს დაგესხმის! კლდეზე გადაგჩენავს!

— ვილაც მიძახდა, სატირიფოს გზა ასეთია! — ნანამ ქვევით გადაიხედა. კლდის ფრიალომ და აჭაფებულმა დენამ თვებზე დასვია და კინალამ გადაიჩეხა. ნანამ თვალეები დახუჭა და მობრუნდა.

— ახლავე დაგბრუნდები!

მაგრამ ჭერ მტკვრის ტანს დაეცა არწივის ჩრდილი, მერმე კლდის ნიღრს.

— დაწექ... გაინაბე! — ხოხობმა ფრთა-ბოლო გადააფარა ნანას, მაგრამ აბა რას გასწვლვებოდა... თანაც კუდალა მელა მალლა ქიმზე აიპარა და ნანასგან მოთარებულად არწივს თათები დაუქნია. ნიშანი სცა. კიკი-ნანა შეამჩნევინა. არწივმა უმალ ყვირილი ამოუშვა.

— კრა! კრა! ვინ გაჰბედა აქ, ჩემს საბუღარში მოსვლა! — უმალ იქით გაექანა, ხოხობი ფრთაშერეულად აფაროქალდა და მტკვრისაკენ გადაეშვა.

— არა, არ ვაგვიდა კიკი-ნანა ათას ხოხობს მიჩვენია! — არწივმა ხოხობს უგანა და გოგონას მიამურა, — ჩემი ბუდის მოშლა გასურდა?

— არა, სრულიადაც არა... მე სხვას დავეძქბდი!

— გიცანი! კარგად გიცანი! — თავზე გადაუარა, ქარიშხალი შეუყენა, ირგვლივითიც მოათვალიერა მტაცებელმა, — ალბათ ბაკურ-კიკოს დაეძებ!

გოგონამ ძლივს შეიკავა თავი, კლდეს შეეჭიდა ორივე ხელით, გამხნევდა:

— დიახ, მას დავეძებ... მას!

— მე გაბოვინებ... კრა! კრა! ახლა-

ვე მოგიყვან. მტკვარდაყოლებით არის! — ჩამოუჭროლა, ფრთა გაქრა და ნაშვავ კლდეზე გადასჩეხა.

— მიშველეთ! ბაკურ! — ერთი კი აღმოხდა გოგონას და ქვევით ჩასრიალდა, ჩაშლილ ქვევებს გადაჰყვა...

მტკვრის სანაპიროზე კი ხოხობის გულშემზარავი კრიახი გაისმა.

— უშველეთ! კიკი-ნანას უშველეთ! ბაკურ-კიკოს ბაკურ-კიკოს!

ჭალა აგანგაშდა. სხვადასხვა ხმაზე ვაისმა ძახილი. უხილავი ტყიურნი შემფოთდნენ. ხან ჩხიკვი იძახდა, ხან კაქკაპი, ხან კაქაბი და შაშვი. ხან ირემი ყვიროდა, ხან ბლაოდა დათვი. ძახილი მიჰყვებოდა ჭალას. არწივმა კი კვლავ ჩაუჭროლა გოგონას, ერთიც გაქრა მხარი და მტკვარში გადასჩეხა.

— არიქა! არიქა! წყალს მოაქვს! უშველეთ! არწივმა გადასჩეხა! არწივმა! უშველეთ — არიქა! — ძახილი უსწრებდა მტკვრის დინებას. სატირიფოსიც ჩაუსწრო, ბაკურის ყურსაც მისწვდა. მანაც ხელად უტია ქედვა-ლესვას და აღმა-აღმა, ნაპირ-ნაპირ აისწრაფა, კლდიდან კლდეზე გადახტა, მდინარეში რაინახა წყალწაღებული. ახლო, თავზე სატირიფოს ფრინველები დასტრიალებდნენ. მალა ცაში კი არწივი უწლიდა და გამომწვევად ყიოდა.

ბაკური უმალ გადახტა კლდიდან და გასკურა, დაეწია, ჩამოშლილ თმაში სწვდა ნანას. მოსწია და ტირიფისაკენ უსწორა ცურვა.

ერთობლავ ცხოველ-ფრინველები მიეშველნენ. ზოგი წყალში შეცურდა, ზოგმა ფრთა გაქრა, ტირიფის ტოტე-ბიც კი წყლისაკენ იდრეკებთან. წყალწაღებულსა და მამწველთ უყიყინება მთელ უსულო ბუნებაცა და სულაფრნიც ბუნებისანნი.

მატი-კვატები გოგონას ხელებს ამოუდგნენ, წავი საყელოში სწვდა ნანას. ირემი ქვევიდან მოცურდა და ზურგზე მოიჭყია გულწისული ადამიანი.

ბაკურმა ხელი სტაცა დადრეკილ ტოტს ტირიფისას და ნანა ხევით აიტა-

ცა. ჩახლართულმა ძირებმა გზა მის-
ცეს. ბიჭმა ბალახზე მიაწვინა გულწა-
სული.

ხელად შემოადგნენ ტყიურნი. აფუს-
ფუსდნენ. აერიაბულდნენ.

— არ ლაპარაკობს! ხმას არ იღებს!
კიკი-ნანავ, შენ გენაცვალეთ!

ხოხობი ფრთას მარაოსავით უნია-
ვებდა. ბატი ყურს უწიწნიდა.

— ვერ ლაპარაკობს და როგორ უნდა
ისუნთქოს? სიტყვაა — სუნთქვაც და
სიცოცხლაც!

— რას ამბობი რასა! — ჩურჩულებ-
და ირემი და ლოყებს ულოკავდა, გულ-
შემოყრილს. დათვი ბუხებს არ აკარებ-
და.

ბუ ხეზოდან დაყურებდა და ყველას
არიგებდა, ჰკუთას ასწავლიდა.

— გულწაულია, ქა!.. წყალნაყლა-
ბი! ლოყა-ყვრიძალები დაუზილეთ! ხე-
ლები აუშოძრავეთ! აი ასე, აი ასე! —
თავდაც ფრთების ქნევით აჩვენებდა,
— სუნთქვა გაუადვილეთ! სუნთქვაა
მთავარი და არა ლაპარაკი, ეგნოოსავ!

ბაკურმა მოწინებთ ხელი შეახო, თა-
ვი შეუსწორა, ხელები აღნიშნავდა ნა-
ნახს.

გოგო გონს მოვიდა... ქუთუთოება
ააპარპალა.

— გაახილა! თვალები გაახილა! —
წავმა თავისი რბილი/კუდიით თვალები
ამოუწმინდა ნანახს.

— გაახილა! გაახილა! — თამაშით
შეფრინდა ჩიტო-გვრიტი, შავ-თეთრ
ნაპერწყლებად აიშალნენ, ცაში შევარდ-
ნენ მერცხლები, თითქოს ბალახის სიმწ-
ვანე მადლა აიტაცეს მელედვიებმა.
მთელ ჰალას გადასწვდა სიხარული.

გოგონამ კი გულზე იტაცა ხელი, თა-
ვი წამოსწია.

— სად ვარ?

— სატირიფოში!.. — ერთხმად შეს-
ჩურჩულეს.

— არწივი? — მიმოიხედა ნანამ, —
ესენი ვინ არიან?

— ჩვენ ვარ! ჩვენ! ედარ გვიცა-
ნის? — შერეულად შეხმარდნენ ტყი-
ურნი.

— ესენი ჩემი მეგობრები არიან! არ-
წივი კი აქ ვერ მოპბედავს! — დაწყნა
რა ბაკურმა, — ნულარ იჭავჭავა!

— ბაკურ! ახლა აღარ შეშინია! აღარც
ეჭავრობ! — აღუღლულდა ნანა, — სა-
ტირიფოს გზაზეც არწივმა დამაყენა!
ავი სწიდადა, ბოლოს კი სიკეთე გამოუ-
ვიდა!

— შენ ბედი თქვი! ბედი! — აკრუ-
ლდა წერო.

— ჰოდა ასეა! გოგონა წყალს მიჰქო-
ნდაო და გზაც სატირიფოსკენ ჰქონდაო!
ჩვენ კი გულეში დაეხეტებო! — აღუ-
ღლულდა ბუ.

ნანა კი წამოჯდა, ყვავილი დაინახა.

— ეს რა კარგი ადგილია.. რა მშვე-
ნიერი ყვავილი! ასეთი არც ნინაბავს
ბაკურმა მორცხვად ჩაიღიმა:

— შენი ყვავილია!

— სიყვარულის ყვავილი! — ისეკ
აქოთქოთდა ბუ.

— რა კარგად გაშლილა, აქ... ამ სი-
კეთის კუთხეში.

ისეკ მიჰხედა ყვავილს, თან ხელი ტა-
ნზე ჩამოისვა, — უი რა სეელი ვარ! კა-
ბაც ტანზე შემომეტმასნა... ნუ მიპ-
ზერთ!... ნურც შენ, ბაკურ, ჩემო ვადაპ-
რჩენს!

უეცრად დაიმორცხვა ნანამ. ხელები
სახეზე იფარა და ქვითინი აუფარდა.

— ვაი დედა! კინაღამ დაეხარჩვი!

— კი, მაგრამ... ახლა რაღა ვატი-
რებს? — განცვიფრდა ბაკურ, სხვე-
ბიც.

— მაშ რომ დავმხრჩვალიყავი, მერკე
რაღას ვიტირებდი!? — უფრო აზლუ-
ქუნდა ნანა.

ფრინველებმა რა ცხოველებმა კი
ერთი ტყრციალი და ხარხარი შექნეს...
დათვიც კინაღამ გაიგუდა ხარხარით.

— მართალია! ეახახახა! მართალი!
მერმე რაღასა!..

— აბა ერთი გავამხიარულოთ! გადა-
რჩენის ფერხული ჩავაბათ! — დაბო-
რიალდა, ყველას ფეხი გადააბიჭა წე-
რო-პატიოსანმა... ყველანი ადგილობ-
რივ აროკდნენ, თანდათან გარს შემოად-

გნენ მტრიალა ნანას, ჩაშწკროვდნენ და ჩარიგდნენ.

— ნეტა ვისა? ნეტა ვისა? — კაკებებმა გასძახეს ხობბებს.

— ნეტა რასა? ნეტა რასა? — ახლა კაკებები შეეკითხნენ ჩხიკებს.

— ნეტა რაო? ნეტა რაო? — აელურტულდნენ შაშვ-შოშვიები.

— ერთმა ორბმა გულქერამა... — ბინი და სიტყვა მისცა ბუმ.

— ერთსა გოგოს გულქეთილსა... — აღულუნდა ჩიტო-გვრიტი.

— ფრთა გაჰკრაო! — შეჰკივლა და აყიყინდა ბატი.

— ფრთა გაჰკრაო! — უფრო აუწია, თავადაც ცალ ფეხზე შედგა წერო.

მათ მიჰყენენ სხვა ბატი-კვატები, ტყის ქათამები, მოლადურები.

ახლა ცხოველები ჩაებნენ ფერხულში და სიმღერაში.

არწივის ჩრდილმა კი ისევ გადაუარა მეფერხულეთ... ნანა წამოხტა, ბაკურს მიეტანა.

— ისევ ის!

— ნუ გეშინია! — ბაკურმა წალღს ხელი დასტაცა და ნანას წინ გადაეფარა.

— ამიერიით სატირიფოში ან მე, ან იგი!

— წავალ მე... შინ წავალ... აკი ვიყავი შენთან, ხომ განახე!

— მე მინდა გულმა მოგიყვანოს, — არა არწივმა! არა მდინარემ ჩამოგატაროს!

— ასეც უფრო დამშვიდებულადაც განახე! თქვენც ყველას განახეთ, ბაკურის მეგობრებო!

ფერხული კი განანგრძობდა ბრუნვარონის და სხვადასხვა ხმაზე სიმღერას:

დაგვეხსენ შავი ფრთიანო,
შენ დაგვანებთ თავიო,
შაინც ვერ დაგვაზიანო,
ბაიო — არწივს! ბაიო!...

ფერხულითა და სიმღერით მიჰყვენ და მიაცილებდნენ ძიშვალ ნანას. სატირიფოს ზღვარზე თანდათან ჩამოარჩნენ მეფერხულ-მოსიმღერეები.

ახლა მხოლოდ ორნი მიდიან... ნანა და ბაკური. ღრმა ხეზე გადადებულ

ვიწრო ხილთან. ნანა შედგა და ხელი გამოუწოდა თავის ვადამწიქეებს.

— როდის მოხვალ? — ფიქრობდა შეეკითხა ბაკური.

— როდესაც გული მეტყვის! — ვაინაზა ნანა, — შენ რაღაც სხვანაირი ხარ, მკაცრი და კეთილი-ცხოველები და ფრინველები ამას აღამაინებზე უფრო მალე გრძნობენ!

— მაინც როდის მოხვალ?

— ახალ კაბას რომ შევიკერავ! — სველ, აქაიქ დახეულ კაბაზე შეივლო ხელი გოგომ და უკვე შინაურულად, თვალდახუჭულად, გაუღიმა...

— ჩვენზე არავის არაფერს არ ვეტყვი?

— კარგი, — არა! ეს ჩვენი საიდუმლო იყოს!

— პირველი საიდუმლო!

— კიდევ ბევრია?

— ბევრი... ცხოვრება ხომ ოცნება და საიდუმლოა!

— მე კი მადლობის თქმაც დამავიწყდა, რომ ვადამარჩინე. ჩემი სიცოცხლე ახლა შენ გეკუთვნის! დედა ასე იტყოდა! მაგრამ მე არაფერს არ ვეტყვი დედას!. არც გაკოცებ, მაგრამ არც ვეტყვი.

— მე არწივს ვებრძვი. მეტი არაფერი არ ვიცი!

დაბრუნების შემდეგ, ბაკური დაუყოვნებლივ შეუდგა ახალ საქმიანობას. დედა-ენაც ვადამალა, მაგრამ აღარ ჩაიკითხა. წალდი მოიმარჯვა. ტირიფის გადაწოლილ ტანზე ამოსული ერთ-ერთი მკლავის სისხო ტოტი ვასხება, გარს გამოუკაფა, მოჰხარა და სინა ჩამოაბა, ჩამოკიმა. ხელი ჩამოჰკრა, ჩანგივით ააყლერა. ახალ ხმის ვაგონებაზე შესმიანდნენ, კილო აუწყვეს მგალობელმა ფრინველებმა. ჩიტი-გვრიტი კი შეეკითხა:

— რას აკეთებ ბაკურ-კიკო? ესეც დედა-ენაა?

— გამოჩნდება ენახოთ რა გამოვა!

— ჩანგია!.. — დაასკვნა ბუმ.

— იარალი! მშვილდი!.. — შეედავა წერო.

— ორივეა! ჩემი ჩანგი — ჩემი იარალია! — ბაკურმა ოთხი ძალი ჩამოაბა

და ჩანგივით გამართულ მშვილდს ხმა გამოაღებინა. სატირიფოს ყოველ ფრინველსა და ცხოველს გული აუფლერა ამ საბრძოლო საკრავმა. უკრავდა ბაკური და ხან არწივული იყო კილოში, ხან ხოხბური, ხან კაქკაჭური. ერთი-ორი ირმული ხმაც დააბუბუნა... ყველანი თანდათან აპყენენ.

წერომ ხელად წკებლა აიტაცა და შერეული ხმები შეათანხმა-შეათანაბრა. ბაკურმა ფიქრიანად გადაჰხედა ჩაწყვილებულად მგალობელ ან ჩაყუჩებულ ტყუილთ და ჩანგ-იარაღის სიმთა ეღერას ხმაც ააყოლა.

ვევლს ჰყავს თავის ტოლ-ფარდ.

შენ სად ხარ — ანა-ბანაო!

ბუმ გადმოიხედა ბუდიდან, ხმის აწყობა სცადა, სმენამ უღალატა. მიხედა და გაჩუმდა. უსიმღეროდ ჩაულაბარავა.

წერილი მისწერე!

— ვის? — გაიკვირვა ბაკურმა და სიმები ისევ ააქლერა.

— შენ თვითონ იცი! ვისაც უმღერის აული! — თავი მოიღერა ირემმა.

— იცის... თვითონ იცის! — აყიყინდნენ ბატი-კვატები, ჩხიკვ-კაჭკაჭები. წერომ წკებლა მნიშვნელოვნად აიჭნია, კილო ისევ ააწყო და განაგრძო:

— მერმე როგორ გავგზავნო? — თავი ჩაპხარა ბაკურმა.

— შენ დაწერე, ეგ არის მთავარი. თორემ გზას სურვილი აჩენს! — გადმოსძახა ბუმ.

— დაწერე! დაწერე! აჰა, რვეული! — წერომ დედა-ენიდან ამოაძრო დაფურცლული რვეული და ბაკურს გადაუშალა.

— აჰა, კალამიც! — ხოხობმა ბოლო ამოიგლიჯა და ბიჰს მიართვა.

— უი, დამასწრო! — ამოვარდა ბატი, მაინც ამოიძრო ფრთა-კალამი და მიართვა.

— სსასვენნი ნიშნები მაინც ჩემი კალმით დასწერე, გეთაყვა!

— მე წავითლი! მე! — წინ დაუყუყუდა წავი და კალმებს კბილი გაჰკრა.

— მელანი ჩემზე იყოს! აბა, შავხო-

ხოსნებო! — შაშვები ავახუხუხდნენ, ანწლსა და მაყვალს შეესეკვნენ. მათ სხვა ფრინველებიც მიჰყენენ. ჩისკარტებით მოზიდეს. ტირიფის ძირა ღრმულში ჩაჰყარეს. ბატმა ჯერ ნისკარტით, მერმე ფეხებით ჩაჰყლიტა. ტირიფზე გადავლისას შავი ბაჭბაჭა კვალი დარჩა.

— აჰა, ბატონო... ბატიფეხური! — გადმოსძახა ზევიდან ბუმ, — მელანი კი ჩინებულია!

— ახლა კი სიჩუმე, კიკო — კიკის წერილსა სწერს! — შეწყრა დათვი და ბაკურის ფერხითთ მოკალათდა.

ბაკურმა ჯერ ისევ ჩანგ-იარაღს ჩამოჰკრა მარცხენა, ნარჯვენით კი ხოხბის კალამი ამოაწო მელანში და წერას გული მისცა.

უეცრად დაბერილმა ქარმა ფურცელი გასტაცა და მტკვარში გადაუგდო. დინებამ უმალ მიიტაცა. ტყუილებმა ერთი ყრიაშული შექნეს, წამოიშალნენ. მაგრამ ჰაერში ელვის სისწრაფით არწივმა გადაიქროლა და წერილი წყლიდან აიტაცა.

— ჰაიო! ეცი არწივს! — წამოვარდა დათვი. ჩხიკვ-კაჭკაჭები, მერცხლები, კვირიონები და სხვა მარდი ფრინველები, ერთი ჟივილ-ხივილით, ცაში შეესივნენ არწივს. ირგვლივი რკალში ჩააგდეს.

— რა თავს აკლავთ! მეც მამბოროტბო! უბრალო ფარატინი ყოფილა! მე გეტყვით, წიწილია! აჰა! და თავი დამინებეთ! არ შეჰყარეს მთელი ხიდსაქეთა ქვეყანა! — ქაღალდს კლანჭი გაუშვა და ცას გაეკრა.

ფარატინს ჯერ მერცხლები სწვდნენ, მერმე ჩხიკვები მიეშველნენ. ახლა სხვები. ფრთებით ამოუდგნენ და ისევ ბაკურს მიართვეს.

— ასეთი რა დასწერე, — რა მძიმეა? ძლივს ეზიდეთ ამდენმა ფრინველებმა!

— აბა რა ვიცი — ლექსია! მამამ მითხრა — ადამიანის დაწერილი სიტყვა რკინაზე მძიმეაო! სიმართლეს კი ორმაგი წონა აქვსო!

— მართალი უთქვამს! კარგად უთქვამს! — ხმა მისცეს ცხოველებმა.

— ვერ დაინახეთ! არწივსაც გაუჭირდა! — შესძახა ირემმა.

— მდინარემ კი ადვილად წაიღო! მდინარე დროსავით არის! — აბა თუ არა!

— ბრძენ-ბუ მართალია! აი გზაც გამოჩნდა! მდინარეს გავატანოთ. არმაზამდე ჩაიტანს წერილს! იქ კი კივი-ნანაც დახვდება! — ისევ წერომ წარმართა საქმე.

— ჩვენც გავფრინდებით... გავაფრთხილებთ! ჩვენ ვიქნებით პირველი მერცხლები! — ავიკვიდნენ მარდი ფრინველები, — დიდი წერილი დასწერე — მთელი გული შიგ რომ ჩაეტიოს! ბაკურმა ისევ სიმებით დაიწყო. ახალი წერილი დასწერა, წყალში გადაადგდო. მორევეა დაატრიალა ქალაღი.

უეცრად ყოველმხრივ თევზები შემოესივნენ წერილს, გასწიეს და გამოსწიეს. ერთი ონაეარი კი ქვევიდან ეძგვრა და წერილის შუაგულში ამოჰყო თავი.

— ესეც შენი მოკითხვის ბარათი! — გაწყრა და ასისინდა ბატი, წყალში შეცურდა. — მომყევით, ბატი-კვარტბო! თევზებსაც ვაჩვენოთ ბატიფეხური, — კალიები და ასოები ვერ გაურჩევიათ! მაგრამ წერომ დაასწრო:

— ფრთხილად! არწივი! ტირიფის ჩრდილს არ გასცდეთ, არა!

წერილი კი გაწი-გამოწიეს და ნაუწუნაკუწ წაიღ-წამოიღეს თევზებმა.

— შენი ლექსი თევზებმა შეჭამეს და რა მოუვათ! — იკითხა მობრუნებულმა ბატმა.

— ჰე, გენოსავ... რა საკითხავია? დახე ამ ლექსიჭამიებს! ახია მაგათზე რაც მოუვათ! — აჩხავლდა კაქკატი, — ასე არ ვარჯა! თავიდან დასწერე. მე კი ვიცი რაში ჩასდო, არც დასველდეს. ვერც თევზებმა შეჭამონ, ვერც არწივმა მოიტაცოს!

— რა არის ასეთი? — კაქკატს შემოეხვივნენ ყველანი.

— ერთი, შეგვამკვირვალე, წიწილანითია. შიგ კეუამხიარული წყალი ასხია.

— რა კეუამხიარული? — აყაყანდნენ ტყვიურნი.

— იმას რომ დაღვეენ ხოლმე ადამიანები — კეუამხიარულნი ხდებიან. სულ მღერიან და ჩხუბობენ!

— ღვინო? არაყი? — წამოიძახა ბაკურმა, — მერმე სად არის ბოთლი?

— მე ვიცი, აქვე ლიანდაგის ახლოს. ერთ ხის ძირში მთელი ყუთია. კეუამხიარულები ყოფილან! დათუნია გამაყოლებ და მოვიტანთ!

— აბა, დათუნიავე! მე კი ხელახლა დავწერ! — კალამი წავს გაუწოდა ბაკურმა და ახალი ფურცელი აიღო.

მაღე კაქკატი მოფრინდა, ოფლი მოიწმინდა და აქოთქოთდა.

— მოგვაქვს! მოგვაქვს! უპ, დავიღლეთ! ცარიელი ბოთლი რა მიძიმე ყოფილა! დაწერილ სიტყვაზე უფრო — ისევ უკან გაფრინდა და ახლა კი მიწაზე ბტომით შემოჰფიღვა დატვირთულ დათუნისას. ცხოველს ზურგზე მთელი ყუთი მოედო და მოხრილად მობაჯბაჯებდა.

ყუთი ვახსნა თუ არა, ყველა მიესია. შიგ ჩაიხვდა. შიგ მართლაც შამპანურის მრავალი ცარიელი ბოთლი იდო.

— ერთი კი სავსეა! აი ნახეთ! — ბოთლი მალა ასწია დათვმა, — აბა ვნახოთ რა წყალია — კეუამხიარული წყალი? — ერთი ააჯანჯლარა, მერმე კი კბილებით მათულო დტყვიის ქალაღი შემოაცალა, საცობი დასძრა.

დაძრულმა საცობმა ნელა-ნელა იწყო ზევით ამოსვლა. ყველანი განცვიფრებით უმზერდნენ ამ „გაცოცხლებულ“ ბოთლს.

— მოცოცავს! მოცოცავს! — აღრი აღდა დათვი. — ამოიბურთა!

უეცრად იფეთქა საცობმა და ამოვარდა. შემკრთალი დათვი გადაბრუნდა. მაგრამ ბოთლი თათებიდან არ გაუშვა. წავი წყალში გადახტა. ფრინველები პა-

ერში და ხეებზე ავირდნენ. ბატებმა და იხეებმა დაყვირთეს.

— ვიმიე, მომკლეს! — აყვირდა ბუ და საცობი ბუდიდან გადმოავდო.

— რა მოხდა? — იკითხა დათუმა და ბაკურს აქაფებულ ბოთლზე მიუჩვენა, — გაცოფდა?

— აგრე იცის, აგრე! არაფერია! ნუ გეშინიათ! ოღონდ ნუ დაღუე — არ გაწყინოს!

ტყიურნი ისევ გარს შემოადგნენ ბოთლს და მის მპყრობელს. დათუნამ თითი დაადო ბოთლს, ქაფის დენა შეაჩერა. — აი ეს იქნება ჭკუამხიარული წყალი! ჭიანჭველებზე უარესი რაღა იქნება?... რაც იყოს — იყოს! მაინც გავსინჯავ!

თავგადადებულად დაეწაფა და შესვა. დრუნჩი სიამით გაებადრა. თვლები განზე წაიღო-წამოუვიდა. სული მოითქვა, თათდადებული ბოთლი გულში ჩაიკრა და ყველას თვალი ჩაუკრა.

— ტუბილმა ჭიანჭველებმა დამიარეს! — ისევ დაეწაფა და ვიდრე არ გამოსცალა, აღარც მოეშვა.

— ახლა — შენია! — ცარიელი ბოთლი ბაკურს დარდიმანდულად გადაუგდო და თათები თავზე წაივლო: — ადამიანების სასმელი მეტუბილა და მეშწარა, ხახაში ჩავისხი და ავი სულ ცხვირში ამოძკრა და ამოძკრა! სისხლში აღმური მომეკიდა... ცეცხლით მთვრალი ვარ... ადამიანი გავხდი და რა მეშველება! — აღრიალდა დათუნია. — ჭკუამხიარული ვხდები და, ვიდრე ცხოველის აზრის ნატამალი გამაჩნია, მაპატრე... ყველას ვთხოვთ მაპატრე... და თუ არ მაპატრებთ, პატრონს გიტრებთ! — უეცრად გაწყრა, შემოტრიალდა, ტირიფს ეტაკა და დააზანზარა.

— რას ჩადი, რასა? — მიამახეს აქეთ-იქიდან, — მაგას მეტი კი აღარ უნდა!

— დედამიწა უნდა გადმოვებრუნო!

— რაღა?

— იმათა, რომ ზედ ბევრი უთანასწორობა და უმსგავსობა დაბუდებულია!

— მერმე შენ გაასწორებ — მთა და ბარს? — შეეკითხა ირემი.

— რასაც ვერ გაეასწორებ — გადავყლაპავ!

— რასაც ვერ გადაყლაპავ? — ეშმაკურად შეეკითხა ბუ.

— მოვსპობ! — აღრიალდა დათვი, — დაეწიოყებ!

— აჰა, ბატონო! ბოროტი და ტრაბახა! ნამდვილი ადამიანია, ნამდვილი!

— უიმიე, აი რას ნიშნავს ჭკუამხიარული წყალი! — აერიამულდნენ ფრინველები და „გაადამიანებულ“ დათვს გაერიდნენ.

დათვი კი ტირიფს აეტოტა, თათი მოსდო ბაკურის ჩანგ-იარაღის სიმებს და უხიაგად ააქლერა.

— სად მიხვალ? ემანდ არ გამიფუტო! — მიამახა ბაკურმა.

— უიმიე, სად მიძვრები? — შესძახეს აქეთ-იქიდან.

— უნდა გავფრინდე! არწივს დავეღარო!

— რომ არ იცი? — შეეკითხა ბუ.

— ვიცო, მე ყველაფერი ვიცო!

— არ გადმოხტე! დამიტრევი! — წერილი მოითავა და საქმეში ჩაერია ბაკურიც.

— არ გადმოხტე! არ გადმოხტე! — აყვირდნენ აქეთ-იქიდან.

დათვი მაინც გადმოხტა ტირიფიდან და წყალში ზღართანია მოაღინა. ძლივს ამოფორთხდა წყალნაყლაბი და აქოშინებულა.

— ავი ვითხარით! გეუბნებოდით! შენი ფრენა ვის გაუგია?

— ვიცო... მაგრამ პაერი ვერ მიძლებს! მე მაგას ვუჩვენებ სეირს! — თათაღმართული დატრიალდა, მაგრამ თავბრუ დაეხვია, სლოკინი აუვარდა. ტირიფს გადააწვა და გული აერია.

— მე ახლა წყალნაყლაბი ვარ.

— მხიარულ... ადამიანურ წყალნაყლაბი! — ჩაუნისკარტა ბუში.

— მე არა... ეს ჭკუამხიარული წყალია! თუ ესაა — არ მინდა ადამიანობა, აღარ მინდა! მეყო... ყელში ამომივიდა!

ბაკურმა კი წერილი დაახვია, ბოთლში ჩასდო, მკიდროდ დაუცვა, ზედ ხოხობის ფრთა დაასო და წყალში გადაავდო. თავად კი ჩანგ-იარაღს ჩამოჰკრა და კილო გამოაღებინა.

და სულ მალე მტკვარში შეცურდა ფრთაღმართული ბოთლი. დიდ-პატარა თევზები დაეხვივნენ, მაგრამ ველარაფერი დააკვს. ფრთაღალი მერცხლები, კვირიონები, ჩხიკე-კაქკაქები ბოთლს აედევნენ და ჰაერში დავლურის ფრენმორბალა დაატრიალეს.

სულ მალა, ცის კაბადონზე კი არწივი ფრთაგაშლილად, თითქოს ეკიდა და ყველაფერს ავ თვალს უწვდენდა. ტირილის კენწეროზე უძრავად იდგა წერო-პატოსანი და ბაკურს ამბავს აგებინებდა:

— მიდის წერილი! სიკეთის გზა მიიწვდის!

ფრთაღმართული ბოთლი სწრაფად ჩაჰყვა ნაკადს. თან თითქოს ჩანგ-იარაღის კილო აიდევნა. ფრინველებმაც ხმა აუწყვეს და ჰაერ-ჰაერ მიჰყვნენ.

არმაზის თელნარში, მტკვრისპირა ტყემლებთან ნანა გამოსულა, კალათი და დიდი კაკვი წამოუღია, ტოტებს იწოღინებს, შემწიფებულ ტყემალს ჰკრეფს. ერთი საზურგე ბალახი და ნამგალი იქვე დაუდვია.

გოგონამ ყური მოჰკრა საამო კილოს, დაინახა კიდევაც მტკვრის თავზე მოყრამულე ფრინველები.

— ნეტა რა უნდა იყოს? — ტყემლის კრეფას უტია და ნაბირს მიასურა.

— კიკი-ნანა!... ნანა-კიკი! — უფრო ახმიანდნენ ფრინველები, კილომაც იმატა.

— თქვენთვის არა მცალთა, ბაკურისანნო! მე შინაურები მამარია! წიწილებს უნდა ბალახი მივეუტანო. დედამაც ტყემალი დამაბარა! — მაგრამ უცრად ფრთიანი ბოთლი შეამჩნია, რაღაც ინიშნა-კაკვით მიჰყვა, მოიწოღინა და ამოიღო. ფრინველებმა ყვირილ-ხივილსა და კილოს უმატეს.

ნანამ ხოხობის ფრთა ამოაძრო და თმისი გაიკეთა. ბოთლს მზეზე გაჰხვდა,

ქვეყანა მუქლურჯად დინახა, შიგ-ბიჩათიუ შეამჩნია.

— ჩემია! — საცობე ამოაძრო, მარათი ამოიღო. და უცერად უფრო ახმიანდა კილო. ბაკურის ხმაც დაირბა გამოლილ ბარათიდან:

ყველას ჰყავს თავის ტოლ-ფარდი...

შენ სად ხარ, ჩემო ნანაო!

ნეტამაც ერთად გეადარდა,

თუ გულიც გერჩის თანაო,

ერთხელაც ჩამოგვხედავდე

მტკვართან და ტირიფთანაო!

ნანა მტკვარს გადაადგა, პირი აღმა იბრუნა და გადასძახა:

— აი ახალ კაბას შევიკვრავ და გნახავ!.. მოვეალ სატირიფოში!

ამის შემდეგ დასჩემდა ნანას, ხშირად, სულ ხშირად მტკვრის ნაპირზე, თელნარში ჩამოჯდებოდა, ოცნებობდა. ახალ კაბას ჰქობებს უწყობდა, უჭარბავდა. თან მტკვრის ნაჭავებს უთვალთვალებდა. გრძელი კაკვი, ან გრძელტარა კალბადე მუდამ თან ჰქონდა.

და მართლაც... როგორც კი მტკვრის ნიაგი ნაცნობ კილოს ჩამოაწვდენდა, მტკვარზე ხოხობის ფრთიანი ბოთლი გამოჩნდებოდა. აი ახლაც ბოთლს მოატივტივეებს ტალდა.

ნანამ გრძელტარა კალბადე ამოსდო და ამოუსვა, ბოთლთან ერთად თევზებიც ამოჰყვა კალბადეს.

— თევზებიც!? — ხელი დასტაცა ბოთლს, გულში ჩაიკრა, კალბადე კი ამოაბრუნა.

— წადით, იცოცხლეთ, გაიხარეთ! თქვენ რაღას გერჩით!? თქვენ-თქვენ ტოლფარდებს დაუბრუნდით!

ბოთლი გახსნა თუ არა, ბაკურის ხმამ ამოსძახა:

— ყველგან მხოლოდ ჩამოვლევებით ჩამოიარე, პირველად მატარებლით — ყვავილების მფლობელიო.

— ყვავილების მფლობელიო!? — გოგონა ამოეხმაურა ბარათს, — ბაკურბუნების მესაიდუმლე!.. აი ახალ კაბას ამოქარავ და მოვალ!

და ისევე ბოთლი მოცურავს, ფრთას აღტრიალებს. ისევე კაბას ჰჭარბავს. ნანა, ნაყმად და თარგად ყვავილებს აზომებს.

ამ რჩევა-რჩევაში ყვავილების ფერი აიკრო კაბამ, შეფერადდა, გასარეცხი გახდა. ისევე გახსნილი ბოთლი და ხმა ბაქურისა:

— მეორედ — მანქანათან... წიწილების დიასახლისო! არწივმა და მელამ გაწყენინეს... მაგრამ განა ყველანი ასეთები!

— წიწილების დიასახლისო? — ხმა ააყოლა ნანამ, — ჩემო ბაქურ, ტყიურთ მეგობარო და მზარქანებლო! აი ახალ კაბას გავრეცხავ და უსათუოდ მოვალ! კაბა მტკვარში ჩაალბო ნანამ, ამორეცხა...

მტკვარი კი ისევე ფრთიან ბოთლს მოატრეკებდა. წყალში ჩადგა ნანა, პირდაპირ კალთით დაიჭირა. ისევე გაისმა ხმა ბაქურისა...

— ბოლოს მდინარემ ჩამოვიტანა და თითქოს ისევე წავილო!... ერთდებ ბოროტ არწივს მაგრამ ჩვენც ნუ დავვიფიწყებ — მდინარის დედოფალო!

— მდინარის დედოფალო? როგორ დაგივიწყებ ჩემო გადამჩენო! ჩემი სიცოცხლე ხომ შენია — სატირიფოს მფარველო! არწივის მეზობლო!

კაბის გარეცხას მოუჩქარა, გასწურა და გასაშრობად დაჰკიდა შინდზე.

მდინარეში კი ისევე ბოთლები, ფრთიანი ბოთლები... მოცურავენ, მოტივტივებენ... ერთიმეორისაგან ჩამანძილებით და მიყოლებით.

ბაქურის ხმა ისმის მტკვრის უბიდან, მტკვარში ბოთლებიდან, წერილებიდან.

— ხმა გაგვეცი... თუ სადმე ახლომანდობდა... მდინარეს წერილებს სულ ვატან და ვატან და არ არის პასუხი არსაო! ვაი თუ არწივის წერა გახდი! ჩვენ კი ცოცხლები ვართ და არაფერი ვიცით!? იქნებ ხიდს ქვევით — დიდ ცხოვრებაში წახვედი... მე კი გიცდი, გეძებ... და ახლა მთელი სიცოცხლე უნდა გიცადო და გეძებო — ტოლ-მეგობარო! ჩვენი ყვავილი კი ჰყვავის და ჰყვავის!

— ტოლ-მეგობარო! მოვალ, უსათუოდ მოვალ და ჩვენ ყვავილს ვნახავ! — მტკვარს უჩუჩჩულებს ნანა.

უეცრად გაისმა პერის მკვეთრი ზუზუნი და შეოცნებებულ გუგუნას არწივმა მშუილით ჩაუტროლა, მდინარეში დაკიდებულ კაბას კლანჭი ჩაჰკრა და აიტაცა.

— ჩემი ახალი კაბა! — უკან ბილიკ ბილიკ, ძახილ-ძახილით ვაეკიდა გოგონა მტაცებელს. არწივი კი სულ მალლა მალლა აისწრაფა, კაბაც ცის მიჯნაზე ააფრიალა.

სატირიფოში კი ისევე განგაში ჩამოვარდა. წერამ სარაკუნას შემოჰკრა, ყველა შეჰყარა.

— არწივმა ისევე რაღაცა მოიტაცა! ბაქურმა ბელი უშვა წერას, უკანასკნელი ბოთლი მისდო და ზე წამოხტა. მალლა აიხედა. მერცხლები, ბოლონამგალები და კვირიონები ცაში აიშალნენ.

— ამბავი გაიგეთ! სხვანი აღარ წახვიდეთ! აღარ! — ბაქურმა შეაჩერა წერო, ჩიიკე-კაჰკაჰები და ბატი-კვატები — ამბის გაგების ისინიც ეყოფიან!

ტირიფთან მოგროვდნენ დარჩენილი ფრთოსანნი და უფრთო ცხოველნი. ცას შეჰყურებდნენ. კაბადონს კი შავი ღრუბელი წამოეფარა.

— ბრძენთაბრძენო, — ბუს მიმართა ბაქურმა, — შენ ხომ დღეც ვარსკვლავებს ჰხედავ — რას იტყვი? რა აქვს კლანჭებში არწივის?

— ვხედავ... გაფრთხილებ — გული არ ვაიტეხო! კაბაა!...

— კიკინანას კაბა! კიკინანას კაბა! — ზემოდან მოვიდა მერცხლების თივილხივილა ძახილი. — ახალი მოქარგული კაბა!

უეცრად კი საშინელ წიოკის ხმაც ჩამოვარდა ზევიდან. არწივის მხარგაქრული ფრინველებიც ჩამოცვივდნენ მტკვარში.

— ნანას ახალი კაბა! კიდევ არწივი! მე ფეხს არ მოვიცვლი სატირიფოდან, ვიდრე არ მოვკლავ ამ ბოროტ მტაცებელს!

არწივი შავ ღრუბელს გადაეფარა. დაკორტნილი ფრინველები წაიღო მდინარემ ბაქურმა თავზე იტაცა ხელი. ბუმ შეამხნევა, შეაგონა კიდევაც.

— ვთქვათ, შენ მოკალი არწივი... გგონია, ამით გათავდება ყველაფერი? დიდ ცხოვრებაში უფრო დიდი არწივები დაგხვდებიან. მთავარია, გული არც დააგერო, მაგრამ არც გაიტყნოს!

— მე ყველგან და ყოველთვის ვებრძვი ავ არწივებს, ხელს ზევითაც და ხელსქვევითაც!

შორიდან სხვა ხმაური მოძლიერდა. სხვა ძახილი ჩამოთავთავდა.

— მოდის, კიკი-ნანა მოდის! არწივი ერჩის გზადაგზა! არ დაამარცხოს! კიდევ არ გადასჩეხოს! კიდევ არ გადასჩეხოს! ბაკურმა წალღს დასტაცა ხელი და მტკვარდაყოლებით საეაღს ჩაყვავა სირბილით. სტორიფოს ტყეუბრნი კი ოქროს წყაროსთან შეიყარნენ და შეთათბირდნენ.

— მაშ მოდის კიკი-ნანა! ბაკურმა, ვგონებ, ბოლომდე არც იცის — ეს რას ნიშნავს! — აკვიმატდა ბუ.

— ალბათ, არც კიკი-ნანამ! — დაეთანხმა წერო. — ჩვენ კი რამე ღირსეული საჩუქარი უნდა მოვუშვადოთ.

— ღირსეული!? რაც ჩვენთვის ღირსეულია, ადამიანისათვის უღირსია და, პირიქით.

— აბა რა?... ჩვენ ხომ ყველაზე ღირებები ვართ! — შეღონდა ჩიტი-გვრიტი.

— რატომ ღირებები! ვინა სთქვა? ჩვენ ყველაზე მდიდრები ვართ. — წამოიძახა წერომ და ცალ ფეხზე შედგა, — ჩვენ თავისუფლები ვართ და სატრიფოც ჩვენია! ერთი მძიმე მანკიცა გვაქვს... თუმცა ადამიანებს სწორედ ეს მიაჩნიათ ყველაზე დიდ სიმდიდრედ!

— ოქროს წყარო!? — შეშფოთდა ირემი, — მართალია აი საჩუქარიც!

— დიახ, მართალია! ზოგ ვინმეს, ვგონებ, ფიციც დაავიწყდა! — გაანჩხლდა ბუ.

— ბაკურსაც დავადებინოთ ოქროს ფიცი და გავუმხილოთ! გვეხმარება, ჩვენთვის მხოლოდ სიკეთე სწავს! არწივსაც ჩვენ გულსათვის ებრძვის. ჩვენ კი ბოლომდე არ ვინდობით!

— რატომ — ვენდობით! რაინაო, შენ მართლა რქაში ხომ არ ზიხარ! — სულ

გაყაბასდა ბუ-ბრძენი. — ჩვენ-ჩვენს ვენდობით!

— ოქროს წყარო? *არწივისა*

— წყარო კი ყველას *საიდუმლოა!* ადამიანთაგანმა რომ გაიგოს, მერმე გადაბრუნებენ აქაურობას! ეს ჩვენი გადარჩენა-გადამენების საიდუმლოა! არწივიც კი არავის უშხელს მას და ისე გეჩაგრავს! არწივის ჩაგვრა გვერჩიოს ამის გამხელას! — ბუმ სიფიცხით თვლები სულ შებლზე აატრიალა.

— ვაჩუქოთ, მაგრამ ნუ ვეტყვით საიდან! ამას მხოლოდ ადამიანები სდებენ დიდ ფასს, თავს აკლავენ... ციებ-ციებლება ეყრბათ, თორემ ჩვენთვის რის მაქნისია, ღორ-თევზებიც კი არ ჰამენ! — გრძელი ნისკარტი აბრცია წერომ.

— მიხვდება! ერთ ზოდსაც რომ ვაჩუქებთ, მაშინვე მიხვდება, რომ აქაურია! — უკვე აყვირდა ბუ.

— უთხრათ, რომ წყალდიდობამ ჩამოიტანა-თქო! — გამოძვრა წავი.

— ახლა ტყუილები დაგვაწყებინეთ! ამას სულ ართქმა ჯობია! მართალი — თხივე ფეხზე მართალი უნდა იყოს, თორემ ცალფეხა, ან სამფეხა სიმართლე — რის მაქნისია!? — გაჯავრდა ირემიც.

— საერთო სიკეთეზე რაღას ბრძანებ, რქიანო ბრძენო!? — ჩაუნისკარტა ბუმ.

— მართო სატრიფოში ჩაბავსებულო სიკეთეც აღარ ვარგა, ველარც იქნება. ჰოდა, ბაკურის ნიჭი — საერთო სიკეთისათვის ბრძოლა! ჩვენი ვალა — იგი ცხოვრების მოწოდებად გადაეუქციოთ!

— თქვენ იკითხეთ, თორემ მე დამეს ველარავინ წამართმევს! — ბუ ღრუში ჩაძვრა და ზევიდან ზავსი და ქერქი გადაიფარა.

— ახლა კარგია, სანდოც, მაგრამ რომ გაიზრდება ბაკურ-კიკო, ვინ იცის, რა ხასიათს დაიჭერს?. ზიღსიქითა ცხოვრება როგორ დაამაზინეგებს, რა მტაცებლად გამოიყვანს! ჰოდა, მაშინ ოქროს წყაროს საიდუმლო უსათუოდ მოავრდება! — ახლა კაქკაქმა დაიწყო დავა.

— შენ სიმართლისა და სიკეთის ძალისა აღარც გწამს და აღარც გჯერა! — შეუტია წერომ.

— ქვეყნად სიმართლე და სიკეთე თუ არ იქნება, ჩვენი არსებობა მაინც შეუძლებელია! ქვეყანა არც არწივეთია, მაგრამ არც საბუე! მე ვენდობი ბაკურსა და ბაკურელებს! — ირმის ნათქვამს ყველა აპყვა. ახმინა და სატირიფო.

— აი ეს კი ირმული იყო!

— მეც ვენდობი! მეც!... ჩვენცა!

— ჭერ ზომ არ მიდის?

— არა, ჭერ მასთან შოდის თანატოლი, ალბათ მომავალი თანამგზავრიც! ეს უკვე დიდ ცხოვრებაში წასვლის წინამორბედი! — წერომ პაექრობა დამთავრებულად ჩასთვალა, მაგრამ ბუმ ხავსი და ქერქი გადასწია და ისევ თავი გამოჰყო.

— რადგან აღარ იშლით, ჩემი რჩევა, აი აქ ტირიფის ქვედა ღრუში ჩაუყაროთ და წასვლის წინ, დიდ ცხოვრებაში გავატანათ!... არწივსაც რომ მოჰკლავს!

— თანახმა ვართ თანახმა! — აბლაღულა დათვი. სხვებიც აპყვენენ.

— მამ, აბა მარდადი! — ირემმა რქები გაპკრა წყაროსპირა კლდეს და ჩაჰოანგრა. ყველანი ოქროს წყაროს არეში დაბორილდნენ. ზოგმა ბუჩქის ძირეში, ნაშვავები მოჰქექა, ზოგი წყალში ჩადგა—იქ დასძებნა. ბატყკატებმა და წავმა წყაროს შესართავში, მტკერის მორევში ჩაყვინთეს. წერო რიყეს ჩაჰყვა.

მოიტანეს დიდ-პატარა ოქროს ზოდები. ტირიფის გადაწოლილ ტანში, სწორედ იქ. სადაც ბაკურმა ტოტი ჩანგარალად მოჰხარა. ღრუში ჩასდეს, ამოავსეს. ყველანი მობრუნდნენ. გარდა წავისა. მან არაერთხელ აპყვინთა, მაგრამ ისევ წყალში ჩაიფარა.

— აბა, მალო! გგონებ ვადიანს ყვილამ მოიტანა! ვაფე არ ჩაჩა! ნელარველო! ხავსი და ბალანი! მავსი და ბალანი! დაეგმანთ!

ყველა აფუსფუსდა. ტირიფს გარს შემოადგა, ხავსი და ბალანი მოიტანა.

ტყევი ყვავილებს ფერხით უფენდა „ყვავილების დედოფალს“. ნანა მობზოდა, ყველაფერი, ნამგლის გარდა, და-

ეტოვებინა... ქარი უფრიალებდა ძველკახას.

შავი ღრუბლიდან კი არწივის ფრთები ჩამოიტიფრა, ტყის თავზე ჩამოდაბლდა. შეგებებულმა ფრინველებმა შექნეს კრიახი. ნანას ნიშანი მისცეს.

— ჰაო! ჰაო! არწივი!

მაღალ ტყეში ა! წ. გი წაჰოაცხრა ნანას, მაგრამ გოგონა არ დაიბნა. ხეს მოეფარა, ნამგალი მოუღერა...

— დამესხენ, მტარკალო!

არწივი გაერიდა ნამგალს, ხეს მოუარა და ახლა ზურგიდან სცადა მიჭრა. გოგონამ მოასწრო, ხეს მოუარა და ისევ ნამგალი დაახვედრა.

— საღ არის ჩემი ახალი კაბა?

— ყველაზე მაღალ მწვერვალზე. ღრუბელზე უფრო მაღლა... შენც იქ წაიყვან! — ისევ შეუტია მტაცებელმა.

— არ მეშინია შენი! — ახალ ზესთან გადაიბრინა ნანამ.

— არც მე მეშინია შენი ნამგლისა! — მიჰყვა ძახილით ბოროტი.

— მე ვიტი, ვისიც გეშინია შენი!

— ვისი?

— ბაკურ-კიკოსი!

— ისევ იმასთან თუ მიხვალ?

— მისი ტოლ-მეგობარი ვარ! მისივე გადარჩენილი მას ყველასი დახმარება და სიციცხლე სურს, არა როგორც შენ — ბოროტო!

— მე არ გაგიშვებ! მე მინდა ბევრი ღრუში იყოს ქვეყნად, შენც ღრუში იქცე. მაშინ უფრო ღამაში იქნები ჩემთვის!

— ვერ დამაკავებ; ვერა! — ნანამ ველოში გადაიბრინა და კლდის ძირს ამოეფარა, მაგრამ ფრინველებმა და ქრიკინებმა გნიახი შექნეს... ზედაც დიდი კუ გამოძვრა ზერელოდან.

— გაასწარი! გაასწარი! კლდეს ჩამოშლის ვერაგი!

ნანამ ძლივს გადაასწრო ჩამონგრეულ კლდის ჩაარალს.

— ირბინე! ირბინე! ზვივთ არ აიხედო! — შეუძახეს კაკებმა და როჭოებმა.

გოგონა მიბზოდა და ფეხდაფეხ მოს-

დევლა ხან კლდის ჩაგრიალი, ხან მომს-
კლარი ხე, ხან არწივის ფრთამოწურუ-
ლი ჩრდილი.

ფეხიც კი წაიკრა, წაიქცა... ნამგალი
პრიალით გადაჰყვა ნაშვავებს. ბილიკზე
გაგარდა ნანა. ჩახრამულ ლელეს წაად-
გა. მის თავზე ხე იყო ხიდად გადებუ-
ლი... ქვევით ხეების კენწწროები ჩანდ-
ნენ. გოგონამ ფეხი შესდგა ხილზე.

— არ გახვიდე! ჭერ არ გახვიდე! ჩა-
საფრებულია ჩქარა უკან! აქ მოდი, აქ!
— შესძახა ჯოჯო ხელიკმა და ხიდ-ქვეშ
ამოფეხა. ნანამაც მოასწრო ამოფე-
რება.

არწივმა მშლილით, ელვასავით ჩა-
უჭროლა ზოდის ხეს, ფრთა გაჰკრა, სა-
ცალფეხოს მოაჩირი გადაუტვლო. ცა-
რიელ-ტარიელი ხელა დარჩა სავალად.

— არიქი, ახლა ახტი! ვადარიბინე, ვი-
დრე შემობრუნდებამ! — ხილზე ამოხტა
ჯოჯო-ხელიკი და წინ დაუძღვა.

ნანა მიჰყვა და შეეპარდა საცალფე-
ხოზე. წონასწორობა ძლივს დაიცვა, გა-
ირბინა. შეახილს გააღწია.

— არიქა, მოჰქრის! — მოაძახა ზოდს-
გაღწეულმა ჯოჯომ.

არწივმა ახლა ქვევიდან ამოუჭროლა,
ხოდის ლატამს მხარი ჰკრა, ააყირავა.
ნანას კაბას მოედო ხე. კაბა უფრო გაუ-
ხია. ქვევით, ხევში გადააგდო ლატანი...
ნანამ კი ფეხად გადაასწრო, ახლა დაბუ-
რულ ტყე-ჯაგნარში მოხვდა. აქ კი ირე-
ში მოეგება, დაცვად დადგა, — მერმე
დათვიც მოიჭრა... სატირიფოს სხვა
მცხოვრებნიც...

— მოდის, მოდის... ყვევილების
მფლობელი, წიწილების დიასახლისი...
მღინარის დედოფალი!

ნანა კი დახეული კაბის ხარვეზებს
დარცხენილად იფარავდა და დამალვას
ლამობდა. მაღლა მთაზე კი ბაკური გა-
დმოდგა.

— ზი, ქა, ასე როგორ იქნება ასე არ
გამოუჩინოთ ბაკურ-კიკოს... სირცხვი-
ლია! — აქრულდა წერო-პატიოსანი.

— კიკი-ნანას კი ჯვარი სწერია, მაგ-
რამ აღამიანებმა პატიოსნებაზე უფრო
სირხვილი იციან! ქაჯანი! — აქოთქოთდა

დატიშულად მოფრენილი-ბუ. ფრანგე-
ლები გარს შემოადგნენ, დაჰთარეს კი-
კი-ნანა...

— არიქა, ტყის კაბა შექუქე! —
შევეუქაროთ!

ყველანი დატრიალდნენ ფოთლები და
ყვევილები ააშრიალეს...

ბაკურმა კი ხეობიდან ამოჭროლილ
არწივს შესძახა:

— ჰეპეი, შავბოროტო! აქ ვარ! შენი
გამბედაობაც ვნახოთ! — წალდმოღე-
რებულად მიეტანა. ილარც არწივი შეე-
ბუა. ქვასავით დაეცა ზევიდან.

— მომისწარ და დამხედი! ესეც შენი
— ჰვანგი შემოუქნია.

ბაკური მარჯვედ გაუხტა და წალდის
ამოქნევა მოასწრო. ბუმბულიც წაჰგლი-
ჯა, სისხლიც აღინა. წალდიც შეასისხ-
ლიანა.

არწივმა შემზარავად შესჩხავლა და
აფრინდა...

— კრა! კრა! შინ ჯირ არ იკი არწი-
ვის სისხლის ფასი! ახლა მხოლოდ შენი
ლევით გამოიწყვიდი! კრა! კრა!

ჩხიკე-კაქკაპებმა, კაკაბ-ხოხებმა და
სხვა ფრინველებმა, წეროსა და ბუს ხე-
ლმძლენილობით, წისკარტებითა და
სუროს ძაფებით, ცოცხალი ფოთლები-
დან და ყვევილებიდან სამოსი შეუქე-
რეს კიკი-ნანას და მხოლოდ მაშინ მი-
გვარეს ბაკურს.

ნანამ სისხლი შეამჩნია მიწაზე.

— სისხლი?

— არწივისა! — ბაკურმა შეფერი-
ლი წალდიც აჩვენა. — დაიწყო მაგის
დასასრული.

ყველანი სატირიფოსაკენ გაეშურნენ.
ხოხებმა თავისი ფრთა-ბოლოებით
შემკული გვირგვინი მოაჩრთეს კიკი-ნა-
ნას მწყერებმა და შაშვებმა ხორბოლია
და სუროს ნაყოფ-ტოტებით შეწულ
გულამბარი დაჰკიდეს მკერდზე.

ცოტაც და სატირიფოც გადაიშალათ
ფერბით. მის მიჯნაზე დათვი საფეხუ-
რად დაუწეა. ბაკურმა ხელი მისცა და
გოგონა ირიშზე შესვა. ასევე შევიდნენ
სატირიფოში.

— ესენი ჩემი განუყრელი მეგობრე-
ბი არიან, ჩვენო ახლო მეგობარი!

— კმი განუყრელნი? ახლა იწყება ჩვენი გაყრა! — განზე ჩაილაპარაკა ბუმ.

— ნუ შიშობ, უჯერმაჯერავე! იი ყველა აქ ვართ... — მიმოიხედა ბაკურმა, მაგრამ წაეწაწაწა სად არის?

ბუმ დამალული ზოდების მისავალი მოათვალიერა.

— უი, ქა ის ჭერაც არ დაბრუნებულა! — ხომ არ გადაჰყვა „მძიმე მანქა“?

სწორედ ამ დროს, მტკვრის მორევით დან წავმა ფრუტუნ-ფრუტუნით ამოყვინთა. ტირიფისაკენ გამოსცურა, — კბილებში ოქროს მოზრდილი ზოდი ეჭირა. ნაპირზე გამოსტლტა.

— ძლივს მოვღრღენი... დამაგვიანდა!

— სსუ! წანწალავ! შენ აგერია თავბოლო! ახლა აჩუქე და გაათავე! — აღუღღღღა ბუ. ყველანი გაჩუმდნენ.

— ოქროს ზოდი! — ხელში აიტაცა, შეათამაშა ბაკურმა — როგორ ბრწყინავს! სად გააჩინე, წაგო?

— ნურას კითხულობ! სხვას ნურცვის აჩვენებ! — თავი დაჰხარა ბუმ. სხვებმაც.

— მაინც არ მენდობით! მაინც რაღაც საიდუმლო გაქვთ ჩემგან?

— ბუნებას ყოველთვის რჩება რაღაც საიდუმლო! თქვენ კი მაინც აღაშინებთ ხართ! დიდ ცხოვრებაში, ვინ იცის, რა ზნეს დაიჭერთ!

— დიდი ცხოვრება — მართალი ცხოვრება! შე ეს წყარო მისიგამს! დედის შემდეგ ბუნების ძეგლ აქ მიწოვიან! როგორც არ უნდა დამაშინებოთ ცხოვრებამ, თქვენს სიყვარულსა და საიდუმლოს მაინც წმინდად შევინახავ!

ბაკურმა ერთი პეშვი კვლავ შესვა. ახლა კი ნანა დაეწაფა წყაროს და შესვა.

— ესეც ჩემი ფიცი იყო!

— ეს კი პირველი ოქროს საჩუქარი!

— ბაკურმა ოქროს ზოდი ნანას გადასცა.

— ოქროს ნიშანი! — ახმანიანდნენ ტყუილნი.

— აღაშინებთ ამას სხვა სახელსაც

უწოდებენ! — გადაუჩურჩულა წერის ბუმ.

— მაგათ ჭერ არაფერ უნდა იყოს არც ნაზღვილი სიყვარულისა, არც მეუპოვარი ბრძოლისა, ან წამლეკავი წყაღდილობისა! ახლა ჩვენი საერთო საჩუქარიც მივცეთ.

— მივცეთ! მივცეთ! — ახმანიანდნენ ტყუილნი.

წერო მივიდა ტირიფთან, ზავსით ჩაფარული ღრუ მოიჩქინა და ოქროს ზოდები ააბუყვრიალა.

— აქ ოქროს მადანი ყოფილა! — წამოიძახა ბაკურმა.

— არ ვიცით! არ ვიცით! — თავჩაქინდრულად ამეტყვილდნენ ტყუილნი.

ტირიფის კენწეროს კი უეცრად არწივის მხარი გაეკრა და ააშრიალა.

— ეგეც თქვენს ბედოვლათებო! ახლა დაიდუმბეთ თავი! მტაცებელს მე მიწოდებლით, ახლა ნაზეთ აღაშინების მტაცებლობა! — არწივი მძიმედ ჩამოჭდა, კენწეროზე და ჩამოღრიალა. კლანჭებში ნანას კაბაც გამოუფრიალდა.

— ჩემთვის თითო ბარცხსა და ჭოქს ვერ იმტვრებთ, ერთ ტრახახსა და გარეწარა ბიჭბუჭსა და კაბადაქარგულ გომბიოს დედა-ბუღიანად მთელი სიმდიდრე და სიცოცხლე მიუძღვევით! ვი თქვენს საცოდავ გულსა და ჭკუას!

— ჩემი კაბა! — წამოიძახა ნანამ.

— ჰეი, შენ გიარჩევინა, კაბა ჩამოაგდო და გაგვეცალო! — შესძახა ბაკურმა.

— წადით აქედან, წადით, და ჩამოგიგდებთ! ორივენი გაგვეცალენით!..

სატირიფოში სიჩუმე ჩამოვარდა. არწივმა, ითმინა, ითმინა და თავი გაიქნია.

— მაგრამ ახლა რაღას წახვალთ, ოქროს წყაროს საიდუმლოება რომ იცით! ან შეიძლება კია მათი ცოცხლად გაშვება? ვისაც სატირიფოს სიყვთე სწაღს, დაეკორტნოთ და ჩაქოლოთ თვალთმაქცურად შემოპარულნი. თუ არა გსურთ, ყველა ჩაქოლოთ თქვენივე ნაჩუქარი ოქროს ზოდებით!

სატირიფოში შეიქნა ერთი ჩუმი მთქმა-მთქმა და ყრუ ჩურჩული.

— ახლა კი მართალს ამბობს არწივი ადამიანს კიდევ ეგ გერჩიოს! — ასივილდა შემოპარული უკულო მელა — დათვო, ირემო, თქვენ რაღას ჰფიქრობთ, მაგათ ფრთები მაინც აქვთ! ჩვენ კი? ჩვენ კი რაღა ვქნათ?

— ნუ მაცდურობ, კუდის შურის მძიებელი! — შეუტია ირემმა.

— თქვენ კუდებიც არ გაგაჩნიათ, თავს მოგაჭრიან და ორივეს საყვასბოში ჩამოგვიდებენ!

მელა ახლა ხოხბებსა და ბატიკვატებს მიეპარა, მაკვილავი სიტყვა ჩაუგლო.

— გაულესეთ, გაულესეთ... თქვენიც დასაკლავი დანა, ოქროს ზოდებით გაულესეთ ადამიანებს! ჰიპი... ჩახოხბილი და ბატი ჩურჩით სწორედ მათი მოგონილია!

ტყუარების ჩქამი მოძლიერდა, ახლა ისინი მხოლოდ თვეთავიანთ ხებებზე ჩხავიან, ქახჭახებენ, კრიახობენ, კაჭკაჭობენ... და ყველას ჰფარავს არწივის გამყვიანი ხმა:

— კრა! კრა! კრა! შეტუპორობა და გამბედობაა კრა! კრა!

ბაკური წინ წამოდგა და გული-მოიღელდა.

— ვისაც არწივისა გჯერათ... აჰა... მკარით ქვა! ჩამქოლეთ, მერმე მისი წერა გახდით! თქვენი ოქროს კი მე არ მჭირდება... აი მკცა მაჭეს! — გაღვილილ გულზე გამოაჩენს, ძეწვეკვი ჩამოკიდებულ ოქროს საათსა და ბეჭედს...

— მაისი საათია... ომში წავიდა და დროის ეს ოქროს მთელელი-და დაგვობრუნდა... აბა მოუსმინეთ!

ყველა გაინაბა თითქოს მტკიარიცა და ტირილიც, არწივიც კი კისერჩამოდრეკილად გაჭივდა.

სატარიტოში მათიოღ გაისმა საათის დაზომილი წიკწიკი. მერმე შორეული გირგინეა. ყოილამ რას ახბედა. ზედ შავი ზღაზნია ღრუბლები დიოდნენ და დიოდნენ. საათი კი წიკწიკებდა და წიკწიკებდა.

ბაკურმა ხმას დაუკლო. ფიქრივით თქვა.

— დედა სულ უსმენდა და უსმენდა.

ღარღს გადაჰყვა... აი მისი ბეჭედიც — ესეც პატროსანი ოქროსა... უპატროსნო და სხვისი სიცოცხლის ზეჩქნე შეარც ოქროს მინდა!

მოზარდი გაჩუმდა. ყველა სმენად გადაიტყა. მერმე უფრო მოძლიერდა საათის ხმაცა და გრუბუნიც.

— ნეტა ვისთვის ქუხს ცა და ვისთვის ძგერს საათი!? — ჩაიღუღუნა ბრძენმა ბუმ და ჩამოშაგებულ ღრუბლებს შიშით ახბედა.

— ყველასა და ყველაფერს აქვს თავისი დრო-ჟამი! — ირემმაც მალდა ასწია თავი.

— ნუთუ სატირიფოს დრო-ჟამიც მიიწურა? — შემკრთალად აქნავლდა წბვი.

— ნუთუ თავიღება სიმშვიდე და იწყება წყალიდობა? — ჩაქურღებულ, შემღვრეულ მტკიარს გაახბედა წერომ.

— ეჰ, თქვენი მშვიდობიანნო! ბრძოლისა და ძალოაზის მტკი რჩება კია რამე ცხოვრებაში? — ზევიდან გადასძახა არწივმა.

— ცხოვრება თუ მარტო ბრძოლა არის. მაშინ მხოლოდ ძლიერი ყოფილა მართალი! მაგრამ შენ ძირშივე მტყუანი ხარ! ამაშია შენი მარცხი! — უკვე რიხიანად ასძახა ბაკურმა.

— სიყვარულია ნამდვილი ცხოვრება... სიყვითე და სიყვარული! — ნანა სულ ახლო მივიდა ბაკურთან, თვალბში შეჩხედა, ხმადაბლა დასძინა, — მამ შენ სულ ობოლი ხარ! უახლოესი არავინა გაყავს!?

— რატომ... აქ ყველა ჩემი მეგობარია, გარდა გაპოროტებულ არწივისა და გაიძვირა მელასი!

— მეც შინი უახლოესი მეგობარი ვიქნები, — მიიწია და სულ უბრალოდ აკოცა. ბიჭი აირია... გოგონამ შეატყო დაბნევა.

— ხომ არ გიწვიან?

— არა, მეუბერხტლა, მერმე იქნებ შევეჩვიო... მე ახლა უფრო მოკლავ არწივს. — მთელი სხეულით მოუბრუნდა და შესძახა: — კაბა ჩამოაგდე მეთქი, და მშვიდობით გაგვეცალე!

— მაინც სად მისტურებზე? — ღუღუღ შეეკითხა და კენწეროდან უფრო დაიდრია.

— სადაც გწადს... თუნდაც ხილქვევით... იქ ხომ დიდი ქვეყანაა... ლეშიც ბევრი იქნება!

— დიდი... ბევრი... მაგრამ იქ არწივებიც ჩემზე უფრო დიდები და ძლიერები არიან!

— შენ გავიწყდება — მკვდარი არწივიც ლეშია გირჩენია კაბა ჩამოაგდო!

— არა, არ გავიწყდება! მე მინდა მთელი ქვეყანა ჩემი საღეშეთი იყოს. კაბას კი ნაწილ-ნაწილ ჩამოგიგდებ — გასკდი კიჭინაზე! — არწივმა სახელო წაგლიჯა და ქვევით გადმოაგდო. მტკვარში ჩავარდა ნახევრი.

ფრინველები და ცხოველები შემოძრადნენ მაგრამ ბაკურმა დაასწრო.

— უკან! არავინ დაიძრას! — ყველა გააშეშა. — კეთილი.. და მაინც არ გავსკდები კიჭინაზე.. მე შენზე მეტი სულგრძელობაც შექონია და მოთმინებაც!

ბაკური დინჯად, დაზომილი ნახიჯით მიუბლოკდა ტირიფის გადაწოლილ ტანს. ზედ ჩანგ-იარაღად მოშვილდულ ტოტს, ოქროების ღრუს.

არწივმა შეამჩნია.

— შენ მანდ ოქროები დასთვალე! აღაშინებს ლეშზე უფრო გიყვართ! ამისთვის გაქვთ ომი და ჩხუბი!

ბაკურს სიბრაზისაგან სახე დაეცრია, ღრუღუნა ოქროს ზოდი ამოიტაცა და არწივს სტყუორცნა. ვერ მიაწვდინა. ზოდი წყალში ჩავარდა.

— შენ კი ჯერ სულ დღაბი ყოფილხარ. არა ზოდის ფასი გცონია! მე კი ვერ მომაწვდენ, ვერა! აჰა, კიდევ ნახევი. იმ გოგოს კაბისა — შენ გგონია, ამას აქვს ოქროს ფასი! — კაბა დაწიწყნა და ნაფლეთ-ნაფლეთ გადაუყარა...

— აჰა, კიდევ!... აჰა!...

ბაკურმა კი თავის მოშვილდულ ტოტს ხელი შეავლო, წელიდან წალდი შეუმჩნევლად ამოიძრო და მისი ნიდრე სულ შიდა სიმს ამოჰკრა.

სიმი მალაზმანად აცდერდა და გაწყდა. მთელი სატირიფოს ტყიურთ გუ-

ლში მოხვდათ სიმის ნაფლერი... შეროცდნენ და გაიძვიფნენ.

ახლა მეორეს ამოსდო წალდის ნიდრე ბაკურმა. უფრო დაბალი წმა გამოიღო სიმმა, ისიც გაწყდა და კვლავ ყველა შეაჯრეოლა.

— მე კარგად მესმის, — როგორ გაწყდება გულის სიმები. ჰა, კიდევ! ძონძები! სიკეთის უძღურო მჭადაგებელო! ჰამე ჯავრი და მოინელე! შენი ხერხი მხოლოდ თავდაცვაა... შენ ვინ მოგცა შემტევი ძალა, თუნდაც სიკეთის გასამარჯვებლად, უბრძოლველად კი შიდა მშვიდობაც არ შეიძლება! ცრუმარტვი კეთილშობილი!

ბაკურმა მესამე სიმიც ააჭრა ჩანგ-იარაღს: ახლა იგი მშვილდი იყო და არა ჩანგი. არწივისაგან თვალმოუშორებლად, ბაკურმა იქვე ჩარქობილი ისარი გააწყო უკანასკნელ ლარზე და დაუმინა, დაოკებით, მიბეჭითბით.

მოდრეკილი ტოტი მოსწია. რაც ძალა და ღონე გააჩნდა.

ესმოდა ტყიურთ დაძაბული სუნთქვა და მამის საათის ცემა. მერმე შორეული გრგვინეაც მოესმა. ისრის ფრთაზე და საპინენში, თვალუხსტად არწივი იჭდა და იფაფრებოდა.

ბაკურმა სტყუორცნა ისარი, — მო-არტყა, — გულ-მხარში გაუყარა. შეიძრა არწივი. ერთიც შესძახა შემზარად და გადმოქანდა. ცალი ფრთა გაშალა, ტირიფის ტოტები ჩამოფარცხა, მოწყვეტილად მტკვარში ჩავარდა.

— მოხვდა! მოარტყა! აწვდინა! — ზეიმურად ახმინდა სატირიფო. ნაპირს მიაწყდა. არწივი კი ერთხელაც შეებრძოლა მტკვარს ტალღას. ააქაფა. მაგრამ თავი ჩაქიდა და მდინარეში ლეშად ამოტრიალდა.

— ვაშა ბაკურ-კიკოს! დიდი ვაშა! — ძახილად ადგა, ფრთა გაშალა, თავი ასწია მთელმა სატირიფომ, ვაშათვამა!

და სწორედ ამ დროს, საარმაზოს მხრიდან მოისმა უცხო ყრბინი:

— ჰეჰეი! ჰეი ჰეჰეი!

ყველამ მიაყურადა... სატირიფოში ისევ გაისმა საათის წიციკი და შორეუ-

ლი გრგვინვა, — ძახილიც ახლო გა-
მეორდა...

— ვაი ჩვენი ადამიანის ხმა! ადამი-
ანი! — აჩუჩხულდნენ ტყუილნი.

— ჰეჰეი... ნანა... სალა ხარ? ნანა!

შორიდან უკვე გარკვევით მოისმა სი-
ტყეები...

— ნანა, შენ დაგეძებენ! — შემოტ-
რიალდა ბაკური, — ჯერ ხმა არ გასცე! აქ
ნუ მოიყვანი ნურც ოქროს წყაროს
ამბავს ეტყვი!

ტყუილნი შემოესივნენ, ვედრება და-
უწყეს. ძახილი კი უფრო ძლიერდებო-
და.

— არა... არ ვეტყვი... არა მეტი!

ღრუბელიც მტულობდა. სულ ჩამო-
შავდა და ჩამოიღურსა ცა. გრგვინვაც
ხედ წამოადგა სატირიფოს. თითქოს
ნაირწივალ ტირიფის წვეროზე წამოიკ-
ლანა ელვა. სულ ახლო გაეარდა მეხი.

— ფიცი არ დაგავიწყდეთ! ფიცი! —
შეჰკვილა ბუმ და ღრუში შეძვრა.

— მე არწივი იმიტომ არ მომიკლავს,
რომ ახლა უფრო დიდი მტაცებლის
ხელში ჩაგავლოთ! — ხმა აღიმაღლა
ბაკურმა და ნანას მოჰკიდა ხელი, —
წავიდეთ! სატირიფოს იქით გაგიყვანი
თქვენ აქ დარჩით. ახლავე მოვბრუნდე-
ბი, წვიმა იქნება.

ბაკური სირბილით წაუძღვა ნანას.

— მალე მოვბრუნდი. იქნება დიდი აე-
დარი და წყალდიდობა! — გასძახა წე-
რომ.

— ჰეჰეი, ნანა! — კიდევ გაისმა კა-
ცის ძახილი.

— ახლა ხმა გაეცი... ხმა! — სირ-
ბილ-სირბილ მოაძახა ბაკურმა.

— აჰა ვარ... აჰა! ახლავე მოვალ! —
სირბილით ხმაშეფერხებულად გასძახა
ნანამ.

— ნანა ხარ! ნანა?

— მე ვარ! მე!...

ჩაიარდნილ ხიდს ჩაუარეს. ღელესთან
შეღვინენ.

— ახლა იმ მარტო წადი. არწივმა კი-
ნალამ დამამარცხა-თქო!

— შენ?

— მე აქ დავრჩები... იქნება დიდი აე-
დარი! უჩქარე!

— მერმე წყალდიდობა! დიდი წვი-
ლდიდობა?!

— არ შეშინა, არა! ტირიფო-
მთამე წვეთები უკვე წაშვეს ბილიც.
შრიილებს და ღელავს ქარდაკრული
ტყე. ბურუსი ეუფლებდა სატირიფოს
მისავალს. ლიანდავის მცირე ხიდზე
გრუხუნით გადადის მატარებელი. ქარ-
საგანი იტრიცება გოგოს „ტყის კაბა“.

ნანა ისევ ახლოს, სულ ახლოს მივი-
და და თვალეში აჰყვდა ბაკურს. მო-
ზარღმა კი ხელი აღმართა.

— ახლა არა... არ მომეკარო... არ
წივის სისხლი მაქვს ხელზე! იქნებ.
წყალდიდობამ გამზანოს!

— ჰეჰეი... ნანა! — სულ ახლოდან
გაისმა კაცის ძახილი.

გოგონა გატრიალდა, ღელეზე გადახ-
ტა და იქით გაიქცა. თან „ტყის კაბა“
შემოიცილა. ისევ ძველ, დახეულ კაბაში
დარჩა.

ქარმა და წვიმამ იმატა, — გრგვინ-
ვამაც, გამობრუნდა ბაკურიც. სირბი-
ლით გაარღვია ჯაგნარი.

სატირიფოში საერთო შემოფოთება
დახვდა. ტყუილნი გარბოდნენ. შორღე-
ბოდნენ შიმოკრეულსა და ქაფავარდ-
ნილ მდინარეს. გარბოდნენ ირმები და
შვლები, დათვები, მანევები და კურდ-
ლები. დაფეთებულად მიფრინავდნენ
ხოხბები და კაკებები, კვირიონები და
პოლაღურები.

— რა ამბავია, რა? — ყველას ეკი-
თხებოდა ბაკური.

— იქნება დიდი აედარი და წყალდი-
დობა! წალკაცს ჰალას! — შემობდავ-
ლა ირმემა. — წამო, გამოგყევი!...

— შეგტალახიან წვიმას შეგტალღიან
ნამჭირიც მოჰყევება! — მოაკივლა ხო-
ხობმა.

— გავერიდოთ მტკვარს! შემოდგო-
მის წყალდიდობაა, სულ უიკრად იცის
მოვარდნა! — გაიძახოდნენ კაკებები.
მწყერები...

ბინდში უკვე გაბმულად ელავდა და
ელავდა. სულ უწყვეტი გუგუნ-ქუხილი
იყო. გალუმპული ბაკური თავის ქოხ-
თან მივარდა. ქარსა და თქემს უკვე

ჩაეფარება მისი ფაცხა. იგიც ნადირის ნაბუნაგარს ჰგავდა.

მიუხედავად თავსმისა, მანაც დასძებნა, იაკობა დედა-ენა, დასველებული და თაფურცელ აგლეჯილი. უბეში სათუთად ჩაიდო და ტირიფის ქვეშ თავი შეაფარა. მტკვარი უკვე ქაფსა ჰყრიდა და ჩაქუფრულად მოძრაობდა. ოქროთი სავსე ღრუ კი ყოველ ელვის გადაკლანისას, თვალის მომჭრელად კიაფობდა. ტირიფის ტანს მფეთქავ ჭრილობად ედო.

ბაკურმა მტკვრის ჩამოტანილი ხერგის ნატკეჩი დაიჭირა და ღრუ გამოგმანა. ტალღა უკვე ტირიფის ვადაწოლილ ტანს სწვდებოდა. ბიჭი უფრო შალდა ტირიფზე შეცოცდა და ბუს ბუდესთან მონახა მყუდრო ადგილი.

— აქა ხარ, ბრძენო? — ელვის ნაშექზე ძლივს გალანდა გაბუსუნებული ბუ და მისი, დასაფრენად დაზრდილი ბახალბი. — რა მოგველის?

— მოსავალი ჭერ წინაა! ხვალ დილას გეტყვი!

მთელი ოამი იყო თავსხმა და ქუხილი. ელვის ჭიაკოკონა ენთო. ბორილობდა ბუქნაჭარი. კენესოდა და გმინავდა სატირიფო — მოსთქვამდა უფრო ვადახრილი ბერტირიფი.

და აი შავ ღრუბლებს ნაფლეთებში მზეც ამოიწვერა. და ისევ დიდი თქეში წამოვიდა, მერმე სეტყვა. უეცრად ცაზე ცისარტყელა გაჩნდა. მტკვარზე კი დიდი, შედორბლილი, მქუხარე ზვირთი კედელივით აღიმართა და ჩამოგორდა. ჩაბუნა ნაპირები, დათქერა სატირიფო. აახანზარა ბერტირიფი. ბაკური უფრო მკიდედ ჩაეკრა მის ტანს და მიმოიხედა.

ჩიტი-გვრიტის ბუდე ჩაესეტყვა, ჩაეცრიცა ავდარს. გვრიტები ბუსთან შემჭვრალიყვინენ ღრუში. წყალდაფარულ ძირებთან მიყუყულიყო ფესვებში ჩახლართული წავი. ტირიფის წვერთან კი წეროს თავი ტოტებში დაემალა და იყო ასე დასეტყვილი და გალუმპული. წალეკილ სატირიფოს მიღმა, ლიან-

დაგის მოსაბრუნებთან, კლდეზე ავირდნილი ირემი გადმომდგარიყო და ხმაწარიანად ყვიროდა. უფრო ქვევით ზრად და დათვი.

...ძირფესვიანად იძროდა ტირიფი. მისი ტანი უკვე წყალს დაეტორა. მაგრამ ხე-დედა იღვა და იბრძოდა...

— ველარ გაუძლებს! მე ვგრძნობ მის კვნეა-ცახცახს! წავიდეთ, გავერძლოთ ტირიფს! — აფუსფუსდა დედაბუ და უკვე დაზრდილი ბალახები ამოაძვრინა.

— არა, მე არ წავალ! გავირებმაში არ დავაგდებ ტირიფს! — უეცრად გაკერპდა ბაკური, — ჩემი სიბრძნე ასეთია!

— ჩვენც აქ დავრჩებით, შენთან ერთად! სულ შენთან! განუყრელად! — აელურტულდნენ ჩიტი-გვრიტები, ჩამოქვეითდა წეროც, ხეზე შემოძვრა წავიც.

— უგნურებო! ყველას თავისი გზა და წარსავალი აქვს! ველარც დარჩებით. ვერც საშველს მისცემთ! ძველი ძირები აწყდება. — ახალი კი შენ თავად დარგე აი როგორი გახდა... ქარსაც უძლებს და ტალღასაც! იქ მოდით ყველამ თქვენ ახალგაზრდები მუდამ ებრძვიტ ცხოვრების სიბრძნეს! თავად აკეთებთ და ებრძვიტ კია! — წარმოთქვამდა ბუ და ტირიფიდან ახლისაკენ თითო-თითო ბარტყს ათრენდა.

— არა, ჩვენ წყალდიდობას არ გაუბივართ — უკვე ყოეინობდა ბაკური.

— ნეტავ რისთვის ან ვისთვის არის ეს უღროო წყალდიდობა? — აკრუალდა წერო. — ვისი დრო დადგა, ვისი გათავდა? რა უნდა მოხდეს?

— წყალდიდობა განა მარტო გაზაფხულის ხილია და ახალგაზრდობა? განა მარტო შემოდგომით შეღის სიმწიფეში! — ბუმ ყვილა ბარტყი გადააფრინა, ახლა ისინი ახალდარგულ ტირიფის ტოტზე სხედან.

— აბა, კარგად ყოფნასა და კითილ გზას გისურვებთ — ახალაზრდებო! — დედაბოძაი თრთები გაშალა და ბეკი ფრინით ნაჩრაილს მიამურა.

ზედაც ნაპირის კოდზე გამოუშვავდო

ტრიფს, ძირები უფრო გამოუშვლდა... ტყავა-ტყუცით დააწყდა, აღმა აღიმართა ძირა ფესვი. ერთიც იქუხა და ლიწინ-ლიწინით ჩაშიშინდა მთელი საძირე. ბერტირიფი ცოცხალოვით შეტრიალდა და მოზათქებულ მტკვარში სიგრძივ გადაწვა.

ძირებში შეშუპებული ბატი-კვატები უმაღ აფრინდნენ. წავე წყალში ჩავარდა და გაცურდა. ჩიტვა-გვრიტმაც თავს უშველა, ბარტყებთანაღ ნიავ-ქარს მიენდო. წერომ ძლივს აასწრო ჰაერში და კრუალით თავს დაუარა მომსკდარ-მოზღვეულ ბერხეს.

ტრიფი კი წუთით ფესვებ-ფოთლებთანაღ წყალში ჩიიძირა, ამოტრიალდა და აშოტივტივდა. შუათანზე გამოჩნდა ტოტებში ჩამჭდარი ბაკური. იგი მჭიდვდ ჩაჰკროდა ტირიფის ტანს და ჩასჩურჩულებდა:

— მე შენთან ვარ, ჩემო ტრიფო! შენა ხარ ჩემი სიყრმის ბრძოლისა და მეგობრობის პირველი მოწმე და მონაწილე! შენ იმდენი კეთილ-საოცნებო და სამოქმედო მომეც, რომ, ალბათ, მთელი ცხოვრების მანძილზე მეყოფა! წყალდიდობისა კი არ მეშინია! მშვიდობით, ჩემ ობოლ ბავშვობის სამყაროვ და სამყოფლო!

— მშვიდობით! მშვიდობით! ბაკურ კეთილო! — ხმა მიაწვდინეს ტყუერებმა.

ნაპირის ბილიკებზე, კლდეზე, ჰაერში, წყალში მოცურავენ, მოფრინავენ, მორბიან შემობრუნებული სატირიფოვანი, წყვილ-წყვილად თუ ოჯახ-ოჯახ... თავის ნამრავლითა და ნამატი... ცახე წეროები მოფრინავენ... მათკენ კრუალ-კრუალით მიფრინავს წერო-პატიოსანიც.

უფრო ზევით კი, ქედლიან ქედზე, მტკერის ცას ხიდად გადასდგომია გამოდარების ცისარტყელა.

ბაკურმა ერთი დიდი ტოტი მოსჭრა ტირიფს; გასხება, თავი გაუთალა. ორთაყვირად მოარგო და ტირიფს წყალდაყოლებით გეზა მისცა, დიდ ტალღას მიაყოლა. სავსე კალამოტად დიოდა მტკვარი... ზოგან ქალები წაელეკა,

გზებზე და ბილიკებზე გავარდნილიყო. რიყის პირები მიეზერგა.

აი საარმაზოს თელნარეც, ბილიკებზე ახალ კაბაში გამოწყობილი ნახა. დაინახა ტრიფი, ეცნაურა. ნაპირს მიაშურა, კლდეკლდე ჩამოიბრინა.

— ბაკურ! ბაკურ! შენა ხარ? შენ? — გასძახა.

გოგონას ხმამ ერთ წუთით დაჰფარა მდინარის ზათქი და ბაკურის გულის-ყურს მისწვდა.

— მე ვარ! მე! ნუ გეშინია! — და ორთაყვირით უფრო ახლოს, კლდესთან მისდრეკა ტირიფის გეზი.

— სად მიხვალ! სად? — კვლავ მოაძახა ნანამ.

— წინ!.. ქვევით!... ხიღს ქვევით ახალ სატირიფოში... დიდ ცხოვრებაში — გაჩერდი გაჩერდი მომიცადე! ჩემთან გამოდი! მეც წამოვალ! — მოაძახა გულამომჭდარმა გოგონამ.

— რომც შემეძლოს — არ შემიძლია! წყალდიდობა — წყალდიდობა!

— მე რალას მეტყვი, რას?! — ძლივს აწვდინა ხმა ჩაღლილ ბაკურს.

— არ მესმის! არ მესმის! — ხელები აასავსავა ბაკურმა, პირი იბრუნა.

— მოვდივარ! მეც მოვდივარ!... ხიღზე მოგისწრებ!

ბილიკი კლდესთან მიიჩინა. — მტკვარმა დიდ მუხლად მოუხვია. ბაკური ორთაყ ხელით შეებრძოლა ორთაყვირს, გეზი უსწორა ტირიფს, თანდათან მოერია — მოიმორჩილა... უფრო გაშლილ დენაში გავიდა. — და პა, აქეთ-იქით გამოჩნდნენ შენობები... უფრო ქვევით, დიდი ხიდი ცისარტყელად ადგია მდინარეს.

ხიღზე ხალხი... დიდძალი ხალხი გამომდვარა... დაინახეს ბაკური, ერთი ხმაურ-გნისის ასტეხეს.

— იბრჩობა! იბრჩობა! უშველეთ! — ხალხის ძახილი ბაკურსაც მოსწვდა.

— არა! არ ვიბრჩობი! ყელამდე სავსე კი ვარ! ახალგაზრობით, ლტოლვით სავსე! თქვენთან მოვალ დიდ ცხოვრებაში! მე არ მეშინია თქვენთან მოთარეშე არწივებისა! სატირიფოდან განძად

მომაქვს ბუნების მეგობრობა და ადამიანის სიყვარული!

ხიდი საოცარ სისწრაფით გაიზარდა. უკვე სახეების გარკვევაჲ კი შეიძლება. ბაქურმა ხელი უტია ორთაყვირს.

— აჰა, მე თქვენთვის მომაქვს, არცა მშურს... თუ ვინმე ხართ ღარიბ-ღატაკნი, მე მდიდარი ვარ! — თავი ამოუშალა ღრუს და ოქროს ზოდები ორივე ხელით ხილზე აჰყარა... კიდეც და კიდეც მოუნაცვლა, ვიდრე ჩაუვლიდა ხილს.

ოქრო ზოგი ხილზე დაეარდა, ზოგიც უკან მდინარეში ჩამოცივდა.

ხალხი დასწვდა ზოდებს, აირია. ერთი ღრიანცელი და ორომტრიალი შეიქნა, წყალდიდობის ზათქი დაჰფარა.

— ოქროს ზოდები! ოქრო! ოქრო!

ბაქური კი სწორედ ხედქვეშ იყო, უკან, ხილის თაღში ჩასმულად მოსჩანდა ადიდებული მტკვარი, ჰალა, კლდეები და ცხოვრების ზურგს უკან დარჩენილი სატირიფოს თავზე გადამდგარი ცისარტყელა.

— მშვიდობით, ჩემო ბავშვობავ და ჩემო ზღაპრულ სატირიფო! მშვიდობით, ჩემო სიყრმის მეგობრებო და აღმზრდელებო! ბრძენი ბუ მართალი ყოფილა — ყველას თავისი გზა აქვს, ალბათ, თავისი სიკეთეც! მე ფიცი დაედე და შევასრულებ ამ ფიცს — ადამიანები არც ისეთი ცუდები არიან, როგორც თქვენ გგონიათ!

ხილზე კი, ხალხში შემოეარდა აღელვებული ნანა, გასწი-გამოსწია ხალხი, იძალა და ხილის ზედამხრის მოაჯირს გადაადგა. მაგრამ დაავიანა, ტირიფი და მისი მგზავრი აღარ ჩანდნენ. ნანამ

ისევ იძალა, გაარღვია ხალხი და ახლა ქვედა მხრის მოაჯირთან მიიჭრა.

ტირიფი სწორედ ჩამოსკდა ხილს. ბაქურმა ერთიც მოჰხედა ხილს, ზედ გადმომდგარ ხალხს.

— მაშ ვამარჯობა, დიდო ცხოვრება... აქედან რომ იწყება და, ალბათ, ათას ხილსა და წყალდიდობას შეიცავს! ყველას გუბუნებით, ყველას, ვინც კეთილია!

— მე რაღას მეტყვი, ბაქურ! მე რაღას? — საოცარ ძალით გასძახა თვალცრემლიანმა ნანამ.

გაიგო ბაქურმა ხილზე, ხალხში ნანა გააჩნია...

— შენ კი... მელოდე! მე მოვალ, უსათუოდ მოგბრუნდები და თან წაგიყვანი შენ ჩემი სიყრმისა და წყალდიდობის მეგობარი ხარ! მე კი ახლა ვიცი, რომ ცხოვრება იწყება წყალდიდობით!

მღვრიედ მოდიდებულ წყალს მიჰქონდა დიდი ტირიფი... ბაქური უკვე მტკიცედ ჰმართავდა ორთაყვირს. ამობრუნებულ ტოტზე ჯერ კიდევ ეკიდა და თავისთავად ხმინობდა სატირიფოს სარაკუნა.

უმზერდა შეუფეროსებული მოზარდი, მარჯვნივ და მარცხნივ ნაპირებზე გაშენებულ დამბებს, ანძებს, ამწეებს, სპილენძისა და რკინის დანადგარებს, ბავირებს, გზატკეცილებზე წამდაუწუმ მჭროლავ მანქანებს, დაქსელილ ლიანდაგებსა და ელექტრომავლებს... ავეამლებულ ქაჩხნების ბუღსა და ბუბუნს, საყვირების ხმას, რთულსა და წყალდიდობასავით მღვრიე ხილქვეითა, ახალ ცხოვრებას.



იკოლონე ჯაჟარაძე

ნ ა ლ ი ღ ე

მოთხრობა

მე და ოტია ბარაქაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი ოცდათხუთმეტი წლის წინათ დავაშთავრეთ. ჩვენი გამოშვების სტუდენტებს, ახლა უკვე ხანდაზმულ ექიმებს, თბილისში თავმოყრა გვქონდა. ასეთი შეგვედრა სასიამოვნოცაა და სევედის მომგვრელიც. ყოველ შემთხვევაში, ეს იყო ჩვენი რაზმის საზეიმო დათვალიერება.

ოტია ბარაქაძე სტუდენტობის დროს ამხანაგების სული და გული იყო, ყოველთვის ცეცხლივით ანთებული, მშრომელი და ხალისიანი, ახლა კი მას ვერ ვცნობდი.

— ოტია, როგორ გამოცვლილხარ!.. ალბათ, შენ არ ხარ ის ჩვენი ოტია.

— და მე არ მოვეყვები, სანამ თავისი უხალისობის მიზეზი არ მოთხრა.

• • •

— ხომ გახსოვს, აჭარაში სამუშაოდ ჩემი სურვილით რომ წავედი. დავბინადე რაიონის ცენტრის მახლობლად პატარა სოფელში, სადაც ერთი გვარის რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა. მშვენიერ ოდა-სახლში მქონდა ოთახი, აივანი გზას გასცქეროდა. ჩემი მასპინძელი, ხასან ქათამაძე, დევივით ვაჟაკი იყო. შევიღი შევიღი ჰყავდა, ერთი მეორეზე უკეთესი, ლაღად დანაგარდობდნენ შემოუღობავ მიდამოში. მის უფროს ბიჭს, ოსმანს, პირველ შეხვედრისთანავე მოვეწონე და დამიახლოვდა. ხშირად მოდიოდა ჩემთან, ათვალიერებდა ჩემს წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, შეკითხებოდა ხან რას, ხან რას. ცოდნის-მოყვარე იყო. ერთხელ ყაზბეგის მოთ-

ხრობები მივეცი წასაკითხად. წაიღო, მაგრამ მეორე დღესვე დამიბრუნა.

— ასე მალე წაიკითხე?

— კითხვა არ ვიცი..

ეს ამბავი ოცდათხუთმეტი წლის წინათ ხდება. მაშინ საყოლო ქსელი აჭარაში ისე ფართოდ არ იყო გაშლილი, როგორც ახლად.

— გინდა, ოსმან, წერა-კითხვა გასწავლო?

— მაშას ვკითხავ.

— უნდა ჰკითხო, მამ!

მამის ნების გარეშე ოჯახში არაფერი კეთდებოდა. მეორე დღეს ოსმანმა მოიბრბინა გახარებულმა. მე ხალისიანად შევეუღექი მასწავლებლობას, სახელმძღვანელო არ გამაჩნდა, მაგრამ მადლიანი იაკობ ვოგებაშვილის მეთოლით დავეწყე სწავლება — „ათ თითი“. მივეცი ქალაღი, ფანქარი, როგორც კი შინ მომიხელთებდა, ჩემთან მოიჭრებოდა, ახალი ასოების სწავლებას მოთხოვდა. მშობლებს მივეწერე ჩემთვის სახელმძღვანელოები გამოეგზავნათ. ხშირად მინდებოდა აჭარის მთებში მიმოფანტულ პატარა სოფლებში ავადმყოფებთან წასვლა ცხენით. იყო შემთხვევები, ორსამ დღეს ვერ ვბრუნდებოდი. ეს ძალიან აღონებდა ჩემს ახალშეძენილ მოწაფეს. ოსმანმა მალე შეისწავლა წერა-კითხვა. სახელმძღვანელოებიც მომასწავლეს, მაგრამ ეს პატარა მოთხრობები ოსმანს, უკვე თხუთმეტი წლის ბიჭს, აღარ აკმაყოფილებდა. დიდ წიგნზე ექირა თვალი. ისევ ყაზბეგი მივეცი.

მეორე დღეს, როცა ავადმყოფების ჩამოვლა დავამთავრე, ოსმანი ჩემთან მოიჭრა.

— პატივცემულო ოტია, „ელენო-რა“ წავიკითხეთ, რამდენი იტირა ნაღი-დემ, წიგნს რომ კითხულობდა, დაპა-ღუ-პით სდიოდა ცრემლი.

— ნაღიდე ვინაა?

— ჩემი უფროსი დაია, კითხვა მე ვა-სწავლე და ახლა ჩემზე უფრო ჩქარა კი-თხულობს, ყველა ჩვენს პატარას ასწა-ვლის წერაკითხვას. დედა გახარებულა. მამაც, ეტყობა, კმაყოფილია.

ოტია ხანში მე ამ ოჯახის საყვარელი მღვდური ვავხდი. პატარა გოგონა კალა-თით ხილს მომიტანდა, ხან ბიჭუნა შემ-წვარ ხაპს მომიბრენინებდა, ხან თვითონ ოსმანი მოხარშულ წაბლს მომართმევ-და, სულ ორთქლი ასდიოდა, აჭარული ხაჭაპურიც მაგვმეს. აქ უკვე დიდის ხე-ლი ერია. ეს ამბავი შემოდგომაზე ხდე-ბოდა. მერე რა ნაზი შემოდგომა იცის კურთხეულ აჭარაში... ასეთი პატრის-ცემა უხერხულ მღვდმარეობაში მაყე-ნებდა.

ხასანს იშვიათად ვხვდებოდი. მის ცოლს, ფატიმეს, პირისპირ არასოდეს შევხვედრებოდა. მუსულმანური წესის მიხედვით უცხო მამაკაცს პირს მარი-ლებდა.

ჩემს ოთახში მესმოდა, როგორ უსმენ-და წიგნის კითხვას ერთად შეკრებილი ჯალაბობა. ხან ოსმანი კითხულობდა გა-ბოხებული სპით, ხან ქალის ნაზი ხმის რაკარაკი ისმოდა. მართალი ვითხრა, მა-ინტერესებდა ჩემი დაუსწრებელი მო-წადე მენახა, ისიც კი არ ვიცოდი, რა ფერის კაბა ეცვა. თითქმის ნაღიდე უს-ხეულო არსება იყო, გერ გხედავდი. მაჰ-მადის რჩულის წესები აბრკოლებდა ჩვენს ადამიანურ ურთიერთობას. მე დიდ სიფრთხილეს ვიჩენდი, რომ რაიმე უტაქტობით ჩემი საექიმო რეპუტაცია არ შეშებოდა. თუმცა მინდოდა, რომ მარტო სხეულის კი არა, ადამიანის სუ-ლის მკურნალიც ვყოფილიყავი. აჭარის სათვის აოკილებელი იყო მოსულმანე-რი სარწმუნოების ხუნდებიდან თავი დაიღწია.

დაღვა წყნარი ზამთარი. ჩვენი საფლას გარშემო შემორტყპული მთე-ბის კალთები თოვლით დაიფარა. მახ-

ლობელ ტყეში ხეები თეთრ სამოსელში პატარძლებივით მოირთენენ. ქუჩაქუჩის გოგონები და ბიჭები საბჭულად გაკეთებული ციგებით ფერდობზე მოს-რიალებდნენ: დაღლილი, შეციებულ-ნი ოთახში შეცვივდებოდნენ, იყო ერთი კრიამული. დავა: უკეთესად ვინ ისრია-ლა, ვინ გადაკოტრიალდა, ვინ ვის დაე-ჯახა.

მეც მქონდა სურვილი, ამ ბავშვებში გავრეულიყავი, მიეკიგავა, თოვლში მე-კოტრიალა. მაგრამ ვიცოდი, რომ ეს ჩემს ექიმურ ღირსებას შელახავდა.

შინ ჩვეულებრივად გვიან საოამოს დაებრუნდი. აიღმყოფის ქირსუტლებ-მა ცხენით მომიყვანეს. აივანზე ავედი, თოვლი შემოვიფერთებ, თოვლის ბაბუ-ასავით ვიყავი გათეთრებული. ნავთის ლამპა ავანთე და ოთახში გავიარ-გამო-ვიარე, ცხენზე ჯდომით მოდუნებული სახსრები რომ ამოშებრავებინა. ოთახში რალაც სიცარიელე და მარტოობა ვიგ-რძენი: მთელი საბლი უჩვეულო სიჩუ-მეს მოეცვა. „რა ამბავია.— ვიფიქრე,— ასე აღრე რამ დააძინათ?!“ მე მსიამო-ვნებდა კედელს იქით ზედნიერი ოჯახის ბავშვების კრიამული, კისკისი, ჩვილის უმანკო ტირილიც ჩემთვის ტკბილი მუ-სიკა იყო. საშინაო ტანსაცმის ჩავიცვი და საწოლზე წამოვიწვი. ჩამთვლიმა... ჩამინებულს ქალის წამოკივლება მო-მესმა და ყველაფერი ისეე მიწყანარდა. კვილი განმეორდა. ლოგინზე წამოვი-წვი. ოტია ხნის შემდეგ კარზე დააკ-კუნეს, ფეხზე წამოვიჭერ და დავიძახე:

— მობრძანდით!

ხასანი შემოვიდა.

— გამარჯობა, ექიმო... ბოდიშს ვიხ-დი, მაგრამ ონდა შეგაწუხობთ, ჩემი უფ-როსი ქალიშვილი ბავშვებთან ციგაო-ბის დროს დამარცხდა, ფეხი იტკინა, უნდა უშველო რამე. როგორც თქვს გაანძრევს, საშინელ ტკივილს გრძნობს.

— ახლავ, ბატონო ხასან, — რაც სა-ხელდახელო მკურნალობისთვის დამკი-რდებოდა, მოვიმარაგე და ხასანს გავყე-ვი.

აედამყოფი საწოლზე იწვა, ვარდის-ფერი საბანი ეხურა, მხოლოდ თვალები

უჩანდა, ერთი კი შემომხედა და საბანი სწრაფად შეზღამდე დაიფარა.

ნადიდეს ნატყენი ფეხის ჩვენება არ უნდოდა. წინააღმდეგობის გასაწევად ლოკინში გაინძრა და ტკივილისაგან დაიკვნესა. თავი საბანში სულ ჩამალა და დაგვნებდა. დედამ ფრთხილად გადასწია საბანი, დახვებდე, ფეხს კოჭის არეში სიმსივნე ჰქონდა, თან პატარა ჭრილობა.

— აბა, არ გამიჩავრდეთ, ვნახოთ, მოტეხილი ან ნაღრძობი ხომ არ გაქვთ, — ქუსლზე ხელი მოვიკიდე და ფეხის ქვედა კიდურის ავამოძრავე, ნადიდემ კვლავ იკივლა — მანატით... არც მოტეხილია, არც ნაღრძობი... კუნთების დაჭიმვა გაქვთ, რამდენიმე დღე წოლა მოგიწევთ.

— სპირტით ჭრილობა გავუწმინდე, იოდი წავუსვი და ბანდით შევუხვიე. კომპრესი დავადე სიმსივნეზე.

— სიტზე ხომ არა გაქვთ? მიჩვენეთ მაჯა.

ნადიდე არ განძრეულა.

— ექიმს რას ალოდინებ? — გაუწყრა მამა.

ქალიშვილმა საბანიდან ხელი წილა გამოჰყო. მაჯის სინჯვა რომ დაეუწყებო, შეტოკდა და თავშეკავებულად დაიგმიონა.

— სიტზე არა აქვს. თუ რაიმე დაგჭირდეთ კიდევ, ნუ მომერიდებით. — წასვლა დავაპირე.

ხასანმა მალღობა გადამიხადა. არ გამიშვა, ვაზშაშზე მიმიპატიყა. უარი ვერ ვუთხარი. სუფრა მარტო ჩვენ გაგვიშალეს სასტუმრო ოთახში. ლაპარაკს შევეჩქეცით, თითო ბოთლი ღვინო დავცალეთ. საუბარში გამოირკვა, რომ ამ ორ დღეში ხასანი მეზობლებთან ერთად სანადიროდ წასვლას აპირებდა. აღტაცება გამოეთქვი. შემატყო, რომ ნადირობის მოყვარული ვიყავი, და მითხრა:

— თქვენც წამობრძანდით სანადიროდ, თოფს და სხვა დანარჩენსაც მე გიშოვით.

ნადირობიდან რომ დავბრუნდით, ოსმანი შეწუხებული შემოგვეგება.

— პატრეცემულო ექიმო, ნადიდეს ფეხი ძალიან სტკივა.

— ერთი კიდევ ნახეთ, ოტია ბატონო, — მითხრა ხასანმა, — არ დავიღუპო, არ დამიკოტლდეს.

ტანისამოსი გამოვიცვალე და ავადმყოფს მივაშურე. დედამ კარი გამოიღო. ნადიდე საწოლზე წამოჩქვდა რიყო. საბანს ხელი ჩაავლო, სურდა დაწოლილიყო, მაგრამ ვეღარ მოასწრო. გაშლილი ხუჭუჭა თმა მკერდზე გადმოეფინა, მოციმიციმე თვალები არ იცოდა საით წაეღო. გამიღიმა... მისი ღიმილი დღემდე არ დამვიწყებია, ყველაფერი იყო ჩაქსოვილი ამ ღიმილში — ქალური სინაზე, ქალური მიმზიდველობა და უმანკოება... სახე ანთო, უცხად ხელები უღონოდ დაეშვა, მეც დავიბენით... ავადმყოფთან მისულს ეს არასოდეს დამმართნია. ფატიმე შორიხლო იღვჯა. ხასანმა ცოლს დაუძახა, მარტო დავარჩით. ოდნავ დამშვიდებულმა ნადიდემ სახე თმით დაიფარა.

— მამ, ჩემი ავადმყოფი ასეთი ყოფილა!..

ახლა მივივრის, თავშეკავებულ ექიმს ეს რა წამომცდა.

— აბა, როგორი უნდა ვიყო?! გონჯი ვარ?

— ღმერთმა ამრავლოს თქვენისთანა გონჯი...!

ნადიდეს თმა ჩამოეშალა და გამოჩნდა ბადრი სახე ქართველი ქალიშვილისა.

ამ დროს კარი გაიღო და ფატიმე დაბრუნდა. ორივეს თითქოს ცივი წყალი გადაგვესხაო, ჩვენს თვალებში ანთებული ცეცხლი ჩაქრა...

დღის დახმარებით ნადიდეს მტკივანი ფეხი გაუუსინჯე. ვეკითხებოდი:

— აქ ხომ არ გტკივთ, აქ, აქ?

ნადიდე თავშეკავებულად კვნესოდა. სიმსივნეს დაეკლო. თბილი აბაზანების მიღება დაეუნიშნე. კვლავ კომპრესი დავადე.

— რამდენიმე დღეში სიარულს შესძლებთ. — დავამშვიდე ავადმყოფი.

— წასაკითხი რომ მომიცა...

— ოსმანს გამოვატან...

— როგორ გაწუხებთ!..

მეტ ხანს დარჩენა არ შეიძლებოდა. ფაქტზე ჩემს წასვლას უფლავებოდა.

— კარგად იყავით... — და ჩვენ ერთ-მანეთს შეეხედეთ უკვე საერთო საიდუმლო გვქონდა. ჩემი დაფარული გრძნობა თან წამოვიღე, ნადილემ კი გულდაწყვეტილი დამილა გამომატანა.

ისე დაღლილი ვიყავი, მაშინვე ლოგინში ჩავწექი. ვფიქრობდი, ბალიშზე თავის დადებისთანავე ჩამეძინება-მეთქი. მაგრამ... ნადილემ თვალწინ მიდგა, შევეცქერაღი მომღიმარ შავ თვალებში. ნადილემ ჩვიდმეტ-თვრამეტი წლია თუ იქნებოდა, მის სახეს ჯერ კიდევ შერჩენოდა ბავშვური იერი. ვნანობდი, რომ ასე მალე დაეშორდი ავადმყოფს. შესაუბრა, გამერთო, მაგრამ ეს თავაზიანი ფაქტიმ თავს რომ მადგა... ერთი სიტყვა მაინც ეთქვა, მასთან მაინც ვამება საუბარი. სინანულს გამოვთქვამდი, მამბრახებდა ჩემი დაუღვერობა, რომ ამდენ ხანს არ ვიცოდი, რა მარგალიტი იმალებოდა ჩემს მახლობლად. საუცხოო კი იქნებოდა, ექიმი კაცი ბავშვებში გარეუღოყავი და გეთვალთვალა ქალიშვილისათვის. ყოველთვის ფრთხილად ვიყავი, რითიმე მუსულმანური წესი არ დამერღვია. ნადილემ... ნადილემ... ძილში არ წამომამოდნენ შენი სახელი... რა მოხდა?! დამიძინე და იგი ზეალ სულ სხვანაირად მოგეჩვენება. ცივ ტყეში ნახეტალეებს მყუდრო თბილი ბინა გესიამოვნა, ლოგინში ჩაწოლილი უმანკო გოგონა, მზეთუ ნახავად მოგეჩვენა... გგონია, რომ შენთვის გაგიყებულა! საკმარისია ანიშნო და ცხრა მთას იქით გამოგყვება?! დამიძინე... დამიძინე... თვლებმა დავიწყე... ვხედავ თოვლით დაფარულ უღრან ტყეს... ძილის ყეფა ისმის... გარეული ტახი დამედევნა, ეშვებით უნდა დამეძგროს... ხასანმა ხანჯლით განგმირა... უნივერსიტეტში გამოცდამ ვაპარებ... ჩამჭრეს... მატარებლით შევმგზავრები...

მოუსვენარი ძილი მქონდა...

დილას გაღვიძებულიც არ ვიყავი, რომ ფილტვების ანთებით დაავადებულთან წასაყვანად ცხენებით მომპაიეთხეს.

ერთ კვირას მომიხდა მასთან დარჩენა, სანამ კრიზისს გადაიტანდა.

ავადმყოფმა რომ მოიკეტა, მოუსვენრობამ შენაპრო. გული შინისკენ მიმიწევდა, მაგრამ თავს ვიოკებდი, როცა დაერწმუნდი, ავადმყოფს უჩემოდ არაფერი გაუჭირდებოდა, ცხენი შევკახებინე.

ხასანის ოღას გულის თრთოლვით ვუახლოვდებოდი. შორიდან ვილაცას მოგკახრი თვალი აივანზე, გზისკენ იცქირებოდა. დავინახე, ხელი დაეუქნიე... არაფერი მიპასუხა. ოთახში შევიღე.

ნადილემ იყო. ფეხზე წამომდგარა... კიდევ მინდოდა მისთვის შემკურნალა. რა ეგოისტობაა?! შემრცხვა...

გავიღა თვე, თითქოს არაფერი გამოცვლიდა. მაგრამ უკვე ყველა გრძნობდა, პატარებიც კი, რომ მე და ნადილეს ერთმანეთის ნახვა გვიპაროდა. ერთი ზეორეს შორიდან თვალებით ვუზიარებდით გულას წადილს.

შეწყდა წერიალა კისკისი. ყველაზე ადრე ფაქტიმ მიხვდა, რას ნიშნავდა ეს ბოლოს არც ხასანს დარჩა შეუქმნეველი.

ოთახში რომ შევედი, ხასანის ხმაბალი ლაპარაკი მომესმა:

— როგორც ვთქვი, ისე იქნება. მე თვალი დახუჭული არა მაქვს.

— რა დროს მისი გათხოვება!.. — ტირილით თქვა ფაქტიმ.

— მე რომ არ გავათხოვო, თვითონ წაყვება ოტისა.

სიბნელეში სკამს წავებოროძიე. ხმაური რომ გაიგონეს, ლაპარაკი შეწყდა. ჩუჩუნულია ისმოდა.

ნადილეს ათხოვებენ... დაცარიელდა მთელი სამყარო... უპატრონოდ ვიგრძენი თავი. ველარ გავიგონებ ნადილეს წერიალა ხმას... ოთახი დაპატარავდა... შიგ ველარ გავეტელი აივანზე გავედი. ცა მოწმენდილიყო. ვარსკვლავები ცივად ციციკებდნენ. თეთრ სულარაში გახვეული მთა-გორები გარინდებულყო.

არ ვიცი, გარეთ რამდენ ხანს დავყავი... უეცრად გიჟურმა სურვილმა შემიპყრო ნადილემ მენახა... ეს შეუძლე-

ბელი იყო... მისი სიახლოვე სიცოცხლეს დამბრუნებდა...

მთლად გაყინული ოთახში შევედი. მივეცარი კედელს, რომლის იქით ნაღიდე შეგულვებოდა. დახშული სლუკუნნი გატივანე. უძლურების ცრემლები გაღმომცვივდა...

ნაღიდეს მუსულმანური სარწმუნოება ზღუდავდა, მე კი ჩემი მდგომარეობა, მოქალაქეობრივი მოვალეობა მზორკავდა, რომ ჭიჭურ შემოქმედნა — ნაღიდე მომეტაცებინა...

იმ ღამეს დიდი სიცხე მომცა. თურმე ვბრდავდი, ვილაცას ვეჩხუბებოდი, ვყვიროდი. ჩემთან ოსმანი შემოსულა, ცეცხლი დაუნთია და დილაშდევ არ მომშორებია, სანამ სიცხეს არ დაუკლია და შშვიდად წაჩამძინებია.

თვალი გავხილე, საათს დაეხედე, ნაშუადღევო იყო. ოსმანმა ფანჯარაში ფრთხილად შემოიხედა, ხელი დავექნიე, შემოვიდა, ნაღიდეც შემოაკეცა გაფითრებული.

— როგორ ბრძანდებით, მასწავლებელი?

პასუხი ვერ გავეცი.

— შეშას შემოვიტან. — თქვა ოსმანმა და გარეთ გავიდა.

მარტო დავრჩით. ძალა მოვიკრიფე და ელთხარი:

— ყველაფერი გავიგონე. გული არ გაიტებო, ნაღიდე!.. ხასანს როგორმე გულს მოვეღობო, ქვა ხომ არ არის... სად არის?

ნაღიდე დუმდა. იდგა თავჩაღუნული, თვალცრემლიანი.

— ალბათ, წასულია, თორემ აქ როგორ შემოხვიდოდი... თავზე ხელი დამადე... მტკივა...

ნაღიდემ უკან დაიხია... მერე გაბედულად მომიხლოვდა და თავისი გაცივებული ხელი შებზუხე დამადო. თვალი დაეხუტე... რა ბედნიერი ვიყავი...

რამდენიმე დღეში ფეხზე წამოვდექი. ავადმყოფობამ დამასუსტა. მთელი ოჯახი თავს შევლებოდა, სასამელ-საჭმელს არ მაკლებდნენ. ფატიმეც არ მერიდებოდა, შვილსაც კი მეძახდა. ხასანი

ოჯახს გარეთ კვირაობით რჩებოდა. შინ რომ არ იყო, მისი ცოლშვილი თავს ლაღად გრძნობდა. მიწის თიფითონ არ ამუშავებდა, ეს ჯალაბრბრძთენის ვადანელოცა, ვაქრობას მისდევდა. თავის საქმიანობაზე ლაპარაკი არ უყვარდა. ჩვენი ურთიერთობის გართულებამდე ხშირად გამოიხმდა ხოლმე საუბარს. განსაკუთრებით აინტერესებდა, საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩვენი მომავალი ცხოვრება როგორ წარიმართებოდა.

გავიდა წანი. ხასანი ჩემთან შეხვედრას ერიდებოდა. მეც არ ვიცოდი, რა მელონა. ნაღიდე მამის შინ არყოფნისას გამოხახავდა საბაბს, რომ ჩემთან ესაუბრა. თუ ერთად ვიყავით, პატარებს თვალი გზისკენ ექირათ, რომ მამის გამოჩენა დაიკოსთვიან ეცნობებინათ.

ჩვენი საუბარი მოთხრობათა გამოცემის ვარშემო ტრიალებდა. ამ დროს შენიღბულად ერთმანეთს იღუმალ გრძნობებს ვუზიარებდით. ერთხელ აივანზე ვიდექით და ნინოშვილის „ქრისტინეზე“ ვლაპარაკობდით, რომ აღმართზე ცხენით ამოსულ ხასანს მოგკარი თვალი. დამფრთხალმა ნაღიდემ მამის დასანაზად წიგნი გაღმომცა, მადლობა გადამიხადა და გამეცალა. ხასანი არ მომსალმებია, თუმცა ერთი კვირა იქნებოდა ერთმანეთი არ გვენახა. ჩვენი სიფრთხილე ამაო გამოდგა.

ერთ ხანს ვიდექი დაბნეული... რა მექნა? უცხად გადავწყვიტე, ხასანთან მივსულიყავი და ყველაფერი მეთქვა, მაგრამ... გამბედაობა აღარ მეყო.

ერთ დილას გამეღვიძა. ეზოში ჩავედი. ჯერ კიდევ ყველას ეძინა. მურა-ძაღლი ლაქუცით შემომეგება, თავისიანად მთვლიდა, თავზე ხელი ვადავეუსვი და ეს უზარმაზარი ძაღლი ორ ფეხზე დადგა, თათებით მკერდზე მომეალერსა. ხელი მოვხვიე. რა კმაყოფილი ვიყავით მე და ძაღლი, ერთმანეთის ალერსს რომ არავინ გვიშლიდა. აყვავებული ტყემლის ხეები თათქოს თეთრ პეუნებს დაუფარავს. გულმა არ მომითვინა, ჩემს მეგობარ ძაღლთან ერთად მივედი ამ ხეებთან, რომ მათთვის ხელი შემომეხ-

ვია, თეთრი უმანკო ყვავილები დამეკონა. ხიდან ხესთან გადავდიოდი. მთავორებიდან მზე ამოვიდა და მისმა თბილმა სხივებმა ეს მყუდრო ბუნება კიდევ უფრო გაახალისა. ყვავილებიანი ტოტი მოვტეხე.

კარი გაჭრიალდა და ხასანი დავინახე. შორიდან მომესალმა, თავი დაბლა დავუყარი, ოღნავ შევკრთი.

— ოტია-ბატონო, გიყვარს სოფელი, ვიტყობა.

— ძალიან, ხასან-ბატონო!

— ხომ არ დასახლდები ჩვენში?

— თუ კარგ მეთხოვლად ჩამთვლით...

— ექიმო-ბატონო, პურმარაილი დავვიძეულდა...

— მართლაც, მართლაც...

— ახლა, დილაადრიან, კი საქმეზე მივდივარ, რომ დავბრუნდები, დავჯდეთ და ვისაუბროთ...

ამ დროს ძალი კეფით ვილაცას გამოვიკიდა.

— მურა, მურა... ამ სამგლემ კაცი არ დავლიჯოს, — ხასანმა ძალი ძლივს მოაშორა შემოსთვის ტყეში მიმავალ მუზობელს.

ოთახში დავბრუნდი. ლოგინზე წამოვწეკი, ყვავილებიანი ტოტი გულზე დავიდე. ხასანის ნართაულ ლაპარაკზე ვფიქრობდი. ნუთუ აზრი შეიცვალა?! არაფერი აქვს საწინააღმდეგო, რომ მისი სიძე გაგზავნა? მეტყვის: „რა გქნა, ექიმო, ჩემი ნადიდე შენი ბედი ყოფილა. აბა, შენ იცი, როგორ უპატრონებ.“ ამ სიტყვების გამგონეს ლაპარაკის უნარი წამერთმევა. „ნადიდე, გესმის, რა თქვა მამაშენმა?! დღეიდან კეკემალულობას თამაში აღარ დავგვირდება. და უფარავად შევხვდებით ერთმანეთს. ახლა შენ და დედაშენი ბათუმს უნდა გაემგზავროთ, საქორწინო ტანისამოსი შეიძინოთ. იქიდანვე მშობლებს გამოვიძახებ, რომ ნახონ ამ მწვანე მთებში, რა განძი ვიპოვნე. შენთვის ხელიც კი არ ჩამოშორთმევი, ახლა კი ნაზ თითებს დავიკოცნი. ვიცი, შეგრცხვება, სახე აგენტება, თავს ჩაღუნავ. მალე შევეჩვევით ერთმანეთს. რამდენჯერ მინატრია,

ამ შენი სოფლის ქოჩორა ტყეში ფეხდობი აგვერბინა, აესულიყავით მთაზე. რომ მთელ ქვეყანას დაენახა ჩვენი ბედნიერება, მერე ხელიხელჩაიდებულნი დაბლა დავეშვებოდით... ტირის დედაშენი. მის თვალზე ცრემლი სწორად შემინიშნავს. მაშინ ის მწუხარების, უიმედობის ცრემლი იყო, ახლა კი ცრემლს შენი გაბედნიერების გამო აფრქვევს...“

ამ დროს აივანზე ბავშვების ყრიაშული გაისმა.

— ჩუმად, ჩუმად... ეჭიმს სძინავს, — გავიგონე ნადიდეს წერილა ხმა.

წამოვიჭერ, რომ ნადიდესთვის მუხარებინა ჩვენი ბედნიერება... დავუძახე, ვაგრამ მას ბავშვების ხმაურობაში ჩემი ძახილი არ გაუგონია. რა უნდა მეთქვა ნადიდესთვის. ზმანებას თავი დავაღწიე. აივანზე გამოვედი. ნადიდეს პირისპირ შევეჩხე. არც კი მიესალმებოდა, ისე მივეცი ყვავილები გამოშართვა. არ იცოდა, ეს ყვავილები სად წაეღო.

— მომილოცავს გაზაფხული.

— გმადლობთ.

ბავშვები შემომხევივნენ.

— ოსმანი სად არის?

— მამას წაყვა.

ფატიმემ ბავშვებს დაუძახა: საქმელი კამეთო. მე და ნადიდე დავერჩით. ხმავერ ამოვიღეთ.

— გავიგონე მამაჩემისა და თქვენი ლაპარაკი... — ძლივს გასაგონად თქვა ნადიდემ.

— მერე არ გიხარია?

— რა უნდა მიხაროდეს!

— მამაშენმა ჩემზე გული მოიბრუნა. იმედი მაქვს, მალე ორივე გავიხარებთ. პურმარაილი დავვიძეულდა... და სუფრაზე ერთმანეთს რომ შევხვდებით, გამოვტყუდები, ვთხოვ, რომ დავგლოცოს ახალი ოჯახის შესაქმნელად.

— რას ამბობთ!.. სანამ ეტყოდეთ, ლოდინით გული გამისკდება... — სახე ხელებით დაიფარა და ყვავილები გაუვარდა.

ორმა დღემ გაიარა. გაზაფხულის მზე მთებს დინჯად ეფარებოდა და სოფელს გრძელი ჩრდილი ეფინებოდა. ეზოში

მოჭრილი ხის კუნძზე ვიჭექე დაჯალჯალ ბილიკს ვავცქეროდი. სად წამიყვანს იგი? ნადიდე ჩემთან შეხვედრას ერიდებოდა. შორიდან აღმართზე ამომავალი ოსმანი დავინახე. გაღიმებული რაღაცას მანიშნებდა. მცირე მანძილი რომ დარჩა, ამოირბინა და აქლომინებულმა მომახარა:

— ბატიცემულო მასწავლებლო, მამაჩემმა მუშფაქში მომაწყო. შემოდგომიდან სწავლას დავიწყებ...

მესიამოვნა, რომ ნიჭიერმა ახალგაზრდამ გზა გაიკვლია. მამის ჭიუტობა გასტეხა და თავისთვის სკოლის კარი გააღებინა. მივულოცე და გადავკოცნე.

— თქვენს ამავს არასოდეს დავივიწყებ.

— იცოდე, უნივერსიტეტი უნდა დამთავრო.

— დედას ვფიცავ, დავამთავრებ... მამაჩემს სტუმრები მოჰყავს, დედა უნდა გავაფრთხილო.

ცაზე ვარსკვლავები ახალაკიაფებულ იყო, აივანზე გაშლილ სუფრაზე რომ მიზიპატყეს. აქ იყო ხასანის უფროსი ძმა სულეიმანი და ბიძაშვილი მემედი. ერთმანეთს ვავეცანიით. სოფლის კვალობაზე სუფრას არაფერი აკლდა: მოხარშული და კეცზე შემწვარი ქათმები, აჭარული ხაჭაპურები. კალმახი, ცხელ-ცხელი ჭაღი, ქორფა მწვანელი და ღვინო, რომელიც თავს თვითონ გასმევს.

როცა სუფრას მოვესხედით, ხასანმა ჭიქა აიღო და თქვა:

— დღეს აქ შევიკრიბეთ ექიმის — ოტიას ბატონსაცემად. იცით, ჩვენი კუთხე დაამეც პირადად როგორ დავალებული ვართ: ბატონ ოტიასგან.

— რასი ბრძანებთ!

— ოტია-ბატონო, მომითმინეთ... თავდადებული კაცია ხალხისათვის. ხალხიც აფსაებს. ხომ ასეა, ძმანებო?

— დასტურ ასეა, — თქვენ მოგვარებმა.

— ახლა ვთხოვთ ბატონ ოტიას ამ ჩვენს ბატონ სუფრაზე თამალობა გაგვიწიოს.

— ბატონ სულეიმანს ვთხოვრთ.

— შეილო ოტია, ღვინოს არა ვსვამ, აბა, როგორი თამაობა ვიქნებო?

უარი არ გამოვიდა. ქართული სუფრის წესის მიხედვით მივუყევი სადღერძელებს. ბატონა ღვინოს ჭიქებით ვსვამდით, ღვინო ხელ-ხელა შეგვეპარა. გულზე დარდი გადამეყარა. გურულ-აქარული სიმღერა წამოვიწყე. ყველა ამყვა, კარგად მღეროდნენ.

— იცოცხლეთ, ოტია-ბატონო! მადლობელი ვარ, რომ ჩვენი სიმღერა ასე კარგად შეგისწავლიათ.

— ჩვენი სიმღერაო, თქვენ ბრძანეთ, ბატონო სულეიმან, ვანა თქვენ და ჩვენ ერთი დედა-სამშობლოს შვილები, ქართველები არა ვართ?! — აქ მომეცა საბაბი და ვავიხსენე შავბნელი წარსული, თურქმა მოძალადეებმა როგორ დაიპყრეს და თავს მოახვიეს აჭარაში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობას მუსულმანური რელიგია.

— ჩვენ, ყველანი, სისხლით და ხორციით ქართველები ვართ, ერთი დედის შვილები. რაქულის სხვაობამ ჩვენ არ უნდა დაგვაშოროს, უთვალავ ვაქაცს-შეუწირავს თავი ჩვენი სამშობლოს. დასაცავად. ვაუმარჯოს ჩვენს ძმობას!

ყველამ მოჰყიდა ჭიქას ხელი, სულეიმანმა კი — ხასანმა სიტყვა მთხოვა.

— ბატიცემულო ექიმო, ერთ-ორ დღე სიტყვას მეც ვიტყვი, — აწყვერტილ უღვაშებზე ხელი გადაისვა, — ძმობაზე უკეთესი, აბა, რა იქნება. ვაუმარჯოს ძმობას! მიყვარხარ როგორც ძმა, და დღეს ჩვენ კიდევ უნდა დავძმობილდეთ.

— მამინ მოვედე, თუ ძმობაზე უარი გითხრა.

— აბა, სისხლით დავძმობილდეთ.

ხასანმა მწრაფად ბუდიდან ბებუთი ამოიღო. ჯერ თავისი ნეკი დასერა, მერე ჩემი, და ჩვენი სისხლიანი თითები ერთმანეთს მივაკარიით. ჩვენ უკვე ძმები ვიყავით და როგორც ძმებმა ერთმანეთი გადავკოცნეთ...

უეცრად სახლიდან ნადიდეს საშინელი კივილი მოისმო... სახლი ახმაურდა...

ოსმანმა მოიბზინა, ნადიდეს გული წაუვიდაო.

— ძაო ოტია, გვიშველე...

უცხად გამოფხზიზლდი.

ნადიდესთან ვარ. ლოგინზე წევს. ფანჯარა და კარი გავალე. ნადიდეს ვასულიერებ. სხვები შორიახლო დგანან მღუმარედ. ვონს მოდის. თვალი გაახილა. მიცნო, ძლივს წაიღულღულდა:

— წადი, წადი, მოღალატე... — და ზიზლით შემომხვდა. ვაოგნებული დავჩრი...

— უკეთ არის, ახლა სიმშვიდე სჭირდება... — ვთქვი და მოვშორდი. ხასანი მომჩერებოდა. მის მოკეტულ თვალებში ეშმაკური ღიმილი შევნიშნე. აწყვერტილ უღვაშებზე ორივე ხელი გადაისვა და თქვა:

— ამ ციციამ არ ჩაგვამწარა ვახშამი!

ჩემს ოთახში შევევარდი, მარტობაში მინდოდა გამერკვია, ნადიდეს რა დავუშავე... „იქნებ, იმიტომ მემღურის, რომ ხასანს ვერაფერი ვუთხარი, მაგრამ დასაწყისი კარგი იყო. ხვალ უფრო თამამად ვეტყვი ყველაფერს, ჩვენ ზომ ძმები ვართ... ძმები ვართო?! სწორედ თავის ძმას მიათხოვებს ნადიდეს“... თითქოს ხასანის დამციინავი ხარხარი მომესმა. ღონეშინდილი, გამოფიტული საწოლზე დავეგდე და ბალოშში თავჩარგული ბავშვივით აქვივითინდი...

როგორ ვამაცურეს!.. წამოვიქერ, რომ იქაურობას ვავილოდი. ჩემოდანში ნივთების ჩაყრა დავიწყე. ძალა აღარ მეყო. ყველაფერი ხელიდან მივარდებოდა. ასევე ლოგინს მივამურე. რომ არ წაუპციეულიყავი...

ხმაურობამ გამაღვიძა. გათენებულა. ჩემთან ოსმანი შემოვარდა.

— ნადიდე დაგვეკარგა... ირიერაეა თუ არა, მას აქეთ დავეძებთ... კაცი არაა მისი მნახველი...

— რას ამბობ, ოსმან! — გამახსენდა საშინელი ღამე და ნადიდეს ნათქვამი: „წადი, წადი, მოღალატე“

ხასანის ოჯახი დავტოვე, მერე სხვა რაიონში გადავედი სამუშაოდ. ნადიდეს კვალი სამუდამოდ დავკარგე... მაგრამ...

ეს ძველი ქრილობა ისევე გამეხსენა. თბილისის მოვემგზავრები ამხანაგებთან შესახვედრად. კუპეში მარტო ვარ. მარტაბელის გასვლამდე წუთებილია დარჩენილი. ვაგონში ერთამულით შემოიჭრნენ ახალგაზრდები. ხამაღლა საუბრობდნენ. ერთ-ერთი ქალიშვილი თბილისს მიემგზავრება ჩოგბურთის რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. მატარებელი დაიძრა. სპორტსმენი ქალი თავის გამცილებლებს ფანჯრიდან ხელს უქნევს. როცა ეს საზეიმო გაცილება დამთავრდა, ახალგაზრდა ქალიშვილი ნარნარი რბევით მოტრიალდა და ჩემს პირდაპირ დაჯდა. კუპეში ჩვენ ორი დავრჩით. აღმაცურად შემომხვდა. ჩანთიდან წიგნი ამოიღო და კითხვა დაიწყო, მაგრამ მალე შესწყვიტა, გული ვერ დაუღო. თავს უხერხულად გრძნობდა უცხო მამაკაცთან. კედელს მიეყრდნო. თვალი დახუჭა. რა ნაცნობი სახეა!.. და უეცრად გული ამიძგერდა.

— ნადიდე!.. — უნებურად წავიღულღულე.

ქალიშვილმა თვალი გაახილა. შემომხვდა. ნადიდე სწორედ ასე გამობახტავდა გაოცებას, გულუბრყვილო ბავშვივით.

— ბოღიშს ვინდი, ბატონო, მომეყურა, თუ ნამდვილად თქვით „ნადიდე“?

— ნამდვილად...

— ნადიდე დედაჩემია. იცნობთ?

შევეცადე გარეგნულად მინც დავმშვიდებულებიყავი.

— ოდესღაც ვმკურნალობდი. როგორ ცხოვრობს?

— კოლმეურნეობაში მუშაობს. ადრე დაქვრივდა. ხუთი შვილი დარჩა. ყველას უმადლესი განათლება მიგვადებინა... თქვენი გვარი?

— ოტია ბარაქაძე.

— ჩემს უფროს ძმასაც ოტია ჰქვია ისიც ექიმი. — გვარი მითხრა.

— შევხვედრივარ. ვერც კი ვიფიქრებდი, რომ თქვენი ძმია, სულ სხვანაირია...

პაპირისის მოსაწვევად კუპედან გავედდი, რომ ჩემი აღელვება დამეფარა.

რობერტ შროსი
ღექსები
ცეცხლი და ყინული

ერთნი სამყაროს დასასრულად ცეცხლს გვიქადიან,
მეორენი—გამყინვარებას,
როცა ვიხსენებ, თუ რა ნწაღდა და რა მწაღიან,
ვემბრობი მათ, ვინც აღსასრულად ცეცხლს გვიქადიან.
მაგრამ თუ ორგზის გვიწერია გადაგვარება,
მე სიძულელისაც კარგად ვიცნობ ახლა, რომელიც
მაფიქრებინებს, რომ ნგრივისთვის გამყინვარება
ძალა არის არა ნაკლებ განუზოძელი.

Pertinax

ღეე, ქაოსი აღიძრას გოდებით,
ღეე, ღრუბლები შედრენ ცეცხლმოღებით,
მე მაინც ფორმას ველოდები.

სიზრთხილა

სიჭაბუკეში არასოდეს არ მიკვია რადიკალობა;
მეშინოდა, რომ სიბერეში გაეზღებოდი კონსერვატორი.

წუთისროვალი

ბებერი ძალი ყუფს აუღკომლად, მიწას ეკრობა,
მე კარგად მახსოვს მისი ლეკვობა.

ოქტომბრის დილა

მშვიდი ოქტომბრის მოალერსე, მყუდრო დილაო,
მომწივებულან დასაკენად მენი ფოთლები;
ხვალინდელ ქარში გარინდებულ გზებს დაჩრდილავენ
ჩუმი ოცნებათ...

ტყუპე ყვავები აყრანტალია დამაოსები,
ხვალინდელ ქარში დასტოვებენ, ალბათ, ბუდეებს.
მშვიდი ოქტომბრის მოალერსე, მყუდრო დილაო,
დღევანდელი დღის საათები ქნიან ზღუდეებს,
ო, გაარღვიე ზღუდეები და დღის ნათელი
გაგვიხანგრძლივე. მიეჩეია გარდაქმნას გული,
გარდაქმენ იგი მენეაურად და გაამთელე:
ხეს ალიონზე მოაცილე ერთი ფოთოლი.



ხოლო მეორე შუადღისას შემოაცალე,
ერთი ჩვენს ხეს და მეორე სხვას. გზები მოთელე,
შხეს მოახვიე გამჭვირვალე ბურუსის ბადე,
მიწას მოავლე ამეთეისტოს მსუბუქი ჯადო,
ფრთხილად, ო ფრთხილად!
აი, ეს ვაზი შეიბრალე, დაყურსულს ჩრდილში
შეჭირხლებია ნაადრევი ყინვისგან ლერწი,
სულ მცირე დიც-და მისი ჯანი გახდებო ბერწი, —
აღროვე ვაზებს მიბრუნება კვლავ ზამთრულ ძილში!...

მშვენიერნი იქნენ შემარჩენნი

გაისმა ხმა: „დაუშვით იგი ძირს!“
გაისმა ხმები: „ცირს—რა მანძილზე?“
„სამყაროს შეიდი ფენის მანძილზე“.
„რამდენი გვაქვს დრო?“
„აიღეთ ოცი წელიწადი.
დე მან უარპყოს სიყვარული სიმდიდრესთან და პატივთან ერთად.
მშვენიერნი იქნენ შემარჩენნი.
და შეარჩიონ!“
„მაშ მივცეთ თავად მას არჩევანი?“
„ჰო, მივცით მას არჩევანი.
და შეასრულეთ ამოცანა მისი არჩევნის მიუხედავად.
უხილავი ხელების გროვა შეეხო მის მხარს,
სამოქმედოდ განზადებული.
და იცა იგი წელგამართული,
ფართო მრგვალი საყურეებით, ოქროვან გიშრის მარგალიტით
მოოქვ-ლი საყურეებით,
და ასეთივე მანიაკით დამშვენებული,
ლოყები ნაზად შეფაკლოდა.
ამაყად იდგა, სიამაყე მეგობრობისა.
იკითხა ხმამ: „აიღვეთ აოჩევანს?“
„ღიახ, ვაძლევთ და მაინც ვიმარჯვებთ“.
„ამოქმედეთ სიხარული, მაგრამ დასტოვეთ თვითონ მარად შეუმწყობი.
მისი პირველი სიხარული იყოს ქორწილი,
რომელიც თუმცა ქორწილია,
მაგრამ ამავე დროს — კარგი, ეს თავათ ეცოდინებათ მას და მის
საქმროს.
და ამის შემდეგ, მისი მომღვენო სიხარული იყოს ამგვარი:
დანწუხრდეს, მაგრამ მწუხარება თვისი დაფაროს,
ნუ გაიგებენ მეგობრები წუხელის მიზეზს, და ნუ აქცევენ მას
სირცხვილად.
მისი შესაძე სიხარული იყოს მათგან ამ მიზეზის წვრილად გაგება,
მაგრამ საკუთარ ბედნიერებით გაბრუნება და
განურჩევლობა მიზეზის მიმართ.
მივცით ბავშვი ერთ-ერთ მუხლზე მას მეოთხე სიხარულად და
მით შეახსენე ერთხელ, მხოლოდ ერთხელ, თუ ერთ დროს
რარიგ ბრწყინავდა იგი მშვენებით.“

და მეგობრებმა ეს ყოველივე ნახონ ზ:მთარში, ბუხრის შუქზე,
 ნურაფერს ეტყვის იგი მეგობრებს,—
 არასანდოდ ჩასთვალოს ყველა, როგორც წარსულში.
 მისი მომდევნო სიხარული იყოს ამგვარი:
 ნუ ჩასთვლის იგი მათ თქმის ღირსადაც.
 დე, იყოს იგი თავმდაბალი ყველაზე მეტად,
 სხვები კი სწორედ თავმდაბლობის სინაკლებეს ამჩნევდნენ მასში.
 ამოდ სურდეს, რომ იცნობდეს მას ისეთად, როგორიც არის,
 ამოდ სწადდეს, რომ შეიყვარონ იმისათვის, რაც არის იგი
 სინამდვილეში,
 და ანუგეშეთ იგი შეიქცეს სიხარულით, რაც მიახვედრებს,
 რომ ხელმოკარვის მიზეზია მისთვის უცხო ცხოვრების წესი,
 რომლამდისაც ის ჟნებურად
 დაიღდა, თუმც კი შეიძნო გვიან.
 შემდგომ ამისა მიუგზაენეთ მას ვინმე, ვისაც
 ექნება თვალი ყოველივე ამის ნახვად და
 განაცვიფრებდა.
 ექნება სიტყვა, რომლითაც იგი მას განაცვიფრებს, ეტყვიოთ თუ
 რა ყოველივე ამის მიზეზი
 შავრამ აღარ დაყოენდება მის მოსასმენად.
 უკანასკნელი სიხარული იყოს შემდეგი:
 გული გადაუხსნას
 ამ აღამიანს.
 ასე რომ იცნობთ თქვენ შვიდივეს“.
 „გვენდობოდე“, — გაისმა ხმები.

ინგლისურიდან თარგმნა ზვიად გამსახურდიამ

ჯონ სკინგანი

ზამთარი ჩვენი მღვდლებიდან*

თავი მეთხუთსი

ის შაბათი, ეტყობოდა, სხვა დღეებს არა ჰგავდა. ნეტა ყველა დღეს თუ აქვს დამახასიათებელი თავისებურება. ეს კი მართლაც განსხვავებული იყო. ყურში პაბიდაჩემ დებორას ჩიფჩიფი ჩამესმა: „ასეა, მიიცვალა იესო. მართოდღეს დღეს არის მკვდარი მთელს წელიწადში, სხვა დღეს არა. რაც ქვეყანაზე კაცები და ქალებია, ისინიუ მკვდრები არიან დღევანდელ დღეს. იესოს ახლა ჯოჯოხეთში აწამებენ. მაგრამ ხვალაც არ არის შორს. ხვალამდე დაიცადე. ნახავ, რა მოხდება“.

კარგად ვეღარ მომიგონებია პაბიდა დებორა. ასეა — ვინც მუდამ ცხვირწინ გყოლია, მერე ისე გარკვევით აღარ გახსოვს. როგორც ყოველდღიურ გზებზე, ისე მიკითხავდა სხარებას, და მე მგონი, გაზეთის ამბებზე თხალი და ამდღელებელი ეჩვენებოდა, თითქოს განუწყვეტლივ მეორედებოდა ყველაფერი. ყოველ აღდგომა დღეს ქრისტე მართლაც აღდგებოდა ხოლმე მკვდრებით. ხომ მუდამ ველოდით ამას, მაგრამ მაინც უეცარ აფეთქებასავით ჩანდა. მისთვის ეს ორიათასი წლის ამბავი როდი იყო — თათქოს ახლა ხდებოდა, და, რალაცნაირად, მეც გადმომდო ეს განწყობილება.

არ მახსოვს, ოდესმე დროზე ადრე მომდომებოდეს დუქნის გაღება, დილა ზოზინა, თავისმომამბურებელი დღიდანასწყისია და მუდამ მძულს ხოლმე. მაგრამ იმ დილას გული შინ აღარ დამიდგა. ხომ სულით და გულით მიყ-

ვარს ჩემი მერი, იქნებ საკუთარ თავზე უფრო მეტადაც, მაგრამ, უნდა გამოვტყდე, ყოველთვის ვერ ვუსმენ გულისყურით. ტანსაცმელზე ლაპარაკს რომ მოყვება, ან ჯანმრთელობაზე, ან სხვის ნალაპარაკებს როცა იმეორებს დიდის გატაცებითა და გზნებით, სულაც ვერ ვუსმენ. ზოგჯერ ვაცხარებით შესძახებ: „ეს ხომ შენც იცი: მე თვითონ არ ვითხარის ზუთშაბათ დილას გაამბე, გუშინდელივით მახსოვს“. ნამდვილად ასე იქნება. უსათუოდ მიამბობდა. ჩოგიერთ რამეს თავიდან ბოლომდე ჩამიკაკლავს ხოლმე.

იმ დილას არა თუ არ ვუსმენდი — მანამ ვაგვეცლებოდი, ერთი სული მქონდა. იქნებ მე თვითონვე მსურდა ლაპარაკი და სათქმელი კი არაფერი მქონია, რადგან, სიმართლეს ვერ დავუჯარავ — თვითონაც არ მისმენს ხოლმე ჩემი მერი. ზოგჯერ კარგსაც შერბა. ხმაზე მაკვირდება და იმითი მატყობს — როგორა ვარ, რა გუნებაზე, დაღლილი ვარ თუ მხიარული. დიდებული გამოგონებაა, რა მეტქმის. ახლა რომ ვაკვირდები, იმიტომ არ უნდა მისმენდეს, რომ მას კი არ ველაპარაკები, ჩემშივე არსებულ ვილაც იღუშალ მსმენელს მივმართავ. კაცმა რომ თქვას, არც მერი მელაპარაკება მე. რა თქმა უნდა. სულ სხვაა, როცა ბავშვებს შეეხება ჩვენი საუბარი, ან რამე საჭირობოროტო საქმეს.

ხშირად მიფიქრია, როგორ სულ სხვადანსხვანაირად ველაპარაკები ჩვენ სხვადასხვა ხალხს. მე უმთავრესად იმათ მივმართავ, ვინც ცოცხლებში აღარ ურევია, ჩემს საკუთარ პლიმუთროს — პაბიდა დებორას. ძველ კაპო-

* გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 11.

ტანს და ამისთანებს. ზოგჯერ დიდი დავაც გვაქვს გამართული. მახსოვს, ერთხელ გახურებული დავისა და ჩხუბის დროს ძველ კაპიტანს შევძახე: „არ იქნება, არ გავაკეთო?“ და მანაც გარკვევით მიძახა: „არაფრით არ იქნება. ნუ ჩიფჩიფებ!“ განა შემდეგა — დავა თავის დღეში არ უყვარდა. ასე უნდა ქნაო, მითხრა, და მეც აღარ მიყოყმანია. არავითარი მისტიკა და ილუმინაცია ამაში არ არის: ჩვენ რჩევისათვის მივმართავთ, ან პატივებას ვთხოვთ ჩვენივე შინაგანი არსების ყველაზე უფრო ურყევსა და მტკიცე ნაწილს.

გულახდილი მონოლოგისათვის, რაც ასეთი ძიების თავისებური ფორმაა, ჩემი მუნჯი და ყურადღებიანი მსმენელები — კონსერვის ყუთები და ბოთლები — სწორედ რომ ზედგამოჭრილია. ასევე კარგად გამოვგებიან ძაღლები, კატები და ჩიტებიც. მე შენ გეტყვი, შემოგედებებიან თუ ენას გააპარტალებენ.

— სად მიგეჩქარება? — მკითხა მერიმ, — ნახევარი საათი კიდევა გექვს. ასე იცის აღრე აღგომამ.

— ყუთები უნდა დავალაგო, მანამ გავალბდებ; საქონელი თაროებზე გამოვაწყო. ათასი რამე უნდა გადავწყვიტო: წინილები პამიდვრის წვეს როგორ მოუხდება. გარჯარის კონსერვები ატმისას თუ მოურჩდება. ხომ იცი, კაბაზე ფერების შეხამებას რა მნიშვნელობა აქვს!

— ყველაფერი უნდა ვაამასხრო, — მითხრა მერიმ, — მაგრამ, მაინც ასე მიჩვენებია, ჭუჭღუნს ისეც ესა სჯობს. კაცებმა ჭუჭღუნის მეტი რა იცი.

მართლაც რომ ძალიან აღრე გამოვედი. წითლა ბეიჯერი ჭერაც არ გამოსულიყო. ამ ძაღლის მიხედვით, და სავრთოდ ძაღლების მიხედვით, საათი შეგიძლია გაასწორო. ნახევარ საათში გამოზრძანდება და მედიდურად დაიწყებს თავის დღიურ მოგზაურობას. არც ჯოი მორფი გამოჩენილა. ბანკი ჭერ არ

გაუღიათ, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ჯოი თავის შავიდასჯარ უჯდეს და დავთრებს არჩაპირკრტბდეს. ქალაქი თითქმის დაცარიელებულია. აღდგომის დღეებში ხალხი სულ გაკრეფილა. აღდგომა, ოთხი ივლისი და შრომის დღე ყველაზე დიდ დღესასწაულებად ითვლება. ძალიანაც რომ არ უნდოდეთ წასვლა, ხალხი მაინც გადის ხოლმე ამ დროს ქალაქიდან. მაგონი, ბელურებიც კი გაკრეფილან თელის ქუჩიდან.

სტონოლ ჯეკსონ სმითი უკვე გამოსულიყო სამორიგოდ. ის იყო „ფორმასტერში“ ფინჯანი ყავა დაელია და მე რომ დაეინახე, კაფიდან გამოდიოდა ისეთი ჩამომხმარი და კაფანდარა იყო, რომ მისი რევოლვერი და ხელბორკილები უსაშველოდ დიდი მოგეჩვენებოდა. ოფიცრის ქუდი გვერდზე დაუდევრად მოულრეცია და კბილებს წამახვილებული ბატის ფრთით იჩიჩქნის.

— ბედნიერ დღეს გისურვებ გულით — არც საქმე გამოგლეოღეს, არც ფული.

— ჰა? — შესძახა სტონიმ, — კაცი შეიღი აღარ დარჩა ქალაქში. — ეტყობოდა, გული წყდებოდა, თვითონ რომ ვერ მოახერხა წასვლა.

— მკვლელობა ხომ არ მომხდარა, სტონი, ან სხვა რამე თავისშესაქცევი შემთხვევა?

— ყველაგან სიწყნარეა, — მითხრა მან, — ვილაც ბიჭებმა ხიღს შეამსხვრიეს მანქანა, მაგრამ ჩანდაბას, თავიანთივე იყო. ხიღის შესაკეთებელს გადაახდვიინებენ და მორჩა. გაიგეთ, ფლაღბემბტონში რომ ბანკი გაუძარცვაეთ?

— არა.

— ტელევიზორში მაინც არ ნახეთ?

— ჭერ არ გვიყიდა ტელევიზორი. ბევრი წაიღეს?

— ცამეტი ათასიო, ასე ამბობენ. გუშინ გაუქურდაეთ. ზედ დაკეტვის წინ. სამნი ყოფილან. მთელი ოთხი შტატი ფეხზე დააყენეს. უილი ახლა ქუჩა-ქუჩა დაძრწის თავისქვიცინით.

— არა უშვავს, კარგად გამოიძინა.
 — მაშ არა და. მე კი სულ არ მიძინია. მთელი ღამე გარეთ დავყანყალებდი.
 — რას იტყვი, დაიჭერენ?
 — თუ აბა რას იზამენ! ფულის გატაცება ვისთვის შეუტრყენიათ. სადაზღვევო საზოგადოება რას მოგასვენებს — სულს არ მოგათქმევენებს.
 — კარგი საქმე კია, დაჭერის შიში რომ არ გქონდეს.
 — იცოცხლე! — თქვა მან.
 — სტონი, ნეტა დენი ტეილორისთვის მიგეხედა. საშინელი სანახავია.
 — კარგ დროს მითხარი, — თქვა სტონიმ, — ახლავე წავალ. სამარცხვინო აშხავია. მერე რა მშვენიერი ბიჭია, რა ოჯახიშვილი!
 — მეც ეგა მკლავს. ძალიან მიყვარს.
 — რას უზამ. წვიმას აპირებს, ითუილიმ იკითხოს — ჭირის დღესავით ეჭაერება დასველება.
 არ მახსოვს, როდესმე ასეთი სიომოვნებით ჩამეველოს ზეივანი. განის კარები გავალე და დუქანში შევედი. კარებთან კატა ჩაუტუტულიყო და მელოდა. ვერ მომიგონებია ისეთი დილა, ეს ქნაფი და მიყნაფებული კატა აქ არ დამხვედროდეს, კარებში შესაძრომად გამზადებული, და ჯერაც არ მომხდარა, ჯოხი არ მესროლოს და არ გამეგდოს. რამდენადაც მახსოვს, ერთხელაც არ მოუხერხებია შეპარვა. ყურები ისე აქვს ჩხუბისგან დაგლეჯილი, რომ ნამდვილად ხვადია. ნუთუ მართლა ასე უცნაური ცხოველები არიან კატები. თუ მაიმონიბივით რომ გგვანან, იმიტომ გვეჩვენებთან უცნაურები. ბარე ეჭვასაჯერ თუ რეასაჯერ უცდია ამ კატას დუქანში შეძრომა და ერთხელაც ვერ მოუხერხებია.
 — დამაცა, რა ოინა ვიყო, — ვუთხარი მე კატას. კუდი წრედ შემოეხვია და თვითონ შიგ შემჯდარიყო, კუდის წვერს კი წინა თათებს შორის აქიციებდა. ჩაბნელებულ დუქანში შევედი, თაროდან რძის კონსერვი გადმოვიღე, გავხვრიტე და რძე ფინჯანში ჩავასხი.

მერე საწყობში გავედი, ფინჯანი იატაკზე დაეღვი და კარი ღია დავაგდე. კატამ ჯერ მე მომაშტერა თვალზე, მერე რძეს ვაღახედა, ბოლოს ადგა და დინჯალ ვაემართა, ბანკის უკანა ეზოს მესერს გადაველო და გაუჩინარდა.
 კატა გაუჩინარდა და იმავე წუთში ხეივნის ბოლოში ჯოი მორფის მოკვარი თვალი, რომელსაც ხელში ბანკის უკანა კარების გასაღები მოემარჯვებინა. ისე იყო ვადატეტკილი, გეგონებოდა, მთელი ღამე არ უძინიაო.
 — მისტერ პოულის გაუმარჯოს.
 — მე მეგონა, არ აღებდით დღეს.
 — მაგისტანა დღე, ეტყობა, მე არ მელირსება. სადაც ოცდათექვსმეტადოლარი შემშლია. წუხელ შუალამემდე დაეთრებს ვქეჭავდი.
 — დანაკლისია?
 — არა, ზედმეტია.
 — მით უკეთესი.
 — სულ ერთია. უსათუოდ უნდა ვიპოვნო.
 — ასეთი პატიოსანია ბანკი?
 — ბანკი კია პატიოსანი. შენ ზოგიერთი ხალხისა თქვი. მთელი დღესასწაული რომ ჩამშხამდეს, მაინც უნდა ვიპოვნო.
 — ნეტა მეც გამეგებოდეს რამე მაგ ფინანსებისა.
 — ორი სიტყვით გადმოგცემ მთელს ჩემს ცოდნას: ფულმა ფული იცის.
 — ეგ ჩემთვის ვერაფერი შელაათია.
 — არც ჩემთვის. მაგრამ სხვა რჩევაც შემიძლია მოგცე.
 — მაინც?
 — მაინც ის, რომ — ვინც იჩქაროსო, მოუგვიანდესო; კიდევ ის, რომ ვინც ვაჭრობსო, უკუაე უნდა იხმაროსო, და ერთიც — ფასი საჭიროებაზე ჰკიდიაო.
 — ეს შემოკლებული კურსია?
 — ნამდვილად. მაგრამ პირველი სიბრძნე თუ არ იქნა, არაფერიც არ გამოვა.
 — ფულმა ფული იცისო?
 — და ესაა, გზას რომ გვიღობავს.
 — მეც ავღებები და ვისესხებ.

— პო, მაგრამ მაგისტრისაც კრედიტია საჭირო, კრედიტი კი იგივე ფულია.

— ისევე ისა სჯობს, ჩემს დახლში დავერქო.

— ასე გამოდის. ფლადემპტონის ბანკის ამბავი არ გაიგე?

— სტონი მითხრა. სასაცილო კია — სწორედ გუშინ ელაპარაკობდით ამბზე. გახსოვს?

— ერთი ნაცნობი მყავს იქ. სამნი ყოფილან — ერთი აქცენტით ლაპარაკობს თურმე, მეორე — კოჭლობს. სამნი ყოფილან. უთუოდ დაიჭერენ. იქნებ ამავე კვირაში. იქნებ ორი კვირაც მოუწინდენ.

— დიდი თავგანწირვა კია.

— რა გითხრა. უპკუოდ მოქცეულან. უპკუოდ მოქმედებისთვის კი მუდამ ისჯებიან. ამას ვერ გაეჭყევი.

— გუშინ გაწყენინე.

— შენც ერთი მე თვითონ ზედმეტი წამოგაყრანტალე. მაგისი კანონიც არსებობს — ენა დაიმოკლეო. ვერ იქნა და ვერ ვისწავლე ეს კანონი. ისე მშვენიერადა ხარ.

— არ ვიცი, რანაირად. მთელი დამე არ მიძინია.

— ავად გყავს ვინმე?

— არა. რაღაცნაირი ღამე იყო.

— რა ვიცი...

ღუქანი გამოგვადე და ფარდები აეწიე, არც კი მიმიქცევია ყურადღება, რომ ეს ჩემი საქმე იყო. თავში სულ ჯოის კანონები მიტრიალებდა. თაროებზე ჩამწკრივებულ მეგობრებთან მქონდა კამათი და სჯაბაასი, იქნებ — ხმამალა, იქნებ — ჩუმად. ნამდვილს ვერ ვეტყვით.

— ძვირფასო ამხანაგებო, — მივმართე მე, — ასე ადვილი თუა ეს, რატომ ყველა ვერ ახერხებს? რატომ არის, რომ თითქმის ყველას ერთი და იგივე შეტეომა მოსდის? სულ ერთი და იგივე. ნუთუ მუდამ ავიწყდებათ რაღაც? იქნებ სულ სიკეთის ბრალი იყოს ყველაფერი, ადამიანური სიკეთე იყოს ყველაფრის მიზეზი. მართლოს დაუტონია, ფულს გული არ აქვსო. იქნებ სწორედ ეს იყოს თავი მიზეზი, რომ იმ

ხალხის სუსტ მხარეს, რომელთაც ფულთანა აქვს საქმე, სიკეთე წარმოადგენს. მაშ ეს როგორაა, რომ უბრალო და კეთილ ადამიანებს ომში ხალხს ახოცინებენ? ის კი შევლის ცოტათი საქმეს, მტერი თუ სხვანაირია და სხვა ენაზედაც ლაპარაკობს. მაგრამ სამოქალაქო ომზე რაღას იტყვიო? ვთქვათ, იანკები თითო ბალღებსა ჰამდნენ და აჯანყებულებმაც შიმშილით დახოკეს ტყვეები. ესეც ერთგვარად აიოლკა საქმეს. დამაცადეთ, თქვენც ახალვე მოგხედავთ, ჰარზლის კონსერვებო და სოკოს წნალებო. ვიცი, რომ თქვენც გაინტერესებთ თქვენი ამბის მოსმენა, ანკი ვის არ აინტერესებს. მეც თითქმის მაგ საკითხს მივადექი — ოღონდ ფრჩხილებში. თუ სულიერი სამყაროც იმავე კანონებს ემორჩილება, რასაც ნივთთა სამყარო, მაშინ ყველაფერი შედარებითი ყოფილა ამ შედარებითს წუთისოფელში — ზნობაც, ყოფაქცევაცა და ცოდვა-მადლიც. ასე უნდა იყოს. ამას ვერავინ დააღწევს თავს. თუნდაც ფრჩხილებში ვიგულისხმოთ.

— თქვენ რაღა გნებავთ, თავისი ნიღბი გამოსახელო კორნფლეკის კოლოფო, რაშიაც ათ ცენტს გადისხის კაცი და მუცლით მეზღაპრის აპარატს მიიღებს. მე თქვენ შინ უნდა წაგაბრძანოთ, მანამდე კი მანდვე ისხედით და მისმინეთ. რაც მე მერის ხუმრობით ვუთხარი, წმიდა წყლის სიმართლეა ჩემი წინაპრებიც — ეს დიდად პატივცემული გემმფლობელები და კაპიტნები, მთავრობისავე ლოცვა-კურთხევით სავაქრო ხომალდებს იტაცებდნენ რევოლუციის დროს და იმის შემდეგაც, 1812 წელს. ეს დიდ სათნობადა და პატრიოტობად ჩავთვალათ. მაგრამ ინგლისელებსათვის ისინი მეკობრეები იყვნენ და წართმეულის უკან დაბრუნება აღარ იცოდნენ. ასე დაგროვდა ჩვენი საგვარეულო დოვლათი, რაც შემდეგ მამაჩემმა გაანია. აი საიდან გაჩნდა ის ფული, რამაც ფული იცისო. უნდა ვიამაყოთ კიდევ ამით.

ტომპტის კონსერვების ყუთი გამოვი-

ტანე, გავხსენი და კონტა ქილები დაცარიელებულ თაროზე ჩამოვამწყვრივე.

— იქნებ არც კი გესმოდეთ ეს, რადგან თქვენ აქ უცხოელებზე იტოვებ ხართ. ფულს განა მარტო გული აკლია — პატროსნებაც არა აქვს, არც მახსოვრობა. მაგრამ დიდხანს თუ გაიჩერებ ფულს, პატრივისცემა თავისთავად მოდის. არ გეგონოთ, ფულსა ვეციხავდე. პირიქით, თავიანთსა ვცემ. ბატონებო, ნება მიბოძეთ ჩვენი საზოგადოების ახალშემომატებული წევრები წარმოვიდგინოთ. აგერ, კეტრუპების გვერდით მოვათავსებ. თქვენ იცით, რა მასპინძლობას გაუწევთ ამ სასენდვიჩე მწილიან კონსერვებს. ნიუ-იორკელები გახლავთ. იქ იშვინენ, იქ გაიზარდნენ, და იქვე დაამწილეს. აგერ ფულზე მქონდა სჯა-ბაასი ჩემს მეგობრებთან. შემოძლია ერთი საუკეთესო გვართავანი გაგახსენოთ-ო, არ შეიძლება, არ იცოდეთ! მთელმა ქვეყანამ იცის. ეს ხალხი საქონლის ხორციით ამბარაგებდა ინგლისელებს მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანას ინგლისელებთან ჰქონდა ომი. ამით გამდიდრდნენ. მას შემდეგ ის ფულიც დიდად პატივცემული გახდა და თვითონ ხალხიც. ახლა მეორე დინასტიაც გავიხსენოთ, ყველაზე მსხვილი ბანკირები. ამ დინასტიის დამფუძნებელმა სამასი თოფი იყიდა ჭარის შტაბში. უვარგის და სახიფათო იარაღად მიიჩნიეს და იმიტომაც ჩალის ფასად მიჰყიდეს, მგონი თითო ორმოცდაათ ცენტად. ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ გენერალმა ფრემონმა თავისი გმირული ლაშქრობა დაიწყო და სავლეთისკენ და ამ კაცისგან თითო თოფი, ისე რომ თვალათ არ უნახავს, ოც-ოც დოლარად შეიძინა. აღარავის უკითხავს, როგორ აუფეთქდათ ის თოფები ჭარისკაცებს ხელში. სწორედ ამას ჰქვია, ფულმა ფული იცისო. სულერთია, როგორ იშოვი ამ ფულს. მთავარია, ჭრ იშოვი და მერე უფრო მეტი და მეტი გააკეთებინო. ცინიზმში ნუ ჩამომართმევთ. ჩვენი ბატონი და პატრონი, უძველესი რომაული გვარის მემკვიდრე მარტო მართალს ამბობს.

ფულზე რომ მიდგება საქმე, ზნეობის ჩვეულებრივი წესები შევეზღუდებამაში ვიმგზავრებიან ხოლმე. რაღა კონსერვებს გელაპარაკებით? ალბათ იმიტომ რომ თქვენ დარბაისელი ხალხი ხართ. ზღმიეტი არაფერი წამოგვცდებათ, არ ქორიკანაობთ. ფული მხოლოდ იმისთვისაა მოსაწყენი და ბინძური საგანი, ვისაც აქვს. ღარიბებისათვის ამაზე მომხიბლავი რა უნდა იყოს. მაგრამ, ალბათ თქვენც დამეთანხმებით, ვინც ცხოველი ინტერესს გამოიჩენს ფულის მიმართ, ცოტათი მინც უნდა იცოდეს მისი ბუნება, ხასიათი და თვისებები. ფულთვითმიზნურად ძალიან ცოტა ვინმეს თუ ეყვარება — ან ნამდვილი ხელოვანი უნდა იყოს მაშინ კაცი ამ საქმისა, ან ძუნწი. ხოლო იმისთანა ძუნწები, მარტო შიშის გამო რომ ძუნწობენ, კინწისკრით უნდა გააგლო.

იატაჯე, ამასობაში, მთელი გროვაცარიელა კოლოფები დახვავდა. საწყობში გაეიტანე — მერე მივებრუნდები და გავასწორებ, გამოვიყენებ. მყიდველს სანოვარეს ჩაეფუწყებ შიგ. მარულოს სულ პირზე აკერია — „პარკებს გაუფრთხილდი, ბიჭუნო“.

კიდევ ეს „ბიჭუნო“. თუმცა უკვე აღარ მომდის გული. გინდა დამიძახოს, გინდა გულშიაც ასე იფიქროს. მანამ კოლოფების დალაგებაში ვიყავი გართული, წინა კარებზე ვილაკამ მაგრად დააბრაზუნა. ჩემს დიდ ძველ ვერცხლის ჭკონომეტრს დავხედე, და, მერწმუნეთ, პირველად ჩემს სიცოცხლეში მალაზიის გაღება დავაგვიანე — ცხრას გადავაშორე. ათის თხუთმეტი იყო. კონსერვებთან საუბარმა შემიქცია. კარის სარკმელში მარჯი იანგ-პანტი შევნიშნე. არასოდეს დიდი ყურადღება არ მიმიქცევია მისთვის, ხეირიანად არც კი შემხედავს. ალბათ ამიტომაც მოიგონა მკითხაობა, უფრო რომ დავეინტერესებინე. ასე ხელად არ უნდა შევიცვალო. კარები გავაღე.

- ვაი თუ შეგაწუხეთ.
- ისედაც დავაგვიანე.
- მართლა?

— რა თქმა უნდა. ათი დაიწყო.

დუქანში შემოეხეტა. კოხტად გამოპუსკული უკანალი ყოველი ფეხის გადადგმაზე უხტოდა — ერთი აღმა, ერთი დაღმა, აღმა-დაღმა. მკერდი ისე ჰქონდა ამოზენიებული, რომ სხვებისთვის საჩვენებლად ზედმეტი თავის გამოდგება არა სჭირდებოდა. ყველაფერი თავის ადგილზე ჰქონდა. მარჯისტანა ქალზე იცის ხოლმე ჯოი-ბოიმ თქმა, „ჩასაკვნიტი იაო“. იქნებ ჩემმა ბიჭმა ალენმაც იცოდეს. კაცმა რომ თქვას, ხეირიანად ახლა შეეხედე პირველად. სახის ნაკეთები — სწორი, ცხვირი — მოგრძო, ტუჩებზე ისე წაუცხია პომადა, რომ უფრო საჟსე უჩანს, განსაკუთრებით ქვემოთა. თმა მოწაბლისფრო ყავისფრად შეუღებავს. ასეთი ფერის თმა არ არსებობს, მაგრამ ლამაზი კია. ნიკაპი ნაზი, მაგრამ ფუნთუშა, სახის კუნთები — მკვრივი, ყვრიმალები — ფართო.

თვლებისათვის მეტი ყურადღება დაუთმია მარჯის: მოთხილისფრო-მოციცისფრო-მორუხო იერი დაპკრავდა და სინათლეზე ათასნაირად იცვლებოდა. ისეთი სახე ჰქონდა, რაც ყველაფერს აიტანს და აუტანია კიდევ, ძალმომრეობასაც კი, სილის გაწნვასაც. ჯერ მე შემომანათა თვალები, მერე კონსერვებს გადახედა, მერე — ისევ მე. შევატყვე, დაკვირვებული თვალები ჰქონდა და კარგადაც იმახსოვრებდა ნახულს.

— იმედი მაქვს, გუშინდელ საქმეზე არ შეწუხებულხართ.

გაეცინა.

— ოჰ... არა. ყოველდღე კომივოიჯორებს ხომ არ მოგიყვანთ. ამჯერად მართლაც გამოშვლია ყავა.

— ყველას ასე მოსდის.

— როგორ?

— პირველი ათი მყიდველი დილით უსათუოდ ყავისთვის მოდის.

— მართლა?

— ნამდვილად. ისე, კომივოიჯორისათვის მადლობელი ვარ.

— თვითონვე მოიფიქრა.

— თქვენ შთაგონეთ. რომელი ყავა?

— სულერთია, რომელიც არ უნდა

მოვხარშო, მაინც საძაგლობა გამოშვდის.

— იქნებ ზომამე არა, ყურით.

— როგორ არა, მაგრამ მაინც საძაგელი გამოდის. ყავა სულაც არ... ჩემი საქმე არ არის-მეთქი, მიწოდდა მეთქვა.

— აკი თქვით კიდევ.— აბა ეს ნარევიც სცადეთ. — თაროზე ქილას მიეწვდი და როცა მარჯიმ გამოსართმევად გამომიწოდა ხელი, ამ უმნიშვნელო მოძრაობაზეც კი — მთელი სხეული აუთრთოლდა, აუძგერდა, კარგად შემომხედევ, განაცხადა. აქა ვართო — ფეხებმა თქვეს, ჩვენცო — თქმობმა განაცხადეს, მე რითი მჯობინართო — მომრგვალებულმა მუცელმა თქვა. ყველაფერი უცხო იყო; თითქოს პირველად ენახესუნთქვა შემეკრა. მერემ იცის თქმა, ქალებს თავისი სიგნალები აქვთ, როცა დასჭირდებათ გაუშვებნო. თუ მართლა ასეა, სიგნალიზაციის მთელი სისტემა ჰქონია მარჯის — ლაქის ფეხსაცმელების კვინტიდან მოკიდებული წაბლისფერი თმის ფაფუკი კულულებით გათავებული.

— დარდი, როგორც ვატყობ, გადაგურიათ.

— მართლაც რა ცუდ გუნებაზე ვიყავი გუშინ. კაცმა არ იცის, საიდან გამოტყუვრება ხოლმე.

— მაგას ვინ გაიგებს! ზოგჯერ ისე უმიზეზოდ მომეწურება გული.

— მკითხაობა კი კარგად გამოგდით.

— გაწყენინეთ?

— არა. ისე, მაინტერესებს კი — როგორ აკეთებთ.

— თქვენ ხომ არა გჯერათ ამისთანა რამეები.


— მერე რა. ზოგიერთ რამეს პირდაპირ საოცრად მიმიხვდით. რასაც მე თვითონვე ვფიქრობდი და ვაკეთებდი...

— მაინც რას?

— იმას, რომ დროა ზოგი რამე შეიცვალოს.

— თქვენ გგონიათ, კარტი განგებ ასე დავალაგე, არა?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს. თუნ-



დაც დაგელაგებინოთ — რამ გაიძულათ? თქვენც ამას ფიქრობდით?

თვალეში ჩამაშტერდა, გამოცდელად, ეკვით, გაკვირვებით.

— ჰო, — რბილად თქვა მან, — არამეთქი, მინდოდა მეთქვა, ჩემს ღღეში არ მიფიქრია, რატომ უნდა დამელაგებინა? რის გულისთვის?

კარებში მისტერ ბეიკერმა შემოიხედა.

— დილა მშვიდობისა, მარჯი, — თქვა მან, — მე რომ ვითხარი, იმაზე არ იფიქრე, ითენ?

— როგორ არა, ვაპირებდი კიდევ მოსალაპარაკებლად მოსვლას.

— როცა ვენებოს, ითენ.

— სამუშაო დღეებში ვერ მოვახერხებ. მარტო იშვიათად თუ შემოიხედავს, შენც ხომ იცი. ხვალ შინ იქნები?

— წირვის შემდეგ. ეს მწამს! ოთხისთვის მოდი და მერიც წამოიყვანე. მანამ ქალები საიდგომო ქულებზე ლაპარაკს მორჩებოდნენ, ჩვენც გავილაღებით და ჩვენს საქმეს...

— ათასი რამე მაქვს საკითხავი. ჯობს წინასწარ ჩამოვწერო.

— რაც კი მეტოღინება, არ დაგზარდები. მას ხვალამდე მშვიდობით, მარჯი. ის რომ გავიდა, მარჯი მომიბრუნდა.

— როგორც ვატყობ, დროს არ კარგავთ.

— იქნებ ბედს ვემორჩილები. იცით, რა ვქნათ. კიდევ გაშალეთ კარტი, ოღონდ თვალდახუჭულმა, ისე რომ არ შეხედოთ... და ენახოთ გუშინდელს თუ დაემთხვევა.

— არა! — შესძახა მან, — როგორ იქნება... მამასხრებთ თუ მართლა დინტერესდით?

— ვთქვით, დავინტერესდი. რწმენას მნიშვნელობა არა აქვს. მე არაფერი არა მწამს, მაგალითად, ზეგრანობიერი აღქმისა, არც ელვა მწამს, არც წყალბადის ბომბი, თვით ია და თევზის ქარავანიც კი არა მწამს... მაგრამ ესენი ხომ ნამდვილად არსებობენ. მე მოჩვენებებიც არა მწამს, მაგრამ ჩემი თვალთ მინახავს.

— ხუმრობთ.

— არაფერიც.

— თითქოს სულ სხვა ვინმე ვახდით.

— მართალია. ალბათ ყველას ასე

მოსდის ზოგჯერ.

— რატომ მერე, ით?

— არ ვიცი. იქნებ ნოქრობა მომწყინდა.

— დროც არის.

— მართლა მოგწონთ მერი?

— რა თქმა უნდა. რატომ მეკითხებით?

— თითქოს სულ სხვა... ერთი სიტყვით, არაფრით არა ჰგავხართ ერთმანეთს.

— ვიცი, რასაც გულისხმობთ. მაგრამ მე მომწონს მერი. მიყვარს.

— მეც მიყვარს.

— ზოგს ბედი სწყალობს.

— მე, მაგალითად.

— მე კიდევ მერიზე გეუბნებით. წავალ ბარემ, ჩემს ყავას მოგზარშავ. კარტზე კიდევ ვიფიქრებ.

— ნულარ ვადასდებთ. ჯობს, მანამ გაცივდებოდეს.

მარჯი ფტსაცმელების ბაქუნით გავიდა, გამობზეკილი უკანალი რეზინით უხტოდა. თითქოს აქამდე არ მენახა. ალბათ რამდენი ვინმე იქნება, მთელი დღე და მოსწრება შეეყურებ და ვერა ვხედავ. ამისი გაფიქრებაც კი დაგაფრთხობს. ისევე ფრჩხილებში ვიგულისხმობთ. ორი კაცი რომ ხვდება ერთმანეთს, თვითეული, თავის წარმოდგენაში, რაღაცათი ცვლის მეორეს, ასე რომ თქვენს წინ ორი სავსებით უცნობი აღამიანი დგას. იქნებ, იმის ნიშანი იყოს ეს... ეჰ, რას გაუგებ. მე კარგ ჰქუაზე ვარ — ამისთანა რამეებზე ღამე უნდა იფიქრო, როცა არ გემინება. დროზე ვაღება რომ დამეიწყება, ამან ცოტათი შემაშინა. ეს იგივეა, მკვლელობის ადგილას რომ ცხვირსახოცი დაგრჩეს, ან სათვალე, ჩიკაგოს საქმისა არ იყოს. ეს რაღას უნდა ნიშნავდეს? რა დანაშაულია? სადაურთ მკვლელობაა?

შუადღე რომ მოვიდა, ოთხი სენდვი-

ჩი მოვამზადე — ყველით, ლორით, სალათითა და მაიონეზით. ლორი და ყველი, ლორი და ყველი სამჯერ დღეში, ვინც ცოლს შეირთავს იცხოვროს ტყეში. ორი სენდვიჩი და ერთი ბოთლი კოკა-კოლა წავიღე და ჯოი-ბოის შევეტანე ბანკში, ვანის კარებიდან.

— აღმოაჩინე ის შეცდომა?

— ჯერ არა. ისე ვაფაციცებით ჩავშტერებდვარ, ლამის თვალეხი დამეთხაროს.

— შენც ორშაბათისთვის გადაგედო.

— არ იქნება. ბანკს სიზუსტე უყვარს.

— ზოგჯერ, სულ რომ არ ფიქრობ რამეზე, სწორედ მაშინ მოგაგონდება.

— ასეა, სენდვიჩებისთვის მადლობა.

— სენდვიჩის ჩაბედა, სალათი და მაიონეზი თუაო, შეამოწმა.

კვირამაღას, და ისიც აღდგომის წინა დღეს, საბაყალო მალაზიაში მუშაობა, ჩემი უაღვესტესი და უმეცარი ვაჟიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „წასული საქმეა“. მაგრამ ორი ისეთი რამე მოხდა, რამაც საბოლოოდ დამარწმუნა, რომ სადღაც ღრმად ჩემს არსებაში, დიდი ცვლილება ხდებოდა. საქმე ისაა, რომ არც გუშინ, არც გუშინწინ თუ კიდევ უფრო იქით, ისეთ რამეს არ ვიზამდი, რაც ახლა ვქენი. წარმოიდგინეთ, თითქოს შპალერებს ათვლიერებთ. უცებ ერთი რგოლი გავხსენი და სულ ახალი მოხატულობა ვიხილე.

ჯერ იყო და მარულო შემოვიდა. სტანჯავდა პირდაპირ თავისი ათრითი. კაი შტანგისტივით ათამაშებდა ნიდაყვებს ზეით-ქვეით.

— როგორაა საქმე?

— არა უშავს რა, ალფიო. — უწინ ერთხელაც არ დამიძახებია სახელი.

— ჭალაქში კაციშვილი აღარ დარჩა...

— „ბიჭუნას“ რატომ აღარ მემძახით?

— გწყინდა, მეგონა.

— პირიქით, ძალიან მიყვარს. ალფიო.

— სულ გაკრეფილა ხალხი, — ეტყობოდა, ისე ეწოდა ბეჭები, თითქოს სახსრებში ცხელი სილა ჩაეყარათ.

— სიცილიდან როდის ჩამოხვედით. ალფიო?

— რამდენი ხანია. ორმოცდა შვიდი წლის წინათ.

— და ერთხელაც არ ჩასულხართ მერე?

— არა.

— რატომ არ ჩახვალთ სტუმრად?

— აღარ დირს. ყველაფერი შეიცვალა.

— მერე არ გაინტერესებთ?

— არც ისე.

— ნათესავეთაგან აღარავინ დაგროხათ?

— როგორ არა — ძმა, ძმიშვილები. იმათაც ვასჩენიათ შვილები.

— როგორ არ მოგენატრათ!

ისე შემომხედა, როგორც მე შევხედე ალბათ მარჯის — თითქოს პირველად დამინახა.

— რა მოგივიდა, ბიჭუნო?

— მაგ თქვენს ათრითს რომ ვუყურობ, გული მეწურება. წარმოიდგენია, როგორ თბილა სიცილიაში. იქნებ დავგიამოთ.

დაეშვებით შემომხედა.

— რა დაგესიზმრა?

— რა იყო?

— სულ სხვაგვარი მეჩვენებო.

— პოო! კარგი ამბავი გავიგე.

— ჩემგან წასვლას ხომ არ აპირებ?

— ჯერ არა. იტალიისკენ გამგზავრებას თუ გადაწყვეტთ, დაგელოდებით.

— მაინც რა გაიგე?

— ჯერ ვერ გეტყვით. სხვანაირი საქმეა. — ხელით პაერი მოვხაზე.

— ფული?

— შეიძლება ფულიც იყოს. ამდენი სიმდიდრის პატრონი ხართ, რატომ არ მოგინდებათ, სიცილიაში ჩახვიდეთ და ხალხს აჩვენოთ — მდიდარი ამერიკელი როგორია? ცოტათი ძვლებიც გავითბებოდათ. მალაზიას მე მივხედავ, ხომ მენდობით?

— მამ არ მიდობარ ჩემგან?

— სად ჯანდაბაში უნდა წავიდე. იმდენად კი უნდა მიცნობდეთ, რომ ჩემ-

ში ეჭვი არ შეგეპაროთ. მე მაგის კაცი არა ვარ.

— სულ სხვა ვახდი, ბიჭუნო. რა მოგივიდა?

— აკი გითხარით. წადით, ბამბინოებს გადახედეთ.

— მე იმათ აღარ ვეკუთვნი, — მითხრა მან, მაგრამ მაშინვე ვიგრძენი, რომ სულში რაღაც ჩავაწვეთე, რაღაც მნიშვნელოვანი. დარწმუნებული ვარ, შუალამისას მოვა და სულ გადაქექავს დავთრებს ეჭვიანი ნაბიჭვარი!

გასვლა ვერც კი მოასწრო, რომ გუშინდელისა არ იყოს, ბ. ბ. დ. და დ. აგენტი შემოვიდა.

— საქმეზე არ გეგონოთ, — მითხრა მან, — ორშაბათამდე უნდა წავიდე მონტოკს, და ვიფიქრე — შევივლი. მოვიწახლულე-მეთქი.

— კიდე კარგი, მოხვედით, — მივუგე მე, — ეს უნდა გადმომეცა.

საფულე გავუწოდე, ოცდოლარიანი გარეთ იყო გამოჩრდილი.

— ეს ისე მოგართვით. აკი გეუბნებით, საქმეზე არ მოვსტლვარ-მეთქი.

— გამომართვით!

— რა მოხდა?

— ჩვენში ამას ხელშეკრულების დადებას ეძახიან.

— რა მოგივიდათ, გეწყინათ?

— სულაც არა.

— მაშ რა მოხდა?

— გამომართვით! ჯერ საქმე არ ვაგვირიგებია.

— იესო მაცხოვართ... ნუთუ ვერ ლანდებმა შემოგაძლიეს მეტი?

— არა.

— მაშ... ვინ ჯანდაბამ?

ოცდოლარიანი გულჯიბეში ჩაეჩარე, ცხვირსახოცთან. — საფულეს კი ვიტოვებ, — ეუთხარი მე, — კარგი რამე ჩანს.

— მეტს ვერ შეგპირდებით, უფროსებთან შეუთანხმებლად. სამშაბათამდე მაინც დამაცადეთ. დაგირეკავთ. პიულაპარაკობსო, რომ გაიგონებთ, იცოდეთ, მე ვიქნები.

— რეკეთ, რამდენიც გინებოთ, თქვენი ფული იხარჯება.

— ხომ დამიცდით, პაპი?

— დავიცდი, — ეუთხარი მე, — თევზაობა არ გიყვართ?

— ქალებთან ერთად კი. იმ თქვენი მარჯის წაყვანა ვცადე. ჩასაკვანტია, ჭირდაპირ. არ იქნა. თავი კინაღამ წამაცალა. ქალებს რას გაუგებ.

— რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო გაუკუღმართდნენ.

— ჩინებულად ბრძანებთ, — მითხრა მან. თხუთმეტი წელიწადი იქნება, ამნაირი გამოთქმა არ გამეგონა. შეწუხებული ჩანდა. ნუ აჩქარდებით, მანამ დავირეკავთ. — თქვა მან, — იესო მაცხოვართ, მე მეგონა, გამოუცდელ სოფელს ბიჭს გადავეყარე-მეთქი.

— ჩემს პატრონს ვერ გავყვიდი.

— სისულელეა. ფულის მომატება გინდა და ეგ არის.

— თუ მართალი გნებავთ, მე ქრთამზე ვთქვი უარი.

აჰა, თუ არ შევიცვალე! ამ ვაგბატონმა უკვე პატივისცემით დამიწყო ცქერა, და ეს მე მომეწონა. მომეწონა კი არა და, უფრო მეტიც. ამ არამზადმი იფიქრა, ეგეც ჩემნაირი ყოფილა, ოღონდ ცოტა უფრო გაქნილიო.

დუქნის დაკეტვა რომ დავაპირე, მერიმ დამირეკა.

— ითენ, — მითხრა, — შენებურად არ გაცოფდეს...

— რა იყო, ჩემო ყვავილო?

— ცოდვია, მართხელა ქალია და ვიფიქრე... მარჯი დავპატიე სადილად.

— მერე რა მოხდა.

— არ გაცოფდი?

— რა ჯანდაბა მოგივიდა.

— ნუ ილანძღები. ხვალ აღდგომია.

— კარგი გამახსენე. ხვალ ოთხ საათზე ბეიკერებს უნდა ვესტუმროთ და საგარეო ტანსაცმელი მოამზადე.

— სახლში უნდა ვეწვიოთ?

— ჰო, ჩაიზე.

— ჩემი სააღდგომო კოსტუმით წამოვალ.

— კარგი, ჩემო ჩადუნა.

— მარჯის დაბატიეებისათვის ხომ არ მიბრაზდები?

— მიყვარხარ, — ვუთხარი მე პასუხად. მიყვარს კიდევ.

ნამდვილად მიყვარს. და, მახსოვს, მაშინვე ის გავიფიქრე — რა ვაძიებრა შეიძლება გახდეს კაცი.

თავი მისთვის

ავიარე თელის ქუჩა, ღორღით მოკირწყლულ ბილივზე შეეფუხვიე, შევდგე და ძველ სახლს გავხედე. სულ სხვაგვარი მომეჩვენა. ვგრძნობდი, რომ ჩემი იყო. არა მერისა, არა მამაჩემისა, არც კაპიტნისა, არამედ ჩემი. შემქმლო გამეყიდა, გინდა ცეცხლი წამეკიდეზინა, ან სხეუ სე დამეტოვებინა.

ორი საფეხურის ავლა ძლივს მოვასწარი უკანა კიბეზე, რომ კარები გაიღო და აღენი გამოვარდა ყვირილით.

— პიკსი რა იქნა? პიკსი არ მოიტანე?

— არა, — ვუთხარი მე, მაგრამ საჯვრეველი ამბავი მოხდა — გულდაწყვეტილი და გამწარებით კი არ უყვილია, არც დედამისი მოუხშია მოწმედ, ხომ ნამდვილად შემპირდაო. ერთი ამოიძახა „ოპო“, და წყნარად გაბრუნდა.

— საღამო მშვიდობისა, — მიეძახებ მე. შეჩერდა და ისე გაიმეორა „საღამო მშვიდობისა“, თითქოს ახლახან შესწავლილი უცხო სიტყვები წარმოეტქვას.

მერი სამზარეულოში გამოვიდა.

— თუ შეგიკრეჭია, — მითხრა მან. თუ რამე ცვლილება შემატყო, ან ავად მყოფობას უნდა დააბრალოს ან თმის შეკრეჭას.

— არა, ჩემო კიკინა, არ შემიკრეჭია.

— მე კიდევ შამუფურივით ვტრიალებდი, რომ სახლის დაღაგება მომესწრო.

— მომესწროო?

— აჰი გითხარი, სადილად მარჯი გვესტუმრება-მეთქი.

— ვიცი, მაგრამ ამდენი ორომ-ტრიალი რა საჭიროა!

— მთელი საუკუნეა კაციშვილი არა გწვევია სადილზე.

— მართალი ხარ. ნამდვილად ასეა.

— შევ კოსტუმს ჩაიცვამ?

— არა, ნაცრისფერს, ძველ ღობინს.

— შავს რატომ არა?

— დაიჭმუქნება, ხვალ ეკლესიაში ვარ წასასვლელი.

— დილით დაგიუთოვებ.

— ძველი ღობინი მირჩვენია, მთელს ამ არემარეზე ერთსაც ვერ ნახავ, ასეთი კოსტუმი ეცვას.

— ბავშვებო, — იყვირა მერი, — ხელი არაფერს ახლოთ! კარგი სერვიზი გამოვალაგე. მამ, შავს არ ჩაიცვამ?

— არა.

— მარჯი სულ მორთულ-მოკაზმული მოვა.

— მარჯის ძალიან მოსწონს ჩემი ძველი ღობინი.

— რა იცი?

— თვითონვე უთქვამს.

— თვითონ რას გეტყობა!

— გაზეთებშიაც კი დაბეჭდა ეს ცნობა.

— ჰკვიანად იყავი. წესიერად მოეჭეცი.

— უნდა შევიყვარო.

— მე შეგონა, შავს ჩაიცვამდი, მარჯის ხათრით.

— იცი რა გითხრა, ჩემო ყვავილო, სახლში რომ შემოვედი, ფეხებზე მეკოდა, რას ჩაეცვამდი. ამ ორ წუთში კი ისე გამიხადე საქმე, ძველი ღობინის გარდა აღარაფერი მინდა.

— ჯიბრზე?

— აბა რა გეგონა.

— ეჰ! — სწორედ ისე ამოიძახა, აღენმა რომ იცის.

— სადილად რა გვაქვს? ბარემ ველსახვევსაც კერძის ფერს შევუხამებ.

— შემწვარი წიწილები. სუნზე ველარატყობ?

— ვატყობ, როგორ არა. მერი, იცი რა... — მაგრამ აღარ დავამთავრე. რა საჭიროა? ეროვნულ ინსტიტუტს ვერ გასრეს. „ქეთმების საბაზრო დღეს“ მოუხიბლავს. მარულოზე უფრო იაფად ჰყიდიან. რამდენჯერ ამიხსნია მერისთვის ამ ბაზრობის მთელი საიდუმლო:

შეგოტყუებენ ბაზარში შეღავათიანი ფასებით და იქ კი ათას იმისთანა რამეს იყიდი, რასაც არავითარი შეღავათი არა აქვს, მაგრამ თვალში გეჩხირება და ყიდულობ. ყველამ იცის ეს, მაგრამ მაინც აკეთებენ.

ჩემი ლექცია ერთ ყურში შეუშვეს და მეორეში გამოუშვეს. ახალი ითენ აღენ ჰოული ფეხდაფეხ მიჰყვება ერთ-ერთს გატაცებებს და, რამდენადაც ეს მოსახერხებელია, თავის სასარგებლოდ იყენებს.

— ორგულებას მაინც ვერ დამწამებ, — მითხრა მერამ.

— ჩემო საყვარელო, ქათმების ყიდვაში ან რა სათნოება უნდა გამოამყდონოს კაცმა და ან რა ცოდვა!

— ჩალის ფასად ჰყიდდნენ.

— ბრძნულად მოქცეულხარ — მომჭირნობა გამოგიჩენია.

— ნუ ლაზღანდარობ.

აღენი საწოლ ოთახში მელოდა.

— შენი „ტაძრელთა“ ხმალი მინდა ვნახო. შეიძლება?

— როგორ არ შეიძლება. კარადის კუთხეშია.

მშვენიერად იცოდა, სადაც იყო. მანამ მე ტანსაცმელს გავიხიდიდი, ხმალი ტყავის ქარქაშიდან ამოაძრო, პრიალა ლითონი სინათლეზე აელვარა და სარკეში გაიქიმა.

— თხულების საქმე როგორ მიდის?

— ჰა?

— შენ ალბათ „ბატონო“ ვინდოდა გეტქვა.

— ბატონო?

— თხულების საქმე როგორ არის-მეტქი?

— დიდებულად.

— ამზადებ?

— მაშა.

— რაო?

— დიახ, მაშა.

— ქუდიც ნახე, თუ გინდა. ტყავის დიდ კოლოფშია თაროზე. ფრთები, ცრტა არ იყოს, შეჰყვითლებია.

სააბაზანოში შევედი და ლომისთათე-ბიან დიდ ძველებურ აბაზანაში ჩავწე-

ქი. იმოდენა აბაზანებს აკეთებდნენ ძველად, რომ არხეინად გაიქიმებოდი. ქისით ლაზათიანად ჩამოვირეცხე მარულს ღუქანიცა და მთელი ღდის ვაჭა-მაწიაც, მერე კი აბაზანაშივე გავიპარსე, უსარკოდ, წვერს თითებით ვსინჯავდი. ყველა დამეთანხმება, რომ ამაში არის რაღაც რომაული და დეკადენტური. თმა სარკეში დავივარცხნე. რამდენი ხანია ჩემი თავი არ დამენახა. შევიძლია ყოველდღიურად იპარსო წვერი და საკუთარი სახე ერთხელაც არ დი-ნახო, მითუმეტეს, თუ ძალიან გულით არა ხარ მოწადინებული. სილამაზე გარეგნულია, თუმცა შინაგანი სილამაზეც არსებობს. საქმე საქმეზე რომ მიდგეს მე მეორე მირჩენია. მახინჯი კი არ გეგონოთ — დიდად არ მეპიტანებება გარეგნული სილამაზე, ათასნაირი გამო-მეტყველება მივიღე, მაგრამ არაფერი გამომივიღა. ვერც სათნოება გამოვხატე; ვერც სიამაყე, ვერც მრისხანება და ვერც იუმორი: იგივე სიფათი იყო, ოღონდ სხვადასხვანაირად ვიჭყანებო-დი.

საწოლ ოთახში რომ შევბრუნდი, აღენს უკვე გამოეღო და დაეხურა ფრთებით შემკული ტაძრელ რაინდ-თა ქუდი. მეც თუ ამისთანა გამოთავა-ნებულ იერს მამლევს ეს ქუდი, ჯობს ახლოს აღარ გავიკარო. ხუფმოხდილი ტყავის კოლოფი ძირს ეგდო, ხვევრდის ფსკერი ისე ამობურცვოდა, დამხრბი-ლი ჯამი გეგონებოდა.

— ნეტა თუ გათვორდება ეს სირაქ-ლემას ფრთები, გამოცვლა ხომ არ დამჭირდება?!

— ახალს თუ იყიდი, ეს მე დამითმე.

— უსათუოდ. ელენი რაღა იქნა? მი-სი წრიბინა ხმა არ მესმის.

— თხულებასა სწერს — „მე მიყ-ვაბრს ამეჩიქა“.

— შენ რატომ არ წერ?

— მე ჯერ ვფიქრობ. პიკსს აღარ მოიტან?

— არ გამაზხენდება. რატომ? შენ თვითონ არ მოხვალ და არ წამოიღებ?

ხმარობრივ ბერძნულს დაუსურათ-
ბია; უცნაურია — რაღა იმას ერგო ეს
ბუმბერაზი მალორი.

რამდენჯერ მიფიქრია — რა უცნაუ-
რი კაცი იყო ეს პანს ქრისტიან ანდერ-
სენი. მეფემ პანს გაიანდო საიდუმლო და
გული დაიარხებინა, ველარაგის გაიგებ-
სო. როცა საიდუმლოს ამბობ ან ამბებ-
სა ჰყვები, ისიც უნდა იფიქრო, ყურს
რა კაცი გიგდებს, ან ვინა გკითხუ-
ლობს. ყველას ის გამოაქვს მოთხრობი-
დან, რაც მის გულს ეამება ან რას გა-
მოტანასაც მოახერხებს, და მერე თავი-
სებურად მოირგებს. ზოგი ნაკუწ-ნაკუ-
წა ნაწილებს გამოგლეჯს და დანარჩენს
კი ჰყრის, ზოგი თავისი ცრურწმენის
ბაღში გაეცხრილავს ხოლმე, ზოგიც
თავის გუნებისად შეაფერადებს. ამბა-
ვი რომ კარგად გაიგო და გაიშინაურო,
საჭიროა საკუთარი გულის სიმები აღ-
მოაჩინო შიგ. ისე სასწაულს ვერ ირწ-
მუნებ. რაც ალენის მოსაწონი იქნება,
მერისთვის იგი სხვაგვარად უნდა შეა-
კოწიწო, ხოლო მარულოსთვის, თუკი
მარულოსაც გავრევთ საქმეში, სულ
თავდაყირა უნდა დააყენო. ისე კი, ან-
დერსენის პანს არაფერი შეედრება. ის-
მენს მხოლოდ, წყნარი ექო კი მაშინვე
დღენდება და ქრება.

ახლა რომ ვუფიქრდები, ჩვენ ყვე-
ლანი, ან უმეტესობა ჩვენგანი, მეცხრა-
მეტე საუკუნის მეცნიერებაზე ვართ
გაზრდილნი, რომელიც ყველაფრის არ-
სებობას უარყოფდა ხოლმე, რასაც
თვითონ ვერა ხსნიდა და ვერ ზომავდა.
ჩვენგან აღსსნელი საგნები კი მაინც
განავრძობდნენ არსებობას, რა თქმა
უნდა, ჩვენი ლოცვა-კურთხევის გარე-
შე. რასაც ვერა ვხსნივთ, არც გვინდა
დავინახოთ, ხოლო ამასობაში, საგანთა
და მოვლენათა უდიდესი ნაწილი მიგ-
დებული გვაქვს ბავშვებისათვის, გიყე-
ბისათვის, სულელებისა და მისტიკოსე-
ბისათვის, რომელთაც თვით საგანი
უფრო აინტერესებთ, ვიდრე მისი ახს-
ნა. ამრიგად, ბევრი ძველი და საწუკვა-
რი რამ სამყაროს სხვენზეა აზარული,

რადგან ვერც ჩვენს ირველივ აგვიტო-
ნია და ვერც გადასაგდებად გაგვიშვე-
ბია.

სახურავის კოვიდან ერთადერთი
უშუქფარო ნათურაა ჩამოშვებული.
ქვეშ დაგებული ხელით გამოთლილი
ფიჭვის ფიცრები, სიბრტყით ოცი გო-
ჯი, სისქით კი — ორი. დახვეებული
სკივრებისა და ყუთების სიმძიმეს კარ-
გად იტანს; აქვე ნახავთ ქალაღებში
შეფუთულ ლამაზებს, ვაზებს და ათას-
ნაირ ფუფუნების ნივთებს. ღია თაროე-
ბზე ჩამწკრივებულ წიგნებს ნათურის
მკრთალი სინათლე ეცემა. ზედ წამლად
ვერ ნახავთ მტვერს. ამ საქმეში ჩემი
მერი უნტერ ოფიცერივით მკაცრი და
შეუპოვარია, დასანახადაც ვერ იტანს
მტვერს. წიგნები ზომისა და ყდის ფე-
რის მიხედვით აქვს ჩამწკრივებული.

ალენი შუბლით ზემოთა თაროს რიე-
რდნობოდა და წიგნებს ათვლიერებდა.
მარჯვენა ხელი ტაძრულ რაინდთა
ხმლის ვადისათვის ჩამოედო, თითქოს
ჯოხს ეყრდნობოდა.

— რალაციანი სიმბოლიურ სურათს
ჰგავხარ, ბიჭი. მოდი სახელიც დავარქ-
ვათ: ს რ ჰ ა ბ უ ქ ე, ო მ ი დ ა ც ო -
დ ნ ა.

— შენთვის უნდა მეკითხა — მასა-
ლებს ნახავო, რომ მითხარი...

— რის მასალებს?

— პატრიოტული ჰანგები... თხზუ-
ლებისათვის.

— აჰა პატრიოტული ჰანგები. აბა
ეს მოტივი თუ გამოვადგება: „ნუთუ
ისე ძვირფასია სიციოცხლე და მშვიდო-
ბაც ისე სასწუევარი, რომ მონობის ბო-
რკილის ფასად შევიძინოთ? ყოვლად-
ძლიერო, შენ დაგვიფარე ამისთანა საქ-
მისაგანი არ ვიცი, სხვები რას იტყვიან,
მე კი მხოლოდ ერთი არჩევანი მაქვს:
ან თავისუფლება ან სიკვდილი!“

— დიდებულია ზორბა რამეა!

1 ეს სიტყვები ეკუთვნის ამერიკელ
საზოგადო მოღვაწეს პატრიკ ჰენრის
(1736-1729).

— რა თქმა უნდა! მაშინ ბუმბერაზები ცხოვრობდნენ ქვეყანა.

— ნეტა მეც მაშინ მეცხოვრა. მეკობრეთა ხომალდები... ჰოი, ბიჭო! ბახ-ბახ! აბა, მიესიეთ! ოქროთ გაჭედული დერგები, აბრეშუმ-ბრილიანტებით მორთული ქალბატონები. ნეტა მართლაც მაშინ მეცხოვრა! ჩვენს წინაპრებშიაც ხომ ერია მეკობრეები? შენგან გამიგონია.

— ეს სულ სხვაგვარი მეკობრეობა იყო, უფრო კეთილშობილი, კაპერებს ეძახდნენ. თუმცა, არც ისე ტკბილი ცხოვრება ჰქონდათ, ალბათ, შორიდან რომ გვეჩვენება. შაშხი და გამხმარი პური. სურავანდი იყო მოღებული მთელს ქვეყანაზე.

— სურავანდს რას დავეძებ! მოხვეტავდი ქვეყნის ოქროს და შინ გამოვაქანებდი. ახლა ვინ დაგანებებს ამისთანა საქმეს!

— რას ამბობ... ახლა მაგაზე მეტიც ხდება, და უფრო ორგანიზებულადაც, დიპლომატიას ეძახიან ამას.

— ერთი ბიჭია ჩვენს სკოლაში, ორჯერ მიიღო სატელევიზიო ჭილდო — ერთჯერ ორმოცდაათი დოლარი და მეორედ ასი. ხომ კარგია?

— ალბათ ჰკვიანი ბიჭია.

— ვინა? სულაც არა. შანსის საქმეაო. შანსი უნდა დაატრიალო. უნდა ითვალთმაქცო.

— ითვალთმაქცო?

— ჰო... ვითომ საპყარი ხარ. ანდა, ვთქვათ, დედა გყავს სარჩენი და იძულებული გახდი ბაყაყები მოაშენო. ერთი სიტყვით, მაყურებლის გული უნდა მოიგო, რომ შენ ავირიჩიონ. ერთი ჟურნალი ჰქონია, რაც ამერიკაში კონკურსები ჩატარებულა, თურმე ყველაფერი წერია შიგ. მაგისთანა ჟურნალს ვერ მიშოვი, მამა?

— ეჰ, მეკობრეობა თითქოს გადავარდა, მაგრამ მისი სული, ვატყობ, მაინც ბორავს.

— ვერ გავიგე.

— შექთად შოულობენ. ხელის გაუნძრევლად მდიდრდებიან.

— ვერ ვიშოვი მაგ ჟურნალს?

— ქრთამებზე რომ სკანდალი ატყდა, იმის შემდეგ მაგისთანა ამბები არა მგონია გამოვიდეს.

— არა კი არა! ესე იგი, არა-მეთქი, მამა. ოღონდ, ახლა ცოტა უფრო სხვა-ნაირად აკეთებენ. კარგი კი იქნებოდა მეც წამეგლიჯა.

— ეს ხომ მართლა წაგლეჯა გამოვია — ფული ფულია, გინდა წაგლეჯით იშოვე და გინდა ისე.

— მაგაში ვერ დაგეთანხმები. ფული კი ფულია, მაგრამ წაგლეჯით ნაშოვნი ფული ვის შეერგება!

— რატომ, ვითომ? კანონის საწინააღმდეგო არაფერი მოხდება. ყველაზე უმდიდრესი ხალხიც კი ამერიკაში...

— ო კარლ, შევილო ჩემო, შევილო ჩემო!

— კარლი საიდან მოიტანე?

— გამდიდრება გინდა, ალენ? ძალიან გინდა?

— მაშ ძალიან სასიამოვნოა, მოტოციკლი რომ არა მაქვს? ოც ბიჭს მაინც ექნება მოტოციკლი ჩვენს ქალაქში. როგორ გგონია, ძალიან კარგია, რომ ტელევიზორიც კი არა გაქვს სახლში, მანქანას აღარ დავეძებ.

— მაგას მეც ძალიან ვწუხვარ.

— შენ არ იცი, მა, ეს რას ნიშნავს. ერთხელ კლასში თემა დავწერე, ჩემი დიდი პაპა ვეშაბებზე მონადირე გემის კაპიტანი იყო-მეთქი.

— სწორი დაგიწერია.

— კლასში კიდევ ხარხარი ატეხეს. იცი, რა შემარქვეს? ჰოული, ჰოული, — ვეშაბებს მოუვლის კარგია?

— ვერ არის კარგი საქმე.

— ვეჭილი რომ იყო, ან ბანკის მოსამსახურე, სულ სხვა იქნებოდა. აგერ ჯილდოს გავიბრტყამ და იცი, რას ვიზამ?

— რას იზამ?

— ავდგები და მანქანას გიყიდი. სხვე-

ბი რომ ჩაგქროლებენ, მოყამულ გუნებაზე აღარ დადგები.

— მაღლობელი ვარ, ალენ, — ვუთხარი მე. ხახა გამიშრა.

— ეგ რა დიდი რამეა. მე ჯერ მაინც არ მომცემენ შოფრობის ნებაართვას.

— ამ თაროზე ნახავ, ალენ, ჩვენი გამოჩენილი ადამიანების სიტყვებს. წაიკითხე კიდეც.

— უსათუოდ წავიკითხავ. გამომადგება.

— ნამდვილად გამოვადგება. აბა, შენ იცი.

კიბეზე წელა დავემედი და ტუჩები ენით დავისველე. ალენმა მართალი თქვა. ერთიანად მოვიტამე.

ჩემს დიდ სავარძელში რომ ჩავჯექი, მერმ გაზეთი მომიტანა.

— იცი, რა კარგი გოგო ხარ?

— ეს კოსტუმი მართლაც ვინდებო. ყელსახვევიც მომწონს, სწორედ თვლების შესაფერია.

— რალაცას მიმალავ. გატყობ, გატყობ. ვინდა — შენ შენი საიდუმლო მითხარი, მე ჩემსას ვეტყვი.

— თუკი არ მაქვს.

— მოიგონე!

— როგორ უნდა მოვიგონო. კარგი ერთი, ითენ, მითხარი,

— ყურცვები არ გვისმენენ?

— არა.

— დღეს მარჯი იანგ-პანტი იყო ჩემთან, ყავის ყიდვა მომიზიუხა. ვატყობ, მაგრად შევუყვარდი.

— კარგი ერთი, თქვი.

— მკითხაობაზე ჩამოვარდა სიტყვა. ნეტა კიდე გაგვეშალა-მეთქი, მე ვუთხარი, გვენახა, გუშინდელი კარტი თუ მოგვივა-მეთქი.

— ტყუი!

— მართალს გეუბნები. ნამდვილად საინტერესო იქნებაო.

— შენ რომ ამისთანა რამეები არ გიყვარს!

— თუ კარგია, რატომაც არ მიყვარს,

— ვითომ ამალამ გვიმკითხავენს?

— სანადლეოს ჩამოვალ, რომ მარტო მაგისტის მოდის.

— კარგი ერთი! მე თვითონ მოვიტამე.

— ალბათ დაგაბატებინა თავი.

— არ გიყვარს მარჯი და ასე იმიტომ ლაპარაკობ.

— პირიქით. მართალი თუ ვინდა, შემიყვარდა კიდეც და პატრისაც ვცემ.

— კაცი ვერ შეგატყობს — როდის მასხრობ და სერიოზულად როდის ლაპარაკობ.

ოთახში ელენი შემოვიდა, მაგრამ ისე წყნარად, რომ ვერ შეატყობდი, მოყურადებული თუ იყო. მე კი მგონია, ყველაფერი მოისმინა. ნამდვილი ბავშვია, ბავშვური ბავშვია, უკვე ცამეტისა გახდა; როცა უნდა აწიკიკედება, როცა უნდა მოიწყენს, ხან მხიარულია, ხან მგრძნობიარე; სევდიანადაც კი მოგვაჩვენებს თავს, თუ დასჭირდა. ცომი რომ გაფუტვას დაიწყებს, იმ ასაკშია ახლა. კაცმა არ იცის — ლამაზი გამოვა თუ უშნო. მოყრდნობა უყვარს. მომეყრდნობა ხოლმე, პირდაპირ სახეში შემო მასუნთქავს, ხბოსავით ტკბილი სუნთქვა აქვს. დიდი ლაქუცა ვინმეა.

ელენი ჩემი სავარძლის ხელს გადმოეყულა და თავისი თხელი ბეჭები მე მომაყრდნო. ვარდისფერი თითი პიჯაკის სახელოზე დამისვა და ბალნიან მჯაზე ისე მომიალერსა, მომელიტინა კიდეც. მკლავზე ჩამოშლილი ქერა თმა ლამპის შუქზე ოქროს მტვერით ბრწყინავდა. ჰოი, რა ლაქუცაა, თუმცა რა — გოგონებზე სულ ასეთები არიან.

— მანიკური გაიკეთე? — ვკითხე მე.

— ბაცო ლაქით. დედა მაძლევს ნებას. შენ რა ტლანქი ფრჩხილები გაქვს.

— ვითომ?

— მაგრამ სუფთა.

— ჯავრისით გავიწმინდე.

— ქუქყიან ფრჩხილებს ვერ ვიტან — ალენს რომ აქვს?

— იქნებ, საერთოდ ვერ ვიტან ალენს.

— მართლაც ვერ ვიტან.

— ყოჩად. მაშინ რაღას უცდი —
ადეკი და მოჰკალი.

— რა სულელი ხარ. — ახლა ყურს
უქან მომიცაყუნა ხელები. ეგ ისეთი
ვინმე ჩანს, რომ ალბათ უკვე დაგაყე-
ბული ჰყავს ბიჭები.

— შენ უკვე დაგწყვი თხზულების
წერა.

— მოასწრო თქმა იმ არამზადამ?

— კარგი გამოდის?

— მშვენიერი. ძალიან კარგი. წაგაკი-
თხებ, როცა დაფიქსირებ.

— დიდ პატივს დამდებ. სადღესას-
წაულოდ მორთულხარ.

— ამ ძველ კაბაზე ამბობ? ახალს
სახვლიოდ ვინახავ.

— კარგად მომიფიქრია. ეკლესიაში
ბიჭებიც იქნებიან.

— ბიჭებს დასანახად ვერ ვიტან. ჰი-
რის დღესავით მძულს.

— ვიცი, რომ გძულს. შენი დევიზია
— მტრობა და შუღლი. დიდად არც მე
მახატია გულზე. ახლა კი ცოტა იქით
მიდეკი. გაზეთი უნდა წაევიკითხო.

განზე გახტა ოციანი წლების კინო-
ეარსკვლავივით და იმ წუთშივე იძია
შური.

— გამდიდრებას როდის აპირებ?

ეპ, იმ უბედურმა იკითხოს, ვისაც ეს
გადაეკიდება. ერთს დავითრევე და გავ-
ტყეპავ-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ სწო-
რედ ეგ უნდოდა. მომეჩვენა, წამწამე-
ბიც წათხიბნილი ჰქონდა. თვალეში
იმდენი თანაგრძნობა გამოუქრთოდა,
რამდენიც ავაზას შეიძლება ჰქონდეს.

— მომავალ პარასკევს, — ვუთხარი
მე.

— ნეტა უფრო მალე შეიძლებოდეს.
მომწყინდა ამდენი სიღარიბე. — და
მაშინვე გასარილდა ოთახიდან. არც კა-
რებზე მოყურადებას თაკილობს. მიყ-
ვარს კი, და ძალიან გასაკვირიც არის,
რადგან ყველაფერი ისა სჭირს, რაც
სტეფოსიცა მძულს... მაინც გაგიყვებით მი-
ყვარს.

ვინ წაგაკითხებს გაზეთს? გაშლაც
ვერ მოვასწარი, რომ მარჯი იანგ პანტი

შემოვიდა. რაღაც უცნაურად დაეყენე-
ბინა თმა — პარიკმახერულად. მერი
ალბათ გარკვეულია ამნარ მოდერნი-
მე ვერ ვერკვევი.

ყავისთვის გამოსული დილინდელი
მარჯი ჩემსკენ იყო მიმართული დათვის
ხაფანგივით. სალამომდელმა კი — მე-
რი ამოიღო მიხანში. იქნებ ახლაც უთ-
რთოდა უკანალი, მაგრამ მე არ შემო-
ნიშნავს. მის კოხტა კოსტუმს ქვეშაც
თუ იყო რამე — ისიც დაფარული ჰქო-
ნდა. ერთი სიტყვით, დასახლისისათ-
ვის სასურველი სტუმარი ვახლდათ —
თავზიანი, მომხიბლავი, დინჯი, დარ-
ბაისელი, უბრალო. მე ისე შექცეოდა,
თითქოს დილას აქეთ ორმოცი წელი
მომმატებოდეს. საოცრები არიან ეს ქა-
ლები. აღფრთოვანებული ვარ მათი საქ-
ციელით, თუნდაც ვერ გავუვგო, რას
აკეთებენ.

მარჯი და მერი ჩვეული სიტყვებით
ელაქუცებოდნენ ერთმანეთს — „თმის-
თვის რა გიქნიათ?“ „მე ძალიან მომ-
წონს“... „ეს ფერი გხატავთ პირდაპირ.
ნურც გამოიცვლით“... და სხვა ამისთა-
ნა, ქალებსათვის დამახასიათებელი
უენებელი გამოთქმები... მე კი ამ დროს
ქალებზე გაგონილი ანეგდოტები მაგო-
ნდებოდა. ორი ქალი ხვდება ერთმა-
ნეთს. „თმაზე რა მოგსვლია? თითქოს
პარიკიყო,“ შესძახებს ერთი. „მართ-
ლაც პარიკია“, „უი, სულ არა ჰგავს“.

იქნებ უფრო ღრმა აზრი იმალება
ამაში და ჩვენ კი ვერა ვხვდებით.

სადილზე განუწყვეტელი შექაზილე-
ბი იყო: ერთის მხრივ ქება შემწვარი
წიწილებისა, მეორეს მხრივ ძაგება —
არც კი იქმებო. ელენი გულმოდგი-
ნედ ათვლიერებდა ჩვენი სტუმრის
თმის დაყენებისა და კოსმეტიკის ყო-
ველგვარ წერილმანებს. მაშინ მივხე-
დი, რა ადრე იწყებენ ხოლმე იმ გაფა-
ციებულ დაკვირვებას, რასაც შემდეგ
ეგრეთწოდებული ქალური ალლო ეწო-
დება. ჩემს შეხედვას გაურბოდა ელე-
ნი. გრძნობდა, რომ მომაკედინებელი
ისარი მტყორცნა და ახლა შურისგე-

ბას ელოდა. ძალიან კარგი, ჩემო გულქ-
ქვა ქალიშვილო. შენ ვერც კი წარმო-
იღვენ, ისე სასტიკად გადაგიხდი. სულ
დავიფიქრებ იმ შენს სიტყვებს.

დიდებული სადილი გამოდგა, მიღ-
რული და უხვი, როგორც წვეულებას
შეეფერება. თევშების გორა დადგა;
ამ თევშებს საყოველღეოდ არა ვხმა-
რობთ ხოლმე. ბოლოს კი ყავაც შემო-
იტანეს, რაც აგრეთვე უჩვეულო იყო
ჩვენთვის.

- ყავა ძილს არ გიფრთხობთ?
- ძილს ვერაფერი დამიფრთხობს.
- ვერც მე?
- ითვის!

ამას მოჰყვა ჩუმი, მაგრამ სამკვდრო-
სასიცოცხლო ომი თევშებისათვის.

- მეც დაგეხმარებით.
- აჰ! თქვენ სტუმარი ხართ.
- ალაგებაში მაინც დაგეხმარებით.

მერიმ ბავშვებს გადაავლო თვალი და
ხიშტის საძვარებლად მოეშადა. ისი-
ნიც მიხვდნენ, რა მოელოდათ, მაგრამ
თავზეით ძალა არ იყო.

— ამას სულ ბავშვები აკეთებენ ხო-
ლმე, — თქვა მერიმ, — უყვართ საქმე.
მშვენივრადაც გამოსდით. მე თავი მო-
მაქვს ჩემი შვილებით.

— რა კარგია, არა? ამისთანა ბავშ-
ვებს ახლა სადღა ნახავ.

— მართალი ხართ. ამ საქმეში მარ-
თლაც რომ გავგიღიმა ბედმა.

ხელაღვე შევატყვე, როგორ დაიწყო
იმათმა პაწაწინა ტყინმა გამოსავლის
ძებნა. ველარ გადაეწყვიტათ — აურ-
ზაური აეტეხათ, თავი მოეუვადმყოფე-
ბინათ თუ ძველებული ძვირფასი თევ-
შები დაეყარათ და დაემსხვრიათ. ეტ-
ყობა, მერიმაც შენიშნა იმათი პაწაწი-
ნტელა ცბიერი ტყინის მოძრაობა.

— საოცარი ისაა, რომ ერთს არა-
ფერს გატეხენ, — თქვა მერიმ, — ჭი-
ქაც კი არ გაუტეხიათ.

— ბედნიერი ქალი ყოფილხართ! —
უთხრა მარჯიმ, — ასე როგორ გამოწრ-
თენით?

— მე რას მოვახერხებდი. ბუნებით

არიან ასეთები. ხომ დაკვირვებინათ,
ზოგი დაბადებით ბოთე რომ გამოდის.
ჩემს აღენს და ელენს დაბადებითავე
დაჰყვით ჰქუა და მოხერხება.

ბავშვებს გადაუხედე, რა გუნებაზე
დადგნენ-მეთქი. გაეზნენ. და ამას, ეტ-
ყობოდა, მიხვდნენ კიდევ. ახლა ისლა
აინტერესებდათ — მარჯი იანგ-ჰანტი
თუ მიხვდაო. თუმცა ხსნის იმედი ჯერ
კიდევ არ დაეკარგათ. მე ეს იმედიც
გადავუწყვიტე.

— ქება-დიდების მოსმენას რა ჯო-
ბია, — ვთქვი მე, — მაგრამ ამ ბავ-
შვებს ნულარ ვაყოვნებთ. მორჩნენ ბა-
რემ საქმეს, თორემ კინოში დააგვიან-
დებათ.

მარჯიმ იმდენი კეთილშობილება გა-
მოიჩინა, რომ ღიმილი შეიკაეა, გაკვირ-
ვებულმა და აღფრთოვანებულმა მერიმ
კი მე გადმომხედა. კინოში ვამგება
არც უთხოვიათ.

მოზრდილი ბავშვები საცა ჰყავთ სახ-
ლში, კიდევ რომ არ ხმაურობდნენ, იქ
სიწყნარეს მაინც ვერ ივარნობ. ჰაერი
მაინც ღულს მათ ირგვლივ.

წავიდნენ თუ არა ისინი, სახლმა
შევბით ამოისუნთქა. რალა გასაკვირია,
რომ აურზაურის გამომწყვევი მოჩვენე-
ბები მულამ იმ სახლში ბინადრობენ,
საცა მოზრდილი ბავშვები ჰყავთ.

სამნი რომ დავრჩით, ძალიან ფრთხი-
ლად დავიწყეთ იმ თემის ირგვლივ
ტრიალი, რომელიც, ვიცოდით, უსა-
თუოდ უნდა წამოჭრილიყო. შუშის კა-
რებიან კარადასთან მივედი და შრო-
შანის მოყვანილობის სამი მაღალი ჭი-
ქა გამოვლდე, რომლებიც ვინ იცის რო-
დის ჩამოეტანათ ინგლისიდან. სიძველი-
საგან ჩამოქეხულ და გამოხუნებულ
შემოწნულ სურტიდან რომი დავასხი.

— იამაიკური რომია, — ვთქვი მე, —
პოულები ერთ დროს მეზღვაურები ყო-
ფილან.

— ეტყობა, დიდი ხნისაა, — თქვა
მარჯი იანგ-ჰანტი.

— ჩვენზე, და მამაჩემზედაც დიდი
ხნის.

— პირდაპირ თავში ავარდება, — თქვა მერიმ, — ახლა კი ნამდვილი ქეიფია. ითენმა მარტო ქორწილსა და აღაპზე იცის ამ რომის გამოტანა. ღმერთმა კი არ გვიწყინოს, გენაცვალე, ზედ აღდგომის წინა დღეს!

— აბა კოკა-კოლათი ზიარება ვის გაუგონია, ჩემო კარგო.

— თქვენს ქმარს პირველად ვხედავ ასე გამხიარულებულს, მერი.

— სულ თქვენი მკითხაობის საქმეა, — მიუგო მერიმ, — ერთ ღამეში შესცვალა კაცი.

რა უცნაური საფრთხობელაა ადამიანი — მთელი აპარატურა საზომი ერთეულებსა, ცხრილებსა, საანგარიშოებისა, რომელთაგან ჩვენ ძალიან ცოტას თუ ვკითხულობთ და იმასაც, ვინ იცის, არა სწორად... ნაწლავებში უცებ ალი წამეკიდა და საშინელი ტკივილით ამოვარდა ზევით, გაიშალა და ნეკნებს მოაწვა. ყურებში გრიგალი დამიტრიალდა და აფრებდაგლეჯილ განწირულ გემივით გამაქანა. პირი გამიმწუთხდა, ოთახი შეტორტმანდა და ზემოთ აიზიდა. გამაფრთხილებელი სიგნალები გამწარებით აწივლდნენ — იუწყებოდნენ საშიშროებას, იუწყებოდნენ განადგურებას, იუწყებოდნენ უბედურებას. ერთბაშად მეტაკა ეს, როცა ჩემს ქალებს ზურგს უკან ჩავუარე, და შემაძრწუნებელი ტკივილით ორად მომკაკა. მაგრამ ხელადვე გამიარა. გავიშართე და, ვითომც არაფერიო, გავიარე, ქალებს არც გაუგიათ. მაშინ მივხვდი, რატომ სჩეროდა ძველად ხალხს სხეულში ეშმაკის ჩასახლება. ღამის მეც დავიჭეო. ჩასახლება! ერთბაშად შემოძვრება რაღაც უცხო, შენი ყოველი ნერვი გამწარებით ებრძვის და უძალიანდება, მაგრამ საბოლოოდ მარცხდები და, ნაცემ-ნაგვემი, იმასლა ცდილობ დამპყრობელს შეუთვისდე, ზავი

ჩამოავდო. ძალიადობა — იმ შესაფერი სიტყვა, თუკი შეგრჩა იმის თავი, რომ სარჩილავ ნათურასავით ლურჯქრბაშემოვლებული სიტყვის ქღერას ჩაწვდე. ჩემი ძვირფასი მერის ხმა გაისმა.

— კარგი რამის გაგონება არასოდეს არ გავნებს.

ახლა ჩემი ხმაც გამოვცადე — მტკიცედ და ძლიერად ქდერდა.

— ცოტაოდენი იმედი, უიმედო იმედიც კი ვნებას არავის მოუტანს. — ეთქვი და სურა ისევ კარადაში შევედგი, მერე ჩემს ადგილზე გამოვბრუნდი, ნახევარი ჰიკა ძველებური, სურნელოვანი რომი დავლიე, დავეჭეი, ფეხი ფეხზე გადავიდე და ხელები მუხლზე შემოვიჭდე.

— ველარაფერი გამიგია ამ კაცისა, — თქვა მერიმ, — მთელი თავისი დღე და მოსწრება მკითხაობას დასცინის, საშინლად სძულს. გაოცებული ვარ.

ნერვები ქარსაგან შეტოკებულ ნახამთრ თივის ღერივით ამითრთოლდა, ერთმანეთზე გადაჭლობილი თითებზე ზედმეტი დაწოლისაგან გამითეთრდა.

— ვეცდები აფუხსნა ეს მისის იანგჰანტს... მარჯის, — ეთქვი მე, — მერი კეთილშობილი, მაგრამ ღარიბი ირლანდიელი ოჯახიდან ვახლავთ...

— არც იმდენი ღარიბები ვყოფილვართ.

— ხომ გესმით, რას ამბობს?

— რაკი მაგას ამბობ, ბარემ...

— არა, მერი წმიდანია, ყოველ შემთხვევაში უნდა იყოს — ბებია ჰყავდა ისეთი ღვთისმოსავი...

მომეჩვენა, რომ ჩემი ძვირფასი მერი რაღაც მტრულად შეიმართა. მე მაინც განვეგრძე.

— მაგრამ სულებისა მაინც სჩეროდა, მიუხედავად იმისა, რომ სასტიკი ქრისტიანული თეოლოგია ჩვენ ამას გვიკრძალავს.

— ეგ სულ სხვა საქმეა.



ჯანსუღ ჩაკვიანი

მე რაც მაწუხებს, იგი შენა ხარ

(ლირიკული პოემა)

„მარად და ყველგან, საქართველოც,
მე ვარ შენთანა“ — ი. ლ. ი.

ჩემი სულივით ზეცა ჩაღდება,
და ვარსკვლავები ქიმებს იმტვრევენ,
დამყუდებია თავზე ჭადრები
და მე მისმენენ მწვანე ფილტვებით.

...
შენ რა გაწუხებს,
შენ რა გაწვალებს...
და ენთებიან როგორც სანთლები,
ძმებო, მაცალეთ,
ძმებო, მაცალეთ
და მათქმევინით ჩემი სათქმელი.
— მე რაც მაწვალებს, იგი შენაა,
მე რაც მაწუხებს, იგი შენა ხარ,
საკუთარ თავში ბევრჯერ შემშლიხარ
და იმედოვნით ბევრჯერ შეახლე.
ახლაც მოვედი, როგორც იმედი,
როგორც თოვლი და როგორც
ყვავილი.

თურმე გეყოფა ტანჯვა მცირედი,
რომ გატეხილი გახდე ყამირი.
თურმე ქვეყანა არის პატარა,
მე ქვეყანაზე დიდი გული მაქვს,
სულ სხვანაირი კაცი გამხდარა,
ვისაც ქვეყანა შემოუვლია,
ვისაც უფლება ჰქონია ფიქრის
და ვინც უყურებს დიდ მზეს
გულადმა,
ვისაც უნახავს საზღვრების იქეთ
და მართო ცუდი არ დაუნახავს,
ვინც სიყვარულით გასულა ხალხში.
ვინც მართალი და ერის კაცია
და ვისაც ვერცხლი ჩადვრია ხმაში,
როდესაც სევდას გაუტაცნია.
ზოგი ჭუჭყია, ზოგი ფულია
და ზოგის გული თათლოვით წვეთავს,
ამ ქვეყანაზე დიდი გული მაქვს

და ვკონი ზალცბურგს ისე, ვით
მცხეთას.
მე რაც მაწვალებს იგი შენაა,
შენ ერთი არ ხარ, შენა ხარ ბევრი.
შენ ხან მთაში ხარ,
შენ ხან ტყეში ხარ,
შენ გქვია სევდა,
შენა გაქვს ფერი.
შენა ხარ სიტკბო და სული ფრენის.
დაყუდებული შენ იყავ ბერი...
შენ ხარ მოყვარე და შენ გყავს
მტერიც.

შენა ხარ ერი,
მართალი ერი
შენ გიმღერიან,
გცილიან და გსვამენ,
სხვა მხრივ კი შენთან ვის რა ხელი
აქვს,
მოწმენდილ ცაზე რეკავენ ზარებს
და დიდი მთები ქარში მღერიან.
და ჰყვიროს დიდი კავკასიონი,
რადგან ანთია უშა და შხელდა,
შენ ხარ ვენახი,
შენ ხარ სიონი,
შენ ხარ ბოლნისი,
შენა ხარ მცხეთა.

და მე მესმოდა, დიდი „ლილეო“
მზის სხივებს როგორ წეწდა და ხევდა.
ასე იწყება ლელვა და ღამე,
ასე ჩუმად და ასე ღონივრად,
და საქართველოს წისქვილის ღარებს
მძიმე ბორბლებთან დიდი ომი აქვთ.
ბევრი პური და ბევრი დაფქული,
და მე შენს დიად სივრცეს
მივარღვევ,
ბევრი სიმწვანე და გაზაფხული,

ბევრი წვიმა და ბევრი სიმაღლე.
და მე ვიგონებ იმ დროს, რომელიც
შენი ცხოვრების არის ნაწილი,
მე შენ გიბოვე მთებში დაჭრილი,
მე შენ დაჭრილი გნახე არწივი.
მე დაგარწიე და მოგარჩინე
და შეგაშველე ხელი გაწვდილი.
შენ ჩაგაბარე, ძვირფასო ჩემო,
ყველა ფიჭვი და ყველა განცდილი.
და იღვნენ მთები, როგორც დევები,
იღვნენ ნისლეზში, როგორც ბორნები,
ჩვენ — მალღები და ბედნიერები...
და ვგდო ხევში მკვდარი ყორანი.

...
მე მაგონდება ჩვენი გურამი,
რომელსაც თავის მკითხველი ეძებს,
გულში ჩამრჩიბი ვით სამღერავი,
ოცი სტრიქონი რომ არ ვსთქვა შენზეც:
შენი სიმკვირცხლე, რჩეულო ბიჭო,
იყო სიმღერა საქართველოსი,
და საღდაც შორს, შორს ქარის
ღრიალში
შენ ებრძვი სივრცეს შავით შემოსილს.

გუდანის ვგართან მოგვისწრო წვიმამ
გამოუსკვენიო ცხენებს კუდები,
და მე მგონია, შენა ხარ არხოტს,
პატარა ცხენით კვლავ დაბრუნდები.
და ხეესტრების ქეთინი ისმის,
იგვიანებსო ჩვენი მხედარი,
მთებს ებერებათ ძარღვები კისრის
და შენ გბაძვენ გამოხედვაში.
...და გაბარული მთებზე ნისლეზი
ისე, ვით შენი უბელო ცხენი,
და მე ვივსები...
ცრემლით ვივსები,
ვიგუდები და ცრემლის მრცხვენია.
და გაფრენილი მზისკენ კისრებით
ნისლი კი არა, შენი ცხენია,
და მე ვივსები...
ცრემლით ვივსები,
ვიგუდები და ცრემლის მრცხვენია.
რამდენი კარგი კაციც წავიდა,
იმდენჯერ ფხიზლობ შენ, ჩემო
ხალხო,
ცხოვრებას ისევ იწყებ თავიდან
და ისევ არწევ ცხოვრებას ახალს.
...

გაფრინდა მზისკენ ფიჭვი და სული,
და იწყის მზეში ლამაზი სევდა.
სხეულში ჩაგდის მზის ცხელი ხნული
და ჩემს სიცოცხლეს სიკვდილშიც
ხედავ.

და ყვირის დიდი კავკასიონი,
რადგან ანთია უშმა და შხელდა.
შენ ხარ ვენახი,
შენ ხარ სიონი,
შენ ხარ ბოლნისი,
შენა ხარ მცხეთა.
და მე მესმოდა, დიდი „ლილეო“
მზის სხივებს როგორ წწვდა და ხევდა.

...
მე ვაცისკროვნებ შენს ლამაზ ხეცას,
შენ ჩემზე ერთგულს ქვეყნად ვის
ნახავ?

ტანზე სიმწვანე გაცვია ჩემი,
შენ გაზაფხულად რომ დაგისაზავს.
და იწერება ჩახრუხაული,
ბიჭები წერენ მაღალ შაირებს.
ეს ჩვენი მძაფრი სული ზმაურობს,
შენ რომ გგონია შენი ზმაური.
საესეა ჩვენით შენი პაერი,
როგორც სიმღერით,
როგორც ზღვაურით.

...
წერენ, ხატავენ,
იყვარებენ და ოცნებობენ,
სვამენ და ხურდას უტოვებენ
გამხლარ დახლიდარს,
წერენ, ხატავენ,
იშენებენ სახელოსნოებს
და ხალხს აცნობენ
ვილაც წყნეთელ იის გამყიდველს.
და ჩვენი ლექსის სათაურებს
ისინი წერენ,
რომ უფრო მეტი შნო და ფერი
ჰქონდეს პოემებს,
მე გაცნობ მხატვრებს —
ჩვენი დიდი ოჯახის წევრებს,
ჩვენი ლექსების სათაურებს
რომლებიც წერენ.

ასე იწყება ღელვა და ღამე,
ასე ჩუმად და ასე ღონიერად,
და შენი მიწის წისკვილის ღარებს
მძიმე ბორბლებთან დიდი ომი აქვს.

ბევრი პური და ბევრი დაფქული,
და ჩვენი შენს დიად სივრცეს
მივარღვევთ;

ბევრი სიმწვანე და გაზაფხული
ბევრი წვიმა და ბევრი სიმაღლე.

მე კვლავ ვიგონებ იმ დროს, რომელიც
შენი ცხოვრების არის ნაწილი,
მე შენ გიპოვე მთებში დაჭრილი,
მე შენ დაჭრილი გნახე არწივი,
როდესაც მოკვდა ძვირფასი კაცი;
ბევრი ფიქრით და ბევრი განცდილით.
რამდენი კაციც თბილისში არის,
იმდენჯერ იყო მისი ხსენება.

რამდენი ქუჩაც თბილისში არის!
იმდენი ქუჩა მიახვეწებდა;
იმდენი კუბო, იმდენი დარდი,
იმდენი ლექსი, იმდენი ზარი,
იმდენი ფერი, იმდენი ვარდი,
რამდენი ქუჩაც თბილისში არის!
ის კი მიჰქონდა რუსთაველის

პროსპექტს,

როგორც სიმძიმე ცისფერი ტალღის,
ის კი მიჰქონდა რუსთაველის

პროსპექტს

და კითხულობდა მის ლექსებს ხალხი.
გაფრინდა მზისკენ ფიქრი და სული
და იწვის მზეში ლამაზი სევდა.
და დააწერეს ლექსებს და სურებს
ლექსი, რომელსაც ის კაცი წერდა;
„ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“,
ჩვენა ვართ ერთად, უყურეთ სურათს,
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი,
მე მაქვს პოეტის პატარა სურა.

...
გინდა ამაყსე,
გინდა დამაშრე,
დამაჩოქე და ისე მომკალი,
მე, საქართველოვ, მზისაც არა მშურს
და მშურს სუყველა დიდი მოკალმის.
და იწერება ჩახრუხაული,
ბიჭები წერენ მაღალ შაირებს,
ეს ჩვენი მძაფრი სული ხმაურობს,
შენ რომ გგონია შენი ხმაური.
საესეა ჩვენით შენი ჰაერი,
როგორც სიმღერით,
როგორც ზღვაურით.
მე ვინ შემარჩენს,

მე ვინ მიხატობს,
მეც მათთან ვარ და არ ვიმიჯნები,
და რუსთაველზე მაღალ შინაკენს
მიჰყვებათ ხორბლისფერი ბიჭები.

...
მაღალ ბალახში,
შორსა და ახლოს,
ცისარტყელები ციდან ვარდება,
ყველგან ანთია იმედის სახლი,
სახლი საესეა მზით და ვარდებით.
ლამაზი დილა მთებზე თამაშობს,
თბილი ქარები კლავენ აციფვს
და წვიმასავით მაღალ ბალახში
ისმის პატარა ბიჭის სიცილი.
ღია ბარათებს ახატიათ
დიდი დათვები,
ღია ბარათებს ახატიათ
დათვის ბელები,
დათვი ეხვევა და ხეს აქცევს
დიდი თათებით.
დათვის ბელები,
სასაცილოდ საკვირველები.
ღია ბარათებს
ღია გული თუ გაამართლებს,
თორემ ყოველთვის
სიფრთხილეს ვიჩენთ...
და უგზავნიან ღია ბარათებს
ხავსივით მწვანეს
და ჭორფლიან პატარა ბიჭებს.
„ჩემო ბაბილო,
ჩემო ვაზო,
და ჩემო ბევრო,
„ჯიკენალის“ ტყეში
დათვებთან ხარ,
შე დათვის ბელო“.
ღია ბარათებს ახატიათ
დიდი გეშები,
დიდი ანთები მზისკენ მიდიან.
მწვანე ფერები
და ცისფერი ვრცელი ველები
გაუფენიათ მზის ხნულზე და
ისე ჰკილია.
ღია ბარათებს ახატიათ
მწვანე პალმები,
და წყაროები ახატიათ
ღია ბარათებს.
სუყველაფერი ნამდვილია,
რაც ახატიათ,

სუყველაფერი მართალია
და ვერ წაართმევთ.

ღამით ჩამოდის მთვარე ქადრებთან,
და ერთად სუნთქავს
მთვარე და ღამე.

ამალამ, ალბათ, ქარი ჩადგება,
მითხარი რამე,
მითხარი რამე...

ოღონდ მითხარი,
ოღონდ მითხარი,
ოღონდ მაყოცხლე,
ოღონდ მიშველე...

და ქარი სულის თეთრი მკითხავი
თმებს გვიწეწავს და თვალებს
გვიშტერებს.

და მთვარეში ჩანს მსუბუქი რწევა,
და მთვარეში ჩანს მზე და „ლილეო“,
მე ქარის ფრთებზე დაღლილი ვწევარ
და ვგრძნობ, ქარივით როგორ ვილევი.

ოღონდ მითხარი,
ოღონდ მითხარი,
რომ ჩემზე უფრო არავინ გიყვარს
და ის იქნება მზეზეც, მთვარეზეც,
სუყველაფერზე ლამაზი სიტყვა.

...

ჩვენ ავაშენეთ შენი ხიდები,
ჩვენ დაგამშვენეთ თიხის ღოჭებით,
არ შეიძლება შენი დანგრევა,
სულ რაღაც ერთი ხელის მოქნევით,
ერთნაირი გვაქვს ხელის გულები,
ჩვენი თვალებიც ერთმანეთს გვანან,
შურით გვიმზერენ შერიხტულები,
სულში აქეთ ჩვენი თვალების გვალვა.
მაგრამ მე ვდგავარ, ვით მძაფრი სული,
მოვარდნილ ქარში,
მხურვალე მზეში.

დადის ქუჩებში სიმშვიდე სრული
და მე სიჩუმის ხმაური მესმის.

და უცაბედად სიჩუმე გეტოვებს
და მწუხარება ჩნდება გარშემო,
ბავშვებს ვუსინჯავთ სისხლსა და
გონებას როგორ

და გვეშინია ჩვენი ბავშვების.
ასე წამლავენ ჰაერს და მიწას
და კმუტუნის სხეულს ხელი ვერავის,
ეხ, დღესაც ისევე საეჭვოდ წინწყლავს
და ტალახისფრად ღებავს პერანგებს.

...
მე ახლა ვითხარ ის დღე, რომელიც
შენი ცხოვრების არის ნაწილი,
მე შენ გიპოვე მთებში დაჭრილი,
მე შენ დაჭრილი განზე არწივი,
ტალახისფერი, საეჭვო წვიმით,
ბევრი ფიქრით და ბევრი განცდილით.

...
იწვება დიდი აღმოსავლეთი
და მე ბრიალა სხივებზე ვწევარ
და უელის მიწას „აღმოსავლეთი“,
როგორც იმედი და როგორც რწმენა.
ოღონდ ნუ ჩასთვლემთ, ჩემო

საბლებო,
ოღონდ არ გატყდეს პატარა სურა,
მე თქვენ ყოველთვის დაგენახებოთ,
მე თქვენ მთვარეზე წაგიღებთ სულაც.
მიფრინავს მზისკენ ფიქრი და სული,
და იწვის მზეში ლამაზი სევდა,
სხეულში ჩაგდის მზის ცხელი ხნული
და ჩვენს სიცოცხლეს სიკვდილშიც
ხედავ,

და ყვირის დიდი კავკასიონი,
რადგან ანთია უშა და შხელდა,
შენ ხარ ვენახი,
შენ ხარ სიონი,
შენ ხარ თბილისი,
შენა ხარ მცხეთა...
და მე მეამოდა, დიდი „ლილეო“
მზის სხივებს როგორ წეწდა და ხედა-

გიორგი ლავანი

ღ ე ღ ა

ეუბნეში სამინი იყვნენ, — მოხუცი ქალი, რომელსაც შავი ტანსაცმელი ეცვა და შავი თავსაფრიდან შესამჩნევად უჩანდა ქალარა თმა, და ორი მამაკაცი. ერთი, ახალგაზრდა, ფანჯარასთან იჯდა და გულგრილად იყურებოდა გარეთ; მეორე კი, შუახნის სათვალეებიანი კაცი, გაზეთს კითხულობდა. გაზეთი არც თუ ისე საინტერესო ჩანდა, რადგან ხელი ზშირად მიჰქონდა პირთან და ამოქნარებდა.

— აქეთ სად ბრძანდებოდი, დეიდა აგრაფინა? — დაარღვია სიჩუმე ახალგაზრდამ და მოხუცისაკენ შემობრუნდა.

მოხუცმა თავსაფარი შეისწორა.

— აგერ ვიყავი, ტყიბულში, — თქვა მან.

სათვალეებიანს, რომელსაც გაზეთის კითხვისათვის თავი დაენებებინა და მათ უსმენდა, ხმამაღლა გაეცინა.

— შე ქალო, ტყიბული აგერაა? რა იციან ეს იმერლებმა, რა იციან...

— რა ვიცი, ბატონო, მე არ მემორება და... — გაეცინა მოხუცსაც.

ახალგაზრდამ ისევ იკითხა:

— შენი ბიჭი კვლავ ტყიბულში მუშაობს?

— კი, ტყიბულში მუშაობს. შენ საიდან მოდიხარ?

— მშენებლობის უფროსთან ვიყავი. მეც იქ ვაპირებ მუშაობის დაწყებას.

— მართლა? აბა ერთად იქნებით.

— კი, ერთად ვიქნებით.

მატარებელს ხიდი გადაევიდა. ახლა სწორ გზაზე მიჰქროდა, ლურჯად მოვლვარე სიმიანდის ყანებს შორის, და ვიღაც

ცას ბავშვის გამოჩაგრებით ესიტყვებოდა:

— ყური უგდე ჩემს გუგუნს,

— ყური უგდე ჩემს გუგუნს:

— არ გავჩერდები!

— არ გავჩერდები!

— ენაცვალოს დედა, — თქვა აგრაფინამ და კედლიდან სურათი ჩამოიღო. სუფთა ტილო გადაუსვა და გადაწმინდა. შავულვაშებიანი გაღიმებული ვაჟკაცი იყურებოდა იქედან. თმები შუბლზე ჩამოეშალა, წარბები ზევით აეზიდა და გულში პირდაპირობით იყურებოდა.

აგრაფინამ სურათი ჩარჩოდან ამოიღო და ახლა ისე შეათვალიერა. მერე ტუჩებთან მიიტანა და აკოცა.

— ჩემი ბიჭი, ჩემი პატარა ბიჭი, — ჩურჩულებდნენ დედის ტუჩები. ერთხანს უხმოდ ეალერსა, მერე ისევ ჩარჩოში ჩასვა და კედელზე დაჰკიდა, ახლა მეორე სურათი ჩამოიღო. იგი პირველის გვერდით ეკიდა, ხელმარცხნივ. ტილო გადაუსვა და ნაღვლიანად შეხედა. აქედანაც იგივე თვალები უქექროდნენ, იგივე უღვაშები, იგივე სახე... თითქოს პირველის ასლიყო. მხოლოდ განსხვავება ის იყო, რომ ლამაზად შეკერილი სამოქალაქო კოსტუმის ნაცვლად, აქ სამხედრო ტანსაცმელი ეცვა და მკერდზე ვარსკვლავი ეკიდა. აღარც გულშია ღიმილი უჩანდა. მის მაგივრად, ღრმად ჩაწეულა თვალების შიგნით, დარდი და გულსწყრომა იხატებოდა. აგრაფინამ ჩარჩოდან ამოუღებლად აკოცა სურათს. ტუჩებზე მინის სიცივე შეიგრძნო და გააყრყოლა...

— მოგესწრო ვაჟკაცი, კოწია, — ჩიო

ჩურჩულეს ტუნებმა. სურათი აიღო და ისევ ყედელზე დაჰკიდა პირველის გვერდით. კიდევ ერთხელ შეავლო თვალი და გარეთ გამოვიდა.

— ფაცურია, — გასძახა მეზობლის გოგოს, რომელსაც ჩაფით წყალი მიჰქონდა ჰიდან. გოგომ მოიხედა, ჩაფი ძირს დადგა და მისკენ გამოემართა.

— გამარჯობა, დეიდა აგრაფინა, როდის ჩამოხვედი?

— ეს წუთია მოვედი, — თქვა აგრაფინამ, — ძროხამ ხომ არ გაგაწვალა?

— არა, სულ არა, — გაეცინა გოგოს, — არცეი განძრეულა.

აგრაფინა კიბეზე ჩამოჯდა.

— რა კარგი ამინდები ყოფილა აქეთ, ბოსტანს გამომიგვალავდა.

— ბოსტანი უკვე დაგიბარე.

— შართლა? — გაეხარდა აგრაფინას, — ნამდვილი ოჯახის ქალი ხარ.

— ისიც გადაეყარე, — განაგრძო ფაცურია, — სახლის ბოლოს რომ მენძი გეყარა. ახლა სიტყვებია და ცუდი სუნი აუვიდოდა.

ნეოში კრუხი და წიწილები გამოვიდნენ და ჭოთქოთით, წიფწივით შემოიხვივნენ მოსაუბრეებს.

— წიწილები ხომ არ დამიწყვიტე, გოგო, შიმშილით? — გულკეთილად გაიცინა აგრაფინამ.

— რას ამბობ... საკუთარივით ვუწლიდი, — გაწითლდა ფაცურია. აგრაფინამ დაკვირვებით შეხედა მას.

— დათომ მოკითხვა დამაბარა, — უთხრა მერე, — რომ ჩამოვალო, რაღაც კარგი საჩუქარი უნდა ჩამოვუტანო.

ფაცურია ნაწნავს დაუწყო წვალეზა. მერე სახე გვერდზე მიიბრუნა და უცებ თქვა:

— ახლა წავალ, დეიდა აგრაფინა, თორემ კეცები მაქვს ვადგმული და ჩამიცვლება.

— წადი, შვილო.

ფაცურია წავიდა. აგრაფინამ თვალი გააყოლა.

— შშვენიერი გოგოა, — თქვა თავის-

თვის. მერე რატომღაც შვილი გაახსენდა და ისევ სახლში შებრუნდა.

აგრაფინა
გაგრაფინა

„ალბათ, ახლა სამუშაოდან ბრუნდება“, — გაიფიქრა აგრაფინამ. ვედრო აიღო და ძროხის მოსაწველად გაემართა. ძროხამ პატრონის დანახვაზე შებლაგულა. აგრაფინამ ხზო აუშვა. ხზო ძროხას მივარდა და ჭიქანში თავი ამოსცხო, მერე წოვა დაუწყო. დრო და დრო ისევ ამოჰკრავდა, თითქოს მეტი რძის გამოდენას ლამობსო.

აგრაფინა შორიდანვე ცნობდა შვილის ფეხის ხმას — დამ-და, დამ-ბუხ... დაჰკრავდა უკანასკნელ საფეხურზე. ისიც აღგებოდა და მაშინვე კარებში გამოეგებებოდა.

დათო სამახურიდან ყოველთვის პირდაპირ მიდიოდა სახლში, ღვდა როცა იქ იყო, ყოველთვის პირდაპირ მიდიოდა, იცოდა, შინ მშვენიერად მომზადებული საჭმელი დახვდებოდა. სხვა დროს კი სასადილოში ჰამდა ხოლმე, „ალბათ, ახლაც მივა“, გაიფიქრა აგრაფინამ და ვედრო ძროხას შეუდგა. მერე დაიხარა და წველა დაუწყო. „პო, მივა... ჯერ ვიდევ ორ-სამ დღეს ეყოფა დედის მომზადებული საჭმელი“.

— დათო, — თქვა უცებ და ბოსლის კედელს მიაჩერდა, — ყოველთვის რატომ გავიწყლება ხელის დაბანა ჰამის წინ?

ძროხამ გაკვირვებით მოიხედა... აგრაფინას კი ვიღაც გაუპასუხა კედლის მიღმა.

— არა, დედა, დღეს წინდამწინ დავიბანე, — იცინის დათო.

— სულელი ბიჭი ხარ, ეუბნება-დედა. წინ საჭმელს უდგამს. დათო ჰამს. მაინც როგორ ჰამს? თითქოს ვიღაც მოსდევდეს. მამამისი კი წელა ჰამდა. უფრო დინჯიც იყო და უფრო სერიოზულიც.

ვედროში ჩხრიალი გაუღის რძეს.

— ნელა, ბიჭო, არ დაიხრჩო, — იცინის დედა.

ხზო ისევ იჭრება, აგრაფინა ისევ უშ-

ვეს მას. მერე წველას ამთავრებს და სახლისაკენ მიდის...

დათოს ყოველთვის უყვარს კარგად გაუთოვებული შარვალი. აგრაფინას კი აბა სადა აქვს იმდენი ძალა, ზოლებს მკვეთრად დაანჩინოს? დათო იცინის და უთოს ართმევს. მერე თვითონ უსვამს.

— მომეცი, არ დაწვა, — ეუბნება დედა.

— არა, დედა. შენ დაბერდი და აღარ შეგიძლია. მე კი მშვენიერად ვაუთოვებ.

— ჰო, შეილო... დავბერდი, — ნაღვლიანად ამბობს აგრაფინა.

დათო უთოს დგამს და ეხვევა.

— ნუ გეშინია, დედა, მე მოგცემ ძალას. იმდენი მაქვს, ორივეს გვეყოფა... ბეგრსაც ეყოფა, ვისაც დაუქარგავს და არ აქვს, ვისაც ერთბაშად დაუხარჯავს და აღარ შერჩენია.

— ჩემი კარგი ბიჭი... — ეხვევა დედა. ატყობს, რომ შეიძლება ატირდეს და თავს იმაგრებს. არ უნდა შეიღოს ცრემლი უჩვენოს. მთელი ამ ხნის განმავლობაში უტყრემლოდ ხარდა. ამიტომ გამოვიდა ასე გულლია და არა გულჩახვეული, დარდიანი.

ღამდება.

„ახლა, ალბათ, კინოში წაეა“, — ფიქრობს აგრაფინა და უცებ გული წყდება, რომ კინო მთელი ორი საათით დააშორებს მის ბიჭს. ხშირად თვითონაც წაპყვება ხოლმე, მაგრამ, როცა არ მიპყვება, ზის ბუხართან და უცდის... სამსახურის დროს არ თვლის. დედამ კარგად არც კი იცის, რას აკეთებს მისი შვილი, მაგრამ იცის, რომ კარგ საქმეს აკეთებს, ხალხის საკეთილდღეოდ მუშაობს და იტანს ამ განშორებას. კინო კი ყოველთვის გულს წყვეტს. ხომ შეიძლება არ წავიდეს და სულ მასთან იყოს? მაგრამ იცის, რომ არც ეს შეიძლება და ამასაც იტანს.

ზის ახლაც ბუხართან და უცდის, როდის მობრუნდება მისი შვილი კინოდან. ამ დროს ხან მეზობელთან ვადავა ხოლმე და ლაპარაკით გაერთობა, ხანაც უხმოდ ზის და უცდის. გარეთ ყველა საქ-

მე გაკეთებული აქვს, სხვა რაღა უნდა გააკეთოს?

და აი, ბრუნდება მისეულ მუშაობაზე... ნაცნობი ფეხის ხმა: დამ-და, დამ-ბუნ... აგრაფინა კარებში ეგებება.

— სად იყავი აქამდე?

— კინოში, დედა.

— სულელო ბიჭო, მე კი უშენოდ ვეღარ ვაქცილი.

— წამოდი ხოლმე, შენც, დედა — ეუბნება შვილი და ხელს ხვევს.

— ჰო, მაგრამ... ვერ ვიტან... ხმაურს ვერ ვიტან, თუმცა ხანდახან ხომ დაეიარები?

სახლში უხმოდ შედიან, ჩაის სვამენ.

— უკვე ძილის დროა, — ეუბნება დედა, — დაიძინე, ხვალ ადრე ხარ ასადგომი.

აგრაფინა ბუხარში ცეცხლს ხვევს...

— კარგი, დედა, — ამბობს დათო და მეორე ოთახში გადის. ცოტა ხნის მერე ესმის შვილის ვაჟკაცური სუნთქვა. ეს სუნთქვა ედება მთელ სახლს, მთელ ეზოს, მთელ ქვეყანას და უსაზღვრო სიბოთით და სინახით ავსებს.

დაწოლის წინ დედა ყოველთვის დახედავს მძინარე შვილს, სიყვარულით შეუსწორებს ჩამოცურებულ საბანს და ფეხაკრფებით გამოდის... დღამდე უნდა გასძლოს, დღით კი ისევ შეხვდება სამსახურში მიმავალ თავის ერთას.

აგრაფინა წამოდგა, ბუხარს მოსცილდა და გარეთ გაიხედა. ძინავს სოფელს, უკვე კარგახანია ძინავს. „დაწოლის დროა“, ფიქრობს აგრაფინა, მაგრამ არ ემეტება შვილის დატოვება. უნდა კიდევ დაეღაპარაყოს, კიდევ გაიგონოს მისი ხმა, მაგრამ რომ ძინავს?...

...უცებ მის წინ დგრილით ჩაიქროლა მატარებელმა.

— შექალო, ტყიბული აგერაა? — ამბობს სათვალეებიანი მამაკაცი და იცინის.

აგრაფინა გულმოსული კეტავს კარებს.

— აგერაა... აბა შორსაა? აგერაა, მაში...

სუბა ბაგუა

ორი ლექსი

პ რ ო ლ ო გ ი

ეს იყო—როგორც მძაფრი პოემის
პროლოგი, რაც ვერ აგხსენი დღემდე;
ეს იყო—წვეთი ამ სიტყვების
ერთხელ მაგემა და მომკლა შემდეგ!

ეს იყო—თეთრი ალუბლის ტოტის
სინაზე, - თვალის ახვევა ნისლით.
შორსმხედველობა ეს იყო ჭოტის—
ღანეთი. მაგრამ ეს მოხდა დღისით.

ეს იყო,—რით ვარ სხეებზე ნაკლები!—
გულმკერდზე მჯიღის დაცემა მაგრად.

ვითარ მიზანში ტყვია, —განგების
გარდუვალობა ეს იყო, მაგრამ, —

როგორც მარების გაპარვა დილით,
ან ამოშრობა უეცრად ჯამში
ზუსტუნა ღვინის.—ათასჯერ ტკბილის
მანაბდე, ვიდრე გასინჯავ ქაშნიკს.

როგორც ახდენა დიდი სურვილის:
ხელის ჩაქნევა—ეს იყო მხოლოდ?!
ან სამუდამოდ მოკვლა წყურვილის, —
ეს სიყვარული დასრულდა ბოლოს.

• • •

როგორ წვიმს!..
მიქრის ტყვიასავით ქუჩაში ძაღლი, —
დროდადრო
ისმის შეკივლება
დამფრთხალ ქალების.
მაგრამ ყველაზე თვალსაცემი
ქალაქში
ახლა
არის ქოლგების მოძრაობა
და მანქანების.

შენც შეყურებულხარ ქოლგაში და
ალარ გაშინებს
წვიმის შოლტები,
შემოდგომის ქარი თავნება...
გსურს შიშველ ხეებს გაუწოდო
ქოლგა გაშლილი
და გულუბრყვილოდ გეღიშება,
და გენანება.



თაგა ჯაახიზილი

ჩემს თოგას

სუფთა და ამაყი ბავშვები ვართ
ჩვენ,

გვიყვარს ხეტიალი და
სიახლის განცდა...

გვიყვარს ერთმანეთი სისუფთავით
სიამაყით

და ყველაფრისაგან მოვითხოვთ
უმაღლესს...

გვალღვებს საუკუნე ჩვენი,
უფრო კი მომავალთა სიღაღე...

ჩვენ გვჯერა, ფიქრები გვაქვს
მაღალ-მაღალი,

და ურთიერთშორის გვეგულება
გენიოსი.

მეოცე საუკუნის შვილები ვართ ჩვენ
და თითქოს გვეცხოვროს ოცი და

მრავალი,
ისეთი მძაფრი გვაქვს სიცოცხლის
განცდა...

ნაომარი, დიდი ქალაქების
შვილები ვართ ჩვენ,

გვერდებშენგრეული მაღალი
სახლების,

და სისხლი ჩვენი

სავსეა მშვიდობის სურვილით,
სიმაღლეთა შექმნის სურვილით...

გადამწვარი მიწების,
დამდნარი ღიანდაგების,
დაწეწილი მათულების
შვილები ვართ ჩვენ,
და სისხლი ჩვენი
მოერეკება ახალ სილამაზეს...

ჩვენ ვიტყვით საუკუნეთა
ოცადქცევის სათქმელს,
კოსმოსში ავიტანთ საუკუნეთა
სიოცეს.

გაგვეცინება
დახლეჩილი ასწლოვანი
ბროწეულების სიუხვით
და მერე მოგვედებით ისე მშვიდად,
თითქოს ჯერ არ დავბადებულავართ...

სუფთა და ამაყი ბავშვები ვართ
ჩვენ,

გვჯერა ერთმანეთის
და გახანგრძლივდება ძალა
საუკუნის,

ოდეს ერთმანეთს მივუახლოვდებით...

მ თ ე ბ უ ი

მხოლოდ შეაღღეა
და გაქვავებულთა კოშკთა შვეულება
მხოლოდ ენგურია
და თავშეუკავები რკენის ჩვეულება.

შუადღის ჭვრებია,
მზე დამდნარ სპილენძად ჩამოდის
ყავარ-და-ყავარ...
ვიღვიძებ კაცი და არ ვიცი კარგა ხანს,
ვინა ვარ, რა ვარ...

ვიღაცა სდუმს და ისმის სიმღერა:
შენ მინდორი ხარ, ჩემო სინათლე,
ყვავილოვანი ხეების რხევა,
და დედამიწა შენა შერე, გვიან
მიმორღვეულა ხევად და ხევად,

შენ დარჩენილხარ, ჩემო სინათლე,
და გახლავს ხეთა ფერადთა რხევა.
წევხარ ცის პირად ვარინდებული
და შუადღეთა შვავი ირყევა,

შენა ხარ მხოლოდ, სხვა ყველაფერი
შერღვეულია უამრავ ხევად,
ან რას უზამდა დედამიწის პირს
წყალთა მრავალთა უგონო ნთხევა.

და შენ ღრუბლების ჩრდილი გეცემა,
ქარებია და ღრუბლების ხევა,
შენა ხარ მიწა, შენ ხარ მინდორი,
და მე მიგზავნი უდიდეს ხმაურს,
ყვავილოვანი ხეების რხევას...

კ. ვასაძე

გ ა რ ს ი ა

თაროებზე დადგმული სანთლები დაი-
ლია და დარბაზში მხოლოდ ნაკვერჩხ-
ლებიღა იწოდა. ბნელში კაცებივით და-
უძღებულებიყვნენ დიდრონი სალუდე
ქვაბები. მათ ირგვლივ, მიწაზე, კოშები
და ჩხუტები ეყარა.

— ჰა, გარსიაე... ჰა? — ნამთვრალევი
ხმით განაგრძობდა ხიჩილა.

ახლა ხატში იმათ გარდა აღარავინ და-
რჩენილიყო. სამი დღე დღესასწაულობ-
დნენ აზიელელები ათენგენობას და ბო-
ლოს, როცა ყველა კოდი ამოსცალეს,
ლუდით გაბრუებულები თავიანთ სახლე-
ბში ბუბუნ-ბუბუნით მიმოიშალნენ. მხო-
ლოდ გარსია არ ბრუნდებოდა შინ. ხირ-
ჩლამაც იმის ხათრით წასვლა დააყოფ-
ნა და მეგობარს გვერდით მიუჯდა.

— აგრე არ არი?... ჰა? — დიდხანს
ეუბნებოდა რაღაცას. მერე დაიდალა.

— არ მოხვალ? — ჰკითხა კიდევ ერ-
თხელ და როცა პასუხი არ მიიღო,
წამოდგა და ისიც სახლისკენ წაჩოლფო-
ტდა.

გარსია მარტო დარჩა...

მთელი სამი დღე უცნაურად მშხარე-
ლობდა გარსია, უცნაურად კარგა ხასია-
თზე იყო. ზედიზედ ცლიდა ლუდით პი-
რთამდე ავსებულ თასებს და თავის
წყლიანი ენით ათენგენობას ლოცავდა.
მერე უცებ დადუმდა, მოიღუშა და ცეც-
ხლთან ჩამოჯდა. ჩაიოჯდა და აღარც გა-
ძრეულა. მოხლობზე იდაყვდაყრდნო-
ბილი ყვერფნს ჩამტერებოდა და თავი-
სთვის, ჩუმად ბუბუტუტებდა.

არხოტელებს შემოუთვალეს — ბარში
გადმოსახლდით, სახლიც გექნებათ და
ეზოკარიც... რვა თვე მთაში ქვეყანას

მოწყვეტილები ვერაფერს აკეთებთ და
აქ ცხვარს და სხვა საქმესაც უკეთ მოუ-
ვლითო. ამ რჩევამ თითქმის ყველანი აი-
ტაცა და საფეხვნოზე არაერთხელ უმს-
ჯელიათ მის მერე.

წავიდეთო, ენახოთო, სთქვეს ბოლოს
და გამგზავრება ათენგენობის შემდეგ
გადაწყვიტეს.

...ფიქრობდა გარსია, დიდი ხანი იყო,
რაც ფიქრობდა ამაზე და გულში ვერა
და ვერაფერი გადაწყვიტა.

ცეცხლი სულ ჩაინაცრა, ამან ფიქრი
შეაწყვეტინა; წამოდგა, საბნელში მი-
მოიხედა და მძიმე ნაბიჯით კარებში გა-
ვიდა.

საჩუმე იყო გარეთ. მხოლოდ ნისლია-
მოწოლილი მდინარის დაგუდული ხველა
ისმოდა შორიდან. გარსიამ ცას ახედა და
დაინახა, როგორ ფრთხილად მიცურავ-
დნენ ღრუბლის ფთილები რომისკენ.
ღრუბლები გზად მთვარეს აფთარებოდ-
ნენ ხოლმე და ისიც, თითქოს საცერში,
ისე გაცარიდა თავის სხივებს... მერე მა-
რცხნივ საჯიხვე კლდეებს დააკქერდა.
სახეზე ღიმივა გადაურბინა გარსიას, რო-
ცა ხირჩლასთან ერთად იმ ჰიუბებში გა-
ტარებული დღეები გაახსენდა.

...ამოხვედებოდა მთვარის ნალევი.

ამოანათებდა კლდეს,

და ისინიც ამ დროსთვის შეუკრავდ-
ნენ ჯიხვებს გადასახედს.

საწოლთვე წასვლას ჯიხენი ცისკრით
შუქზე იგებდნენ,

მოდიოდნენ წყნარად,

თვირთვილიან ქუჩის ძოვებით.

სათოფეზე როცა მოუახლოვდებოდ-
ნენ,

ქანანს გააღენდა ჩახმაზი,
და მთებიც პასუხად ამოიხრებდნენ
თითქოს...

ყარგი მონადირე იყო გარსია. მიზანს
იშვითათდ თუ აცდებოდა იმის ნასროლი
ტყვია. საღამოთი, მხარზე ჯიხვებადადე-
ბული ამყად შემოაბიჯებდა სოფელში
და გრძნობდა, თვალს როგორ აყოლებდა
საბედო თავის ეზოდან.

საბედო...

საბედო...

საბედო...

ყრულ გაიმეორა გულმა ეს სახელი.

წუთით თვალწინაც წარმოუდგა—მა-
ღალი და მკერდასე საბედო, თვალეზი
რომ მუდამ ცისფრად უბრწყინავდა.

მისდამი ტრფობა გარსიას ბავშვობი-
დანვე ჰქონდა გულში. სხვა არავინ უნ-
დოდა იმის გარდა. ის კი არაფერს იმჩ-
ნებდა და ყველასთან ერთნაირი იყო;
თუმცა მოსწონდა ვაჟის ხუჭუჭი, შავი
თმა და მის ძლიერ, ფართო ბეჭებში მა-
შაკაცურ ძალას გრძნობდა.

„ქარივით დაბჭრის იმის გულ და ჩემი
კი იწურების ტიალი“ იტყოდა ხოლმე
გარსია, როცა საბედო მზიარული სიცი-
ლით იმის სახლთან შუკაში ჩაირბენდა.
მერე ის იყო, ბათაკამ მოტაცება რომ
დაუბირა.

...ფეხდაფეხ გამოუდგა გარსია თავის
ფეხკავშათი, ხირჩლასთან ერთად
გზა ვიწროებზე გადაუჭრა და რომე-
ლებს ქალი ზედ გადასასვლელზე და-
ტოვებინა.

„ღვევსაც ავართომდი შენს თავს,
ციცავ, ნუ გეშინის“, ამწვილებდა შეში-
ნებულ საბედოს, როცა ცხენს უკან, სო-
ფლისკენ მოაგვლავებდა, და მთელი გზა
ვალერსებოდა.

ხეცსურებმა სიმღერაც კი თქვეს გარ-
სიას ამ ვაჟკაცობაზე და საბედოსაც სხვა
გზა აღარ ჰქონდა მისი სიყვარულის გარ-
და.

„ყარვ ვაჟი არს“

დაუდასტურა უშიშამ, საბედოს მა-
შამ, როცა ოჩიაურებისგან თავის ქალი-
სადმი გამოგზავნილი სიმბილო მიიღო.

„ყარვ ვეყმეს, არ აშინებდას ხანჯარ
და შულდ“

და დიდი ქორწილი გავმარჯვებულე
არხოტში.

საბედო,

საბედო,

საბედო...

გამოსცემდა მისი გულის ხმა ისევ ამ
სახელს.

ცოლქმრობამ არ შეუნელა სიყვარუ-
ლი გარსიას და საბედო მისთვის მუდამ
ნანდაური იყო. გული უწინდებურად
აუძგერდებოდა მისი სხეულს შეხების
თანავე და ქალს შეკავებული ნდომით
ჩახედავდა თვალეზში.

საბედო კი ქმრის ასეთ შემოხედვაზე
იღწეებოდა და თავს მორცხვად ჩარგა-
ვდა იმის მკერდზე. ორი წლის შემდეგ
მეუღლეს ვაჟი აჩუქა და მერე... მერე
ძუძუს წოვებაც არ დასცალდა, ისე გა-
მოცალა ხელიდან.

დიღხანს გლოვობდა გარსია. მთელი
წელი არ გასულა სანადიროდ. იწვა ქერ-
ხოზე და საბედოზე ფიქრში ათევედა და
ალამებდა.

საბედო,

საბედო,

საბედო...

უცებ საბედოს ძახილი მოესმა და
თითქოს მისი ხელების შეხებაც იგრძნო.

გარსია შეიშმულწნა. თავი გაიქნ-გამოი-
ქნია. გვერდები დაუყუებოდა სიცივის-
გან და გული უჩვეულოდ უძგერდა...
ბოლოს ძალა მოიკრიფა და სახლისკენ
ბილიკს დაუყვა. მაგრამ სასაფლაოსთან
ისევ შეჩერდა.

ლოდზე ჩამოჯდა.

სიარული უჭირდა რატომღაც — ფე-
ხებში ძალა გამოცლოდა და სხეულის
ტარება ეძნელებოდა.

— ეგ ხან მამერივა თუ ლადაი, —
ამოიხვნეშა მან და საფლავის ქვაზე გუ-
ლაღმა გაწევა.

მერე ისევ იმ ფიქრებს მიეცა...

ზეგ დღისით ბარისკენ გზას უნდა გა-
სდგომოდნენ არხოტელები. შეკრავდნენ
თავიანთ ბარგს. აკვიდებდნენ ცხენებს.

საქონელსაც აახამდნენ და იმ ბილი-
კით დაუყვებოდნენ ქვემოთკენ. დაუყვე-
ბოდნენ და მაშინ... მაშინ დაცარიელდე-
ბოდა მათი სახლები, ოზლად დარჩებო-
და ოჩიაურთა ხატი. მგლებს ანაბარა
უკაცური ვახდებოდა ახიელი... აღარავენ
დაანთებდა სანთლებს სასაფლაოზე, აღ-
არავენ იტყოდა მიცვალებულთა სულის
მოსახიენებელს...

...„და ისინი რას გვეტყოდნენ ნეტავ?“
სთქვა გარსიამ და მამისეულ საფლა-
ვის ქვეშ ხელებით ჩაებლაუტა.

მამა გაახსენდა გარსიას — მისი წყლი-
ანი, ჭროლა თვალეები და თხელი, ფერმ-
კრთალი ტუჩები. გაახსენდა როგორ ას-
წავლიდა ბანზე კეპნაობას, თოფის სრო-
ლას და ცხენზე ჭირითს. სანადიროდაც
როგორ ატარებდა თავისთან და მთაზე
სიარულს აჩვევდა. ხშირად კი გვერდში
მოსიკამდა, დატენიდა თავის ჩიბუხს და
ასწავლიდა: „კაც ძილს არ დაენდოს არა-
სდროს. მკვლეული ვაეკაცის ძილ, არც
თოფ და ხრმალ, ხრმალ მშვიერა მგელ
არის — გულის მოკეთეი სადღეისოდ და
სახვალოდ კი ლიბუს მთხრელ. შენს
მკლავ და მუხლ დაენდე მხოლოდ, და
კიდევ შენს გულ. გულ არ გიმუხთლებს
არასდროს. გულ მახვედება არხვაცის
გულისთვის, თუ კარგ ვაეიის გულ არს“.
იტყოდა ამას, ღრმად ჩაისუნთქავდა თუ-
თუნის ბოლს და მერე ფერდობზე აზი-
დულ კოშკს დააცქერდებოდა. ახლა ის
აქ წევს, ამ ლოდის ქვეშ, და იქით კი თო-
რღვა არის — გარსიას უფროსი ძმა.
თორღვა პირველი ვაეკაცი იყო მთელს
არხოტში. ბოლოს ბედმა უმუხთლა და
სანადიროდ წასული გზად სიკვდილს
გადაეყარა...

„ჰე, თორღვაი, თორღვაი, შენ რას
იტყვ ნეტავ ახლა, რას?“ ამოიხენემა გა-
რსიამ და თვალეებზე მომდგარი ცრემლი
მგლით მოიწმინდა.

თითქოს ცხადად ხედავდა ყველა იმათ
სახეებს — ფერმკრთალსა და სევდიანს.
შორს იყვნენ ისინი, ძალიან შორს და
სდუმდნენ. რჩევას არ აწვდიდნენ იმათ
ხმას მოწყურებულ გარსიას. უწინ კი

არასდროს უგრძენია მათი ასეთი სიშო-
რე; ერთხელ ეზმანა, თითქოს ნაღვლობ-
დნენ მამები, კოშკს მარჯვენა კედელთ
რომ ეშლებოდა. ხალხი მყოფი დღესევე
შეჰყარა და კედელი შეაკეთებინა. ერთ-
ხელაც ძილში ძახილი მოესმა — გვში-
ვაო. დილაზედ ვერ მოითმინა და ხუთ
მოხვეერს თავები იმ ლამესევე წააგდები-
ნა საფლავეებზე. ესმოდა, მუდამ ესმოდა
იმათი და ახლა რატომ აღარაფერს ამ-
ბობდნენ. რად იყვნენ მისგან ასე შორს.
უწინ არასდროს უფიქრია ამაზე, არც
ის უგრძენია, რომ არ არიან — მოკვდნენ,
მაგრამ თითქოს არსებობდნენ კიდევ.
არსებობდნენ მათ სისხლში, მათ გონე-
ბაში... არსებობდნენ მუდამ და იარსე-
ბებდნენ, სანამ არხოტი და არხოტლე-
ბი იქნებოდნენ ქვეყნად და ახლა... ახლა
ხელმოკრედ კვდებოდნენ და მარტონი,
ყველასგან დავიწყებულნი დარჩებოდ-
ნენ ამ ღვთის და ხალხისგან მიტოვებულ
მიწაზე.

...მარტოდ დარჩებოდა საბედოს საფ-
ლავეც. გარსია იმას ძნელად-ლა მოინა-
ხულებდა. უწინ კი, რამდენჯერ უნატ-
რია, რომ მოკვდები, საბედოს გვერდით
დამსაფლავონო. და ახლა... ახლა იქაც
ვერ მიუწევდა გვერდში. იქაც შორს იქ-
ნება მისგან.

„არა, არ მინდა აგრე!“ წაუყიბარჩა
გულმა.

გარსიამ თვალეები გაახილა.
ცას უკვე ლურჯი ფერი გადაჰკრავდა,
მზის სხივებსაც მთის მწვერვალიდან
ზოლებად გამოეყონათ და მდინარეზე
გაწოლილ ნისლს მალა ზიდავდნენ. მან
ირგვლივ გალავანად შემოვლებულ მალ-
ლებს გადაავლო თვალი და სამყარო
ზღაპრული მოეჩვენა უცებ. ხმებიც
უცხო მოესმოდა, საამოდ სასმენი, და
სხეულის უცნაურ სიმსუბუქეს გრძნო-
ბდა.

„არა, არ მინდა აგრე“, ხამალა უნ-
დოდა დაეძახა გარსიას, მაგრამ სული
შეეხუთა, და გული ისე მძიმედ აუძგერა
და, თითქოს ზედ ლოდი დაეკიდათ.

„არა, არ მინდა აგრე!“

არა...

„არა“... — ამოიღულღულა ძლივს
და შერე, დაინახა,
შორიდან,
ძალიან შორიდან,
როგორ მოიწევდა მისკენ თეთრი ლა-
ნდი,

მზის სხავეებზე მოსრიალებდა იგი და
ნელა უახლოვდებოდა გარსიას.

— საბედო...

— საბედო...

— საბედო...

ის კი უფრო და უფრო უახლოვდებო-
და,

თეთრი,

სულ თეთრი.

თოვლზე უფრო თეთრი საბედო,

თეთრით მოსილი,

თეთრთვალეებიანი და თეთრთმებიანი...

„სა-ბე-დოოო“, ხელები გაასაესავა გა-

რსიამ და მის გამოწვედილ თეთრ ხე-
ლებს დაეყრდნო.

ცივი იყო საბედოს ხელები,
თოვლზე უფრო ცივი.

და ის გრძნობდა, როგორ თეთრდებო-
და ირგვლივ ყველაფერი, მთები, ხეები,
ცა, და მხოლოდ ძახილი ესმოდა ახლა—
თეთრი ძახილი.

• • •

„აჰუ, გარსიაე“

„აჰუ...“

„აჰუ“..


თავს დასდგომოდნენ არხოტელები
გარსიას ცხედარს. შუბლშეკმუხვნელინი
გლოვობდნენ მოხუც ხევისბერს.

„აჰუ, გარსიაე!“

„აჰუ...“

„აჰუ“...

გაუძნრევლად იდო მისი უზარმაზარი,
მშვიდი სხეული საფლავის ლოდებს შო-
რის და ნახანჯლარებით დადაღულ სახე-
ზე ოდნავი ღიმი გადაჰკრავდა.



გრიგორ ბრეხაძე

ვ. ი. ლენინი—სოციალისტური მრავალეროვანი
სახელმწიფოს ფუძემდებელი

სსრ კავშირის შექმნის ისტორიული თარიღიდან 40 წელი გვაშორებს. რაც უფრო მეტი დრო გადის 1922 წლის 30 დეკემბრიდან, მით უფრო ნათელი და ცხადი ხდება მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით შობილი საბჭოთა კავშირისა, რომლის ფუძემდებელს წარმოადგენს კომუნისტური პარტიის შემქმნელი, მთელი პროგრესული კაცობრიობის გენიალური ბელადი ვ. ი. ლენინი.

ეშვარებოდა რა ეროვნულ ურთიერთობარა განვითარების კანონზომიერების ლენინურ გაგებას, ნ. ს. ხრუშჩოვი სკკპ XXII ყრილობაზე აღნიშნავდა:

„სოციალიზმის პირობებში მოქმედებს ორი ურთიერთდაკავშირებული პროგრესული ტენდენცია ეროვნულ საკითხში. ჯერ ერთი, მიმდინარეობს თვითეული ერის სწრაფი და ყოველმხრივი განვითარება, ფართოდება მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უფლებები. მეორე, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით ხდება სოციალისტური ერების სულ უფრო მეტად დაახლოება. ძლიერდება მათი ურთიერთვაკლუნა და ურთიერთგამდიდრება“.

ამ ისტორიული ტენდენციების, ეროვნულ ურთიერთობათა განვითარების კანონზომიერებათა მარქსისტულ-ლენინურ გაგებას ემყარება საბჭოთა

მრავალეროვანი სახელმწიფოს, სოციალისტური ფედერაციისა და ავტონომიის მშენებლობა.

ვ. ი. ლენინმა ყოველმხრივ გამოაშკარავა ბურჟუაზიული ფედერაციის არსი, შეიმუშავა და სახელმძღვანელო სისტემად ჩამოაყალიბა სოციალისტური ფედერაციისა და ავტონომიის პრინციპები. მან ცხადყო, რომ სახელმწიფოთა სოციალისტური ტიპის ფედერაცია ძირეულად, პრინციპულად განსხვავდება ყოველგვარი ბურჟუაზიული ფედერაციისაგან. ბურჟუაზიული ფედერაცია იმპერიალისტური ბურჟუაზიის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმაა. ბურჟუაზიულ ფედერაციულ სახელმწიფოში ხელმძღვანელ ძალას წარმოადგენენ იმპერიალისტური ბურჟუაზია და მისი ნაციონალისტური, შოვინისტური პარტიები, ბურჟუაზიული საკავშირო სახელმწიფო იქმნება მხოლოდ ძალადობისა და დაპყრობითი ომების გზით, მშრომელთა უღმობელი ექსპლოატაციისა და ხალხთა ეროვნული ჩაგვრის საფუძველზე. ამიტომ ბურჟუაზიული მრავალეროვანი სახელმწიფო სუსტია და ვერ უძლებს სერიოზულ გამოცდას, განსაკუთრებით მძიმე ომებსა და რევოლუციურ ქართვეილებს ამ დებულების სისწორეს უდავოდ ადასტურებს ავსტრია-უნგრეთის მრავალეროვანი სახელმწიფოს დაშლა ცალკე სახელმწიფოებრივ ერთეულებად პირველი მსოფ-

ლით ომის დროს და იმპერიალიზმის სამარცხვინო კოლონიური სისტემის ძირფესვიანი რღვევა, მთელი რიგი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოშობა აზიაში, აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში მეორე მსოფლიო ომისა და სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ.

იმის გამო, რომ ბურჟუაზიის მიერ შექმნილი სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი ემყარებიან ხალხთა სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას, ვ. მარქსი, ფ. ენგელსი და ვ. ი. ლენინი კაპიტალიზმის პირობებში პრინციპულად ფედერაციის წინააღმდეგი იყვნენ. ვ. ი. ლენინი 1913 წელს აღნიშნავდა: „პრინციპულად ჩვენ წინააღმდეგი ვართ ფედერაციისა — ის ასუსტებს ეკონომიურ კავშირს, ის უვარგისი ტიპია ერთი სახელმწიფოსათვის“ (თხზ., ტ. 19, გვ. 598).

აქ ლაპარაკია მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიულ ფედერაციაზე. იმპერიალიზმის უღლისაგან ხალხთა ხსნისათვის იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია ბურჟუაზიული წყობილების პირობებში ვ. ი. ლენინს ფედერაცია კი არა, ეროვნული სახელმწიფო მიაჩნდა ტიპურ მოვლენად. „მთელი დასავლეთი ევროპისათვის, — წერდა ვ. ი. ლენინი 1914 წელს, — უფრო მეტიც: მთელი ცივილიზებული მსოფლიოსათვის — ტიპურ, ნორმალურ მოვლენას კაპიტალისტურ პერიოდში ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს“ (თხზ., ტ. 20, გვ. 483).

სულ სხვა საფუძველზე იქმნება სოციალისტური ფედერაცია, რომლის ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას წარმოადგენს მუშათა კლასი კომუნისტური პარტიის მეთაურობით. სოციალისტური ფედერაცია კაპიტალის უღლისაგან განთავისუფლებულ თანასწორულლებიან ხალხთა ძმური სახელმწიფოებრივი კავშირია, რომელიც შენდება ეროვნული რესპუბლიკების სრული ნებაყოფლობის საფუძველზე. ამიტომ სოციალიზმისათვის საცესებით კანონ-

ზომიერია მრავალეროვანი სახელმწიფოებრივი ფედერაცია, რომელსაც ხალხები მიჰყავს სრული ერთმანებობა, კომუნისმის საბოლოო გამოჩენისას.

თანამედროვე ეპოქაში, რომლის ძირითადი შინაარსია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე რევოლუციური გადასვლა, სოციალისტური ფედერაციის უმაღლესი ფორმაა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელიც ჩამოყალიბდა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ლენინის მეთაურობით რუსეთის სფსრ უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ და ამიერკავკასიის სფსრ ერთ ძმურ კავშირში გაერთიანების საფუძველზე და ამჟამად ითვლის 15 თანასწორულლებიან მოკავშირე რესპუბლიკას.

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ჩამოყალიბებით შეიქმნა მიმზიდველი ცენტრი, რომელიც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ბუნებით თავის გარშემო იკრებდა საბჭოთა რესპუბლიკებს. რუსეთის სფსრ თავიდანვე წარმოადგენდა დიდ მრავალეროვან საბჭოთა სახელმწიფოს. მის შემადგენლობაში საბჭოთა ავტონომიის უფლებებით შევიდნენ ბაშკირეთის, თათართა, ყირგიზეთის, თურქმენეთის, მთიელთა, დაღესტანის, იაკუტიისა და სხვა რესპუბლიკები და 11 ოლქი. მას წარმოშობიდანვე, ხელშეკრულებებით უკავშირდებოდნენ და მისგან უანგარო დახმარებას იღებდნენ ახალგაზრდა დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკები. ამიტომ სწორედ რუსეთის სფსრ გახდა გრანტიცებული საფუძველი ისეთი უმაღლესი ტიპის ფედერაციული წარმოქმნისათვის, რაგორიც არის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, რუსეთის სფსრ ჩამოყალიბებისა და განმტკიცების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე ვ. ი. ლენინი მივიდა დასკვნამდე, რომ პროლეტარიატის დიქტატურის პირო-

ბებში მხოლოდ ახალ, საბჭოთა ტიპის ფედერაციას შეეძლო მივეყვანეთ ეოყბის ნამდვილ ძმურ მეგობრობამდე, მათს მტკიცე დაახლოებასა და ერთიანობამდე.

„ჩვენ, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ვმოქმედებდით უდიშლომატებოდ, არ მივმართავდით ძველ ხერხებს, რომლებსაც იყენებენ იმპერიალისტები, მაგრამ უდიდესი შედეგი თვალწინა გვაქვს — რევოლუციის გამარჯვება და გამარჯვებულთა შემოერთება ჩვენთან ერთ მძლავრ რევოლუციურ ფედერაციად. ჩვენ ვმბრძანებლობთ არა განცალკევებით, ძველი რომის სასტიკი კანონის თანახმად, არამედ იმით, რომ ვაერთიანებთ ყველა მშრომელს ცოცხალი ინტერესების, კლასობრივი შეგნების გაუნუწყვეტელი ჯაჭვით... აი ჩვენი ფედერაციის საფუძველი, და მე დრმად ვარ დარწმუნებული, რომ რევოლუციური რუსეთის ირგვლივ სულ უფრო და უფრო შემოიკრებიება თავისუფალი ერების ცალკეული სხვადასხვა ფედერაცია. სრული ნებაყოფლობით, სიცრუისა და მახვილის გამოუყენებლად, გაიზრდება ეს ფედერაცია, და იგი უძლეველია“ (თხზ., ტ. 26, გვ. 562).

ბუნებრივია, ისეთი მაღალი ფედერაციული გაერთიანების ჩამოყალიბება, როგორც არის სსრ კავშირი, ერთბაშად შეუძლებელი იყო. თუ რუსი ერი რსფსრ-ში ფართო ავტონომიურ საფუძველზე აერთიანებდა ხალხებს, რომლებსაც წინათ არ გააჩნდათ არც დამოუკიდებელი სახელმწიფო და არც ავტონომია, სსრ კავშირში უნდა გაერთიანებულიყვნენ დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკები, რომლებსაც წინათ ჰქონდათ თავიანთი სახელმწიფოები. ამიტომ ასეთ სახელმწიფოთა ერთიან კავშირში გაერთიანების ფორმა გულდამით უნდა შესწავლილიყო.

„ჩვენ გვსურს, — წერდა ვ. ი. ლენინი 1919 წელს, — ერების ნებაყოფლობითი კავშირი, — ისეთი კავშირი, რომელიც არ დაუშვებდა ერ-

თი ერის არაერთარ ძალმომრეობას შეორე ერისადმი, — ისეთი კავშირი, რომელიც დამყარებული იქნებოდა სრულ ნდობაზე, ძმური ერთიანობის ნათელ შეგნებაზე, სავსებით ნებაყოფლობით თანხმობაზე. ასეთი კავშირის ერთბაშად განხორციელება შეუძლებელია; ასეთ კავშირამდე უნდა მიგვიყვანოს მუშაობამ უდიდესი მოთმინებითა და სიფხიზლით, რომ საქმე არ გააფუჭოთ, უნდობლობა არ გამოვიწვიოთ, რომ აღმოვეჩვრათ უნდობლობა დატოვებული მემამულეებისა და კაპიტალისტების, კერძო საკუთრებისა და მისი გაყოფისა და გადაყოფის გამო გამოწვეული საუკუნოებრივი ჩაგვრით“ (თხზ., ტ. 30, გვ. 348).

რუსეთის სფსრ მშენებლობის მდიდარი გამოცდილების შემოქმედებითი გამოყენების საფუძველზე შეიქმნენ ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქები იმ საბჭოთა რესპუბლიკებშიც, რომლებშიც ეს აუცილებელი იყო. მაგალითად, საბჭოთა საქართველოში ჩამოყალიბდა აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ეროვნული საკითხის გადაწყვეტის, მენშევიკების სისხლიანი დიქტატურის პერიოდში ხალხთა შორის გამოწვეული უნდობლობისა და შუღლის დაძლევის, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სოციალიზმის გამარჯვების უზრუნველყოფის საქმეში.

სსრ კავშირის ჩამოყალიბებისათვის პირობების მოსამზადებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის სფსრ, რომელიც შეიქმნა ვ. ი. ლენინის ინიციატივითა და უშუალო მითითებებით.

ჯერ კიდევ 1920 წელს, როცა მხოლოდ ისახებოდა სამოქალაქო ომის დამთავრებისა და შშვიდობიან სამეურნეო მშენებლობაზე გადასვლის პერსპექტივა, ვ. ი. ლენინი წერდა: „ფედერაციას რომ სრული ერთიანობისაკენ გარდამავალ ფორმად ვალიარებთ, აუცი-

ლებლად უნდა ვისწრაფოდეთ უფრო და უფრო მჭიდრო ფედერაციული კავშირისაკენ და მხედველობაში გვექონდეს, ჭერ ერთი, ის, რომ შეუძლებელია შევინარჩუნოთ არსებობა საბჭოთა რესპუბლიკებისა, რომლებიც გარშემორტყმული არიან სამხედრო მხრივ შეუდარებლად უფრო მძლავრი მთელი მსოფლიოს იმპერიალისტური სახელმწიფოებით, თუ უმჭიდროესი კავშირი არ იქნა საბჭოთა რესპუბლიკებს შორის; მეორე ის, რომ აუცილებელია საბჭოთა რესპუბლიკების მჭიდრო ეკონომიური კავშირი, ურამლისოდაც განუხორციელებელია იმპერიალიზმის მიერ დანგრეულ საწარმოო ძალთა აღდგენა და მშრომელთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა; მესამე, ტენდენცია ერთიანი, ყველა ერის პროლეტარიატის მიერ საერთო გეგმით მოწესრიგებული, მსოფლიო მეურნეობის როგორც მთელს შექმნისაკენ, ტენდენცია, რომელიც სავსებით აშკარად გამოვლადენდა უკვე კაპიტალიზმის დროს, აუცილებლად განვითარდება შემდგომ და დასრულებულ სახეს მიიღებს სოციალიზმის დროს“ (თხზ., ტ. 31, გვ. 167).

1921-1922 წლებში, როცა საბჭოთა ქვეყანა გადავიდა მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობაზე, რუსეთის სფსრ-თან დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის ის ფორმები, რომლებიც დამყარდა უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში, უკვე აღარ იყო საკმარისი. აუცილებელი იყო საბჭოთა რესპუბლიკების უფრო მაღალი ტიპის, მჭიდრო ფედერაციული კავშირის უზრუნველყოფა, მათი ერთიან საკავშირო სახელმწიფოდ გაერთიანება. მაგრამ მისი საბოლოო ფორმა ჭერ კიდევ არ იყო შემუშავებული.

ვ. ი. ლენინი 1922 წლის 27 სექტემბერს წერდა, რომ „ჩვენ ვცნობთ ჩვენს თავს თანასწორი უფლებით უკრაინის სსრ და სსვ. ერთად და მათთან თანას-

წორი უფლებებით შევდივართ ახალ კავშირში, ახალ ფედერაციულ კავშირში, ახალ ფედერაციულ კავშირში, ახალ რუსეთის სფსრ კონტრარულ ორგანოებისადმი დამორჩილების ნაცვლად მოითხოვა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის „საერთო-ფედერალური ცაკის“ შექმნა. „მნიშვნელოვანია, — მიგვითითებდა ვ. ი. ლენინი, — რომ ჩვენ არ ვაძლევდეთ საზრდოს „დამოუკიდებელი“, კი არ ვსაბობდეთ მათს დამოუკიდებლობას, არამედ ვაშენებდეთ კიდევ ახალ სართულს, თანასწორუფლებიან რესპუბლიკათა ფედერაციას“ („ლენინის კრებული“ XXXVI, გვ. 496-498).

ყოველივე ეს მიმართული იყო „ავტონომიზაციის“ პროექტის მომზრება წინააღმდეგ, რომლებიც ხედავდნენ საკითხის მხოლოდ ერთ მხარეს — ადგილობრივი ნაციონალიზმის, სეპარატიზმის საფრთხეს და ებრძოდნენ მას, მაგრამ მხედველობიდან უშვებდნენ დიდმპყრობელური შოვინიზმის გამოვლინების შესაძლებლობას. ვ. ი. ლენინი ყოველთვის ითვალისწინებდა ორივე საფრთხეს და განსაკუთრებით დიდმპყრობელური შოვინიზმის, როგორც მთავარი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას.

ვ. ი. ლენინი 1922 წლის 6 ოქტომბერს პოლიტბიუროსადმი გაგზავნილ წერილში ხაზს უსვამდა: „ველიკორუსულ შოვინიზმს ვუცხადებ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას... საჭიროა აბსოლუტურად დაყენებით მოვითხოვთ, რომ კავშირის ცაკ-ში რიგრიგობით თავმჯდომარეობდნენ

რუსი

უკრაინელი

ქართველი და სხვ.

აბსოლუტურად!“ (თხზ., ტ. 33, გვ. 438)

ვ. ი. ლენინის ბრძნული მითითებების საფუძველზე საბოლოოდ იქნა გადაწყვეტილი რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ და ამიერკავკასიის სფსრ თანასწორუფლებიან საფუძ-

ველზე ერთიან სახელმწიფოში — სსრ კავშირში გაერთიანების პრობლემა.

1922 წლის 30 დეკემბერს სრულიად საკავშირო საბჭოების პირველმა ყრილობამ მიიღო დეკლარაცია და ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვ. ი. ლენინი, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ — შ. ი. კალინინი.

ასე ჩამოყალიბდა ძლევამოსილი საბჭოთა მრავალპარტიანი სოციალისტური სახელმწიფო. ეს იყო ლენინური ეროვნული პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვება.

სსრ კავშირის შექმნის მეორე დღეს, 1922 წლის 31 დეკემბერს ვ. ი. ლენინი ყველა ჯურის ნაციონალისტებისა და სექტარიკების წინააღმდეგ აღნიშნავდა, რომ უნდა „განვამტკიცოთ სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი; ამ ღონისძიების შესახებ ექვი არ შეიძლება იყოს. ჩვენ იგი გვესაჭიროება, როგორც ესაჭიროება შოფლიო კომუნისტურ პროლეტარიატს შოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად და მისი ინტრიგებისაგან თავის დასაცავად“ (თხზ., ტ. 36, გვ. 693—694).

თავისი არსებობისა და განვითარების 40 წლის განმავლობაში ჩვენმა მრავალპარტიანმა სოციალისტურმა სახელმწიფომ მთლიანად და საესებით გაამართლა ის იმედები, რომლებსაც მასზე ამყარებდნენ საბჭოთა ხალხები, შოფლიოს ყველა ქვეყნის კომუნისტები და მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრიობა.

სსრ კავშირმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაუძლო ყოველგვარ გამაყდელს. ისტორიული გამარჯვება ნოიპოვა ფაშისტური გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ წარმოებულ დიდ სამამულო ომში, უზრუნველყო სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება, გააჩაღა

კომუნისმის გაშლილი მშენებლობა და ამ მიმართულებით წინსვლას, მრავალმხის უჩვენებს სოციალიზმის მშენებლობის ხალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებს, დიდი მომავლის გზას უნათებს, საერთაშორისო კომუნისტურ და მშრომელთა რევოლუციურ მოძრაობას, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი ძალების ფრონტს, რომელიც მთელ ჩვენს პლანეტაზეა გაშლილი.

ასრულებს რა ვ. ი. ლენინის ისტორიულ ანდერძს, საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ყოველი ღონისძიებით აძლიერებს, სულ უფრო და უფრო უძლევებს ხდის თავის მრავალპარტიან სახელმწიფოს — კომუნისმის მშენებლობის მთავარი არაღს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და კომუნისმის გაშლილი მშენებლობის გაჩაღების შედეგად გადაიქცა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, მთელი საბჭოთა ხალხის ინტერესებისა და ნების გამოხატვის ორგანოდ.

სსრ კავშირის ჩამოყალიბებით, კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებით ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი სწორი გზით გადაწყდა ეროვნული პრობლემა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე აღულებდა კაცობრიობას, ხოლო კავიტალიზმის სამყაროში დღემდე ინარჩუნებს თავის სიმწვავეს და სულ უფრო მეტად რთულდება.

უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს მოძვე რესპუბლიკებმა საბჭოთა მრავალპარტიანი სოციალისტური სახელმწიფოს სისტემაში, სსრ კავშირის სოციალისტურ ერთა ძმურ თანამეგობრობაში. მაგრამ კიდევ უფრო მძლავრი აღმავლობისა და ყოველმხრივ აყვავების პერსპექტივებს უსახავს საბჭოთა რესპუბლიკებს, მთელ სსრ კავშირს სკვპ ლენინური პროგრამა, რომელიც მიიღო პარტიის XXII ისტორიულმა ყრილობამ.

მეჩამ კანკაპა

ახალგაზრდა მწერალთა თათბირისათვის

ახალგაზრდა მწერლების IV საკავშირო თათბირი მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს ლიტერატურულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში; თათბირის მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულება გამოწვეულია მის მიერ მინიშნებული პრობლემების და ამოცანების სერიოზულობით, აქტუალობით.

რა საკითხებს დააყენებს ახალგაზრდა მწერლების ეს შეკრება? რა თემებითა და პრობლემებით წარსდგება ქართული დღეღამეა ამ თათბირზე? როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენს ახალგაზრდა ეროვნულ მწერლობას აქვს ბევრი საჭირობოროტო და მოსაგვარებელი საკითხი, რომელიც საერთო რიგის პრობლემატიკაში შედის და საერთო იქნება საკავშირო თათბირის სხვა მონაწილეთათვისაც. ამავე დროს, თავისუფალი და ფართო დისკუსიის შესაძლებლობა ნებას იძლევა თათბირის ხასიათი განისაზღვროს არა მარტო დასახული ძირითადი პრობლემატიკით, არამედ იმ საკითხთა აღძვრითა და გადაჭრითაც, რაც ყოველი ცალკეული მონაწილის მიერ საგულისხმოდ იქნება მიჩნეული.

დღეს საკავშირო ლიტერატურული პრესა ფართოდ აშუქებს მხატვრული ნოვატორობისა და ლიტერატურული მრავალფეროვნების, მოდერნიზმისა და ტრადიციულობის საკითხებს. მაგრამ ამ ერთგვარად რთულ საკითხების გადასაწყვეტად თვით ცნებათა შინაარსი

ხშირად არაა დაზუსტებული. ცნებები „ნოვატორობა“, „მოდერნიზმი“, „ტრადიციულობა“ შეფარდებითია და მათი მნიშვნელობა იმგვარად უნდა გადაწყდეს, თუ რასთან შედარებით უნდა იყოს ჩვენი თანამედროვე უახლესი მწერლობა ნოვატოროლი, მოდერნისტული, ანდა რა ლიტერატურულ ტრადიციებს დაეყრდნოს და რა უგულვებელყოს.

ჩვენს წერილს არა აქვს არავითარი პრეტენზია მოგვეცეს თეორიული ხასიათის განმარტებები, (ისევე როგორც, აქ განხილული მოთხრობები ვერ შეგვიქმნიან ქართველი ახალგაზრდა მწერლების ლიტერატურული ცხოვრების მთლიან სურათს და წერილში, ძირითადად, საილუსტრაციო მასალად არიან გამოყენებულნი). მაგრამ როდესაც ჩვენ მოდერნიზმისა და თანამედროვე ხელოვნების მნიშვნელობაზე ვლაპარაკობთ, მინიმალურად მაინც უნდა გვაზრკვიოთ, თუ როგორ გვესმის ამ ცნებების შინაარსი. ცნობილია, რომ ნოვატორობა ლიტერატურაში ძირითადად დაკავშირებულია მხატვრულ გამომსახველ ხერხთა განახლებასთან, მხატვრული აზროვნების წესში სიახლის ძიებასთან და საერთოდ მწერლობაში ახალი მხატვრული კანონების დადგენასთან. მოდერნისტული ხელოვნება გულისხმობს თვით მწერლის თემატიკურ-მსოფლმხედველობრივ ახლებურობას, თანადროულობას. მაგრამ რას უნდა

ეყრდნობოდეს დღეს ლიტერატურული ნოვატორობა, მისი თანამედროვე ხასიათი? როგორ უნდა გამოიმუშაოს მწერალმა ახალი მსოფლშეგარჩნება, მხატვრული ხედვის სპეციფიკურად ახალი წესი? ჩვენი აზრით, ამ თანამედროვე მსოფლგაგების ჩამოყალიბების პროცესს მიანიჭ აქვს თავისი „მექანიზმი“.

ხელოვნებას (კერძოდ ლიტერატურას) აქვს თავისი „მარადიული“ ესთეტიკური ღირებულებანი, ზოგადი მხატვრული კანონები. ადამიანის ფსიქიკის, მისი სოციალური და ზნეობრივი რაობის მხატვრულ ფორმებში გამოხატვა — ხელოვნების მოუქველბელი ამოცანაა. მაგრამ თუკი ამ „მარადიულ“ ბუნების გარდა ჩვენ გვინდა ხელოვნების თანამედროვეობის მხარეზე გავამახვილოთ ყურადღება, ე. ი. იმაზე, რითაც ეს ამ ზოგადი კანონებისადმი დაქვემდებარების გარდა დღევანდელ ესთეტიკურ-ზნეობრივ და სოციალურ-ისტორიულ აზრსა და დონეს პასუხობს, ამით ჩვენ მივადგებით სწორედ. მოდერნიზმის პრობლემას ხელოვნებაში.

ჩვენ კარგად ვიცით ის უდავო ფაქტი, რომ, ბოლოსდაბოლოს, საერთოდ მწერლობა, ხელოვნება არც ისე მდიდარია თემებით, პრობლემებით. ყველა ლიტერატურული მოტივი, თემა, პრობლემა — საბოლოოდ უკავშირდება ადამიანის საზოგადოებრივ-ზნეობრივი რაობის გარკვევას, ადამიანის ბედისა და ბედნიერების საკითხს. ამიტომ, ბუნებრივია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძინს ის უდავო ფაქტი, რომ მწერლობაში, ისტორიის მთელ მანძილზე, ძირითადად, ხდებოდა ამ თემებში უკეთ გარკვევის, მათი ახალ შუქზე გამოტანის ახალ-ახალი ცდები. სწორედ ესაა ლიტერატურის ცოცხალი ისტორიული პროცესი, რომელიც მწერლობისგან გამუდმებით მოითხოვს ახალი მსოფლმხედველობის, ახალი წარმოდგენებისა და იდეების შემუშავების აუცილებლობას. ამდენად, ცოცხალი ლიტერატურული პროცესი — ეს

ბუნებრივი, ისტორიული პროცესიც არის და თანამედროვე ახალგაზრდა მწერლობის ამოცანები სწორედ ამ ახალ პექტში უნდა იქნეს განხილული; ეს ამოცანები ამ პროცესის ერთ კერძო შემთხვევას წარმოადგენენ.

ჩვენ მიანიჭ არ ვუპასუხებთ იმ კითხვას, თუ რას უნდა ეყრდნობოდეს მწერლობა ახალი მსოფლშეგარჩნების, სინამდვილესთან ახალი დამოკიდებულების შემუშავებაში? ჩვენი აზრით, ამისათვის მხატვარი საჭიროა ითვისოსწინებდეს არა მარტო თანამედროვე მწერლობის, ხელოვნების მიღწევებს, არამედ ორგანულად ითვისებდეს თანამედროვე ფილოსოფიის, ფსიქოლოგიური მეცნიერების მიღწევებს. მწერალი თავისი მსოფლმხედველობის ჩამოსაყალიბებლად ორგანულად უნდა იყენებდეს თანამედროვე ზუსტ მეცნიერებათა მონაცემებსაც იმ უბრალო მოსაზრების გამო, რომ ყოველი ზუსტი მეცნიერება ან ფილოსოფიური სისტემა, რომელიც სამყაროსა და ადამიანის ბუნების ახსნისკენაა მიმართული, დაეხმარება მას, მწერალს, პირველ რიგში, როგორც ადამიანისმცოდნეს. თუკი მწერლობა ადამიანისმცოდნეობაა, როგორი უნდა იყოს მისი მხატვრული ჰორიზონტი, თუკი ის მეცნიერულ ფაქტს გვერდს აუვლის და მხოლოდ საკუთარ ინტუიციას დაეყრდნობა? ე. ი. საკუთარი უნარით და ინტუიციით შეეჭიდება ისეთი რთულ მოვლენების ახსნას, რაც მეცნიერულად უკვე დადგენილია? გვგონია, რომ ასეთ ბაზაზე უნდა ჩამოყალიბდეს თანამედროვე ლიტერატურის პიროვნულ-საზოგადოებრივი კულტურა და გონებრივი არე. მაგალითისათვის ავიღოთ ფსიქოლოგიური განათლების საკითხი ჩვენს ახალგაზრდა მწერლობაში. ჩემი აზრით, IV საკავშირო თათბირზე სხვა პრობლემებთან ერთად განიხილება ფსიქოლოგიური წიგნიერების საკითხიც, რომელიც ასე აუცილებელია მხატვრული სიმართლის მიღწევისათვის მწერლობაში. თუ მწერალი მოისურვებს ჩაწვდეს ადამიანის

„ქვეცნობიერების ინტერიერს“ (ანდრეი ვოზნესენსკი), რომლის სფეროთი დაინტერესება სულ უფრო და უფრო აშკარაა დღევანდელ ლიტერატურაში, რაღა თქმა უნდა, ამაში მხოლოდ ინტუიტიური მიკვლევა საკმარისი ვერ იქნება. შემოქმედს, რომელსაც ტოლსტოის ან დოსტოევსკის გენიალობა არ გააჩნია, შეუძლია თავისი ცოდნა ადამიანის ფსიქიკისა, ადამიანის სულის „იატაკქვეშეთისა“ შეავსოს თანამედროვე ფსიქოლოგიის საიმედო მონაცემებით. ამგვარი გზა ლიტერატურაში მწერლის გარდუვალ „ღრმააზროვნობისაკენ“ ან ფილოსოფოსობისაკენ კი არაა მიმართული, არამედ ცოდნის სიზუსტისა და სათქმელის კონკრეტულობისაკენ, სისწორისაკენ.

მაგრამ სად და როგორ შეუძლიათ ჩვენს ახალგაზრდა ლიტერატორებს მიიღონ პიროვნების ფსიქოლოგიისა თუ ქარაქტეროლოგიის ცოდნა, რაც ასე სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს მათი მხატვრობისათვის? ამის შესახებ, ვფიქრობთ, რომ ღირს დაფიქრება, რაიმე გარკვეულ ღონისძიების დასახვა. საქართველოშიც კი, როგორც ვიცით, ახალგაზრდა მწერლებს დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის სკოლასთან არა აქვთ შემოქმედებითი დამოკიდებულება.

აეიღოთ ასეთი მავალითი. ჩვენ საგანგებოდ შევარჩიეთ ისეთი ნამდვილად ნიჭიერად შესრულებული მოთხრობა რევაზ ჭაფარიძისა, როგორცაა მისი „ხმა იღუმალი“. მოთხრობა ფსიქოლოგიური ხასიათისაა. აქ გმირები, ძირითადად, დახასიათებულია მათი შინაგანი განცდების შინაარსით. მოთხრობის პერსონაჟთა სულიერი მოძრაობა განსაზღვრავს თუ გამოხატულია მათ მოქმედებაში, მაგრამ ფსიქოლოგიურ დაუსაბუთებლობას აქაც აქვს ადგილი, რის შესახებაც გვიჩინა ჩვენ ამჟამად ვისაუბროთ. ავტორი თავისი მოთხრობის მეათე თავში გვიჩვენებს მათსა და ლევანის სიყვარულის კულმინაციურ განვითარებას. ეს სცენა დაახლოებით

იწყება იმით, რომ მათი ასრულებს ლევანისთვის რომელიღაც საფურცტებიანო პიესას.

— ვიწყებ! — ჩვეული ანგლით შესძახა მთავრად, მრგვალი სკამი მოხერხებულად დაიდგა და როიალს მიუჯდა. პირველად ვერ გაეგებ რას უკრავდა. ყური მიუვადე. მინდოდა გამომეცნო მუსიკა, თავს ძალა დაეატანე, მაგრამ ვერ ვიცანი. შორიდან ზღვის შრიალი მესმოდა, მერე თითქოს ჭარი ამოვარდა ზღვაზე და მათს ნაცნობი ხმა თუ კვილი მოიტაცა. თვალები დაეხუჭე, ქარი მატულობდა. ტალღები ოთახში შემოიჭრნენ, ცივი კვილი კიდევ გაევიგონე.

თვალები გაეხილე, წამოვდექი.

მათა როიალთან იჯდა.

ფეხბურთით მივუახლოვდი. ვატაცებული ჩანდა. არ გაუგია, როგორ მოვიღოდი აქეთ. ბოლოს როიალის ფრონტონზე აღიბეჭდა ჩემი ლანდი.

...მე დაეინებით შევეყურებდი ფრონტონს. დარწმუნებული ვიყავი, მათი ილიმებოდა და მინდოდა დამენახა მისი კმაყოფილი ღიმილი.

ტუნები მოეკუმა. ვარდის ფურცელივით უყვართა სიფრიფანა ყურის ბიბილო, ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. თუმცა მათი ისევ უკრავდა.

ახლა გარკვევით ვხედავდი სამკერდის ღილს, რომელიც დროდადრო ამოიწყვიტა ხოლმე მხრებზე გადატყვიცილი კამის ქვეშ. თვალი ისევ აყვავებულმა ბიბილომ წამართვა.

ყვრიმალზე ჩამოშლილი რბილი თმის პოლოლი ირხეოდა, ბიბილოს ენებოდა, ელაციციბოდა.

რა იქნება, ახლო მივიდე და ეს თმის ბულული აეუკეთო?...“

როგორც ვხედავთ, მთავარი გმირი ყველაზე დიდ ვნებიანობას ამკოავნებს მაშინ, როდესაც მკითხველი ამას ყველაზე ნაკლებად მოეღის, თითქოსდა ესთეტიკური ტკბობის განცდის მომენტში. იქნებ ავტორს სურდა მხატვრული „კონტრასტულობისათვის“ მიეღწია? მაგრამ მოყვანილ ეპიზოდში ასე

თი შეგნებული კონტრასტი არაფრით არაა არც გამართლებული, არც დასაბუთებული. ფსიქოლოგიურად არაა ახსნილი არც ის, თუ რატომ სურს ლევანს, რომ მისთვის საყვარელი ქალი მას უშუალოდ მუსიკალური პიესის მოსმენისას დაწებდეს. რატომ უნდა განაწყობდეს მუსიკა მას ამგვარად? ეს არაა მხატვრულად (ფსიქოლოგიურად) განმარტებული. შეიძლებაა ზუსტად ამგვარი სცენის მოტივირებულად გახსნა? ვფიქრობთ, რომ ამის მხატვრული შესაძლებლობანი არსებობს. მაგ: თუკი გმირისთვის გარკვეული მუსიკალური მელოდია დაკავშირებულია წარსულში რაიმე ეროტიკულ განცდასთან და ა. შ... მაგრამ ფსიქოლოგიური მოტივაცია ამ სცენაში არ გვაქვს.

მეორე მხრივ, უდავოდ დამაჭრებელია ის პასაჟი, სადაც ლევანი თავისი სოფლის საღებურზე ეთხოვება მამას და აღის სწორედ იმ ვაგონში, საიდანაც ძუძუთა ბავშვის ტირილის ხმა მოისმის. ჩანს, რომ ამ დროს იგი მაიასკენ მიისწრაფვოდა მთელი თავისი არსებით, მაგრამ საესებით გაუცნობიერებლად, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან, ქვეცნობიერად, ლევანში თითქოს მამობრივმა ინსტინქტმა გაიღვიძა. ყველაზე ნაზი გრძნობა საყვარელი ქალისადმი მის მამაკაცურ ბუნებას ხელს არ უშლის, მაინში დაინახოს თავისი შვილის მომავალი დედა. თუმცა ამ აზრს, ეტყობა, თანაგრძნობისა და საკუთარი კდემამოსილების გამო ვერ აცნობიერებს, ვერ უმხელს თავისთავს... ეს სცენა წმინდა ფსიქოლოგიური მიგნებაა.

აღიარებული ფაქტია, რომ ქართულ თანამედროვე პროზას მოველინენ მაღალნიჭიერი ახალგაზრდა პროზაიკოსები, როგორცაა მერაბ ელიოზიშვილი, ოტია იოსელიანი, ნოდარ დუმბაძე, არჩილ სულაკაური რევაზ ინანიშვილი, ედიშერ ყიფიანი, თამაზ ჭილაძე, გურამ რჩეულიშვილი, ერლომ ახვლედიანი, რეზო ჭეიშვილი, თამაზ ნატროშვილი. — მათ აშკარად თავს

იდევს იმ ნოვატორულ სულის შემოტანა თუ დანერგვა ჩვენს მწერლობაში, რომლის შესახებ ამჟამად გარკვეული ლაპარაკობენ ჩვენი კრიტიკოსებმა. ამავე დროს მათ თითქოს უპირისპირდებიან ამგვარი ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც ამჯობინებენ ტრადიციული წერის გამარტივებულ მანერას. სოფლური ყოფის სტილიზებულად, ავიატივებულად ვადმოცემას; მაგრამ უნდა გულწრფელად ითქვას, რომ, ამ რანგის მწერლობაში ზშირად ძალზე ჩქარა აშკარავდება ერთგვარი „სპეკულაცია“ თავისი ტრადიციულობით თუ შეგნებული სოფლურობით. ამ გზით კი ქართულ მწერლობის განვითარებას შედარებით ნაკლები პერსპექტივები აქვს. ნოვატორული სული არ ჩანს მათ შემოქმედებაში.

ამას წინათ ერთი რუსი მწერალი რუსული პოეზიის განვითარების გზების შესახებ წერდა:

... Замечается стремление освоить и новый лексикон, созданный современной материальной культурой и заменить образность, созданную традиционным поэтическим мышлением, образность, исходящей из научного представления о мире.

Но это не т. н. „научная поэзия“, искусственно вводящая в стих термины, сюжеты и образы из области техники. Появляется естественное отношение к миру, к его структурам и закономерностям“. განა ქართულ მწერლობაში გარკვევით არ შეიმჩნევა ასეთივე ნოვატორული სულისკვეთება, ამგვარადვე გადახალისებული ახალი მხატვრული მსოფლმხედველობრივი ტენდენცია? ეს კი სწორედ ეპოქალური ნიშანია, ჩვენი დროის მიერ მოტანილი ვითარებაა, რომლისგან უკან დახევა არ შეიძლება.

ჩვენი ფიქრით, მართებულ აზრს გამოხატავდა ი. სმოლიანინოვი,¹ როდესაც ამბობდა, რომ თანამედროვე ხელოვნე-

¹ И. Смольянинов, Черты американской художественной культуры, ж. „Нева“, 1962, № 10.

ბის ამოცანა — ახალი სილამაზის ძიება — შია. მის კრიტიკული ხასიათის წერილში ახალ ამერიკულ ხელოვნებაზე ავტორის მიერ გაზიარებულია ბევრი ისეთი დებულება, რომელიც დღის წესრიგში დგას არა მარტო ჩვენში, არამედ ჩვენი ქვეყნის გარეთაც. ი. სმოლიანინოვი სამართლიან მოვლენად თვლის იმ ფაქტს, რომ „მეცნიერებასა და ტექნიკას, ერთი მხრივ, და მხატვრულ ძიებებს, — მეორე მხრივ, აქვთ გაერთიანების ტენდენცია. ლაბარაკია იმაზე, რომ ერთობა უნდა არსებობდეს „ფიზიკოსთა და ლირიკოსთა“ შორის, რადგან კონსტრუქტორს, ფერმწერს, მოქანდაკეს და ხუროთმოძღვარს ერთი ესთეტიკა გააჩნიათ...

ტექნიკა უნდა ლამაზი გახდეს, ხელოვნება კი — ზუსტი და გამომეტყველი“.

შეიშინევა თუ არა ახალგაზრდა ქართულ მწერალთა თაობაში მხატვრული ანალიზის დაახლოება მეცნიერულ სიზუსტესთან? ამის გადაჭრით თქმა ალბათ მაშინ მოხერხდება, როდესაც ასე ძუნწად არ იქნება წარმოდგენილი ხსენებულ პროზაიკოსთა ნაწარმოებები ჩვენს ლიტერატურულ პრესაში. მათი მხატვრული პროფილი ჯერ კიდევ არაა გამოკვეთილი, დაკონკრეტებული. ერთი კი უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა მწერლებს დიდი მიღრევილება აქვთ ფსიქოლოგიისაკენ, რაც ერთ-ერთი საწინდარია მათი სერიაზული, მეცნიერული დამოკიდებულებისა გამოსახატი ობიექტის შესწავლისა და დამუშავებისათვის. ოტია იოსელიანი, გურამ რჩეული-შვილი, მერაბ ელიოზიშვილი ან რუზო ჭეიშვილი სრულიად განსხვავებული ხელწერისა და მსოფლშეგრძნების მწერლებია, მაგრამ მათ ესთეტიკური კულტურაში მაინც მონახება საერთო, მათ მსოფლშეგრძნებაში ბევრია ნათესაური. ისინი ერთ ლიტერატურულ მყარ პლატფორმაზე დგანან და ამგვარად აყალიბებენ თავის ინდივიდუალურ მხატვრულ პოზიციებს.

არაფერი ვასაკვირი არაა იმაში, რომ ეს ახალგაზრდა მწერლები ნაკლებად

ჭვანან ერთმანეთს. უფრო მეტ გოგონებს ის იწვევს, რატომ ირჩევენ ისინი ერთნაირ ან ერთი ტიპის თემატს. ყველაზე ხშირად მათი მოთხრობებია სიუჟეტები გაშლილია მთიან კავკასიონში, ხევსურეთში — ხახმატში, არხოტში, დათეჯვრის ფერდობებზე, ახიელში, საიდანაც ბარისახოში ჩასვლა ხევსურის ბუნებისთვის პირის ქვევას და ცივილიზაციის წიაღში მიბრუნებას ნიშნავს. მოთხრობის ქარგად გამოყენებთან აგრეთვე სვანეთის მიდამოები, სამეგრელოს მთიანი ნახევარდმეტოვებელი სოფლები (მათი მცხოვრებნი ბარის ჩამოსახლება ირჩევენ), და ბუნების მეორე ასეთივე დიდი სტიქია — ზღვა, ზღვის მზიანი სანაპიროები. ახალგაზრდა მწერალთა მიერ თემატიკის ამგვარი „შერჩევა“ იმითაც აიხსნება, რომ ეს თაობა პროზაიკოსებისა მოწყურებულია თავისი შეხედულებანი წარმოდგინონ, რაც შეიძლება, ფართო პლანში, რელიეფურად, რაც შეიძლება, უფრო დრამატიზირებულად, და ამ მიზნისათვის გამოიხონ მათთვის შესაფერისი მხატვრული ფორმი. მთის მონუმენტური თემატიკა, ამ მხრივ, სავსებით აკმაყოფილებს მათ გემოვნებას. ასეთ მძლავრ ფონზე, მათი აზრით, მხოლოდ უმძაფრესი ადამიანური ვნებები შეიძლება გათამაშდეს. ისინი მოწყურებულნი არიან ჩაწვდნენ და საკუთარი თვალთ ჩახედონ ადამიანის სულიერი ცხოვრების სხვადასხვა მხარეს; იშვიათად, მაგრამ მაინც, ასახს სავანში მათ შეუძლიათ იპოვონ, გამოჰყონ მთავარი. ამასთან ერთად, ისინი ასახვენ ცხოვრების სურათებს ისე, რომ მათი თემატიკურ-იდეური ფესვები მორალის სფეროშია გაშვებული. ამ სურათთა შინაარსის გახსნაც მორალურ სიბრტყეში ხდება, მორალური წესიერება თუ სიღრმე ხდება მათი გმირების მოქმედების საზომი. დაბატულ სურათთა მშვენიერებაც ადამიანთა ზნეობრივი მშვენიერებით განისაზღვრება.

ზოგიერთი ახალგაზრდა პროზაიკოსის აზრით, ადამიანის სულიერი მოძრაობა,

ზნეობრივი მღელვარება, სულიერი დუღილი ძალზე მკვეთრად, რელიეფურად ჩანს ბუნების დიდი სტიქიონის ფონზე და მის წიაღში. ადამიანური წარმოდგენები, ზნეობრივი შეხედულებანი აქ არაფრით არაა გაშუალებული, გაყალბებული. „სიტყვები აქ არ არსებობენ აზრის დასაფარად“ და მთები თურმე კვლავ ისე მოქმედებენ ადამიანზე, როგორც ისინი მოქმედებდნენ ერთ დროს გენიალური ლევ ტოლსტოის ოლენინზე, როდესაც ის მთვარეულივით იმეორებდა:

„... За Теремом виден дым в ауле; а горы... солнце всходит и блещет на виднеющемся из-за камыша Терек; а горы; Из станицы едет арба, женщины ходят, красивые женщины, молодые; а горы... Абреки рыскают в степи, и я еду, их не боюсь, у меня ружье, и сила, и молодость; а горы...“

თოვლიანი ქედებისა და მთაგრეხილების სტიქია, ან ზღვის გაშლილი სივრცეები სურათოვნებას ჰმატებს მათ ნოველებს, ალამაზებს და მიმზიდველს ზღის მათ მოთხრობებს, ხოლო ამ მშვენიერ ფონზე დატრიალებული, გათამაშებული ამბები, კონფლიქტები და მწვავე ზნეობრივი ტყვიელები სულიერ ღირებულებას ანიჭებენ ამ ნაწარმოებთ. უფრო ხშირად მათი მხატვრობა გაუბედავი ან გამოუცდელი მწერლის ხელწერასავით უსწორმასწოროა, ოღრო-ჩოღრო. კიდევ უფრო ხშირად ისინი „ლიტერატურშინის“ საყმაწვილო სენს იხდიან, მაგრამ მათ მოთხრობებში ამგვარ თვისებათა გვერდით შეიძლება უდიდძამო აღწერითობის ხარჯზე ჩვენ ვნახოთ ნამდვილი მხატვრობაც, ღრმად პოეტური პასაჟები და ამან თავისუფლად დაგვაძლევინოს მთლიანად ნაწარმოებთ

მე მგონია, თითქმის ყველა ზემოჩამოთვლილი თვისებით გამოირჩევა ნიჭიერი დამწერები პროზაიკოსის თამაზ ნატროშვილის ნოველა „ხვალ დიდი იქნება ზეობაში“. ვასაკვირი არ უნდა იყოს, თუ მწერლის პირველ მოთხრობაში, რო-

გორსაც ეს ნაწარმოები წარმოადგენს, გამოუცდელია გამო იგრძნობოდეს „ლიტერატურშინის“ შეგუბებული ვერტი, დაწერილი იყოს ის ერთგვარად გაკიანურებულად, ან ფრაზის ლაკონურობა, რაც მის მოთხრობას ახასიათებს, ვერცვლიდეს კომპოზიციის კომპაქტურობას. სამაგიეროდ ნაწარმოებში გვეამახსოვრდება ნამდვილად პოეტურად შესრულებული ადგილები, მაგალითად, მხატვრულად გამოკვეთილი სურათი მომაცვდავი, სიკვდილის სარეცელზე მწოლი მოხუცი მგელიკას საუბრისა მოჩვენებასთან თუ საკუთარ სიკვდილთან: „ულონოდ ასწია თავი. არაფერ იყო აყუდებული. მერე ისევ მოჩვენა, რომ შემოსასდგელთან ღიღინებდა ვილაც, გახნდა. თავტიტველა იყო, ნაბადში გახვეული. თვალში არ მოუვიდა. მიხედა, რომ სამტროდ იყო მოსული.“

— თეთრი ციხე დგა სულეთში...

ღიღინებდა თავტიტველა.

სიკვდილი თუა,—გაიფიქრა მოხუცმა.

— ვინ ხარ?

თავტიტველა გაქრა, მაგრამ ხმა ისევ ისმოდა. ნაღვლიანად ღიღინებდა ერთსა და იმავეს:

— თეთრი ციხე დგა სულეთში... —

— არ გინდა! ნუ მღერი. ეგ ლექსი მეც ვიცი, მაგრამ შორსაა სულეთი... თავტიტველამ ჩაიფრუტუნა:

— ახლოა, ახლოა სულეთი, მგელიკავ. ისეთი ალვის ხეი დგას იქა, წვერი ცაში მიუღის“...

ეს გრძელი დიალოგია, სადაც ავტორი ახერხებს გადმოგვეცეს ის მიძიმე გრძნობა, როდესაც სასიკვდილოდ განწყირულს, ყველაფერთან ერთად, სინიდისის ქვეჩა აწუხებს; გადმოგვეცეს ის ღრმა სულიერი კრიზისი, წუხილი, რასაც მთლად გადაურევია ბერეკაცი მგელიკა, ხევსურეთში განთქმული მკურნალი და დოსტაქარი, ის მტანჯველ ძალუცინაციებში ჩაუგდია და თვითმკვლელობამდე მიჰყავს. რა გამხდარა მერე მისი მორალური წონასწორობის დარღვევის მიზეზი?

ათეული წლების განმავლობაში მგელია მკურნალობდა დაკრილებს, სნეულებს, მომაკვდავებს. ალბიური ყვავილებისა და ბალახებისაგან დამზადებული მაღამოთი მას ბევრი მთიელის ტყვილი და ტანჯვა დაუცხრია. მადლიერნი შორდებოდნენ, ვულუბვად ასახუქრებდნენ და ლოცავდნენ ისინი დოსტაქრის მარჯვენას... მაგრამ ირკვევა, რომ მგელია მკვლელია. მას თოფით მოუკლავს მისი ძმის მკვლელი — სისხლი აუღია, როდესაც ის ძალიან ახალგაზრდა ყოფილა. ეს იყო პირველი და უკანასკნელი დიდი ცოდვა. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მგელია თურმე ამ ცოდვას ინანიებდა. მაგრამ სიკვდილის წინ, როდესაც აღამიანი თავისი საქმიანობის ზუსტ ბალანსს ადგენს, აჯამებს, ამოწმებს ნაცხოვრებ დღეებს, თურმე სულ აღრინდელი ბზარი ახლა ათმავად მოჩანს — ასეთი მკაცრი განხილვის შექმნე — და მომაკვდავი მგელია საკუთარი სინდისის კარნახით თუ სისასტიკით. თვითმკვლელი ხდება.

ჯერ ერთა, უნდა ვთქვათ, რომ მოთხრობაში არაა ის სქემატიზმი, როგორც მისი შინაარსის ამ გადმოცემით ჩანს, მეორე ეს, რომ მოთხრობა არ იქნებოდა დამთავრებული, თუ მისი ავტორი საკუთარ თვალსაზრისს არ დააკონკრეტებდა და გაამახვილებდა. ავტორი ასეც იქცევა. ნაწარმოების გმირები — ორი ახალგაზრდა ტურისტია. ისინი უნებლიე მოწმენი ხდებათ მგელიკას ტრაგიკული აღსასრულის. მათი დასკვნა უბრალოა: თუ კი აღამიანმა ჩაიღინა და ნაშაული, მისი გამოსყიდვა თითქმის შეუძლებელია. შენ შევიძლია ჩაიღინო შემდეგში მრავალი კეთილი, გმირული საქმე, მაგრამ ეს თავისთავად კარგია, კარგია, დამოუკიდებლად აღრე ჩადენილი დანაშაულისაგან.

ჩვენ დავინახეთ, რომ თ. ნატროშვილის მოთხრობა დაწერილია საკმაოდ განზოგადებულ მორალურ მოტივებზე, მაგრამ ავტორი ახერხებს დახატოს თუ აღგვიწეროს ორი საბჭოთა ახალგაზრ-

და, რომელთაც კეთილსინდისიერებაზე საკმაოდ განვითარებული წარმოდგენა აქვთ.

ასეთსავე მორალურ სიბრტყეშია გადაკრილი თ. იოსელიანის მოთხრობის „ლევანას“ თემატური ჩანაფიქრი. მოთხრობა საინტერესოა და შესრულებული, მაგრამ მას აკლია ლიტერატურული დახვეწილობა, აკლია „ამოსასუნთქი“ ჰაერიც. იგი ცოტა არ იყოს, მძიმედ იკითხება.

ლევანას საშინელი სიბერე ერგო. მან ერთდროულად მანქანის კატასტროფაში დაკარგა ორი ვაჟაკი. დარდს გადაჰყვა მისი მოხუცი ცოლი; ამის შემდეგ ლევანამ თითქმის ყოველგვარი კავშირი დაკარგა გარე სამყაროსთან, ის ვეღარ სცილდებოდა თავის ოთხ კედელს, რომელზეც შვილების და ცოლის სურათები უყიდა. იგი სიზმარში გადასულს ჰგავს და როგორც ცოცხლებს ისე, ესაუბრება ცოლ-შვილის ფოტოგრაფიებს.

ერთხელ, გამთენიას მას ვაჟების ხმა ოთახის კედლიდან კი არა, ეზოდან შემოესმა. როდესაც ლევანამ ეზოში თავის ვაჟებს თვალი ვერ მოჰკრა, გაიფიქრა, სადღაც თუ წასულანო და ხარები გუთანში თითონ ჩააბა. მიწის მუშა მიწამ მიიზიდა და ნახევრადბურანში მყოფი ლევანა მთელი დღე თავაუწყველად, ანგარიშმიუხედავად ხნავდა კოლმეურნეობის ყანას...

საღამოს შრომით დაღლილი დაბრუნდა შინ და მკვდარივით ჩაეძინა. შრომამ, მიწამ, მოქმედებამ ის იხსნა მანიაკალური მდგომარეობიდან. მაგრამ ვაღვიძება მას მაინც მწარი ჰქონდა. მას ერთხელაც არ მოჰკონებია თუ არ გამოსცხადებია თავისი ცოლი და საყვარელი ვაჟები. „დღის სინათლემ გამოადგისა მძინარე... მძიმედ მოისრისა თვალეები, წინ გაიხედა. ღია ქიშკარი, ურემი, ლაპლაპა სახნისი, ხარები, უკან მოტრიალდა და მოქუფრული ოდა, შეფარდიანი ფანჯრები, სახურავგადაცლილი სამზალი და

სამზადის წინ კარებთან მიწოლილი ბე-
ბერი ნაგაზი.

— შეილები? — იკითხა ლევანამ. —
შეილები! — გაიმეორა უფრო ხმამაღ-
ლა. — შეილებო... შეილებო, სადა
ბართ, შეილებო! — უკვე მთელ სო-
ფელს ესმის მისი ხმა.

შეილები არ უნახავს წუხელ სიზმარ-
ში ლევანას, ამ სიტყვებით მთავრდება
მოთხრობა.

მწერალი, რასაკვირველია, არ ადგია
იმ აზრს, რომ მისმა გმირმა დანაშაული
ჩაიდინა; არ ფიქრობს, რომ მამამ უღა-
ლატა შეილების ხსოვნას, მაგრამ საკ-
მაოდ დამაჭერებლად მოგვეთხრობს
იმის შესახებ, რომ დადგა ისეთი საათი,
როდესაც მამამ საკუთარი ფიზიკური
არსებობის გადასარჩენად შესწყვიტა ეს
სიზმარეული, ნახევრად პალუცინაციუ-
რი მდგომარეობით გამოწვეული დია-
ლოგები ცოლთან და შეილებთან. ამჟებ-
დროს, ავტორი არაა დარწმუნებული,
რომ ახალი ჯანსაღი ყოფა მორალურ
შევებს მოუტანს ლევანას. მწერლის
ღრმა რწმენით, საკმარისია ამგვარი გა-
დახარაც მორალური რიგის საკითხებში,
რომ დაირღვეს რაღაც განუზომლად
დიდი, მთლიანი, ამიტომ მოულოდნე-
ლი, ფსიქოლოგიურად გამართლებუ-
ლი ფინალი ნამდვილ აღელვებას იწ-
ვევს. იგი ზნეობრივი სიფაქიზის, დაბ-
ეწილობის შეგნებით არის დაწერილი.

უდავოდ, უფრო ძუნწად, მახვილგო-
ნიერად, მეტი ექსპრესიით შეიძლება
და ყოფილიყო დახატული ლევანას
ტრაგიკული განცდები, გრძელი „დია-
ლოგები“ დადებულ შეილებთან, „შე-
კამათება“ გარდაცვლილ მეუღლესთან
და ა. შ. ისეთი სცენები თ. იოსელიანთან
ნატურალისტური შეფერილობის საფ-
რთის წინაშე დგანან. მაგრამ კარგად
მოფიქრებული ფინალური სცენა,
ღრმად მორალურ ასპექტში გადაწყვე-
ტილი ჩანაფიქრი გვაფიქრებინებს მისი
ავტორის უტყუარ ნიჭიერებაზე, ოსტა-
ტობაზე.

ახალგაზრდა ქართული პროზის მარ-

გალიტს წარმოადგენს გურამ რჩეული-
შვილის „სიკვდილი მთებში“. ამ ნაწარ-
მოებზე მართლაც საესებო შეიძლება
იტყვას, რომ თუკი გვსურს ვიცოდეთ
რის შესახებაა ის დაწერილი, თვითონ
მოთხრობა უნდა წავიკითხოთ. მოთხ-
რობაში მოჩანს მისი ავტორის ძლიერი,
სიმართლისმოყვარული პიროვნება, რაც
ასე კარგად აისახება თვით მხატვრის
ხელწერაში, მწერლის მხატვრულ მეთო-
დში და პრინციპებში.

რით არის გურამ რჩეულიშვილის
მოთხრობები ძლიერი? ყველაზე საუკე-
თესონი მათ შორის ადამიანის რთულ
ფსიქიკურ სამყაროს იკვლევენ, მის სუ-
ლში ღრმად ჩახედვის ნაყოფს წარმოად-
გენენ; ისინი მძლავრი ინტელექტუალო-
ბით არიან აღბეჭდილნი. ხოლო ეს ინ-
ტელექტუალობაში მძლავრია იმიტომ,
რომ ის ცხოვრების წედომისკენ არის
მიმართული. გონებისეული უხვი ნაყა-
ლი გურამ რჩეულიშვილის მოთხრობე-
ბში დოქტრინიზირებულად არ მომდინა-
რეობს; საკუთარ განათლებას ის თყენე-
ბდა თავისი მიგნებების, მხატვრული
აზროვნების გასამაგრებლად, იყენებდა
ადამიანის შესაცნობად, ხოლო ადამი-
ნი მისთვის ღრმა განსჯის, ანალიზის,
ფსიქოლოგიური განხილვის და დაუცხ-
რომელი მხატვრული ინტერესების
ობიექტი იყო.

გურამ რჩეულიშვილია მოთხრობას
„სიკვდილი მთებში“ საფუძვლად დაე-
დო ნამდვილი ამბავი, გერმანელი მწერ-
ლის ალფრედ კურელას ცოლის ტრაგი-
კული დაღუპვა 1957 წლის ზაფხულს
ხევსურეთის კლდოვან მთებში. ასეთ
შემთხვევაში მწერლის ფანტაზიას,
ცხადია, გასაქანი ნაკლები ეძლევა, მით
უმეტეს, რომ გმირთა სახელები თით-
ქმის უცვლელად არის მოთხრობაში
ფიქსირებული, მაგრამ ავტორი მაინც
ახერხებს განზოგადებათა, ფსიქოლო-
გიური ანალიზის მოხდენას. ერთი მხრივ
ცივი გონების, განსჯის და მეორე
მხრივ, ადამიანური უღრმესი ემოციების
ურთიერთდაპირისპირების თუ მოვა-

ლეობის შინაგანი პოლემიკა მახვილი, მძაფრი შექჩრდილებითაა ჩახატული პერსონაჟის ბუნებაში. იმისთვის, რომ იყო კარგი მხატვარი, არაა საკმარისი გქონდეს მხატვრული ალღო, გამჭირიანი გონება. მწერალს დიდი ნებისყოფა და პრინციპულობა სჭირდება, რომ ადამიანთმცოდნეობითი ძიებებისას არ მოდუნდეს და ზუსტი ანალიზი მოგვეცეს. ასეთია შთაბეჭდილება გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებზე დას.

გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებში მეტად შესაშინეია სიკვდილის მძაფრი განცდა. ამგვარ შეგრძნებას იწვევენ მისი მოთხრობები: „ნელი ტანგო“, „მუნჯი ახმელი“ და „სიკვდილი მთებში“, „ბათარეა ჰინჭირაული“, „თერითვილა“ და მოსი მშვენიერი „ალავერდობა“... ის თითქმის არსად აღწერს სიკვდილს, მაგრამ ძალზე ხშირად იძლევა თავის ნაწარმოებებში ამ მოვლენის ჩამწვდომ შეგრძნებას. სიკვდილი გ. რჩეულიშვილის ნაწარმოებებში მუდამ ტრაგიკულია, მაგრამ მოკლებული არაა მოტივირებულ, ღრმა აზრით მოცულ დასკვნას და შინაგან პათეტიკას.

ვინ კვდება გურამ რჩეულიშვილის მოთხრობებში? უთმავრესად ისინი, ვინც საკუთარ მძლავრ ვნებებს და სულიერ გატაცებას მთელი სისაფისით, მთელი ვაჟანებით აძლევენ გამოსავალს. ამ მხრივ, მისი პირადი ბედი საოცრად, პირდაპირ ვიზიონერულად ჩამოჰგავს მისსავე მოთხრობების მთავარ გმირთა ბედილბაღს.

საინტერესო მხატვარია გურამ გეგეშიძე. იგი ზრდის პროცესშია, რითაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ნამდვილი მხატვარია. მისი ნოველა „ეუ“, რომელშიც გამოხატულია მთის მივარდნილი სოფლის მცხოვრების, ეუს უღიმღამო, უფერული და უშინაარსო ცხოვრება, კარგადაა შესრულებული. ეუს არ უნდა სხვა მისი მეზობლის მსგავსად ბარში ჩასვლა და იქ დამკვიდრება. იგი შეეჩვია თავის ყოფას და ცხოვრების-

გან მეტს არ მოელის. ნოველა შესატყვისი განწყობილებით არის შესრულებული, მდიდარია ქვეტექსტით. მაგრამ ჩვენი აზრით, ავტორი შეტისშეგად ენდობა იმ მხატვრულ ხერხს, რომელსაც განწყობილების შექმნა ჰქვია. მხოლოდ ამ ხერხის გამოყენებით ახალგაზრდა პროზაიკოსი ხშირად ვერ აღწევს დრამატიზმის სასურველ ხარისხს და თხრობაც ამიტომ შედარებით დუნე გამოდის. იმისათვის, რომ მან დასძლიოს ეს მოდუნება, მწერალი დაუცხრომლად სწავლობს, ესწრაფვის მრავალ ძიებებს. მაგრამ თავიდანვე ის მოჰყვება მანერისტ მწერალთა ერთგვარი გავლენის ქვეშ. ეს ხშირად ისე შესამჩნევია, რომ ჰირს პასუხის გაცემა, როდის დააღწევს თავს გურამ გეგეშიძე ამ არასახარბიელო სფეროს. ავტორის მაგურ ჩვენ ვერ გავცემთ პასუხს; არსებობს ორი ვარიანტი: შეიძლება მანერტულობა მის პირად გემოვნებას პასუხობს; მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ ის ძაღების დაგროვებას, მომზადებას აწარმოებს და ახალი მძლავრი სიტყვის სათქმელად ემზადება. ყოველად დასაჯერებელია, რომ მას ამისათვის ძალა საკმარისად გააჩნია; ხოლო სათქმელი გურამ გეგეშიძეს აქვს.

ღრმა ინტერესს იწვევს რეზო ჰეიშვილის მოთხრობები „ლუკა პაჩიოლოს ცხოვრების უკანასკნელი წლები“, და „ბიჭიკოს ავადმყოფობის ისტორია“. ამ ნაწარმოებებში ავტორი იყენებს მხატვრული რეპორტაჟის მეთოდს, რომლის ტრადიცია ჩვენს ლიტერატურაში არც თუ იმდენად მდიდრულადაა წარმოდგენილი. არაოსტატურად, მაგრამ მაინც მათში კინემატოგრაფის ენაც არის გამოყენებული, როგორც მხატვრული კონტრასტის ხერხი. მაგალითად: „...მის ოჯახში ხვრინეაზე იყო ლაპარაკი.

საპარამი აფეთქებდნენ ატომურ ბომბებს.

— ქალიშვილი უნდა გათხოვდეს, ბიჭმა უნდა მოიყვანოს ცოლი: ვინ შე-

მოვა ჩვენს ოჯახში! — ამბობდა გროშას მეუღლე...“ (მოთხრობიდან „ლუკა პაჩილოს ცხოვრების უკანასკნელი წლები“). მაგრამ მთავარი მაინც ეს არაა. უმთავრესი ნიშანი რეზო ჭეიშვილის მოთხრობებისა არის კრიტიციზმი, მახვილი რეალისტური კრიტიკა, რომელიც წშირად სატირულ მხილებაშია გადაზრდილი.

თუ პირველ მოთხრობაში რ. ჭეიშვილი თავის რეალისტ-სატირიკოსის ნიჭს ახმარს პიროვნულ-ადამიანურ ნაკლთა მხილებას, „ბიჭიკოს ავადმყოფობის ისტორია“ სავსებით სოციალური ძვლადობის რეალისტური ტილოა. ეს უკანასკნელი ნაწარმოებები ამდღევანდელია არა მარტო თემატიკური სიმწვავით, არამედ მისი სუბიექტივიზმით, ე. ი. ავტორისეული დამოკიდებულებით აღძრული საკითხისადმი. ავტორის გულწრფელი სუბიექტივიზმი ერთგვარად შენიღბულია რეპორტაჟის ენის თავისებურებით, თითქოს ავტორი მიუყვარებელი გადმომცემია აღწერილი დიდი ადამიანური დრამისა; მაგრამ ამ მხატვრული შენაცვლების გზით ავტორი თავის პიროვნულ პოზიციას კიდევ უფრო ავლენს და, ამდენად, მხატვრული შთაბეჭდილების ძალას აორკეცებს. მხოლოდ, მოთხრობაში „ბიჭიკოს ავადმყოფობის ისტორია“ ფინალური სცენა, სადაც ტუკვაძის კიბოთი დაავადმყოფებას ვგებულობთ, მეტისმეტად ნებისმიერად ავლენს ავტორის მსჯავრს ხალხის ამ ჯალათისადმი. საქმე ისაა, რომ ასეთ შემთხვევებში, ავტორის განაჩენი ზშირად არ ემთხვევა ბუნების განაჩენს. მოთხრობის მხატვრული და ზნეობრივი დასკვნა შედარებით დავიწროვდება, თუკი ვიფიქრებთ, რომ ტუკვაძეებს ამგვარად უწერიათ სიცოცხლის დამთავრება.

რეზო ჭეიშვილს აქვს საკუთარი ხედვა საგნისა და მოვლენის; ჰყავს თავისი მასწავლებლებიც. შეიძლება ეს მასწავლებლები ჩეხოვი ანდა გოგოლია (ამას

გვაფიქრებინებს ჰუმორის მხატვრული ფუნქციების გაგება და ჭეიშვილის მოთხრობებში). შეიძლება ჩვენს ცდებში, და მისი დანტერესება რეალისტური ნოველით უფრო ნეორეალისტთა სკოლას უკავშირდებოდეს. ამის დაზუსტება მოხერხდება მაშინ, როდესაც მისი მოთხრობები უფრო მრავალრიცხოვანად წარსდგება მკითხველი საზოგადოების წინაშე. ყოველ შემთხვევაში, მისი ქალაქური პეიზაჟები ან, რაც მთავარია, თემის მხატვრულ-კომპოზიციური გააზრება, სავსებით ორიგინალურია, შიდაპიროვნულია.

თუკი ჩვენ ახალგაზრდა მწერლების მეოთხე საკავშირო თათბირს ერთგვარ ლიტერატურულ მიჯნად წარმოვიდგინო ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებაში, უნდა ითქვას, რომ ამ მიჯნასთან ქართველი ახალგაზრდა შემოქმედნი მივიდნენ გარკვეული სულიერი და მხატვრული ინტერესებით. მათი გონებრივი არე, ესთეტიკური კულტურა, ცხოვრების ცოდნა, აშკარად გამოხატული ინტელექტუალობა სიძველე პერსპექტივას გვისახავს. მათი მოთხრობების მიხედვით ნათელი ხდება, რომ თანამედროვე ლიტერატურის ყურადღების შუაგულში თანამედროვე ადამიანი, ადამიანურობის დღევანდელი გაგების საკითხები, ჰუმანიზმის თანადროული საზომები უნდა განიხილებოდეს. ამიტომ მოსკოვის თათბირზეც ეს პრობლემატიკა იქნება ყველაზე პოპულარული, ფართო მსჯელობის საგანი; ლიტერატურის გმირი ამ პოზიციებიდან უნდა იძლეოდეს ცხოვრების აზრის, დანიშნულების თუ მისი ღირებულების შეფასებას.

აი პრობლემები, რომლის მხატვრული სრულყოფით ასახვა ახალი თაობის მწერალთა რთული, მაგრამ საპატიო ამოცანაა.

თამაზ ჭილაძე

მარტვი მე ჩემი ბაზაფხული...

ირაკლი აბაშიძის შემოქმედება ისე ბუნებრივად ერთვის კლასიკური და ახალი პოეზიის საერთო მდინარებას, ისეა გაელენთილი მათი სურნელებით და ისე სავსეა მათი მშითა და პაერთი, რომ როცა მის ლექსებს ვკითხულობ, უნებურად ა. ფრანსის სიტყვები მახსენდება: „ჩემი აზრები მინდა გამოეთქვა იმ სიტყვებით, რომლებშიაც ჩემი წინაპრების ენებები თრთიან და ცოცხლობენ“.

ირაკლი აბაშიძის ლექსების მკაფიო კომპოზიციები, სტრიქონების უჩინარი სითამამე, „ენებათა სინტაქსი“ და მეტყველი ფერები თითქოს პირდაპირ ქართული ენის თავისთავადი პოეტურობიდან იღებენ სათავეს და მისი გულუბრებით გამხსნევებულნი, ჩვენი დღევანდელი ფიქრისა და აზრის გამომხატველიც ხდებიან.

ირაკლი აბაშიძე ქართულ ენას ჩვენი სუნთქვის დიდ ალამს უწოდებს და დროშასავით ამაყი და გახარებული ლექსით მის სადიდებელს მღერის. ეს ლექსი სულის სიღრმიდან უცაბედად ამოფრენილ საგალობელივით ეღერს და სიმღერაც სწორედ იმიტომ ვახსენე, თორემ ირაკლი აბაშიძე არ ეკუთვნის „ამღერებულ“ პოეტების რიცხვს. მისი ხმა ხმამაღალი ფიქრია და სიხარულისა და ტკივილის გულგახსნილი გამეღაუნება. მის ლექსში ხან საზეიმო სიჩუმეა, ისეთივე, როგორც იმერეთის გზებზე ტყემლების ყვავილობა და ხან კი ისეა აწკრიალებული, როგორც ნიჟარაში ჩარჩენილი ზღვა. მისი ხმა ხან ჩიტვით ლაღია და ხან კი სევდიანი, როგორც

პატარა, უსახელო სადგურზე შემოკრული ხარი.

პოეტის ლექსებში ფიქრი მეხრესავით ფხიზლობს და მისი უპირველესი საზრუნავი ადამიანია, მშვენიერი და განუმეორებელი თავისი სიძლიერითა და სისუსტით. მან იცის, რომ პოეზია სიმარტოვისა და გულგრილობის დაძლევაა და ადამიანის სიკეთის დაჭერება. პოეზია ადამიანური თავისუფლების საყვირია და თვითონაც თავისუფლებსააქვს მარადიული ლტოლვაა:

თუ განმაკაცე, თუ დამაღვი თვალი
 სრულმქნელის,
 თუ მომეც ძალი ხან ფრთამესხმის, ხან
 დლონების,
 მე მწაღდა შენგან სიტყვაც ცნობის,
 თავისუფლების,
 მე მწაღდა შენგან სიხარულიც განხმულ
 გონების.

პოეზია მისთვის ადამიანის ცხოვრების მზის სინათლეზე გამოტანაა და თანამედროვეთა ფიქრებისა და ზრახვების შენახვა. ისევე, როგორც რუსთაველის პოემამ შემოგვინახა თამარის ხმა, ლაშქარის გუგუნი, მონადირეთა ყივილი, სიყვარულის დაბანგული ჩურჩული, შემოგვინახა საგანძურთა ელვარება, მუზარადების ბრწყინვა ჩირალდნება შეუქზე, ქალივით ლამაზი ვეფხვებია ნახტომებო, ისევე როგორც თეიმურაზის სტრიქონებმა შემოგვინახა ხანძართა ბრიალი, მომხდურთა სისხლიანი ნაფებურები, ბულბულები სტვენა და ვარდების უკარება სიტურფე, ასევე შეინახავს მომავალ თაობებისათვის დღევანდელი პოეზია კოსმოსურბ ზომალდების ფრენას, ჩვენს ცრემლსა და სიყვარულს.

ველა სიმღერა რასმე გავონებს,
ველა სიმღერას თავის წლები აქვს,
ველა სიმღერა რასმე გავონებს,
რაც ფიქრს ოდესღაც ღვიწყებია.

რაც აღამიანს შეუქმნია, მას გაქრო-
მა არ უწერია. აღამიანის გენია წელ-
თადრიცხვის სიმკაცრესა და გულცი-
ვობას უძღვებს და ის, რაც ჰუმბარტი
შთაგონებითაა შექმნილი, სიცოცხლე-
სავით მარადიულია.

არა, არ წაგვეს,
არ წაგვეს ჯვარი,
თუ ბინდის ფერი არის ყოველი,
რატომ დვას, რატომ დღეს მცხეთის ჯვარი,
რატომ დვას ისევ სვეტიცხოველი.

სწორედ აღამიანის ნიჭის უკვდავებას,
აღამიანის ფიქრს, იქვისა და რწმენის
ძლიერებას ეძღვნება ირაკლი აბაშიძის
ლექსების ციკლი „რუსთაველის ნავე-
ლევზე“. ვნებათა მარადიულ რკალში,
ტყვილისა და სიბარულის, ცრემლისა
და ღიმილის ტალღებით ერთფერო-
ვან მიმოქცევაში ღრუბელივით შიშვე-
ლი სულის ლალადისი ნელ-ნელა ხმაშა-
ღალი ხდება და უცებ ტაძარში გავარდ-
ნილ თოფივით იქუხებს:

შენ აქ ხარ!
აქ ხარ...

ბნელი და ნესტიანი კედლები ნათღე-
ბიან და სარკეებივით ირეკლავენ პოე-
ტის სულწაღმრუტ ხმას:

შენ აქ ხარ!
აქ ხარ...

და კი არ გესმის, არამედ ზედავ, ზე-
დავ დიდი ხნის დაგუბებულ ნადღე-
ლივით ან სურვილივით ძლიერსა და
უნაბირო ძაბილს. ნუთუ ამ ხმამ გააღ-
ვიდა პალესტინის ბებერი ზარები:

ო, პალესტინავ!
პალესტინავ...
ვის ეძიებდა? ვინ დაინახა? ღმერთი?
ო, პალესტინავ!
პალესტინავ...

უცრად ამ ბნელ კედლებში რუსთა-
ველის სახე ნათღება. მერე ეს სახე უც-
ნაურღება და ახლა მას პალესტინის
მტკრიან შარავზე მიმავალს ვხედავთ.

აი, ამ მტკრიან შარავზე...

ღმერთო ჩემო, ნუთუ აქ მართლა
რუსთაველს გაუვლია!..

„პეტროარკა ავინიონიდან ერთ ნაბიჯ-
ზე იყო. მი იმავე კვიპაროსებს უხედავდა
სწერდა ვან გოგი ძმას.“

ამ გზაზე რუსთაველს გაუვლია. დღეს
მეც ამ გზაზე მივდივარ... ისევ ის ქვე-
ბი, ზეთისხილის ბაღები, წყარო... გოლ-
გოთა „რომელ არს თხემისა ადგილი.“
ისევ ის ხმა, ზღვაზე გადაფრენილი ჩი-
ტივით დაღლილი ხმა:

თუ საწუთრომა დამამხოს, ყოვლისა
დამამხობელმან,
ღარიბი მოკვდე ღარიბად, ვერ დამიტროს
შობილმან,
ვეღარ შემსუღრონ დაზრდილთა და ვერცა
მისანდობელმან,
მუნ შემინწყალოს თქვენმავე გულმან
მოწყალე, მღმობელმან...

ის იყო მარტო, მაგრამ მისი სიმარ-
ტოვე საშვობლოზე წუხილით იყო სავ-
სე და ახლა გოლგოთაზე აღიოდა, რომ
ამ უცნაურ სიმარტოვეში ის შემადრ-
წუნებელი სიტყვები გაემეორებინა:
„ღმერთო, ღმერთო ჩემო! რად დამავ-
დებ მე?“

უცრად სრულიად ახალი ხმა, შო-
რეულ ექოსავით, რვა საუკუნის მერე
ნათქვამი:

მარქვი საღ ვტყუი,
საღ ვარ მცდარი,
საღ ვარ მართალი,
რომელ არს ჩემი
დღე მწუხარი
ჩემი დღე ტყბილი,
მარქვი მე ჩემი ვაზაფხული,
ჩემი ზამთარი...
პანტოკრატროსო!
შენ წინ ვდგავარ
მუხლომდარგვილი...

ასეთი ამაყი მორჩილება, ასეთი ძიე-
ბა საკუთარი თავისა, სიმართლისა და
გზისა იქ, სადაც კაცმა არ იცის, წუთი
ჭობია თუ საუკუნე! და აი, ისევ ბნელ
მონასტერში რუსთაველის სახე ნათღე-
ბა, ქვის მონასტერი ღმერთივით ციციც
არის და მყუდროც. მისი სიცივე შენ-
გან ამქვეყნიური ვნებების დავიწყებას
მოითხოვს, სიმყუდროვე კი რალაცას
გახსენება, რალაცას დაკარგულსა და
შორეულს.

ველავ ვფარავ სულში?
თუ გულმართლად

დავთვე ყოველი?
დავთვე?
და იქნებ
არც რა მქონდა
დასათმობელი?

უეცრად ახლადგაჩუმებულ ვეება ზარივით გაბრუებული საღამო გაკრთება, საღამო რიონის ან არაგვის ხეობაში, მეწამულ ცაზე პაწაწინა ფოთოლიც გაიფლევებს, რომელიც ვერასოდეს ვერ იფრიალებს „ოკეანიდან ოკეანემდე“ და მაშინვე პოეტის ხმა საოცარ სიმტკიცეს იძენს:

შეშინდე, ღმერთო,
მამულის წინ ყოვლის დათმობა...

და ეს აცახცახებული ფრანზა პირდაპირი ანოციაციით მახსენებს იმ ლექსს, ომის დროს რომ ვმღეროდით:

მე სიცოცხლეს ხელშეორედ
შეეწირავდი მშობელ მზარეს,
შეეწირავდი იმე მისას,
დღეს რომ გულზე დამაყარეს.

არიან პოეტები, რომელთა ლექსიც გარეგნულ ეფექტზეა დამყარებული. ეს ლექსები იმ აქვარიუმს გვანან, რომლიდანაც ოქროს თევზები ამოიყვანეს. ის, რაც მათში დარჩა, თავისთავად მიმზიდველია: ფერადი კენჭები, ბალახი, გარინდებული წყალი. მაგრამ სიცოცხლე აკლია, არ გიზიდავს. თუ ლექსში ცოცხალი ნერვი არ თრთის, ადვილად გვაეიწყვდება და, საპნის ბუშტივით ლამაზი, მაშინვე ქრება. ორდანის ერთერთ რეგისტრს ადამიანის ხმა ეწოდება. ეს რეგისტრი ადამიანის ხმას ბაძებს და სიბზობით ავსებს მელოდიას. თუ ლექსს ეს რეგისტრი არ გააჩნია, თუ მასში ადამიანის ხმა არ ისმის, ეს იმას ნიშნავს, რომ ის კემშარიტი შთაგონების ნაყოფი არ არის. ლექსი ისე უნდა ფეთქავდეს, ისე ხელშესახებდა ცოცხალი უნდა იყოს, როგორც ნაპირზე ამოგდებული თევზი და თუ შენ შესძლებ მზეს, წვიმას, ქარს, მდინარეს ადამიანური ვნება დაუწყვილო, მაშინ ყველა სიმღერა თავიანთ წლებით, თავისი მოგონებებით სხვისთვისაც ძვირფასი და განუყრელი გახდება. თვითვეულ კემშარიტ ლირიკულ ლექსს, უღაბნო-

ში გზაბრუნული კაცის ჩვენებებით. უზარმაზარი მირაჟებზე დასწრის სტრაქონებში, ჭოგორც ბოთლში, პოეტის სული ზღაპრულ დევივითაა ჩაქუტილი. მისი განთავისუფლება მხოლოდ იმ მკითხველს შეუძლია, რომელსაც პოეზია ესმის და ლექსის მირაჟებს თავის საკუთარ წარმოდგენებს უმატებს და ამით ამდიდრებს ლექსს. ინოცენტი ანენსკიმ მოსწრებულად თქვა, რომ ლექსის კითხვაც ხელოვნებააო. ნამდვილი პოეტები უჩინარი გზებით აპოეტურებენ ჩვენს შეგნებას, და ყველა კარგად წაკითხული და გაგებული ლექსი ახალი საფეხურია ადამიანის საერთო ცოდნის მწვერვალისაკენ. ამით გამოიხატება სწორედ პოეზიის შემეცნებითი ხასიათი. ისიც არის, რომ პოეზია ძალზე მაცთურია. ზოგს ჰგონია, რომ ესმის ლექსი, რადგან ის მისთვის გასაგებ ენაზეა დაწერილი, გასაგები სიტყვებისაგან შედგება. ნამდვილად კი მისთვის ლექსი ნაცნობი სიტყვების გამოა და მეტი არაფერი. პოეზიას ისეთივე შესწავლა სჭირდება, როგორც მუსიკასა და მხატვრობას, რადგან ლექსიც ადამიანის ფსიქიკის ლირიკული ახსნაა და მასსავით რთული და მრავალმხრივია. არ შეიძლება ლექსი წაიკითხო მხოლოდ როგორც ლიტერატურული ტექსტი. უნდა შეგვძლოს თვითვეული სიტყვის მხატვრულ სახედ წარმოდგენა. რადგან ლექსის ყოველი სიტყვა სცენას მინათებულ პროექტორივით ფოკუსში აქცევს და გამოჰყოფს მთავარს. ლექსს უნდა ხედავდე, უსმენდე და გრძნობდე. ბოლოსდაბოლოს ლექსი ხომ შენი სულის ზღვიდან გამოირიყული ნივარაა, რომელშიაც მისი გუგუნია ჩარჩენილი. ლექსი ხან, დახუჭული თვალების ვარდისფერი სიბნელეა და ხან ფართოდ გახედილი თვალების მზით ჰავსე უსასრულობა, ლექსი ხან იმ უსინათლო კაცის ტყვილია, რომელიც ბამბუკის ჯობით გზას მიიკვლევს სიკვდილს-ციცხლის შუა და ხან გულიდან უეცრად ამომსკდარი:

სუნთქვა ხარ, სუნთქვა, გულის ფანქვლი,
 ლხინის ატრენა, ჭირის მოთმენა, —
 მაგრამ მცირე ხარ,

შენ გენაციალე,
 სულ პატარა ხარ, გულის ოდენა,
 ამ გასწედლობხარ მერდიანებს
 ამ დედამიწის სივრდე-განედებს,
 შენი ფოთოლი არ მოფრიალებს
 ოკეანედან ოკეანემდე.

ირაკლი აბაშიძეს მხატვრის უტყუარი
 თვალი აქვს და მის მიერ დახატულ
 სურათი საოცარი სიკვადით რჩება მახ-
 სოვრობაში. მახსენდება ერთი მისი
 აღწინდელი ლექსი:

წუხელ თოვდა, ნეტავ ჩემთან რად არ გაზნდი,
 გენახე და ძილში თბილად დავეხურე,
 მე ავდექი პირველ თოვლში განთიადში
 და ვეძებოი შენს პატარა ნაფხურებს.

ამ სტრატეგის შინაგანი გრაფიკული
 ნახატი ზღვის პირას სილაში დაწერილ
 საყვარელ სახელივით ნახია და პირვე-
 ლი თოვლის ბუნდოვანი სითეთრე სიზ-
 მრის გაგრძელება გგონია.

კითხულობ მის ლექსებს და მოუ-
 ლოდნელად შეკრთები:

გაუჩნდა მიწა, ვით წიგნსაკავი...

გეჩვენება, სიჩუმი შენს არსებაშიაც
 იკიდებს ფეხს და ფიქრს ისე ედება,
 როგორც მიტოვებულ ბილიკს — ბა-
 ლბი.

მერე უეცრად ლექსში გაისმება
 „სუნთქვა ღრუბლები“. მერე უნაპირო
 სივრცე გადაიშლება: „ტყემლის ხეე-
 ბის გაფარფაშება“. ამ ფრაზას რომ
 კითხულობ, თითქოს ვალიიდან გაფ-
 რენილ ჩიტს გააცქერი. „ვერაფერს
 ქვეყნად ვერ შეველოე“, — ამბობს
 პოეტი და მართლაც, რაც მან ნახა და
 ლექსში დახატა, — ძნელი შესაღუ-
 ვია. მისი ხელი ხან აჩქარებულია, თით-
 ქოს ყველაფრის მოსწრება უნდა, ხან
 კი დინჯია და ზუსტი ფერებით ხატავს:

ვარცხვ ვერცხლისფრად ეწყო ქანარი:
 მზეს ჯერ დღე-ღამე არ გაეყარა
 მარგალზე ენთო შუშის ფანქვლი

მუშის ფანარი მანათობელ წერტი-
 ლივით უზის ნახატს და მის შუქზე სიბ-
 ნელეს გამოგლუკილი ქანარი ელაგს.

ირაკლი აბაშიძემ ახალ ლექსებში
 თითქოს დათმო ხატვის ფერწერული
 მანერა. აქ აღარ გვხვდება მკვეთრად
 დამჩნეული ფერები, როგორც იყო
 თუნდაც „მუზის კუნძებზე ბიბილოე-
 ბი“, მაგრამ სწორედ ამ ლექსებში იჩი-
 ნა თავი ნამდვილი პოეზიის ერთმა
 თვისებამ: პოეტის დამაბულმა ფიქრმა.
 ჯიუტმა კამათმა ღმერთთან და ხაკუთარ
 თავთან, შექსპირისეული მონოლოგის
 ფარულმა ემოციურობამ ჩვენ თვალი
 აგვიხილა და დაგვანანა ის სამყარო, რო-
 მელიც პოეტის სულში ნელა და დიდ-
 ხანს შენდებოდა და რომელსაც თურმე
 მოთმინებით ავსებდა პოეტი მაღალ-
 ცით, მთებით და ზეთისხილის ბაღებით.

ირაკლი აბაშიძის ახალმა ლექსებმა
 თუმცა თავისი აშკარა სიახლით მოც-
 ხიბლეს, მაინც არ შეიძლება ისინი პოე-
 ტის აღწინდელი ლექსების ლოგიკურ
 გაგრძელებად არ ჩავთვალოთ. თუ გო-
 ვიხსენებთ მისი სიკვადის კომუნარ
 შელოღესავით ხალისიან ლექსებს, მის
 განაფხულის სურნელებით დაბანგულ
 სტრაქიონებს ბუნებასა და სიყვარულ-
 ზე, მგზნებარე პატრიოტულ ლირიკას
 სამამულო ომის დროს, დავინახავთ იმ
 ფესვებს, რომლებმაც ეს ახალი ლექ-
 სები წარმოშვეს.

ირაკლი აბაშიძე ჩვენი უფროსი
 თაობის პოეტების ღირსეული წარმო-
 მადგენელია, მაგრამ, რომ შეიძლება თ-
 დეს, ახალგაზრდა პოეტების სახელე-
 ბის ჩამოთვლის დროს მასაც სიხარუ-
 ლით დავასახელებდი.

თანხიზ გაპიძი ღვz ტოლსტოი*

IV

1873 წელს ტოლსტოიმ დაიწყო რომან „ანა კარენინაზე“ მუშაობა, რომელიც 1870 წელს ჩაიფქრა ეს ნაწარმოები მწერალმა ოთხი წლის შემდეგ დაამთავრა.

თავდაპირველად, ნაწარმოების ჩაფქრებისას, ტოლსტოის სურდა ეჩვენებინა მაღალი წრის ქალის ბედი, რომელმაც „საკუთარი თავი დაკარგა“. მაგრამ მუშაობის პროცესში თანდათან ფართოვდებოდა რომანის ფარგლები, როგორც ეს ხშირად დამართნია მწერალს, რაც იგი თავის შინაფქრის განხორციელებას შესდგომია. საბოლოოდ „ანა კარენინაში“ რუსეთის ცხოვრების მთელი ეპოქა ასახა. ღლი მხატვრისა და ფსიქოლოგის გასათყარი ნიჭით დახატა ტოლსტოიმ ტრაგედია ახალგაზრდა ქალისა, რომელიც ესწრაფვის საკუთარ ბედნიერებას და იღუპება მაღალი საზოგადოების ყალბი და უსუღველო მორალის უღელქვეშ. კარენინისა და მისი წრის ეგოიზმს, ეროსკის შინაგანი არსის შეზღუდულობას რომანში უპირისპირდება ქალის მხურვალე ვულის სიმართლე, მისწრაფება ადამიანისა, რომელმაც ვერ გაუძლო იმ მძიმე სულიერ ტვირთს, რომლის ზღვა მას ბედმა არგუნა.

ანა კარენინის, კარენინისა და ეროსკის გუარღით რომანში ნაჩვენებია ლეენის, მისი საყლოის, ხოლო შემდეგ ცოლის — კიტის ბედი. მათში ტოლსტოიმ მრავალწილად საკუთარი და თავისი მუღლის ცხოვრება ასახა ახალგაზრდობის პეროდისა, აღწერა, საკუთარი ძიებანი ადამიანის დანიშნულების, მისი არსებობის არსისა.

რომანში მართალი სურათია მოცემული მადნიღლე საზოგადოების ყველა ფენისა, დაწყებული თავდაზნაურული წრეებით და გლეხობით დამთავრებული, რომანის ყველა გმირის ბედი მჭიდროდა დაკავშირებული 70-იანი წლების ეპოქის ცხოვრებასთან.

რეფორმის შემდგომდროინდელი მემამულერი და გლეხური ყოფა, ეპოქის მეცნიერული და ფილოსოფიური პრობლემები, ხელოვნების

* დახარული იხ. № 10.

საკითხები, ისტორიული და პოლიტიკური ამბები, შთავრბობის ცალკეული ღონისძიებანი, საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტები — ყველაფერი ეს, მტრნაღლებად, ასახა „ანა კარენინაში“. მკაფიოდაა რომანში ნაჩვენები ის ეკონომიური ძვრები, რომლებიც იმ დროს რუსეთში მოხდა.

„ანა კარენინა“ ისეთი ნაწარმოებია, რომელშიც იღუერი ნაწილქრის სიღრმე ეფარდება სტყვის ხელოვნების მომხიბლავ ძალას. ადამიანების ასახვის, მათი სულიერი განცდებისა და ტანჯვის წარმოსახვის ძალით რომანი არ ნამოუფარდება „ომსა და მშვიდობას“. ტოლსტოი ისევ გველინება ადამიანის სულის გასათყარი მყოღე მხატვრად. თავისი წინანღლი ნაწარმოებებით ტოლსტოიმ თითქოსდა ამოწერა ერთი მხატვრის, ერთი მწერლის ნიქისათვის მისაწვდომი ადამიანთა ფსიქოლოგიისა და ადამიანთა ხასიათების სხვადასხვაობის ჩვენების შესაძლებლობა. მაგრამ „ანა კარენინაში“ ტოლსტოიმ ახლებურად გვიჩვენა ადამიანთა ინდივიდუალური სახეები. მან შეაღწია ახალ ფსიქოლოგიურ სიღრმეებში, გვიჩვენა ის, რაც მანამდე არ მოუცია, ან მხოლოდ შეუხო მას ანა, ვროსკი, ლეენი, კარენინი, კიტი, სტივა ობლონსკი, მისი ცოლი დოლი — ყველა ეს სახეები — შესანიშნავი მხატვრული აღმოჩენები.

რომანის ძირითადი საყლოური პრობლემები განსაკუთრებით მკაფიოდ და მთლიანად გამოხატა კონსტანტინე ლეენის იღუერი ძიებებში, მის დაუცხრომელ ცდებში — უპოვა თავისი მოქმედების ხაზი კამბატალსტურ ურთიერთობათა განვითარების პრობლემში, რაც ინერგოდა ის ეკონომიური საფუძვლები, რაზედაც მემამულერი მუღრნობა ემყარებოდა. ლეენი მტკაუნულად განიცდის თავდაზნაურობის ეკონომიურ გადატყეებას. იგი მზადა დეითანხმოს იმას, რომ გლეხობამ იყიდოს მემამულეთა მიწები. ლეენის ეს სამართლიანად მიიჩნია, რადგან „ბატონი არაფერს აყუთებს, გლეხი კი მუშაობს“. მაგრამ იგი ვერაღრით ვერ შერბება იმას, რომ მოყარე ნაბევაჯასად ყიდულობს ნიღაში მტხოვრებ ქალბატონის საყ-

ყვესო მიწებს, რომ ეპირს მანეთად აღევენ მას, რაც თუშინი ღირს.

ლუიანისთვის ყველაზე რთული პრობლემა — მიწათმოქმედებაში რაციონალური ეკონომიური სისტემის დადგენა. იგი უარყოფს ამ საკითხის გადაჭრის ამ ხერხებს, რომლებიც მოღებული დასავლეთ ევროპაში, სადაც იგი მათ შესაწავლად მიემგზავრება. ლეიანი წერს წიგნს, რომელშიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ კაპიტალისტური განვითარების გზა დასრულებამდე მიიყვანს მიწათმოქმედებას რუსეთში. მის ყველაზე უფრო აღევეებს საკითხი იმის შესახებ, თუ რა გზით მოხდება შემამულეთა და გლეხთა ინტერესების შეთანხმება, რომლებიც უფრო მეტად უერთობრბობაში იპოვებიან. ლეიანი ცდილობს შექმნას ისეთი პირობები, რომლის დროს გლეხები დაინტერესებულნი იქნებიან შემამულის მეურნეობის განვითარებით.

ავტორის ესმის ლეიანის პროექტების უნაყოფობა, როცა ეს უკანასკნელი ცდილობს ბარშონის დამყარებას გლეხობასა და შემამულეებს შორის პატრიარქალური წყობის შენარჩუნების საფუძველზე, რომლის დროსაც მემამულეთა უპირატესობანი ხელუხლებელი რჩება. როგორც დიდი რეალისტი, ტოლსტოი გვიჩვენებს, რომ ესტორიის მთელელება ანგრებს ლეიანის უტოპურ პროექტებს. ამ უნაყოფობის შეგნებას ლეიანი მიჰყავს ცხოვრებით დაუწყაოფილებლობის გრძობამდე, უკიდურეს პესიზმამდე, განსაკუთრებით საყვარელი მის სიყვდილის შემდეგ. იგი ჰყარავს რელიგიურ რწმენას, ფიქრობს თეოთავლელობაზე, რისგანაც მას ოჯახსა და მეურნეობაზე ზრუნვის აუცილებლობა იხსნის.

ბოლოს და ბოლოს ლეიანი გამოსავალს ამ ნიხიდან კპოევებს იმაში, რომ მოეკცა გლეხი თველორეს სიტყვების ვაღენის ქვეშ, რომელიც მან მეორე გლეხის — ფოკანინის მიმართ თქვა: „იგი სულისათვის ცხოვრობს. ანსვის ლმერთი“

საკუთარი სულერი კრიზისის კარიბჭესთან მიხული ტოლსტოი ასე ამოვინებს ლეიანს გამოსავალს. თუმცა ეს რომანში ბუნდოვანად, აბსტრაქტულად არის ნაჩვენები და ნაკლებად დასამტკიცებელია.

„ანა კარენინას“ შექმნის ეპოქა 10 წლით არის დამორებული „ომისა და შვიიდობის“ შექმნის ეპოქიდან. ამან თავისებური დიდი დასხვა ახალი რომანის შინაარსს და განაპირობა მისი ძირითადი განწყობილება. „ომი და შვიიდობა“ — ჩანალი, სისხლსაყენ ცხოვრების, მისი მიწერი სიხარულია და მისწრაფებების აპოთეოზია. მასში მტკიცდება მყარი ოჯახური საწყისი. ნაჩვენებია ორი წყვილის — პიერისა და ნატაშის, ნიკოლოზისა და მარიამის — ქე-

მარტი ოჯახური ბედნიერება. თუ ამანათა პირადი ცხოვრება მჭიდროდ და კეთილნაყოფიერად უკავშირდება ქვეყნის სფერქტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებას, სამშველქმედ ქვეყნის დამთავრება, დიდი განსაცდელი, რომლის გადატანა მოუხდათ რომანის მთავარ გმირებს, მორალურად აყავენს და წყენდს მათ. „ომისა და შვიიდობის“ გმირთა შორის ტოლსტოისთვის სულიერად ყველაზე ახლებელი პიერ ბუზუხოვი თავისი არსებობის აზრს კპოევებს ოჯახური ცხოვრებას სიხარულში და პოლიტიკური მოღვაწის როლში, რომელსაც სურს ლიბერალური რეფორმებით ვაუმჯობესოს რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობა. მისი სულიერი სამყარო, რომელიც დროებით მოეკცა მისონური დოქტრინის მისტიკის ტყვეობაში, შემდეგმ აიუაო ანა რელიგიური, არამედ თანადროულობის რელიურ საკითხებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი პოლიტიკური ინტერესებით.

სულ სხვას ვხედავ ჩვენ „ანა კარენინაში“ — აქ ვაბატონებულაა მძიმე მოლოდინისა და ღრმა შინაგანი დაბნეულობის განწყობილებანი. ეს ვლინდება თვით რომანის კომპოზიციაში და მის სხვა მხატვრულ ელემენტებშიც: ანა და ვრონსკი თავიანთი სულიერი ცხოვრების კრიზისულ მომენტებში ვანიცდებიან მძიმე წინათგრძობას: მათ აწუხებთ სხვადასხვა საბედისწერო ნიშნები, პალეონაიკები; დარაფის სიყვდილი ვაგონის ბარბლებქვეშ, რაც სიმბოლიურად წინასწარმეტყველებს ანას საშინელ ტრაგედიას; მახინჯი ბერაკი, რომელიც რკინას ამტყვეებს და რკინა ფრანგულ სიტყვებს ბუბუბუებს — იგი ხშირად ეჩვენება ანას პალეონაიკებში, მოგჩვენა მას იგი სიყვდილის წამსაც და ერთდროულად დაესაზმრათ ანასაც და ერონსკისაც მათი ცხოვრების ერთ-ერთ მძიმე პერიოდში; ქარბუქი ანას დაბრუნებისას პეტერბურგში, რაც მის სულერ მღელვარებაზე მიგვიფოთებს; ფრუ-ფრუს დაღუფა ერონსკის გაუფრთხილებლობის გამო, რაც ანას სიყვდილის მომასწავებელია; საწიელი, რომელიც ქრება და ინობა — სიყვდილის აღეგორიულის საბავა: ანაც ანაც ვრონსკი მომხდარ ამბებში ტრაგეულ თანხვედრის ეძებენ და მძიმე სიზმრებს ხედავენ.

ეს ხერხები ხელს უწყობენ პერსონაჟთა ფსიქოლოგიური მღგომარეობის ღრმად ვახსნაჩვენებას.

რომანის გმირთა ყველა მისწრაფება — მოთხოვნა ბედნიერება სიყვარულში, ოჯახურ ურთოერთობაში, საზოგადოებრივ მოღვაწეობაში — კატატროფით მთავრდება. ტრაგედიულია ანასა და ერონსკის სიყვარული. შავკამ ლეიანისა და კტის სიყვარულშიც, რომელიც თავიდან ისეთი სათელი და მტკიცე იყო, მათი შეუღლების შემდეგ ღდება უშიმგის პერიოდი,

ემწენა მტანჯელი სიყარელე და დაეკმაყოფილებლობა. ლეინის მიქეფარე და დამბელი სამეურნეო შრომა, მისი ცდები მიიღოს მინაწილია საზოგადოებრივ მოღვაწეობაში, ისევე, როგორც მისი სიყვარული კიტისადმი, ვერ მოუპოვებს მას სულიერ სიმშვიდეს, ვერ გამოაკეს იგი მძიმე სულიერი ჩიხიდან. ამ ჩიხიდან მას, სასოწარკვეთილებამდე მისულს, გამოაყვამს გლეხური რელიგიური ჩრჩხენა, რომელიც ჭადავებს სიცოცხლს ღმერთისა და სულიანთის და არა პირადი ეგოისტური ბედნიერებისათვის, რისკენაც ლეინი უოველ-ათვის იმწრავდოდა. უსულგულო და ანტიპატურე კარენინი, ქარაფშუტა, მაგრამ თავისებურად სიმამათიური ობლონსკი — ორივენი აუბედრდებენ თავიანთ ცოლსაც. ანა წყევტს ქორწინებით დამყარებულ კავშირს, მაგრამ ვერ პპოვეებს ბედნიერებას უროსისკისთანაც; დოლი კი, ობლონსკის მეუღლე, შოთმინებით იტანს თავკარანინ და უდარდელი კაცის მეუღლეობას და მთლიანად ეფლობა შვილებს მოვლაპატრონობაში, ვალარიბების გზაზე დამდგარ ოქახზე ზრუნვაში. რასაკვირველია, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენად წყრილობანი, ღარიბი და უმშინუნელია პირადი და ოქახური ურთიერთობები ზნეობრივი დონე რომანის ასეთი პერსონაჟებისა, როგორიცაა ბეტტი ტურსკაია და მისი გარემოცვის ადამიანები.

უნაყოფოა, ცხოვრების ქეშპირიკი მოთხოვნა-ლებათაგან ძლიერ დამორბებული ყველაფერი ის, რასაც სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, მეცნიერები აყობებენ, დამყვებული კარენინიდან, დამთავრებული თავიდაზნაურული ყორობების მონაწილეებისა და მეცნიერული წიგნების ავტორებით. უნიდაგო და გამწირულია კრიტიკისა და ნიკოლოზ ლეინის რადიკალური სოციალური პროექტები; მძიმეა ნიჭიერი მხატვრის მხაილოვის ბედი, ვაკრიტიკებულია რომანში მამინდელი მეცნიერება, ფილოსოფია, ზელოვნება, ეპოქის იდეური მიმდინარეობანი.

რომანის მხოლოდ ცალკეული ადგილები, სადაც ასახულია ადამიანის შრომის სიღამაზე, ნაჩვენებია ბუნების მაკურნებელი სტიქია, გლეხკაცის ოქახური იდილია. ან დოლი ობლონსკაის დედობრივი სიყვარული — გამსჭვალული არის ტოლსტოის უდიდესი სიყვარულით ცხოვრებისადმი, ნათელი განწყობილებებით.

რომანის პეიზაჟისტური ელფერი ჩვენთვის გასაგები იქნება, თუ მას განვიხილავთ როგორც ტოლსტოის რეაქციას რუჯეთში კაბიტალისტურ ურთიერთობათა სწრაფ განვითარებაზე, როცა, ლეინის სიტყვებით, „ყველაფერი ვადარტილდა და ახალი ეწყობა“. კაბიტალიზში ანგრევედა თავიდაზნაურობის და გლეხობის ცხოვრების ძველ, დახვეწებულ ფორმებს და ამტკიცებდა არსებობის ისეთ ახალ, ბურჟუაზიულ ფორმებს, რომლებიც სრულიად უცხო

იყო ტოლსტოისათვის. კაბიტალისტური სასტუმარმა დემორჩილა ობლონსკების ცხოვრება ბურჟუაზიულ წესებს, გააღიურა და დაეკმაყოფილა ობლონსკები. მათს ქონებაზე უკრებოდა გლეხების მცირე ქონებაზე მდიდრდებოდნენ მექთანობრა-ეულიაი რაიბინინები. იგივე წესები ამბობავენ გადაუღებელ ზღვდეს ლეინის და გლეხებს შორის, მაშინ, როცა ლეინი ცდილობს ახალ საწყისებზე აავოს თავისი მეურნეობა, რათა გადალახოს წინააღმდეგობა მეხატონესა და გლეხს შორის. ოქახის ნგრევეაც ტოლსტოის შეხედულებით, არამირდაპირ, მაგრამ მაინც კაბიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასთან არის დაკავშირებული.

რომანი „ანა კარენინა“ იწერებოდა ფასეულბათა გადაფასების იმ პერიოდის კარიბჭესთან, რომელიც მაკოლოდ გამოვიდინდა ტოლსტოის მსოფლმხედველობაში 70-იანი წლები დასასრულს და 80-იანი წლების დასაწყისში, როდესაც მწერალი საბოლოოდ გადავიდა მატრიარქალური გლეხობის იდეურ პოზიციებზე.

V

„ანა კარენინას“ დამთავრების შემდეგ უკვე მთლიანად მოშწიფდა ის გარდატეხა ტოლსტოის შეხედულებებში ცხოვრებაზე, მის ზნეობრივ საფუძველზე, რელიგიურ და საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, რომელშიც თავი იჩინა მწერლის შემდგომ ნაწარმოებებში.

ისეთ ოსზულებებში, როგორიცაა „ალსარება“, „რამია ჩემი რწმენა?“, „მამ რა ვაკეთოთ?“ ტოლსტომ დიდი მღელვარებითა და გულწრფელობით გადაჭედა საკეთარ ზნეობრივ რელიგიურ და საზოგადოებრივ შეხედულებებს, და ყველაფერ იმას, რითაც ცხოვრობდა მისი თანადროული საზოგადოება, რასაც ასე თავგამოდებით იცავდა მეფის რუსეთის სოციალური და სახელმწიფოებრივი წყობილება.

ტოლსტოი თანდთან იმსჭვალედა უარყოფითი დამოკიდებულებით არა მარტო ოფიციალური ეკლესიის მიმართ, არამედ საერთოდ თვითმპყრობელური წყობილების მიმართ. მის ზიზღს იწვევს პოპედონოსცევი, რომელიც რეაქციის დასაყრდენს წარმოადგენდა.

1881 წ. ტოლსტოი წერილს წერს ალექსანდრე III-ს, რომელშიც ითხოვს აპატიონ რევოლუციონერებს ალექსანდრე II მოკვლა, მაგრამ პოპედონოსცევი უარს ამბობს გადასცეს მეფეს ეს წერილი. ტოლსტოის მწვავე კრიტიკული დამოკიდებულება ოფიციალური სინამდვილის მიმართ არ შეიძლება არ დაეუკავშიროთ 70-80-იანი წლების რევოლუციურ სიტუაციას, რომელშიც გაელენა მოახდინა მასზე, გუნდმტყეა უარყოფითი დამოკიდებულება არსებული წესწყობილების მიმართ.

1881 წელს ტოლსტოი ოქახით დიდი ზნით სახლდება მოსკოვში, რათა განათლება მიეცა

ევან წამოზრდილი ბავშვებისათვის. აქ მას თელი აეხილა ქალაქური ცხოვრების უმძიმეს მხარეებზე, რის შესახებაც მღელვარებით გუამბო ნაწარმოებში „მამ რა ვაკეთოთ?“, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს ტოლსტოის ძირითადი აზრების გადმოცემას რელიგიის, მორალის, მეცნიერების, ხელოვნების და სოციალური, ეკონომიური და პედაგოგიური პრობლემების ძირითად საკითხებზე.

ამ ტრაქტატში შეკვივრდნენ გამოვლინდა ტოლსტოის პოზიცია, რომელმაც იგი დაუახლოვა რუსეთის პატრიარქალური გლეხობის, შეხედულებებს, გლეხობას, რომელიც სულ უფრო მეტად ღარიბდებოდა სოფელში კაპიტალისტურ ურთიერთობათა შექმასთან დაკავშირებით. პირველი სიცოცხლის მინძღვლე ტოლსტოი თავის პუბლიცისტურ, რელიგიურ სტატიებში თუ მხატვრულ ნაწარმოებებში ენერგიულად და მწვეველ ამხილებდა კაპიტალისტური სინამდვილის მწყერებას.

ტოლსტოის მსოფლმხედველობაში აისახა გლეხური აზროვნების და გლეხური ფსიქოლოგიის მთელი ის წინააღმდეგობა, რომელიც შეიძწნოდა კაპიტალიზმის მძლავრი განვითარებას და რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მომზადების პერიოდში. თავის გენიალურ წერილებში ტოლსტოიზე ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა, რომ ეს წინააღმდეგობანი, როგორც რუსი გლეხის, ისე ტოლსტოის აზროვნებაში, გამოვლინდა მით, რომ მძაფრი პოლიტიკური პოლიტიკა-თვითმპყრობელურ სახელმწიფოს წინააღმდეგ მათში გვეუბრება პოლიტიკურ უმწიფარობას და რელიგიურ შოკუნებობას.

ახლის მიქონდა რა გულთან ხალხის უბედურება და ამხილებდა რა ყველაფერს იმას, რაც მას უბედურების მიზეზად მანანდა, ტოლსტოი, თავისი ცხოვრების უკანასკნელ ოცდაათ წელს მტკიცედ და ბეჭითად ქადაგებდა საკუთარ მოძღვრებას, რომელსაც, მისი აზრით, ხელი უნდა შეეწყო დედამიწაზე ქრისტიანული სამართლანობის დამყარებისათვის.

მაგრამ დიდი მწერლის ეს ქადაგებაც და მოძღვრებაც უნაყოფო, ძალას მოკლებული იყო, რადგან იგი ემყარებოდა არა საზოგადოების განვითარების კანონებს, არამედ განყენებულ მორალურ და რელიგიურ დებულებებს.

იმ მორალურ და რელიგიურ კრიზისს, რომელიც მკაცრად გამოვლინდა 80-იანი წლების დასაწყისისათვის, არ შემოღ ვაჯელმა არ მოხდინა ტოლსტოის იმპროვიზაციული და შემდგომში პერიოდის მხატვრული შემოქმედების ხასიათზე, მის შეხედულებებზე ხელოვნების ამოცანებზე. ყველაფერში, რაც მას მამან დაუწყებია, მკვლევარმა მისი ძალაც და სისუსტეც.

ტოლსტოი ენერგიულად ილაშქრებს იმ ხელოვნების წინააღმდეგ, რომელიც განკუთვნი-

ლი იყო გაბატონებული კლასების გემოვნების დასაკმაყოფილებლად და იცავს საერთო სახალხო ხელოვნებას, რომელსაც შეუძლია გააერთიანოს რაც შეიძლება მეტი ადამიანი ერთ სულიერ მოღვაწეობაში. ასეთი ხელოვნება ყველასათვის გასაგებია უნდა იყოს, იგი უნდა პასუხობდეს მშრომელი მასის ვ. ი. გუნობის, ცხოვრებისეულ მოთხოვნებებს. მაგრამ ამ ხელოვნების საფუძვლად მას მიანიჩა რელიგიური საწყისი, რითაც მწერალი ხელოვნებას აცლიდა ქრისტიანული სახალხო ინტერესების გამოხატვის ფუნქციას.

მისი შეფასებას აძლევდა რა ხალხურ პოეზიას — ზღაპრებს, ლეგენდებს, სიმღერებს, ბილინებს, ანდაზებს, ტოლსტოი მათ საკუთარი შემოქმედების მისხამდ ნიშნად თვლიდა, წერდა ხალხურ მოთხრობებს, რომლებშიც მისი დიდი მხატვრული ოსტატობა შერწყმულია უსიტყვო რელიგიური მორჩილებისა და კარბათიანული წინააღმდეგობის გუწვეულობის ქადაგებასთან.

სახალხო მოთხრობებთან ერთად იმ წლებში ტოლსტოი წერს სახალხო დრამებსაც. ეს დრამები მხატვრული ღირსებებით ჩამოუვარდებიან სახალხო მოთხრობებს, მაგრამ მათ შორის არის ერთი ნაწარმოები — „მეუფემა წყვილიდა“, — რომელიც მსოფლიო დრამატურგიულ შედეგებს ამოუდგა გვერდით. ამ ნაწარმოებში ტოლსტოი იყენებს ბრწყინვალე ფსიქოლოგიური ანალიზის იმ ხერხებს, რომელიც ასე შეკვივრდა აბსოლუტის მის უწინდელ ქმნილებებს, და რომელსაც იგი განზრახ არ მიმართავდა სახალხო მოთხრობებში. პიესაში უდიდესი რეალისტური ძალით, დიდი მხატვრული ოსტატობითაა ნაჩვენები პატრიარქალური, ჩამორჩენილი რუსული სოფელი, მისი შექაბება იმ კაპიტალისტურ ურთიერთობებთან, რომელიც შეუქმნებელი იჭრება სოფლის ცხოვრებაში, ამახინჩებს, რყენს და ანადგურებს გლეხთა ყოფას, მათ მორალურ საყრდენებს.

ძველი, მამამაპური შეხედულებების დამკვივრად პიესაში გვევლინება ენაბრგვილი ავით, ლუთისმომწიარი ღარიბი გლეხი, რომელიც „სამართალი“ ცხოვრობს და ცდილობს ქრისტიანობის გზაზე დაიყენოს თავისი გარყვნილი შვილი ნიკიტა. ეს კაცი, ქალების მოტრფილეთა და პრანჭია, ცხოვრობს ახალგაზრდა ქერიის ხარჯზე, რომელსაც საკუთარი ქმარი მოუწამლავს. ნიკიტა მას ფულის გამო თხოვრობს, მაგრამ მალევე დაღატობს. გარყვნილი ცხოვრებას ნიკიტა ბოროტმოქმედებამდე მიჰყავს, — იგი ჰკლავს შვილს, რომელიც საყვარლისგან შექმნა ბოროტი არსება, რომელიც ნიკიტას აქეთენ უბიძგებს, დედამისი მატრიონაა. ეს არის ფილი, ანგარებიანი დედაკაცი, რომელსაც შვილი ცხოველური სიყვარულით უყვარს. სასიყვარულო საქმეებში გახლართული, უნ-

ბისყოფი ნიკიტა, სასოწარკვეთილებითა და შინაგანი წინააღმდეგობით ჩაიღწეს დანაშაულს, მაგრამ ვერ უძლებს მის სიმამრს და მკვლელობის შემდეგ განიდის უძლიერეს სულიერ ძრწოლას, საბედისს ქნევსა თეთმკვლელობამდე მიიყვანს, მაგრამ მას აზერებს ვადამდგარი საღდათი მიტრიაჩი, რომელიც შთაგონებს: ნუ გეშინა ხალხისაო, ამ სიტყვების გავლენით ნიკიტა სულში, ისე როგორც ლეონის სულში თვედორეს სიტყვების გავლენით, „ნათელი“ დგება და იგი ხალხის წინაშე აღიარებს თავის დანაშაულს.

ამრიგად, „მეუფება წყვილისა“, ესე იგი, ტოლსტოის შეხედულებით მეუფება ყველა იმ ბოროტებისა, რაც გლეხების ცხოვრებაში იჭრება კაპიტალიზმის შემოჭრასთან ერთად, მარცხდება იმ მძიმე ცოდვის ქრისტანული აღიარებით, რომელიც ჩაიდნილია იმ ახალ ურთიერთობათა ზეგავლენით, იმარჯვებს მორჩილება, დანაშაულის გამოსყიდვად სასურველი. პიესაში ჰეგლს, პატრიარქალურ გლეხურ წყობას, რომელიც აკივის აზრებში და მოქცევაში არის განსახიერებელი, მინიჭებული აქვს მორალური უპირატესობა იმ ცოდვიან ჰირთან შედარებით, რაც კაპიტალიზმს მოაქვს და რამაც ნიკიტა ბოროტმოქმედებამდე მიიყვანა.

დიდი იყო შთაბეჭდილება, რომელიც ამ პიესამ მოახდინა. ყარგა ხანს გაჰირდა მისი დადგმა რუსულ სცენაზე, მაგრამ დაბეჭდვისთანავე მრავალ ენაზე ითარგმნა და დიდი წარმატებით იღმებოდა საზღვარგარეთის მრავალ თეატრში.

ამ ნაწარმოების შემდეგ ტოლსტოიმ დაწერა კომედია „განათლების ნაყოფი“, რომელშიც ასახა უსაქმური მებატონეები, მაშინ მოღაში შემოსული სპირიტუალიზმით გატაცებულნი, ეს არის მებატონე და მახვილი სატარა მებატონეები ცხოვრებასა და ყოფილებაში.

სცენიურობით, შეუდარებელი იუმორით და გონებაშეხილობით ამ პიესას საპატრიო ადგილი უჭირავს მსოფლიო კომედიურ რეპერტუარში. მასში ტოლსტოი გვევლინება კვლავ, როგორც ბოროტების მამბილბელი, მაგრამ მისი მხილველის ფორმა არა მკაცრი ქადაგება და სერიოზული კვიისდარიგებაა, არამედ მწარე დატყუა და გამასხრება.

სასატილო და უმაქნისი არიან თავიანთ მოქცევასა და პრეტენზიულობაში ყველა ეს ზევზინცავეები, პეტრიშკეები, კრუგოსვეტლოვები. უმეტესნი და უმნიშვნელონი არიან ყველაზე, ვინც ზღვს უწყობს ღედაქალაქის ამ უსაქმურებსა და ბაჭიებს. თანაგრძობობათა ასახული პიესაში მხოლოდ სოფლის ხალხი, რომელიც არაა გარყვნილი მებატონეთა სასახლის ჰაერით.

ამვე პერიოდში ქვეყნდება ტოლსტოის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობა „ივანე ილინის

სიკვდილი“, რომელიც აღამაინის სიკვდილის საშინელების თემაზეა დაწერილი, აღამაინისა, რომლის მთელი არსებობა სექსუალურ ცხოვრების წერილობით და უმნიშვნელო ყველაფერზე, არაფერი არ იყო ივანე ილინის ბიოგრაფიაში ისეთი, რაც დაარწმუნებდა მის ერთხელ დაწესებულ ცხოვრების მდინარეებას; არავითარი სერიოზული საკითხები, რაც სამსახურებრივი კარიერის და უზრუნველყოფილი ოჯახური ყოფის საზღვრებს სცილდებოდა, არ აწუხებდა მას. მაგრამ უეცრად, შემთხვევითი დატყუის შედეგად, თავს დაატყდა მძიმე, მტანჯველი ავადმყოფობა. გენიალური ინტუიციით გვიჩვენებს ტოლსტოი ავადმყოფობის მიმდინარეობას, მთელი მისი დეტალებით; იგი გვიჩვენებს, თუ როგორ ამოწმებს საკუთარ ცხოვრებას ივანე ილინი, როგორ ვარდება სასოწარკვეთილებაში აღამაინი, რომელსაც არაფრით შეუძლება გამართლოს ქვეყანაზე თავისი არსებობა არაიის ტოლსტოიმდე და მის შემდეგაც არ უჩვენებია ასეთი სიმართლით სულიერი და ფიზიკური ტანჯვა მომავლადისა, რომლის მთელი ცხოვრება თავის მოტყუება იყო.

ივანე ილინის ფიზიკური ტანჯვა მუვაღდება იმის შევარძნებით, რომ იგი მარტოდმარტოა იმ ქვეყანაზე, რომ არაიის ანტიერესებს მისი უბედურება, გარდა მისამსახურე გერასიმეის, რომელიც გულწრფელად თანაგრძობობს და ემსახურება თავის ბატონს. თვით მისი ოჯახიც კი ზედმეტ ბარგად თვლის მას, და თუმცა მართლმართა შეიარაღებული, ივანე ილინი გრძნობს, რომ შინაგანად ოჯახი ყრუა მის ავადმყოფობისა და ტანჯვის მიმართ. მის თვალწინ იღლება საშინელი სიკრუე თავისი და მისი გათმობის აღამაინა ცხოვრებისა, იგი ვერ შეიარაგება აზრს, რომ უნდა მოკვდეს, უზომოა მისი შიში სიკვდილის წინაშე, და არ გაანზიანა ძალა ავობის ამ შიშს.

მაგრამ სიკვდილამდე ორი საათით ადრესწორედ ავობის წინ, ივანე ილინი ჩასწვდება იმას, რაც შეარჩევს სიკვდილთან, სიბნელის შიშს მის წინაშე, შთაუნერგავს შეგნებას, რომ სიკვდილი სრულიად არ არსებობს. რაცა მისი ტანჯვა უმაღლეს წერტილს აღწევს უეცრად სულში „ნათელი“ ჩაუდგება, ეს არის უეცარი გრძნობა — სიყვარული და თანაგრძობობა თავისი ახლობლების მიმართ, რომლებმაც იგი სიცოცხლის უკანასკნელ საათს შეიბრალვე. აზრი საკუთარი თავის, საკუთარი ზედის შესახებ დევლის უთმობს აზრს სხვის შესახებ, და ეს საკუთარ თავზე უარისთქმა უდიდესი სულიერი და ფიზიკური ტანჯვის მომენტში, ალორძინებს ივანე ილინს, შეგნებული სიცოცხლის უკანასკნელ წამებში აიყვანს იმ სიმაღლეზე, რომლის მიღწევით გამოსისყიდის თავისი არსებობის მთელ უაზრობას. ამგვარი „ნათელის ჩაღმობა“ ივანე ილინის სულში სიკვდილის წინ, ამგვარ-

რივე „განათლება“ ანდრია ზოლკონსკისა მოაბ-
ლოებული სიყვდილის წინ და აგრეთვე სხვა
ნაწარმოებთა პერსონაჟებისა, ესახვის არა იმას,
რაც ტიპიურია იყო რეალური სინამდვილისათ-
ვის, არამედ მას, რასაც ვარსაზობდა ტოლს-
ტოის საყურადღებო მსოფლმხედველობა.

80-იანი წლების დასასრულსა და 90-იანი
წლების დასაწყისში ტოლსტოი ბევრს მუშაობ-
და ნაწარმოებებზე, სიღაც ახასაზ ნამდვილი,
ადამიანურ გრძნობებს მოკლებული სიყვარუ-
ლი, ის რაც ამგვარ გრძნობას მოაქვს ადამი-
ანისათვის. ამ პერიოდს მიეკუთვნება „კარაიკა-
რის სინათლე“ და „ეშმაკი“, აგრეთვე იმ მოთხ-
რობის დასაწყისი, რომელიც შემდგომ დიდ
რომან „აღდგომაში“ გადაიზარდა.

1891-1893 და 1898 წლებში ტოლსტოი ენერ-
გიულ მონაწილეობას იღებდა რუსეთის დამ-
შუღლი გუბერნიების მცხოვრებთა დასახმარებელ-
ად, აწყობდა დამშუღლთათვის სასაღილოებს,
აგრეთვე მათთვის ფულს, წერდა სტატიებს
შინძილის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. თა-
ვის წერალებში აღექვანდრე III და ნიკო-
ლაი II მიმართ იგი გახედულად და მტკიცედ
ებრძოდა ძალიანობისა და უსამართლობის ყუ-
ველგვარ გამოვლინებას, რაც ასე ახასიათებდა
თვითმპყრობელურ რეჟიმს.

VI

თვითმპყრობლობის წინააღმდეგ მძაფრი
პროტესტის გამოხატულება იყო ტოლსტოის
რომანი „აღდგომა“, რომანის მამხილებელი ძა-
ლა იმდენად დიდი იყო, რომ მისი ტექსტი,
რომელიც ქურნალ „ნივაში“ იბეჭდებოდა და
შემდეგ 1900 წელს, პეტერბურგში ცალკე
წიგნად გამოიცა, სასტიკად იყო მიმართული
და დამბნეხებული ცენზურის წინა, სწორედ
„აღდგომაში“ გამოსვლა იქცა ძირითად მიზე-
ზად იმისა, რომ ტოლსტოი 1901 წელს სინოდ-
მა გელესიიდან მოაქვეითა.

„აღდგომაში“ მოცემულია მკაცრი კრიტიკა
ყველა იმ საფუძველზე, რომელსაც ეყრდ-
ნობოდა გაბატონებული კლასების ცხოვრება
მეფის რუსეთში. მავრამ მსოფლდავად იმისა,
რომ ნაწარმოების მოქმედება, ის გარემო, რო-
მელშიც ამბები ხდება, დაკავშირებულია რუ-
სეთის ცხოვრების განსაზღვრულ ეპოქასთან,
შინიც ყველაფერ იმას, რაც რომანში ხდება,
შეიძლება ჰქონოდა ადგილი ყოველ კაპიტა-
ლისტურ ქვეყანაში.

გვიხატავს რა კატეშა მასლოვას ტრაგიკულ
ბედს და შემდგომ მის აღორძინებას, „აღდგო-
მას“, ოსტატურად ვეჩვენებს რა ნებსიულო-
ვის მონაწილესა და მის სწრაფვას — იუ-
ხოვრის ახალი ცხოვრებით, ტოლსტოი ამავე
დროს ვეჩვენებს რომანში დიდატ, ვალარბე-
ბულ სოფელს, მეფის ციხესა და მის ტყვეებს,
კომპირის სატორღასა და რევოლუციონერებს,

გვაძლევს სასამართლოს, ეკლესიას, მთელი
მოხელეების, მეფის რუსეთის მთელი საზო-
გადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობის
მამხილებელ სურათს.

წელია დასახველა სხვა მეორე ნაწილებში,
რომელშიაც ამგვარივე მღელვარებით, მაღალი
ზნობრივი გრძნობის სიწმინდით, ყოფილი-
ყოს გახსნილი თვითმპყრობელურ-პოლიტიკური
რეჟიმი და კაპიტალისტური სისტემის საშინე-
ლი უსამართლობანი. ყველაფერი, რაც ამაღლე-
დადევრია ტოლსტოის, ჩაივარდა მამხილ-
ებულ-მქადაგებელს, ყოველივე ის, რას წინააღ-
მდეგ გაულაშქრია მას, როგორც შორალესტა
და პუბლიცისტს, თავს იყრის „აღდგომაში“ და
მასში პოულობს თავის მთლიან მხატვრულ
სრულყოფას.

ამ რომანში უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე
სხვა ნაწარმოებში, აკრიტიკებს ტოლსტოი მის
თანამედროვე საზოგადოებრივ წყობას მრავალ-
მილიონიანი გლეხობის პოზიციებიდან. რომან-
ში სულ სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებია
გამოყვანილი: რუსეთის საზოგადოების თავი-
დაზნურობის ზედაფენა, დიდი ქალაქის ბიუ-
როკრატია, სამღვდელთა, სექტანობა, ინჟ-
ლისური მისიონერება, გლეხობის მასა, ვაჭრე-
ბი, სამხედროების ფენა, ხელოსნება, მუშე-
ბი, ადვოკატები, სასამართლოს წინოვნიკები,
ციხეების უფროსობა. ფართოდაა ნახვენები
ბოროტმოქმედა წიგ, გონებადარშული, ტან-
ყული ხალხი, რომელიც უმეტესად უღანა-
შაიული იჩავრება მეფისწინაშედი ციხის
შემიერ რეჟიმის უღელქეში. გამოყვანილია რე-
ვოლუციონერების ქვეშეც, რომელიც თავის
ფრმეტს ნაწილში ტოლსტოის მიერ სიმპატიითა
და თანაგრძნობით არის დახატული.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მწერალი თა-
ნაგრძნობით მხოლოდ ხალხოსან-რევოლუციო-
ნერებს ეკიდება, რომლებიც ინტელიგენციის
ან გლეხობის წრიდან იყო გამოსული და ცო-
ტად თუ მეტად ახლოს იყვნენ მასთან თავიან-
თი იდეალისტური შეხედულებებით. ტოლს-
ტოი სიმპატიის ზატავს მათ, ესთ პოლიტიკური
მოღვაწეობაც ძირითადად ვაწყენებულ მორა-
ლურ საწყისებს ემყარება.

რომანის კვანძი — ნესიუდოევის დანაშაუ-
ლი კატეშა მასლოვას მიმართ — განსაზღვრავს
რომანში შემავალ ყველა სხვა ელემენტსა და
ეპიზოდს, რომლებიც მშიდროდ არიან დაკავ-
შირებულნი ამ ერთ ძირითად ამბავთან. აქედან
გამომდინარეობს „აღდგომის“ სიუჟეტის ორგა-
ნული მთლიანობა, განსხვავებით „ომისა და
შვიდიობასა“ და „ანა კარენინასაგან“. რომელ-
ნიც მოქმედების პარალელზმის და მეტაჟე-
რულად დამოუკიდებელი ეპიზოდების ვადა-
ლართვის პრინციპებზეა იგებული. მასზეა დამ-
ყარებული უფრო მძლავრი დინამიურობა და
ფაბულის სიმძაფრე. „აღდგომაში“ ტოლსტოი

უფრო ნაკლებად, ვიდრე სხვაგან, მიმართავს დეტალურ ფსიქოლოგიურ ანალიზს. სამაგიეროდ აქ შეტია ისეთი პერსონაჟები, რომლებიც გაბედულად და ნათლად არიან ორი-სამი ვამომხატველი შტრიხით მოხატულნი.

„აღდგამის“ პორტრეტული გაღერვა მეტად შლიდარი და რელიეფურია. მწერალი თითქოს ცდილობს გვიჩვენოს, რაც შეიძლება შეტია სხვ, ფაქტ, ამბავი, იყენებს რა ყველაფერ ამას რომანის ძირითადი იდეის სიილუსტრაციოდ.

„აღდგამაში“, უფრო მეტად, ვიდრე „ანა კარენინაში“ შეღწეულია ავტორის ჩარევა, ავტორის სუბიექტური შეფასება რომანში მოქმედი პერსონაჟების, მათი მოქცევისა და სხვადასხვა უპაყოფიანი მოვლენების, იმისათვის, რომ მხატვრული ზომიერება დაიცვას, ტოლსტოი თავის აზრებს ხშირად ნებლიუდოვს აწერს და ათქმევინებს. ავტორისეული ტენდენციუა და მორალური ქადაგება „აღდგამაში“ სრულიად დაუფარავად ელინდება.

ეს ტენდენციუა შეიცავს პიროვნების ზნეობრივი სრულყოფის ქადაგებას, რაც ავტორის ბოროტებასთან ბრძოლის ძირითად საშუალებად მიაჩნია. იმის შედეგად, რაც ნებლიუდოვი სასამართლოს დაბაზში შეხვდა კატეშას და მონანიების გზას დაადგა, მას თვალში ავიხილა ცხოვრების მთელ ბოროტებაზე; მაგრამ იმის მაგივრად, რომ აქტიური მოქმედებით ხელი შეეწყოს თავისი ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ გარდაქმნას, ნებლიუდოვი პირადი სრულყოფისა და ფილანტროპული მოღვაწეობის გზას დაადგება.

იგი იმ დამკვირვებელ მიდის, რომ საქმარისია აღმინიჭებმა შესასრულონ სახარების აღქმა საერთო პატივისა, მოყვასის სიყვარულისა, ფიზიკურ მოთხოვნილებებისაგან თავშეკავებისა, რომ ისინი მიაღწევენ სასურველ მიზანს; კატეშა მასლოვას „აღდგამა“, რომელიც უმთავრესად რევოლუციონერებთან დაკავშირების გამო მიხდა, ხდება აგრეთვე მხოლოდ პირადულ, მორალურ პლანში. ეს რევოლუციონერებიც კი, რომელთაც თანაუგრძნობს ტოლსტოი, ესწრაფვიან უპირველეს ყოვლისა თავიანთი მშაალი ზნეობრივი იდეალის განახლებას. ტოლსტოიმ ვერ გააკეთა, და არც შეეძლო გაეკეთებინა ის დასკვნები, რომლებიც მის მიერვე დასახულ წინამძღვრებიდან გამომდინარეობდა.

თავის შემდგომ მხატვრულ („ბალის შემდეგ“, „რისთვის?“ და სხვ) თუ პუბლიცისტურ ნაწერებში ტოლსტოი კვლავ ემტობოდა ვეუღაფარ იმას, რაც აღდგევდა მის ზნეობრივ შეგნებას და სინდისს.

თავისი სიცოცხლის დასასრულს ტოლსტოიმ შექმნა პიესა „ცოცხალი ლეში“ და მოთხრობა „პაქი-მურატი“, ნაწარმოებები, რომლებიც

ბევრ რამეში უპირისპირდებოდა მის მოზრერებას.

„ცოცხალი ლეში“ მთავარ მოქმედებში — ფედია პროტასოვი — ცოცხალი განსხვავრება მძაფრი პროტესტისა ბერეუხიულ ოქანში დაკანონებულ პირმოთნეობისა და სიერუისა, ოჯახისა, რომელსაც ანმტიციებს არა სიყვარულის კავშირი, არამედ იურიდიული ძალდატანება. ფორმალური მორალის საყოველთაოდ აღიარებული აღქმანი უძღურნი აღმოჩნდნენ იმ დიდი ბუნებრივი გრძნობის წინაშე, რომელიც აკავშირებს პროტასოვსა და ბოშა ქალს მამას, იდამიანის მოქმედებას განსაზღვრავს არა განყენებულ მორალური ცნებები, არამედ ცოცხალი, სისხლსავსე გრძნობა, რომელსაც არაერთი სიერე არ აბრკოლებს და რომელიც ვერავითარ კომპრომისს ვერ იტანს. ამგვარად ტოლსტოის პიესის შინაგანი არის.

ერთი რამ ცხადია: ორპან ველიმ პოეზია და-ფუქანა სასურბო ენაზე. ამ თითქოს ერთი ნა-პიჯია პრიმიტიულობაზე, მაგრამ ის, რომ ორ-პან ველის პოეზია სასაუბრო სტილისაა, არამ-ცდარამც არ ნიშნავს პრიმიტიულს, პირიქით ორპან ველისა და მისი კოლეგების გაგებით, სასაუბრო სტილი თანამედროვე რეალიზმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

ნიკელად სიკვდილის გაღმერთებისა, ორპან ველის პოეზიაში სულ სხვა მანგები იჭრება. იგი უკვე აღარ მოელს სიკვდილს, როგორც „ხანგრძლივი წამების დასასრულს“, არამედ ამ-ბობს:

იცოც არ არის ცხოვრება იდეალი,
მაგრამ შეხედეთ, შეხედეთ ერთი!

ყვრ კიდევ თბილია ლოგინი ერთი
მიცვალელებული,
მეორის ხელზე კი ტიკტიკებს ჭაფიფი
ვიცი არ არის, ცხოვრება იდეალი,
მაგრამ შეხედეთ, შეხედეთ, ამა,
არც სიკვდილია იდეალი.
ძნელია განმორბედ ამ წუთისაფელს.
(„ცხოვრება“)

ავიღოთ მისი ლექსი „ეპიტაფია“. ამ რამდენიმე სტრიქონში ოსტატური ლაიონიურობით გამოძერწილია ცხოვრება ერთი პატარა ადამიანისა, რომელიც ისევე შეუძნეველად მიიცვალა, როგორც ცხოვრობდა:
მას არასდღეს არ უკითხავს თავის
თავისთვის

To be or not to be!

მან ერთი საღამო დაიძინა
და დილას აღარ გაუღვიძინა.
მოვიდნენ, აიღეს, წაიღეს,
ნამაზი უყვეს და დაასაფლავეს,
და როცა გაიგვეს მისი სიკვდილი იმათ,
ვისიც ემართა ვალი,
აღალი იყოსო, ასე თქვეს, აღმათ.
ხოლო როცა მოვიდნენ ისინი,
ვთაყ მან ასესხა ფული...
თუნცა ასეთები მიცვალელებს არც კი
ყოლია.

აი მისი მეორე ლექსი „ეპიტაფია“, რომელიც ასევე უზრალთ ადამიანის ტიკილესს გა-მხატავს:

მას არაფერი არ აწუხებდა ამ ქვეყანაზე,
ფეხზე კოჭრების ტიკილის ოღენ,
და ისიც კი არ აღარდებდა,
რომ ღამადა უღამაზო შეხედავი.
თუ არ მოუქერდა ფეხზე ფეხსაქმელი,
არც კი ახსენებდა ალაპის სახელს.
მაინც არ ეძახდნენ ცოფილიანს.
საბარლო კაცი იყო სულეიმან ფეფენდი
არ შეიძლება ამ არ მოვიკონოთ მისი ერთი
ლექსიც „ომში მიშავალს“, რომელიც მისა პო-ეზისათვის მეტად დამახასიათებელია:
ბიქო ქერათშიანო, მიმავლო ომში,
კვლავ ასეთი ღამაზე, დაგვიბრუნდი შინ,
შენს ტუნებზე იყოს სუნი შავი ზღვის,
წამწამთაგან ვისუნთქოთ სუნი შარლის,
ბიქო ქერათშიანო, მიმავლო ომში...

ერთი ცნობილი თურქი კრიტიკოსი ქენან მა-რეფი გაზეთ „ეთათში“ წერდა, „ორპან ველი ვარსკვლავით ბრწყინადა თურქულ პოეზიაში“. ეფიქრობთ კარგადაა ნათქვამი. მან. მარ-თლაც, ვარსკვლავით გამოანათა, გააბრწყინა ჩამოყვლდ, მაგრამ ძლიერად.

* ლექსების თარგმანები ჩვენია — გ. ბ.

* ყოფნა. არ ყოფნა? (ინგლისური) „პამლე-ტის“ მონოლოგიდან.

ივ. სარგაძე

მე-18 საუკუნის რუსეთისა და საქართველოს
ურთიერთობის შესახებ

(ერეკლე II 1770 წლის მოწოდება)

ერეკლე II 1770 წლის მოწოდება, რომელიც შედგომოთ მოგვყავს, მრავალმხრივ არის სასურველი.

მოწოდება ანუ მანიფესტი, პირველ ყოვლისა, საუბრაუღებოა როგორც XVIII საუკუნის ქართული იურიდიული დოკუმენტი, რომელშიაც ომთან დაკავშირებით, მოცემულია ქართლ-კახეთის მთავრობის მიერ დასახელებული მიზანი. ძველი სატყუთისო წყაროა ერეკლე II საგარეო პოლიტიკის დასახასიათებლად და მისი პროგრესული შეხედულებების შესახებ.

დაბოლოს, ძველი შესანიშნავია, როგორც XVIII საუკუნის ფეოდალური საქართველოს მკვიდრეობების ნიმუში, რომელშიაც იშვიათი სისადაეით, დიდი პათოსით, მაღალი აზროვნებითა და ლოგიკურად გამართული ლამაზი გამოთქმებით თანმიმდევრულად არის გადმოცემული მოწოდების მიზანი და ამ მიზნის მისაღწევი მთავარი და დამხმარე საშუალებანი.

შეტად მძიმე ებოქაში მოუხდა ერეკლეს ცხოვრება. მთელი რიგი საშინაო და საგარეო მიზეზის გამო გვიანფეოდალურ საქართველოში ეკონომიური განვითარება შეფერხდა. ეკონომიური განვითარების შეფერხებამ შენეებდა ზურგს უმაგრებდა მსხვილი ფეოდალების სეპარატისტულ მიდრეკილებას და აპირებდა ცენტრალური ხელისუფლების სისუსტეს. ქართველი ხალხის პროგრესული ნაწილი კარგად ხედავდა, რომ „ჩიხმა“ მიმწვევდომული ფეოდალური საქართველოს წინაშე ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა, რომ საქირო იყო ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური წყობილებაში არსებული ხასიათის ცვლილებების შეტანა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზშირად ისტორიაში მომავლადეი პოლიტიკური რეკიმი უნათო და უმნიშვნელო პიროვნებით არის წარმოდგენილი. სწორედ ამის საწინააღმდეგოდ.

საქართველოში დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობის მიმუხრზე სამეფო ტახტზე ერეკლე II-ის სახით ნიჭიერ, ენერგიული და შორსმხედრული მეფე აღმოჩნდა.

ერეკლეს ცხოვრება და მოღვაწეობა იმის ილუსტრაციას წარმოადგენს, რომ პიროვნებას, რა გინდ ძლიერიც არ უნდა იყოს ის, არ შეუძლია თავისი სურვილის მიხედვით გადაკრას ესა თუ ის საკითხი, იუ უყანასკნელი სოციალურ-ეკონომიური ფაქტობით არ არის შეპარობებული.

ერეკლე ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს მეფობდა. მამსაღამე, საქმაო დრო ჰქონდა ზომების მისაღებად და ცდების მოსახლენად. მაგრამ კატასტროფისაკენ დაქანებული საქართველო თითქმის მტკიცედ იყო დამდგარი ამ საზღვისწევრო გზას. ერეკლეს სიღიადე იმაშია, რომ მან სწორად აეღო ალლო ისტორიულ განვითარებას, სწორად გაიგო, რომ საქართველოს ხანა საგარეო ორიენტაციაშია, და ეს ორიენტაცია არსებობე უნდა იყოს აღებულ.

ერეკლეს სისიქედლოდ უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ის შეტად გონივრულად და აზრქაიებლად მოქმედებდა.

ერეკლეს მიწერ-მოწერის მიხედვით, და ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს „მოწოდებდა-ნაც“, საგარეო ორიენტაციის საკითხში, ერეკლესთვის თითქმის ქრისტიანობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

მართალია, რუსეთ-საქართველოს დაახლოებისათვის სარწმუნოების ერთობას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონია, მაგრამ არა გადაჭრული. საქმე იმაშია, რომ ფეოდალურ ებოქაში საგარეო და საშინაო ბრძოლები ზვეულებრივად სარწმუნოებრივი საბურღის ქვეშ წარმოებდა. ეს იყო, ასე ვთქვათ, საკითხის გარგველო მხარე.

ერეკლე II საგარეო ორიენტაციის საკითხთან დაკავშირებით, არაქრისტიანულ სახელმწი-

ფრებთანაც აწარმოებდა მოლაპარაკებას. ამით ჩვენ იმის თქმა გვიწევდა, რომ ამ შემთხვევაში ერეკლეს საქმეებზე კი არ ეხატა გულზე, არამედ თავისი სამეფოს ინტერესები. საკითხის ყოველმხრივ შესწავლის შემდეგ, ერეკლე მივიდა ამ მართებულ დასკვნაზე, რომ საქართველოს ბარბაროსულ გარემოცვის გარღვევა შეუძლებელი იქნებოდა რუსეთის დახმარებით, მხოლოდ ამ გზით ელიზაბეტი საქართველო ევროპის კულტურას, რომლისაგან ასე ენერგიულად ისწრაფოდა ერეკლე.

როდესაც ერეკლე დაწმენდა, რომ ერთადერთი რეალური ძალა, რომელიც საქართველოს კატასტროფის აცილებს, რუსეთია, ის მტკიცედ დაადგა რუსეთთან ეკვიპონის გზას.

მრავალმხრივი იყო ერეკლეს მოღვაწეობა: ბრძოლა ირანთან, ოსმალეთთან, დაღესტნელ აბრეგებთან, მორივე ლაშქრის ორგანიზაცია თავდაცვის მიზნით, ქვეყნის შიგნით ფეოდალებთან ბრძოლა, ბატონიშვილებთან ურთიერთობა, მეფის წინააღმდეგ შეთქმულთა საქმეების ძიება, რუსეთთან ურთიერთობა და სხვ.

თანამედროვეთა მოწმობით, ერეკლე მუდმივ საქმიანობაში იყო, დღიდან საღამომდე მოსვენება არ ჰქონდა.

კაპიტანი იზიკოვი 1770 წ. რუსეთში თავის მთავრობის წერს საქართველოდან: ერეკლე ჰყვანიდა ადამიანთა და ამასთანავე ყარკი ცხენოსანი... ის უღამზაინოდ არ ღადის და თუ მტერი ახლოა, თოფი აქვს მხარზე. ომის დროს ამოწვდილი ხმლით წინ მიუძღვის ყარს და თავისი მხნეობით მთვალის აძლევს მას. ტანისამოსს ატარებს ყოველთვის მდიდრულს.¹

ერეკლეს ღვაწლს დიდად აღსაქვებდნენ თანამედროვენი და მისი გარდაცვალების შემდეგ ერეკლეს შესახებ წერდნენ:

„ყველა ვიცოდა სანატრელ მფევე ერეკლეს მთლად საქართველოზედ როგორი ღვაწლი და ამაგი აქვს“.²

მოწოდება, რომელიც ქვემოთ მოგვყავს, ერეკლეს მოღვაწეობის მხოლოდ ერთ ეპიზოდს ასახავს. რუსეთისა და ოსმალეთის ომში, რომელიც 1768-1774 წლებში მიმდინარეობდა, ერეკლე II რუსეთის მხარეზე ჩაება და ოსმალეთის წინააღმდეგ ომის დაწყების წინ მოსახლეობას მოწოდებით მიმართა. ამგვარი დოკუმენტი წინააღმდეგ გამოცდათ ქართველ მეფეებსა თუ მთავრებს. მაგრამ ერეკლე II მერ გამოცემული მინიფესტი ამ მხარე იქცევის ყურადღებას, რომ ის დასრულებული, დამთავ-

რებული იურიდიული დოკუმენტი, რომელიც ასახავს ერეკლეს მთავრობის მიერ დასრულ ამოცანებს ოსმალეთთან ომის გაწყვეტის ოსმალეთთან ომის დაწყების წინ, მთავრდება მიმართავს ხალხს, რომელსაც ის უხსნის ომის მიზეზებს და მასში მონაწილეობის საარგებლობას.

მარველ ყოვლისა, მეფე აღნიშნავს, რომ ოსმალეთი საქართველოს ისტორიული მტერია, რომ ქართველი ხალხი ყოველთვის ისწრაფოდა ოსმალეთის ბატონობის გადაგდებას და რომ რუსეთის დახმარებით დადგა საამისო დრო.

ერეკლე ხაზგასმით აღნიშნავს შემდეგ გარემოებას:

- 1) ოსმალეთი ქართველობის მტერია;
- 2) ქრისტიანულმა რუსეთმა მუსლიმანურ ოსმალეთთან ომი დაიწყო;
- 3) საქართველომ უნდა ისარგებლოს შექმნილმა მდგომარეობით და რუსეთის მხარეზე იბრძოლოს, რომ თავისი ისტორიული მტერი დაეპარცხოს;
- 4) ამ ომის ზედი წინასწარ გადაწყვეტილია: რუსეთი ოსმალეთს დასძლევს და რომ ესეც არ იყოს, ე. ი. რუსეთს რომ არ შეეძლოს ოსმალეთის დაძლევა, ოსმალეთი მაინც ვერ მარცხდება, რადგანაც ქრისტიანულ რუსეთს მხარს დაუჭერენ ევროპის ქრისტიანული ქვეყნები.

ამ შემთხვევაში ის კი არ არის საყურადღებო, თუ რამდენად მართალია ერეკლეს ის აზრი, რომ ქრისტიანული ქვეყნები რუსეთს დაუჭერენ მხარს ოსმალეთთან ომის დროს, ქრისტიანობის შესახებ ჩვენ უკვე ვთქვით; მთავარი ამ შემთხვევაში შემდეგია: ერეკლე მოწოდებას წამოიტყვევს საქმეს ისე უხატავს, რომ ოსმალეთი ომი უსაბუთო წააგებს.

ამ მოწოდებაში ერეკლე თავის გადაწყვეტილებას რუსეთის მხარეზე გამოხატის შესახებ ყოველმხრივ ასაბუთებს და მოწოდებს ყველას ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ერეკლე, მართალია, ქართლ-კახეთის მეფეა, მაგრამ ის ლაპარაკობს მთელი საქართველოს სახელით. ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს ერეკლეს მოწოდების ის ადგილი, რომელიც იმართებს ეხება. დასავლეთ საქართველო, მოწოდების მიხედვით, ოსმალეთთან ისეთავე მტრულ დამოკიდებულებაშია, როგორც აღმოსავლეთი საქართველო. ამ შემთხვევაში „იმერეთი“ საქართველოს ნაწილია; საქართველო კი ერთიანი სამშობლოა. ეს გარემოება ფრიალ დამახასიათებელია მოწოდებისათვის მართალია, ფეოდალური საქართველო პოლიტიკურად დაქვემდებარებულია, მაგრამ მის მოწინავე ნაწილს თავისი სამშობლო ერთიანი ქართველი ხალხის სახით აქვს წარმოადგენილი.

მოგვყავს ეს შესანიშნავი ძეგლი.

¹ Грамоты и другие исторические документы относящиеся до Грузии, под-ред. А. Чагарели, 1891 г. стр. 183-184.

² იქვე, ტ. 11, გვ. 193.

ერეკლე II 1770 წ. მოწოდება

„იკაცლი მეორე, მეფე ქართლისა და კახეთისა, სრულიად უოველთა ერთა განვიცხადებ: ახლანდელი ჩვენი, ღთის შეწევნით, ახალციხეზედ ვალაშქრება, რომლის საქმიანაც პირებს გამოჩენას, ვამჯობინეთ უოველმან ჩვენს სამფლობელოთა კაცმა სრულდებოთ შეიტყონ, დიდმან, თუ მცირემან.“

უწინდელი ჩვენთა ჩამომავლობათა და სრულიად საქართველოსა ერთა იმიერ და ამიერ, მრავალჯერ მოხსენის ოსმალთა მიზნეი, რომ საქართველოს კაცნი შთაზედ მტრად აღდგომილდებოდნენ. მაგრამ ამ ფიქრით ვაბედვის დონე ვერ ეგონათ, რომ აღდებულს ხონთქარს ჩვენს ქვეყანაზე ერთის ჭარის გამოხევა რომ ებრძანა, შეძლება არ მქონდათ პასუხის ვაცემისა და არც ამისი შეშწენ მუყანდათ ამ საქმეზედ, და ამ უამად იმპერატორობის დიდებულისა, რომ ოსმალთა პირისა და ფიცისა გამოტყნა შექმნილან, როგორცაც თურქთ ჩვეულება არის უპირობა და ახლა დიდი ბრძოლა არის დიდის რუსეთის და ოსმალთ შორის, და ახლა ეს ერთი წელიწადი არის; რომ უოველს ქართლისა და კახეთისა და იმერეთისა და ან ამათი, ვინც მახლობელი ქრისტიანენი არიან, რომელთაც რომ თათართანაც მიმი არა აქუსი, მოწყალებით ბრძანებული არის ჩვენის მოწყალის ადვოკატო დიდის ეკატერინისაგან, რომ (რაც) შეგვეწოდოს ოსმალთზე მტერობა; კიდევ უნამეტნავესად ვარუენებთ და ახლო წყალობისა და საფარველის პირობა არის მოძებული მისან დიდებულობის რუსეთის ხელწიფისაგან თქვენთვის და საერთოდ ამ ქრისტიანეთათვის, რომ საუკუნოდ და საბოლოოდ ხონთქართან შერიგება თუ მოუხდათ, ჩვენც შერიგებული ვიქნებით და თუ კიდევ ამ ორთავე ხელშეწყობის შუაზედ ბრძოლა და შლილობა იქნება, ჩვენც კიდევ ხონთქართან აშლილი უნდა ვყოვენი.

ჩვენ და იმერლებმა რამდენსავე დროსა ბევრსა სამსახური გავწიეთ ხონთქარის და მისი ნაპირების ადგილებისა. მაგრამ მადლობისა და წყალობისა მაგიერ, ნიდავც რისხვა მივიღეთ და ახლა ინება დმერომან და როგორადაც ვახსოვთ და ვნატრობდით საქართველოს კაცნი, რომელთც დღეს ხართ, და ან კიდევ თქვენის მამისა და შაჰისაგან ვავიგონით, თუ ან იხინი როგორ მნატრობენ რუსეთის ჭარის მოხულას ამ ქვეყნებში და ან კიდევ როგორის წადილით ჩვენნი მამანი და პაპანი; დიდი მეფე თეიმურაზ, ამისა შემდგომად პაპა ჩუენი ირაკლი, მერამე მეფე არჩილ, მერამე ვახტანგ და მერამე ზიდაჩენი ბაქარ და ან მამა ჩვენი, მეფე, პატრონი, სანატრელი თეიმურაზ. ეს სანატრელი გარდაიციულდნენ ამ საქმისა სიუყარულისათვის, მაგრამ დრო არ მივიცათ და ის სურვილები და წადილები ახლა ადვისრულა დმერომან დიდის ეკატერინის ხელშეწყობის წყალობით და ამ

მიზნებით არის, ღუთით, ახლანდელი ჩვენი ვალაშქრება და მე ასე ვხედავ — ახალციხის გულსმოდგინებით ვარჯა ვემარტებოთ ქრამელნიც მტერზედ მიმსვლელნი ვარჯა დგომის შეწევნით, რომ მტერზედ შური ვიძიოთ და მართლმადიდებულის ხელშეწყობის სამსახური მისის ბრძანებულისა აღსრულებას ვცადდეთ და სხვა, რომელნიც ტრნი იყოფებით, მოვადრინ ხართ, რაც შეგვეძლოსთ, დღისა და მიმართ მხურვალის ღოკით რუსეთის დიდის ხელშეწყობისა განდღიერებისა და ხიგობისათვის ელოცოთ საერთოდ ქრისტიანეთა ქუარისათვის. და იმ თქვენის წმიდან ღოკუაში არც ჩვენ დაგვივიწყოთ, რომ მტერზე მისელთა თქვენის ნებისაებრ დმერომან წარმართოს.

ეგების იფიქროთ რაიმე ლეცხა და ან სხვისა და ან კიდევ სხვის მერობლობისა. ასე კარგის განსიჯულობით განხიჯეთ, რომ ლეცხის რუსეთი დიდად ახლა მერობილა და მადის რთდის იკადრებს მისი დიდებულება, თუ ღოთი აქამდის პასუხს აძლევდით, ახლა რომ იმის დიდებულების სამსახურისა შეძლებისამებრ ვარჯას ვარუენებთ, იმისი თადარიგი ახლავ არა მქონდა ეს და ლეცხა უხსნულთა წასახდენად მიგვეცხოთ და ან დაგანებოთ და სხვა მერობლები, რომელნიც არიან, იმათ ასე იცოდეთ — რუსეთისა და ერანში ერთმანეთთან შვიფობა არის. როგორადაც დიდებულის ფრანციის მიფისა და ხონთქარს შუა შერიგება არის და აგრეთვე კიდევ რამდენსავე ქრისტიანეთ მეფეთ ხონთქართან შერიგება აქუსთ და მომცრო კაცმა ვინმე, ერანის შკეიდრმა, ხონთქარს შევლა ვამბედოს, მას უყან ევროპაში რაც ხელმწიფენი ბრძანდებოან, ვგონებთ ჩვენის ვახანჯულობით, ისინიც ხონთქარზე ადღვიბიან, დიდად ცოტას ხანში თავიანთ წადილისებერ ოსმალთა დასიციენ, დიდად მლიერებით, და ეს დიდებულება და ვანარქებულთა რუსეთის ხელშეწყობე, და ამას, ღოთი ებვი არა აქუს, რომ დიდად ავად წახდენს და ააოსრებს და ამ საქმის შემძლებელი და მოქმედი დღეს არვიან მხინს და ეს ჭეშმარიტი სიტყვა თქვენთვის გულის დახადებად დაიწერა.

იქნება ზოგი კაცი ამ საქმეს სწორედ ხედავდეს და იქნება ზოგი ვინმე ნაღუბად ხედივდეს და იმისათვის მოიწერა ჩუენგან ეს თქვენი შესატყობელი საქმე, რომ ასე ვავისინჯავ ჩვენ და ჩვენ თანავანჯრახთა და მტერზედ ღოთი, ამ ფიქრით ვალაშქრავს ვაპირებთ. აღიწერათ თებერვალს კჷსა ვასულს ქარ ხუნ .¹

¹ საქართველოს იკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, A, № 122. ძველის აღწერილობა მოცემულია შემდეგ ვაშოკეაში:

„საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, IV, კორნელ ქველიძის რედაქციით, შედგენილია ქრისტინე შარაბაძის მიერ, 1954 წელი.

შოთა ხანთაძე

ქართული პოლიტიკური აზროვნება XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე

(ვახტანგ ბატონიშვილის წერილები).

ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში მე-18 საუკუნის დამლევით და მე-19 საუკუნის დასაწყისი უაღრესად საინტერესო და ამავე დროს სუსტად შესწავლილი ხანაა. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში შეიმჩნევა პოლიტიკური ლიტერატურის მობრუნება საქართველოში. აღორძინების გზაზე შემდგარი ქართველი საზოგადოება, მწვავე სოციალური ბრძოლის ვითარებაში, შემდგომი განვითარების გზებს ეძებდა, სახელმწიფო წყობილების გარდაქმნა — გადახალისებაზე ფიქრობდა. ასეთი მიზნისა და დღილის ხანაში არა ერთი საყურადღებო პოლიტიკურ-ფილოსოფიური ძეგლი შეიქმნა და შემორჩა ჩვენს სიძველეთსაცავებს.

წინამდებარე წერილში ჩვენ გვინდა განვიხილოთ ერთი პატარა ძეგლი, წერილების კრებული, რომლის ავტორია ვახტანგ ირაკლისძე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის მეფის ვრცელ მეორის ვაჟიშვილი.

ამ ძეგლის ქართული დედანი ინახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში. მისი სათაურია: „ეპისტოლური საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგისა“.¹ ამ ძეგლს ძველი ქართული ფილოსოფიური ლიტერატურის მიმოხილვის დროს ასახელებს განსვენებული მეცნიერი ს. გორვაძე.² „ეპისტოლენი...“ იმ სახით, როგორც იგი წარმოდგენილია სხვანებულ ხელნაწერში, გამზადდებულ ყოფილა რუსულად სათარგმნელად. ეს ჩანს მეორე წერილისათვის დართული შენიშვნიდან. სიტყვა „მონასთან“ დავაშორებთ ამ წერილს აქვს ასეთი შენიშვნა: „ქართულის მიხედვით მონად ნიადგ თანხმლები მოსამსახუ-

რე დაესდევ. უმად-შინ მყოფი მოხარე და რუსულში როგორც შევნიღვსა მთარგმნელმან ისე დასდუას. ვახტანგ“ (ხაზი ჩვენია შ. ხ.)

ეს წერილები ითარგმნა რუსულად და 1812 წელს გამოქვეყნდა კიდევ პეტერბურგში, სათაურია: „письма грузинского царевича Вахтанга Ираклиевича“. მათი მთარგმნელია ცნობილი ქართველი მწიგნობარი და მალაქაწე იაგორ გაბრიელიძე-ძე კილაშვილი (Егор Чилиев).

ვახტანგ ბატონიშვილი ამ წერილების შეთხზვის, თარგმნისა და გამოქვეყნების ვითარებას წინასიტყვაობაში შემდეგნაირად გადმოგვცემს: „მე დაესოხენ ეპისტოლენი ესე ეამსა მყოფობისა ჩემზსასა საქართველოსა შინა, სადა ოჯნიერ მეგობრისა მის, რომელსა ვსწერდი მე, არა ვის ეკითხა ივინი. ხოლო შემდგომად აჟა (პეტერბურგში—შ. ხ.) მოსალვსა ჩემისა მე ვახტანგ იგი აჟა მყოფთა ძმთა და სხუთა მცნობთა ქართველთა, რომელთაცა მიძღულეს მე, რათა მიმეცა იგი სათარგმანებლად და დასაბეჭდად...“

ე. ი. ეს წერილები ვახტანგ ბატონიშვილს დაუწერია ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნის დროს, 1802 წლამდე, როცა იგი მეფის მთავრობამ აიძულა რუსეთში გადასახლებულიყო. რუსული თარგმანი კი 1802-1812 წლებშია შესრულებული.

რუსული ტექსტი საგრძნობლად განსხვავდება ქართლისაგან. უბრალოდ თარგმანზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. მთარგმნელს ბევრი რამ შეუცვლია ვახტანგის ხელიდან გამოსულ ძეგლში. უმთავრესი ამათგან ის არის, რომ მთარგმნელს შეუცვლია ავტორის მიზანდასახულება: ვახტანგი „ეპისტოლეებში“ მიზნად ისახავდა ეჩვენებინა, რომ აღძვირებდა საერთო და ქვერობ ვალდებულებათა შესრულების დროს განსაზღვრულ მნიშვნელობა აქვს მოყვასისადმი სიყვარულს, რომ აღძვირებდა ბედნიერი იქნება მაშინ, როცა მრავალთა სიყვარულს დაიმსახურებს, რუსულ თარგმანში ეს მიზანდასახულება

¹ იხ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი S, ხელნაწერი № 1113.

² ს. გორვაძე—ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მეცნიერებაში, ტ. აჩენი მეცნიერება, 1924 წ. № 4—5, გვ. 9.

არ ჩანს, რუსულ ტექსტში შრავალი დებულუ-
ბა გამოტოვებულია, მთლიანად გამოტოვებულია
ზოგიერთი საკითხიც კი, მათ ნაცვლად შეტანი-
ლია სხვა ახალი დებულებები, ახალი საკითხე-
ბი, ასე, შავკალითად, რუსულ ტექსტში შეტანი-
ლია დებულება ადამიანის ვალდებულებათა თო-
ხი წყაროს შესახებ, თავისებური შეხედულება
პოლიტიკური ხელისუფლების როლისა და მნი-
შვნელობის შესახებ, აქვე ვახვდება ეკლესიის
შსახებრთა საქმიანობის მძაფრი კრიტიკა, რასაც
ქართულ წერილებში ვერ ვხვდებით. შესამჩნე-
ვი, რომ რუსული ტექსტი გამოდრეკილია
უფრო მასივილი და მოწინავე პოლიტიკური იდე-
ებით, ვიდრე ეს ქართულშია წარმოდგენილი.
ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ცვლილებები მთარ-
გმნელს ეკუთვნის, ევროპულად განათლებულ
და ამ დროის მოწინავე აზროვნების შქონე
ივარე ჰილაშვილს.

არჩვ გამოცემული განსხვავებაც რუსულსა და
ქართულ ტექსტებს შორის, რუსულ ტექსტში
გამოტოვებულია შესავალი, აქ წარმოდგენილია
12 წერილი, იმ დროს რაცა ქართულში „გეი-
სტოლითა“ რაოდენობა 14-ს უდრის.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი
პოლიტიკური იდეები — სახელმწიფოს ფორ-
მის, შეფისა და ქვეშევრდომთა ვალდებულებე-
ბის, კანონთა გარდევინად დაცივის აუცილებ-
ლობისა და სხვათა შესახებ რუსულ და ქართულ
ტექსტში ერთნაირია, საერთო პოლიტიკური
მსოფლმხედველობა ირთვე ტექსტში ერთი და
იგივეა. რუსულში მხოლოდ უკეთა იგი წამოყა-
ლებებული და შეესებრულია უფრო მეტიანი და
კრიტიკული იდეებით.

წერილების ავტორი ვახტანგ ირაკლისძე
(1762-1814) მე-18 საუკუნის დამლევისა და
მე-19 საუკუნის დამლევის თელსანიონ მოღვა-
წეა. იგი ახალგაზრდობიდანვე ჩაება სახელმწი-
ფოს მართვა-გამაგეობის საქმეში, მისი უფროსი
ძმის ლევანის გარდაცვალების შემდეგ, ერეკლე
მეორემ მას ჩააბარა არავეის მამულების მართვა-
გამაგეობა. მე-18 საუკუნის 80-იან წლებში მან
აქვე მიიღო საუფლისწულო მამულები და ჩაე-
ბა ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრეობისათვის
გაიალებულ ზრდოლში. აღმოსავლეთ საქართვე-
ლს ამპარება გაუწია რუსთა გარს, რომელიც სა-
ქართველოში შემოვიდა. რუსული შმართველო-
ბის დამყარების შემდეგ, იგი პეტერბურგში გა-
დაასახლეს, სადაც გარდაიცვალა 1814 წლის 27
ოქტომბერს.¹

ვახტანგს ეკუთვნის პატარა იურიდიული
შეგლი, რომელიც მან არაგვის ხეობის მართვა-
გამაგეობის დროს შექმნა. ესაა: „განჩინება ბა-

რისა და მითერთა ადგილთა“. მასში შეტანილია,
ავტოტვე, მისი ძმის ლევან ბატონიშვილის გან-
ჩინებაც.² ვახტანგი ავტორია „გეისტოლითა“ ერთი-
ისტორიული ნაშრომისა, რომელიც 1814 წელს
დბეჭდა პეტერბურგში, სათაფრით: „Обо-
решен истории грузинского народа“. ამ წიგნის ქართული დედანი, რამდენადმე გან-
სხვავებული რუსულისაგან, ავტოგრაფიული
ხელნაწერის მიხედვით 1914 წელს გამოაქვეყნა
პროფ. ს. კაკაბაძემ სათაფრით: „ისტორიებრი-
აღწერა ღირსთა სსომისა შემთხვეულობათა სა-
ქართველოსა შინა“.³ ეს ძველი შეიციეს რამდ-
ენიმე სინტერესო ცნობას ვახტანგ ბატონიშვი-
ლის პოლიტიკური შეხედულებების დასახასია-
ოებლად.

ვახტანგ ბატონიშვილს მიეწერება რამდენიმე
ლექსი და ლეთის პეტრეველური ხასიათის პატა-
რა ძველი „ივოლითია“.⁴

ვახტანგ ბატონიშვილის წერილებში, რომელ-
საც ამჟამად ვიხილავთ, აისახა ქართლ-კახეთის
სამეფო კარის, ერეკლე მეორის პოლიტიკის მო-
მხრეთა შეხედულებები სახელმწიფო წყობილე-
ბაზე, მეფისა და ქვეშევრდომთა ვალდებულებე-
ბებზე და სხვა საკითხებზე. ეს წერილები, საერ-
თოდ, გამოხატავენ ცენტრალური ხელისუფლე-
ბისათვის მებრძოლთა, სახელმწიფოს ცენტრ-
ლიზაციის მომხრეთა თელსაზრისს, რომელიც
უპირისპირდება მე-18 საუკუნის ქართულ თავა-
დურ იდეოლოგიას.

სახელმწიფო წყობილების საკითხი ქართულ
ფილოსოფიურ საზოგადოებაში ყოველთვის შწვა-
ვედ იდგა, განსაკუთრებით ითქმის ეს მე-18 საუ-
კუნის დამლევის მიმართ, რაცა შწვავედ იგრძ-
ნობოდა სახელმწიფო წყობილების გარდაქმნის
აუცილებლობა. სახელმწიფო რეფორმების სა-
კითხს უკავშირდებოდა ქვეყნის გაერთიანების,
ცენტრალიზური ხელისუფლების გაძლიერების,
ქვეყნის ადგენისა და ბარბაროსული გარემოც-
ვიდან მისი გამოხსნის ამოცანები. ყოველივე ამან
გარეშე წინსვლა წარმოუდგენელი იყო.

ამ ამოცანების გადაწყვეტას უახსუბებდა
ვახტანგ VI-ს საკანონმდებლო მოღვაწეობა მე-18
საუკუნის პირველ ნახევარში; აქედან იყო მო-
მართული ერეკლე მეორის მიფილი რიგი სახე-
ლთ-აღმშინისტარციული ღონისძიებები. ქართ-
ლისა და კახეთის გაერთიანების შემდეგ (1762 წ.),
ერეკლემ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა

¹ ტ. „კრებულთა“ 1871, № 2; საქართველოს
სიძველენი, ვ. თაყაიშვილის რედ. ტ. 1, 1920,
გვ. 192-196.

² ხელნ.წ. ინსტიტუტი, ფ. S, ხელნაწერი
№ 3667.

³ ტ. რუხაძე-ძველი ქართული ღირსიკის
ისტორიიდან, თბილ-სი, 1954, გვ. 111-112.

⁴ იქვე გვ. 112; ხელნაწერთა ინსტიტუტი-
ფ. S, ხელნაწერი № 516.

¹ ბაგრატი ბატონიშვილი—ახალი მოთხრო-
ბა. ი. ლომოურის რედაქციით, გვ. 146.

ქვეყნის სამოხელეო წყობაში. სახელმწიფო მმართველობა დაყოფილი იქნა რამდენიმე ცენტრალურზე და რაგად: საგარეო საქმეთა, სახელმწიფო შემოსავლის, სამხედრო საქმეებისა და სხვ. მორივე ქარის შემოღებასთან დაკავშირებით შეიქმნა რიგი ახალი სამხედრო თანამდებობებისა (მაგ. ლაშქარნივისსა...). 1778 წლისათვის სამეფო მდივანებგეთა რაოდენობა ცამეტამდე გაიზარდა და დაწესდა მსაჯულთა შეკრებულება, რომელიც დიდი მნიშვნელობის სასამართლო საქმეებს იხილავდა. ვართლდა სასოხიტლო აპარატი. შეიქმნა „მორივე ქარი“, რომელიც ერგვლეს დასაყრდენი იყო, არა მარტო საგარეო მტრებთან ბრძოლაში, არამედ საშინაო საქმეებში მისი პოლიტიკის განხორციელებისათვისაც. ამან საგრძნობლად გააძლიერა ერგვლეს ხელისუფლება. 70-80-იან წლებში ერგვლეს მმართველობა თვითმპყრობელური ხასიათის იყო. ეს კარგად შენიშნა 80-იან წლებში ქართლ-კახეთში მყოფმა პოლიტიკმა ბურნაშოვმა, რომელიც ერგვლეს ხელისუფლების შესახებ წერდა: *Образ правления. Единоедержавие, царская воля не ограничена. все дела и самое малое зависит от решения царского*¹.

ერგვლე მეორის დროს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოეცხადა და საგრძნობლად შეირყა კიდევ ქართლში არსებული სათავადოების სისტემა. 1743-1744 წლებში ერგვლემ და შეიღწახა აზაგვის საერისთავო გაუქმეს. 1777 წლის ათვიურ ბედი ეცა ქსნის საერისთავოს. ამ ორი უძლიერესი სათავადოს გაუქმებით სამეფო ხელისუფლებამ თავისი პოზიციები განამტკიცა, ხოლო სათავადოთა მამულების ხაზინაში გადაიტყვიტ კი ცენტრალური ხელისუფლების ეკონომიური ბაზა გააძლიერა. ერგვლე ვერც ნახევარ-დამოუკიდებელ სახანოებს ითმენდა თავის საბრძანებელში. 1755 წელს მან ყაზახში სახანო გააქვმა და იქ თავისი მოურავი დასვა. ათიოდე წლის შემდეგ ბორჯალო-ბაიდარსაყ ხანების ნაცვლად მეფის მოურავები განაგებდნენ.

ერგვლე აქტიურად ერგოდა ყმისა და ბატონის ურთიერთობაში და ბატონყმობის რიგის დაღვეს მოიხიხრედა.

თავადური ოპოზიცია თავგამოდებით იბრძოდა მეფის ცენტრალისტური მსწრაფებების წინააღმდეგ. შეთქმულება შეთქმულებას მოსდევდა. ოპოზიციონერები დიდ იმედებს ამყარებდნენ ერგვლეს საშინაო თუ საგარეო მტრებზე: აბდულა ბეგზე, აზატ ხანზე და სხვ.

1755 წელს მეფის კარზე დიდი შეთქმულება მოეწყო. შეთქმულები მეფის მოკვლასა და მისი

ოჯახის ამოწყვეტის ისახადენენ შიხნად, ეს შეთქმულება გასცა ერთმა გლეხმა — დათუნა ფიქარმა. მეფემ დააპატიმრა შეთქმულები და სსტიკად ვაჟსწორდა მათ. ამან საგრძნობლად განამტკიცა მეფის მდგომარეობა.

მაგრამ შემდეგ, 80-იანი წლების მეორე ნახევიდან, თავადური ოპოზიცია კვლავ ძლიერდება. თავადებმა შესძლეს დაეშალათ მორივე ქარი, რომელიც როგორც აღენიშნათ, მეფის ხელისუფლების ერთ-ერთი დასაყრდენი იყო. მათ მოხერხებულად გამოიყენეს ტახტის მემკვიდრეობისა და საუფლისწულო მამულების გამო სამეფო ოჯახში დაწყებული უთანხმოება. თავადებმა ოპოზიციამ უმნიშვნელო როლი როლი ითამაშა საწინაღ მარტხში, რომელიც ქართლ-კახეთში ვანიცადა აღა-მამამად-ხანთან ომში 1795 წელს. ოპოზიცია არც ამის შემდეგ დაეცხრა. 1797 წ. მეფის კარზე კიდევ ერთი შეთქმულება მოეწყო. შეთქმულები აღა-მამამად-ხანის მოწვევას და მეფის წინააღმდეგ მის გამოყენებას ფიქრობდნენ.²

ოპოზიციონერი თავადები დაგუფებულნი იყვნენ ტახტისათვის ურთიერთშოხის მებრძოლო ბატონიშვილების ირგვლივ და აღივებდნენ მტრობას მათ შორის. პ. ბუტკოვს მოეპოვება ერთი ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ ვიორგი ბატონიშვილსა და დაჯავან ღვლოფალს შორის მტრობის გაძლიერებას ძალიან ცდილობდა თავი იფარე მოლოყაშვილი. მისი საქმიანობა ამ მხრივ გამოიქვანებულა იქნა ვიორგის გამეფების პირველსავე წლებში, როცა ვიორგი და დარჯვანი დროგებით შეჩიგდნენ და ივანე მოლოყაშვილზე გამოეგებულა იქნა სამეფო კარიდან, სადაც იგი მდივანებგად მსახურობდა.³

სამეფო ხელისუფლება რეფორმებისაკენ ისწრაფოდა, იგი კარგად გრძნობდა სახელმწიფო აპარატის ვადახალისების აუცილებლობას. ამ მხრივ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 1797 წ. ერგვლე მეორე ავადებდა თავის ელჩთ რუსეთის საიმპერატორო კარზე — გასწვან ჰავივავძეს, რუსული კანონები ვადამოვლო და გამოეგვანა.⁴ მეფის სურდა ამ კანონების გამოყენება სახელმწიფო რეფორმებისათვის მზადების დროს. ამ ხანში მრავალი რუსული საკანონმდებლო ჰეგლი ითარგმნა ქართულ ენაზე. ამავე დროს იქმნება მრავალი პროექტი სახელმწიფო რეფორმებისა საქართველოში. 1799 წ. დაიწერა ივანე ბატონიშვილის პროექტი „სეფოღება“, დავით ბატონიშვილის პროექტი და სხვა. ეს დოკუმენტები სამეფო ხელისუფლების გამო

¹ საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 369.

² П. Бутков — Материалы для новой истории Кавказа, ტ II, გვ. 443—444.

³ А. Цагарели — Грамоты и другие документы... ტ II, ნაწ. I, გვ. 138.

¹ Бурнашев — Картина Грузии 1896, გვ. 4—5.

ლიერების, განმტკიცების სულისკვეთებითაა გაყვანილი. ასეთი სულისკვეთება ახასიათებს ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წევრთა ხელიდან გამოსულ სხვა, ცოტა გვიანდელ თხზულებებსაც — იოანე ბატონიშვილის „კალმასობას“, დავით ბატონიშვილის ისტორიულ და იურიდიულ შრომებს და ვახტანგ ბატონიშვილის თხზულებებს.

აი, ასეთ პირობებშია შექმნილი ვახტანგ ბატონიშვილის წერილები. ისინი იმ მწვავე შინაკლასობრივი და შინაპოლიტიკური ბრძოლის პროდუქტს წარმოადგენდნენ, რომელიც ზემოთ დაეხასიათეთ, რომელსაც ქართლ-კახეთის შინაპოლიტიკურ ისტორიაში მეტად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

ვახტანგ ბატონიშვილის ამ ნაშრომში, როგორც აღვნიშნეთ, სამეფო ხელისუფლების მისწრაფებები და იდეებია წარმოდგენილი. გვაქვს იმით ზედმადამ ამ ნაშრომში გამოთქმულ თვალსაზრისს!

ისევე, როგორც შუასაუკუნეების ფილოსოფიურ-პოლიტიკური ტრაქტატების დიდი უმრავლესობა, ვახტანგიც თავის წერილებში პირველ საკითხად აყენებს საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ადამიანი იყოს ბედნიერი, რა უზრუნველყოფს მის ბედნიერებას. რუსულ ტექსტში ეს საკითხი ასე დგას: როგორ შეიძლება სამუდამოდ იქნეს დამყვიდრებული ბედნიერება ადამიანათვის? ავტორი თვლის, რომ ადამიანთა ბედნიერება — ხალხის (მრავალთა) სიყვარულის მოპოვებაა, რომ ბედნიერება შეიძლება დამყვიდრებული იქნას სიკეთით, კეთილი საქმით. მაგრამ რაით უნდა მოიპოვო ხალხის (მრავალთა) სიყვარული? რაში მდგომარეობს სიკეთე?

ამ კითხვებზე ავტორი ასე პასუხობს: ადამიანის მიერ მისი ვალდებულებების პირნათლად შესრულება გამოიწვევს მის შეყვარებას ხალხის მიერ, ეს არის ადამიანის კეთილი საქმე. ასე მიღის ავტორი ადამიანის ვალდებულებათა შესრულებას დიდი მნიშვნელობის აღიარებამდე.

მაგრამ რაში მდგომარეობს ადამიანის ვალდებულებები? აქ უკვე ქართული და რუსული ტექსტები რამდენიმე განსხვავებულად წარმოგვიდგავენ საქმეს. ქართული ტექსტის მიხედვით ადამიანს ორგანიზირებული ვალდებულება აკისრია: საერთო და კერძო: საერთო ვალდებულებებში შედის — მოყვანის შეყვარება (რომელიც უმთავრესია), ერთგულება მეფისა, ერთგულება მამულსა, სიყვარული მეუღლისა და შეილებასა, სიყვარული ძმათა და შორჩილება და პატივისცემა მშობელთა; კერძო ვალდებულებები კი

მეფეს, მინისტრს, მხედართმთავარს, მხედარს, უფალს (ბატონს), ვაჟარს, შიდაბრს, მონას, გლახაკს, ყმის, მხენელს და მონესკელს განსხვავებული აქეთ. მაგილითად მეფის ვალდებულება ყველას მიმართ კანონიერების, სწორი სამართლის დაცვა, მინისტრისა — საქმეების სისარგებლოდ, საზრიანად და სინდისიერად წარმართვა. მხედართმთავრების, მხედრების, მონებისა და ყმების — ერთგულება და შორჩილება მეფისა და უფალთა და ა. შ.

რუსულ ტექსტში კი დასახელებულია ადამიანთა საერთო ვალდებულებების ოთხი წყარო. ესენია: ბუნება, რწმენა (სარწმუნოება), პოლიტიკური ძალაუფლება და ხალხის ზნე-ჩვეულებანი. ბუნების მოთხოვნილებები დაიყვანება სამართლიანობის, კანონიერების ატვირთვად და ეკამდე. არ უნდა შეურაცხყოფილ სხვა, არ უნდა მიეყენოთ ზიანი ვინმეს, არ უნდა ჩაიღიწათ ზორობება. ეს არის ადამიანთა თანაცხოვრების ძირითადი მოთხოვნა. რწმენა კი ადამიანებს უკარნახებს ქველმოქმედების გამოჩენას, ვაჟარებულთა და მზარების, სუსტთა მფარველობას. რწმენაში ძირითადი დებულებაა: შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი. ბუნებისა და რწმენის ეს ძირითადი კანონები — სამართლიანობა და ქველმოქმედება — უზრუნველყოფენ ადამიანთა ბედნიერებას. მაგრამ ადამიანები ყოველთვის არიან იცარენ ამ აზრანებს, როდესაც არ უნდა იქონიან ვალდებულებები.

აქ უკვე ასპარეზზე გამოდის პოლიტიკური ხელისუფლება, ადამიანთა ვალდებულებების მესამე წყარო, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს რწმენისა და ბუნების ამ ძირითად მოთხოვნილებათა შესრულება ადამიანების მიერ. ამაშია მისი უმთავრესი ამოცანა. „Власти законодательная — вводит в закон меру и справедливости — более всего стремится к улажению жребия человеческого, как поощряя, так и привлекая нас к выполнению закона веры и приобщая“, ამ მიზნის მიხედვითა პოლიტიკური ხელისუფლება ქმნის პიყვისსა და ხალხის სულისკვეთებასთან და ზნე-ჩვეულებებთან შეხამებულ კანონებს, პოლიტიკური კანონებს, რომელთა გარეშე არ შეიძლება არცხოვდეს რაიმე საზოგადოება. ეს პოლიტიკური კანონები მკაცრად უნდა იქნეს დაცული.

როგორი პოლიტიკური წყობილებაა მიჩნეული ამ ძველში ყველაზე საუკეთესოდ? სახელმწიფო წყობილების რომელი ფორმა უზრუნველყოფს ყველაზე უკეთეს პოლიტიკური ხელისუფლების ძირითადი ამოცანის შესრულებას?

როგორც ქართულ, ისევე რუსულ ტექსტში იგულისხმება, რომ ეს უნდა იყოს მონარქიული წყობილება. ამ ძველში არ ჩანს რაიმე ისეთი საზოგადოებრივი ძალა ან ორგანო, რომელიც

¹ თვალსაზრისის გადმოცემის დროს ვითვალისწინებთ ორივე ტექსტს — რუსულსა და ქართულს.

სახელმწიფოში მეფის ხელისუფლებას ვიან-
წილებდი. მეფე ერთმართველია, კანონების
უზენაესი დამდგენი და დამკველი.

მეფის სუვერენიტეტი ერთიანი და განუ-
ყოფელი. რუსულ ტექსტში გვხვდება ასეთი სი-
ძველები: Муж украшенный царскою коро-
ною изображает нам бога, и сущего в
руках судьбы и клонящего оныя к благо-
действию своих созданий.“ მეფისადმი
ერთგულება უმაღლესი მოვალეობაა ქვე-
შევრდიანისა. მონათა და ემათა შეკახებე კა-
რთულ ტექსტში (მეშვიდე წერილი) ვითხუ-
ლობთ: „უკეთუ უფალთა თვისთა თანამდებ არს
ერთგულებითა, არამუ უფროს მეფეთა თვისთა,
ვინაგან არს იგი უფალთაცა. ზედა უფალ და
ყოველთა ზედა უმთავრესისა. კვამოფებთაა
მქონებელ.“ სამეფო გვირგვინი სამშობლო
ქონისარდება:—“Корона и отчество ничто
иное как одно и то же.“ (მეშვიდე წერილი).

მეფის უმთავრესი ვალდებულებაა კანონიე-
რება დაცვის, სწორი სამართალი მისცეს ყვე-
ლს, განურჩევლად მდგომარეობისა და ნათესა-
ობისა. ერთად ერთი რამ, რაც განსაზღვრავს და
ზღუდავს მეფის ძალაუფლებას, — ესაა კანონი.
რაც არ უნდა ძნელი იყოს, მეფე მიახი-
უნებდა უნდა დაცვის კანონის მოთხოვნები.
ქ მოტანილია მაგალითი ლოკრიდეთა მეფის სე-
ლევკის ცხოვრებიდან. ამ მეფემ კანონის თა-
ნამდოდ თვალების დათხრა მიუხაჯა ვარყვნილე-
ბის შემწეულ საეკლესიო შეიღის. მამობრივი
განძობის კარნახით სულეკმა შეიღის მხოლოდ
ერთი თვლი ამოთხარა, მაგრამ იმისათვის,
რომ კანონის მოთხოვნა ბოლომდე შესრულებუ-
ლიყო, კანონს ძალა არ დაეარგოდა, ცალი თვა-
ლა შეიღის მეორე თვლის სანაცვლოდ, თვი-
თონ ამოთხარა.

მეფის ვალდებულებაა იზრუნოს ქვეშევრდო-
მთა კეთილდღეობაზე, მათ დაცვაზე, თუ საჭი-
როება მოითხოვს, მეფემ თავიც უნდა გასწიროს
მათთვის. ამიტომაც, რომ ვახტანგისათვის სამა-
გალითო მეფეა დიმიტრი თავდადებული, რო-
მელმაც თავი გასწირა და ხალხი ძლიერი და
პირისხანე მტრის შემოსევისაგან იხსნა. სხვათა
შორის, დიმიტრი თავდადებულს ღვაწლს ვახ-
ტანგ ბატონიშვილს ასევე სავანეებში აღნიშ-
ნავს თავის ისტორიულ ნარკვევშიც და სამაგა-
ლითოდ მიიჩნევს მის საქციელს. ამავე ნარკვევ-
ში საწინააღმდეგო შეფასებას აძლევს მეფეებს
გოთრე ლაშას (რომელმაც, მისი აზრით, ჩინვის
ხანის გარებას შემოსევა გამოიწვია) და რუსუ-
დანს, რომელთაც პირადი ინტერესები ხალხს
ინტერესებზე შალდა დააყენეს.

ამრიგად, ვახტანგ ბატონიშვილის იდეალთა
ერთმართველი, შეუზღუდველი მონარქი, კანონ-
ების მაკარად დამკველი და ქვეშევრდომთა
კეთილდღეობისათვის მზრუნველი. „...
როგორი უნდა იყოს ქვეშევრდომი? ამ მეფე-
ლის მიხედვით, ქვეშევრდომთა უპირველესი
მოვალეობა პოლიტიკური ხელისუფლებისადმი
უყოყმანოდ შორჩელება და ერთგულება, ასეთი
მონარქების აუციელებლობა დასაბოთებელია
იმაზე მოითხოვით, რომ პოლიტიკური ხელისუფ-
ლება საერთო საზოგადოებრივი ზედნიერების
დამყარებას უზრუნველყოფს. რასაც იგი ვერ
მიაღწევს თუ საზოგადოების ყველა ცალკეულმა
წევრმა ხელი არ შეუწყოს მას ამ საქმეში და
არ გაიღოს მსხვერპლად ზოგიერთი კერძო ინტე-
რესი. პოლიტიკური ხელისუფლებისადმი ერთ-
გულება კი გათანაბრებელია მამულის ერთგუ-
ლებასთან.“

სანიშნო ქვეშევრდომად ვახტანგს მიანი-
ოთამ ზედვიწიდა, რომელმაც გასწირა საყუ-
თარი სიცოცხლე მეფის გადასარჩენად. „Все
граждане воодше обаянии, — ეთხოვლობთ
იგვე — аже нащёт своих дней, утверждать
безопасность трона“.

ქვეშევრდომი ერთგულებისაგან „ვერა რამან
განაშორნეს... არცა დიდებამან რომელმანმე და
არცადა ძვირმეზობელებამან“ — ეთხოვლობთ
მეფეზე ეპისტოლეში.

მინისტრები, მხედართმთავრები სამხედრონი
მოწოდებულნი არიან უყოყმანოდ და ერთგუ-
ლად შეასრულონ მეფის ბრძანებები, ამით ხე-
ლი შეუწყონ მეფის შიგრ მისა ვალდებულებას
წარმატებით შესრულებას. მინისტრები და მხე-
დარი მოხელეები მეფის მინიჭებული არიან.
ისინი ანხორციელებენ მეფის ნებას, მის კავ-
შირ-ურთიერთობას ქვეშევრდომებთან, ეხმარე-
ბიან მეფეს და იზიარებენ მის შეცდომებს თუ
წარმატებებს. ამრიგად სამხედრო თუ სამოქი-
ლაქო სამოხელეო აპარატმა უნდა უზრუნველ-
ყოს მონარქული მმართველობა, მეფის ერთმი-
როვნული მმართველობა.

ამასთან, ვახტანგა ქვეყნის სახელმწიფოებ-
რივი ერთიანობის მოტრფილაცა. მას მიანი-
ოთამ ერთიანი სახელმწიფოს დედოფარი
ერთგულად უყოველგვარი უზედურების წყა-
რთა. ეს თვალსაზრისა ნათლადა გამოთქმული
ბატონიშვილის ზემოხსენებულ ისტორიულ ნარ-
კვევში. ამ ნარკვევის მეხამე თავი, რომელიც
მე-15 საუკუნის მომდევნო ხანას ეხება, იწყება
შემდეგი სიტყვებით: „Ежели раздробление
государства на разные отдельные части
ниест важнейшее влияние на судьбу потом-
ства, то мы касаемся теперь и источника
той несчастной и притом болезненной сла-
бости, из коей Грузия с того времени вы-
ходила не иначе, как на самое крайнее
время, и как будто для того только, чтоб

¹ იხ. Обзорение истории Грузинского
народа, СПб, 1814, გვ. 39—41.

живее чувствовать жестокою необходимостью в непрерывном токе крови смысловой ей“.¹

ამ ეპოქას თვლის იგი ზნეობის დაცვის ხანად, შინაურ არეულობათა, სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებათა და ლ. ლატია სიწყისად.

ასეთია წერილებში გამოთქმული შეხედულება პოლიტიკური აზროვნების ძირითად საკითხზე — სახელმწიფო წყობილების, მისი ფორმის, პოლიტიკური ხელისუფლების ხასიათის საკითხზე.

ძველი შესამჩნევი არ არის, რომ ასეთი შეფასება, ასეთი პოლიტიკური ხელსუფლების, ასეთი სახელმწიფოს უპირატესობის მტკიცება ასახავს ქართულ-საქართველო კარის თვალსაზრისს და უპირისპირდება თავადურ იდეოლოგიას, რომელიც მოითხოვს ცენტრალური ხელისუფლებას განაწილებას დიდგვარიან თავად-აზნაურთა წარმომადგენლებს შორის.

ამ პრობლემაზე შეხედულებების კლასობრივი ხასიათი თავისთავად ნათელია, იგი მძლიანად განბატონებულ კლასთა ინტერესებს იცავს, მათ საღარაჯოზე დგას. მაგრამ ამასთანავე ფეოდალური პოლიტიკური აზროვნების კვალობაზე ვახტანგის წერილებში გამოთქმულ თვალსაზრისს ზოგიერთი დადებითი მხარე ვაჩინია. ამ თემათათვის რამდენიმე მათგანზე.

ამ მხრივ საგულისხმოა წერილებში პოლიტიკურა კანონებისათვის დიდი როლის მინიჭება. მონარქიული მმართველობის, შეუზღუდავი მეფის ხელისუფლების აღიარებასთან ერთად, კანონებს პრიმატობის აღიარება დადებითად ახასიათებს ვახტანგის თვალსაზრისს.

ვახტანგი თვლის, რომ მეფე მკაცრად უნდა იცავდეს კანონებს. კანონები ზღუდავენ მეფის თვითნებობას და ტირანულ მმართველობას შეუზღუბელს ხდიან. ვახტანგი არ არის კანონების შორად შეცვლის მომხრე. ეს, მისი აზრით, დიდ არეულობას იწვევს საზოგადოებაში.

აქვე უნდა აღინიშნოს მეორე გარემოება. ესაა პოლიტიკური წყობილების დასაბუთება ბუნების კანონებისადმი მიმართული, აღამიანთა თანაცხოვრების საფუძვლად ბუნებისა და რწმენის ძირითად მოთხოვნებთან აღარება და ამავე დროს რწმენის დუვიანი ქველმოქმედების ზნეობრივ პრინციპად. ამასთან დაკავშირებით წერილებში (რუსულ თარგმანში) მრავალი საინტერესო აზრია გამოთქმული. ასე მაგალითად, მესამე წერილში ვითხვლობთ: „Природа дала всем людям одни права на свои благотворения и не полагала в них никакого различия, следовательно ей закон непреложен для всех состояний“. მაშასადამე ბუნების კანონის, ბუნების სიკეთეთა წინაშე ყველა აღამიანი უფლებრივად თანასწო-

რია... ეს მეტად საინტერესო აზრია, მაგრამ მისი ავტორი მის, რა თქმა უნდა, აღამიანთა პოლიტიკური თანასწორობის დანაშაულებით სთავის არ იყენებს. პირაქვეც კარგად ვხედავთ, რომ ვინაიდან ბუნებისა და რწმენის კანონების მიმართ აღამიანებს სხვადასხვა ათვისებას უნარი აქვთ, უთანასწორობა აღამიანთა შორის აუცილებელი ხდება. კანონი ყველასათვის ერთნაირია, ბუნებისა და რწმენის კანონების, მათი მოთხოვნების წინაშე ყველა აღამიანი თანასწორია, მაგრამ აღამიანთა განსხვავებული უნარი იცხოვროს ამ კანონების, მათი მოთხოვნილებების შესაბამისად, იწვევს უთანასწორობას აღამიანთა შორის. ეს თვალსაზრისი საერთოდ ტრაგიკია ვახტანგებულ კლასების იდეოლოგიისათვის, მაგრამ ამასთანავე იგი რამდენადმე სცილდება ფეოდალური პოლიტიკური აზროვნების საერთო ფარგლებს.

საერთოდ, რუსულ ტექსტში გამოთქმული თვალსაზრისი აღამიანების ვალდებულებათა წყაროების, ამ წყაროების შედარებით მნიშვნელობის (ბუნებისა და რწმენის უპირატესობა), ბუნების მოთხოვნილებათა ძირითადი შინაარსისა და სხვათა შესახებ, თავსდება ე. წ. ბუნებრივ-უფლებრივ თეორიათა ფარგლებში. ეს თეორია, როგორც ცნობილია, ფართოდ იყო გავრცელებული ევროპაში და რუსეთში მე-17 — მე-18 საუკუნეებში. ვახტანგის წერილებში გამოთქმული შეხედულებები ამ მხრივ მსგავსებას ამჟღავნებენ ვაჩორენილი პოლანდიელ მახარკოვის, ბუნებრივ-უფლებრივ თეორიის წუქმდებლის პეტე ვროკოსის (1583-1654) შეხედულებებთან.

წერილებში სხვა საყურადღებო მომენტებაცაა.

აღსანიშნავია, მაგალითად, ის გარემოება, რომ სახელმწიფო წყობილება, სამოხელეო აპარატი ამ წერილებში არაა დაკავშირებული სოციალურ პრივილეგიებთან. ეს აპარატი გამოყოფილია, გამოთიშულია სოციალური დაყოფისაგან, იგი ბიუროკრატიული ხასიათისაა.

ამ მომენტის მნიშვნელობა ვასაგები ვახდება, თუ გავსხვავდებით, რომ გვიანდელადღურ საქართველოში სახელმწიფო სამოხელეო წყობილება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფეოდალურ პრივილეგიებთან, რომ ესა თუ ის მალე სამოხელეო თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა ამა თუ იმ ფეოდალურ საგვარეულოში და ამ საგვარეულოს ერთ-ერთ პრივილეგიას წარმოადგენდა, მეფის მოხელე და ფეოდალი თავადი განუყოფელი იყო. ამა თუ იმ თავადის სამოხელეო უფლებებსა და მის ფეოდალურ პრივილეგიებს შორის ზღვარის გავლება ხშირად შეუძლებელი იყო. ამის საუცხოო მაგალითს სათავადო წარმოადგენდა. სათავადო სახელმწიფო აღმინისტრაციული ერთეულიც

¹ Обозренье истории Грузинского народа.

იყო და სამშალო-ფეოდალურიც. თავადი თავი-სი მშალოს შემყიდრებოებით მღობულეც იყო და ამ მამულს მეფის მოხელეც, სახელმწიფო აპარატის წარმომადგენელიც. ეს „რა თქმა უნდა, სახელმწიფო აპარატის სისუსტეს გამოხატავდა, ფეოდალი-მოხელე მხოლოდ პირობით იყო ცენტრალური ხელისუფლების ერთგული. პროგრესი გულისხმობდა სამოხელეო აპარატის გამოთიშვას ფეოდალთა სოციალური პრივილეგიებისაგან, ბიუროკრატიული აპარატის შექმნას, რაც უზრუნველყოფდა სახელმწიფო წყობილების განმტკიცებას, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას. აქეთვე იყო მიმართული ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლების სამხედრო-ადმინისტრაციული ღონისძიებები მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში. ვახტანგის იდეალიც ასეთი სახელმწიფო წყობილებაა. ამა თუ ამ პირის დაწინაურება, წერილებში გამოთქმული აზრით, დაკავშირებულია არა ამ პირის გვარიშვილობასთან, არამედ მის პირად ღირსებებთან. იგივე აზრი აქვს გამოთქმული ვახტანგს თავის ისტორიულ ნარკვევში. აქ მას აღნიშნული აქვს, რომ ერეკლე მეორის ღირს უზიარატესობა სწორედ აღმამიანების პირად ღირსებას ენიჭებოდა.¹

რა თქმა უნდა, ეს აზრი პირადი ღირსების შინაშეხეობის შესახებ, ქართული პოლიტიკური აზროვნებისათვის ამ დროს სიახლეს არ წარმოადგენდა, მაგრამ ჩვენ იგი გვიანტერესებს ამდენად, რამდენადაც ვახტანგი მას უკავშირებს ბიუროკრატიული აპარატის შექმნას, მოხელეობის გამოთიშვას აღმამიანთა მღალე წარმოშობისაგან, ფეოდალური პრივილეგიებისაგან.

ამ ძველში უფრადლებას იქცევს, აგრეთვე ავტორის დამოკიდებულება საეკლესიო წრეებთან. ვერ გაითა აღსანიშნავია ის, რომ მან საერთოდ გამოთიშა ეკლესია და ეკლესიის მსახურნი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებიდან. არსად აქ საუბარი არ არას ეკლესიის რაიმე როლზე სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ხოლო რწმენის ღირსიანი მოთხოვნა, როგორც აღვნიშნეთ, ქვემოქმედების ზნეობრივ პრინციპამდე დაყვანილი.

და შემდეგ რუსულ ტექსტში უფრადლებას იქცევს იმ აღმამიანთა მიერ ჩადენილი ბორბტ-მოქმედებათა აღწერა, რომლებიც რწმენის სახელით მოქმედებენ. Мы видим в истории племени, — гяи:ახლოობა მეორე წერილში, — что самые честолюбивые, коварные и роживные прикрывали гнусные свои пре шриятия ревностью к вере и ван:ся роду человеческому смертельные уд:ры мнлш дох:ать свету, что они покорствуют гаа-

cy Божию*, — ავტორი ამხელს ასეთ ხალხს და აღნიშნავს, რომ რწმენა აქ არაფერ შენაშით და ის ფილოსოფოსებზე უფროს ტარიკოსებია, რომლებიც ამკდმხოვთა საქმიანობის მიხედვით აღასებენ რწმენას, ცდებთან, ეინაიდან ისინი რწმენის კანონების შესახებ მსჯელობენ აღამიანთა საქმეებითო. საეკლესიო წრეების საქმიანობის ეს მამადრი კრიტიკა მეტად ნიშანდობილია ამ წერილებისათვის და დადებითად ახასიათებს მათი ავტორის აზროვნებას.

წერილების ავტორის მიწოდომქმედნი (მხენელ-მთესველნი), ვაჭრები და ხელოვნების ხალხი მოქალაქეთა კატეგორიაში ჰყავს გაერთიანებული (რუსულ ტექსტში). მათი ვადლებულებების დახასიათებისას ავტორი საეკლესიო ღვას გაბატონებულ ეკლესიის პოზიციას და ყმათა და მონათა სრულ მორჩილებას ჰდადებს ცებისტოლე მეშვიდე). ავტორი აღიარებს, რომ მხენელ-მთესველთა გარჯაზე დამოკიდებული საზოგადოების არსებობა, რომ თუ კი მიწით-მოქმედი თავის საქმიანობაზე ხელს იღებს, ეს დიდ განსაცდელს შეუქმნის საზოგადოებას და სწორედ ამიტომ მოითხოვს, რომ უფრადლებით და პატივისცემით უნდა მოვექცეთ ამ ხალხსო. ასეთი დამოკიდებულება ქართველ მიწათმოქმედ საზოგადოებასთან ფეოდალური ეპოქის კვალობაზე პროგრესული ჩანს და ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში იგი ვახტანგამდე კარგა ხნით აღჩეა ფეხმოკიდებული (არჩილის პოეზია...).

ავტორი სისარგებლოდ მიიჩნევს ეპართა საქმიანობასაც და მათ სათანადოდ დაფასებას მოითხოვს.

როგორც ვხედავთ, ვახტანგ ბატონიშვილის წერილების (ვანსაყუბრებით, მისი რუსული თარგმანის) სახით ჩვენს წინაშეა ქართული პოლიტიკური აზროვნების მეტად საინტერესო და თვალსაჩინო ძეგლი, რომელიც ასახავს ქართლ-კახეთის სამეფო კარზე შემუშავებულ თვალსაზრისს ძლიერი, ერთმამართველური და ერთიანი სახელმწიფოს შესახებ, შეუზღუდველი, თვითმწყობილი მეფთ სათავეში. ასეთი სახელმწიფო წყობილება საკითო იყო ფეოდალური ანარქიის დასაძლევად, ქვეყნის გამოსაყვანად იმ მძიმე შინაპოლიტიკური კრიზისიდან, რომელიც გვიან ფეოდალურ ხანაში მეტ-ნაკლებად ყოველთვის აწუხებდა ქართულ სახელმწიფოს. ეს წერილები, აღებულ ხანაში, ქართული პოლიტიკური აზროვნების მღალე დონეს გამოხატავს.

¹ Обзорение истории Грузинского народа. გვ. 72.

წიგნის კაბად

ორი ეპიზოდი ილია ჭავჭავაძისა და ჩემი
ნაცნობობის დროიდან*

წიგნის კაბად (1872—1940) ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზის ერთი ინიციატორთაგანი, 1918 წლიდან კითხულობდა ლექციებს პოლიტიკურ ეკონომიაში, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიაში, საფინანსო მეცნიერებასა და სტატისტიკაში. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ორიგინალური მეცნიერული შრომა საქართველოს და ამიერკავკასიის რევოლუციამდელი სამეურნეო ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე; დედნიდან ნათარგმნი აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებნი — კ. მარქსის „ფილოსოფიის სილაქაე“, „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, „კაპიტალი“ ტ. II, ტ. III, ნაწილი I და II; მარქს-ენგელსის რჩეული ნაწარმოებნი ტ. II, ვ. ი. ლენინის თხზულებათა მე-17 ტომი. მასვე ეკუთვნის დ. რიკარდოს „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლების“ და სმიტის „ზაღბთა სიმდიდრის“ თარგმანი.

1905—1906 წლებში რედაქტორობდა ვაჭრთა „ვიცარიას“. ვაჭრებთან ფ. ვაგინაშვილის მოგონებების იმ ნაწილს, რომელიც „ვიცარიასში“ მისი რედაქტორობის წლებს ეძება და დაკავშირებულია ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდთან.

თბილისის სემინარიის მეხუთე კლასში ვიყავი გადასული. ეს იყო 1891 წელს. ჩვენი მოწოდების, ტანჯვა, რასაც სწავლა ეწოდებოდა, ერთი თუ ორი თვის დაწყებული იყო. ეს ტანჯვა განსაკუთრებით მწვავე იყო მეხუთე-მეექვსე კლასელებისათვის, რადგან ამ ორი უკანასკნელი კლასის სასწავლო პროგრამა სემინარიაში სულ ლეთისმეტყველების საგნებით იყო გაჯავებული, რომელნიც ყველა სემინარიელს, მორწმუნესაც კი, ჭირივით ევაგრებოდა და რომელთაც გულის ზაღბით იზებოდა.

დიდებული შემოდგომა იყო, უმშვენიერესი დრო ჩვენს ქვეყანაში, რომელმაც გაზაფხული სრულებით არ იცის, ხოლო ზაფხული მეტის.

* ეს სტატია თავის დროზე გადაცემული ქონდა უნივერსიტეტის ძველ ბიბლიოთეკაში ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ კრებულში დასაბეჭდად, რომელიც 1937 წელს უნდა გამოსულიყო, მაგრამ, როგორც ირკვევა, ბელაწერი დაკარგულა. ავტორის შენიშვნა.

მეტად ცხელი, ზამთარი კი — რალა ცივითი, არც ზამთარს ჰგავს და არც შემოდგომას. ზედმა გავილიმა მოწოდებებს: კომპლუტიკის მასწავლებელი, რომელიც წინათ შეთავაზურად იყო და ახლანამ ამ საგნის მასწავლებლად დანიშნეს, ავად გახდა და გაცივითლებზე ვედარ მოდიოდა. ნება მიმოჭეთ ამ „გამილუტის“ ახსნა-განმარტებას აღარ გამოვტვდე. დღეს ეს რალად უნდა იყოს იყო სემინარიაში ასეთი საღვთისმეტყველო „მეცნიერებაე“, რომელსაც სემინარიაელებს ვევაშპირებინებდნენ. ყველას ვეხაროდა ამ „მეცნიერებაე“ მასწავლებლის მოუსვლელობა, მაგრამ განსაკუთრებით — მე, რომელსაც მისი დანახვა ყოველთვის ბოღმას მომგვრიდა ხოლმე. როცა ავად გახდა და გაცივითლის გაცდენა დაიწყო, ყველას გვესამოვნე: მისი საგნის საათი თავისუფალი ვერჩებოდა. შეგველო კლასში სხვა რამ „გარეშე“ წიგნების (ასე ებახდნენ მაშინ არა სესემინარიო წიგნებს) კითხვით ვაერთობილყავით. მართალია, დიდი სიფრთხი-

ლის გაწევით: დერეფანში ეინწე ამხანაგი უნდა დავეყენებოდა ყარაულად, რომელსაც უნდა ეთვალთვალებოდა, რომ მოულოდნელად მეთვალურე ამ ინსპექტორი თავს არ წამოგდგომოდა. საქმე მაინც სახიფათო იყო, ვინაიდან ჩვენი ყარაული ზოგჯერ ეინწე ამხანაგთან ლამაზაკში გაერთობოდა და ამ დროს ბერი (ინსპექტორი) შეუშინებულად შემოძვრებოდა და თავს დაგვეყრდობა. განგებ აბარებდა უაქუსლო ფესსაცმელს, რომ მოგეპაროდა, ბრახაბრებით არ შემოსულყო. ამიტომ იმ თავისუფალ საათში მოწოდებების მხოლოდ ჩაწილი არებოდა კლასში, ხოლო სხვები ეზოში ჩადიდდნენ და თთურხმს ვადალიდნენ.

მაგრამ ეს სიხარული მალე წივამწარა ინსპექტორმა, ბერმა ნიკანდრამ. მან გადასწყვიტა გომილეტივის თავისუფალი საათი თავის საგნის — „პასტირიკისათვის“ გამოყენებშია დამატებით. ესეც ერთ-ერთი საღვთისმეტყველო „მეცნიერება“ გახლდათ სემინარიაში. და იწუთ ამ ნიკანდრამ თავისი „პასტირიკით“ იმ საათში ჩვენთან სიარული. მიუგდებოდა კათოდრას, ჩვენსკენ არცა იხედებოდა, ვადანაბედა თვალს და მოგვიყვებოდა წმინდანების და ღვთისმეტყველების ამბებს.

